ზურაბ კალატოზიშვილი

ფარნავაზი

ზურაბ კალატოზიშვილი

ფარნავაზი
farnavazi

გამომცემლობა „უსტარი
თბილისი
2013

წინამდებარე ისტორიულ-ეპიკური სტილის რომანში მხატვრული ფორმის სახით აღწერილია, ისტორიულად პირველი გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის დასაწყისი, რომელსაც დასაბამი ედება ფარნავაზ I-ის მეფობის ისტორიულ ეპოქაში.

ისტორიულად არსებული ფაქტების გადმოცემისას ავტორი შეეცადა ყოფილიყო მაქსიმალურად ობიექტური და ანალიტიკური მიდგომით შეეფასებინა ისტორიული მოვლენები, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ პიროვნებათა გვერდით, ნაწარმოებში ფიგურირებენ მხატვრულად შექმნილი პერსონაჟებიც.

წიგნის დაწერისას გამოყენებულია-ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“, ლევან სანიკიძის „წიგნი ფარნავაზისა“ (უქარქაშო ხმლები) და საერთაშორისო ინტერნეტ-ქსელში არსებული „wikipedia“-ს ისტორიული წყაროები, სხვადასხვა ენებზე შედარებებითა და შეფარდებით.

პროლოგი

აუტანელმა და დახუთულმა ადრეულმა სიცხემ გამომაღვიძა. აივანზე გავედი და ხმელთაშუა ზღვას გადავხედე. ზღვა იყო ძალზედ მშვიდი და მისი უკიდეგანო სივრცე ვერცხლისფერი სარკესავით ლაპლაპებდა. ზღვას თავზე ედგა უღრუბლო და იისფერი, კამკამა, გამჭვირვალე ცა. მზე ამოსასვლელად ემზადებოდა.

ძალიან ბევრჯერ მინახავს განთიადისას, ზღვიდან მზის ამოსვლა და მაინც, ყოველთვის მოუთმენლად ველოდები ხოლმე ბუნების ამ დიდებულ სანახაობას, მით უმეტეს, დღეს ისეთი წყნარი და კრიალა ზღვაა, რომ შესაძლებელია შევამჩნიო ბუნების იშვიათი მოვლენა, რომლის დანახვა სწორედ ასეთი მშვიდი, წყნარი, სარკესავით კრიალა ზღვისა და გამჭვირვალე, უღრუბლო ცის ურთიერთშერწყმის დროსაა შესაძლებელი.

ძალზედ იშვიათად მინახავს ბუნების ეს საოცარი მოვლენა, რომელიც მხოლოდ ნახევარი წამი თუ გრძელდება და მისი ხილვა ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

იისფერი ცა თანდათანობით ღია ცისფერში გადაიზარდა და ცის ძირს ოქროცურვილი შეეპარა. სადაცაა მზე თავს ამოჰყოფდა ზღვიდან.

მე გავხედე ჩემს მოპირდაპირედ ზღვის ჰორიზონტს, ოქროცურვილის მომატებასთან ერთად საგრძნობი იყო, რომ მზე იქიდან უნდა ამოსულიყო და აი, რამდენიმე ასეულ კილომეტრზე, ზღვის ვერცხლის-

ფერ ზედაპირზე მზემ წყლის ქვეშიდან გამოანათა და უცებ წყალში უსწრაფესად გაიელვა ზურმუხტისფერ-მა ელვამ დაუსრულებელი ბილიკის სახით, რომელიც ზღვიდან მზის ამოცურვისთანავე გაქრა.

სიცოცხლისა და დაუშრეტელი ენერგიის, კაშკაშა სხივების მფრქვეველი, ზღვიდან ამომავალი მზე წითე-ლი, ცეცხლისფერია და სამჯერ უფრო დიდი ჩანს ზღვის ჰორიზონტზე, ჰაერში არსებული წყლის ნაწილაკების გამო.

მე განსაკუთრებით მიყვარს დღის დასაწყისის დროის ეს მცირე მონაკვეთი, რადგანაც ზღვიდან ამობ-რწყინებულმა მზემ, სულ რაღაც სამიოდე საათის წინ საქართველოზე გადმოიარა და მოკითხვა გამოიყოლა ჩემი სამშობლოსი, ჩემი მთა-ბარის, ჩემი კავკასიონისა და ჩემი ზღვა-მდინარეებისა, რომელთა სურნელი მზის სხივებს, თითქოსდა, თან გამოჰყოლიათ.

დიდი ხანია, უცხოეთში ვარ. ამჟამად შორეულ ეს-პანეთში ვცხოვრობ და ზუსტად ჩემს წინ მდებარე ხმელთაშუა ზღვის მოპირდაპირე მხარის დასასრულს, შავი ზღვის შემდეგ, ჩემი სამშობლო და ჩემი ქვეყანა იწყება.

ბევრჯერ დამსიზმრებია და ყურთ ჩამსმენია მშობ-ლიური თბილისი, გლახოს დუდუკითა და გურამ საღა-რაძის წაკითხული ლექსით. მოჩხრიალე მტკვარზე შემ-დგარი, იავარქმნილი ვარძია, ჯანსუღ კახიძის „ჰერიო ბიჭებოს“ დატირებით. კახეთზე შორიდან გადმომყურე დათოვლილი, ბებერი კავკასიონი, ჰამლეტ გონაშვილის ტკბილი სიმღერით. ამწვანებული კოლხეთი და ზვიადი მცხეთა-მთიანეთი, მუხრან მაჭავარიანის ძარღვიანი ლექსით.

მზე საკმაოდ ამაღლდა, დაჰკარგა ახლადშობილი სილამაზე და სითბო.

მომესმა „მარსელიეზა“ და ნაპოლეონის ეპოქის დროინდელი, სამხედრო კავალერიის ასეულის ცხენთა ფლოქვების თქარათქური.

დღეს 2011 წლის 14 ივლისია. საფრანგეთი ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს და ტელევიზიით სამხედრო აღლუმს გადმოსცემენ პირდაპირ პარიზიდან.

გამახსენდა, რომ ორიოდე წლის წინ საფრანგეთის პრეზიდენტი, სარკოზი, საქართველოში ჩავიდა, როდესაც თბილისიდან 40 კილომეტრის მოშორებით განლაგებული რუსული ტანკები საქართველოს დედაქალაქზე იერიშისათვის ემზადებოდნენ.

ისმის ისევ „მარსელიეზა“ და გრძელდება სამხედრო აღლუმი პარიზში.

მართალია, საფრანგეთში ხუთჯერ შეიცვალა რესპუბლიკა, მაგრამ დღესდღეობით საფრანგეთს არა უჭირს რა. საქართველომ კი, აგერ უკვე 200 წელია, ვერა და ვერ მოიშორა რუსული სამხედრო ჩექმა. არ მიდიან, რა ჰქნან? უძნელდებათ წასვლა, შეეჩვივნენ და ვერ ელევიან კურთხეულ საქართველოს მიწას. მაგრამ ადრე თუ გვიან, მაინც წავლენ. ქართული მიწები გათავისუფლდება, მუდმივად არაფერი არსებობს და რუსული ჯარიც წავა.

ეს აუცილებლად მოხდება და საქართველო ისევ გამთლიანდება, მაგრამ მთავარი გასაკეთებელი ჯერ კიდევ წინა აქვს ქართველ ერსა და ქართველ ხალხს, ისინი უნდა განიწმინდონ და განიკურნონ ყველა იმ მავნე „სენისა და დაავადებებისაგან“, რაც შეითვისეს და შეისისხლხორცეს რუსული ჰეგემონიის არსებობის ხან-

გრძლივი დროის მანძილზე, უნდა დაუბრუნდნენ ქართველურ გენეტიკურ, ძირფესვოვან, ზნეობრივ, მაღალადამიანურ თვისებებს და სასიკეთოდ განავითარონ მომავალი თაობების აღსაზრდელად.

ევროპაში ბევრ ხალხთან მიხდებოდა ურთიერთობა და ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცის, ვინ არიან ქართველები. ბევრჯერ დამჭირვებია იმის ახსნა, რომ ქართველები რუსები, ან კაზაკები არა ვართ.

მე მათ ვამცნობდი ქართულ წარმომავლობას, ქართულ კულტურას, საქართველოს ისტორიას, ქართულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, ქართული ხასიათის მაღალბუნებოვნებასა და ზნეობრივობას, პატიოსნებასა და პატივისცემას, მოვალეობის გრძნობისა და პასუხისმგებლობის შეგრძნებას, დიდ სტუმართ-მოყვარეობას.

სახლში გვიან დაბრუნებული კი გადავხედავდი საქართველოს საინფორმაციო არხებს და არ მინდოდა დამეჯერებინა, რაც მესმოდა, და რასაც ვკითხულობდი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სისტემატურად ხდებოდა მკვლელობები, ადამიანის დაჭრა, ქურდობა და ყაჩაღობა. არ ინდობდნენ არც ორსულ ქალებს, არც საკუთარ დედ-მამას, არც ცოლ-შვილს, არც ნათესავებსა და ახლობელ-მეზობლებს.

საქართველოდან მცირეწლოვანი გოგონები ზოგიერთ დედებს საკუთარი ხელით მიჰყავდათ თურქეთში, ფულის სანაცვლოდ საროსკიპოში ჩასაბარებლად.

ვიღაც ქართველმა ქალებმა, თურქეთში საქართველოდან ჩასული ერთი ქართველი გოგო ცოცხლად დაამარხვინეს, რომელსაც პროსტიტუციაზე უარი განუცხადებია და კიდევ მრავალი და მრავალი სხვა უღ-

მერთო, უმსგავსო და საშინელი, თავისმომჭრელი სამარცხვინო ამბები.

არც ევროპაში არ არის ქართველთა სახელი, რბილად რომ ვთქვა, მთლად კარგად მოხსენიებული. რა თქმა უნდა, უცხოეთში მყოფი ყველა ქართველი არ არის გარეული ბინძურ საქმეში და ბევრია დაფასებული, პატიოსანი, შრომისმოყვარე და გამოჩენილი, მაგრამ უცხოეთში ძალიან ბევრი სამარცხვინო ამბავი ხდება ქართველთა მხრიდან.

ევროპის ერთ-ერთ ქალაქში ყოფნისას, ერთმა ჩემმა ახლობელმა მიამბო, როგორ ეკითხებოდნენ ერთმანეთს სუფრაზე შეკრებილი ქართველები, თუ რომელ ქვეყანაში სჯობდა ქურდობა და რომელ ქვეყანაში უფრო ადვილი იყო მოპარვა.

საფრანგეთში კი ერთი უვიცი ქართველი მთელი სერიოზულობით ეკითხებოდა მეორე ქართველს, თუ როგორ შეიძლებოდა, საზღვრებისა და საბუთების გვერდის ავლით, ჩუმად, მალულად, ტყე-ტყე და მთებზე გადავლით, საფრანგეთიდან ამერიკაში გადასვლა.

ხანდახან სირცხვილის გრძნობა გულის ტკივილთან ერთად შემიპყრობს ხოლმე, თუ რამდენად გადაგვარდა ქართველური ხასიათი და მენტალიტეტი და როგორ გაჯდა ქართველის ძვალ-რბილში სკვითურ-მონღოლურ-ბარბაროსული სენი და დაავადება.

მრავალი წლების განმავლობაში დაგროვილმა გულისტკივილმა ხელახლა გადამაშლევინა ლევან სანიკიძის წიგნი „უქარქაშო ხმლები“. რამდენჯერმე გადავიკითხე წიგნის საწყისი თავები, რათა გამეხსენებინა, თუ ვინა ვართ და საიდან მოვდივართ ქართველები.

ჩემში მრავლად დაგროვილმა ემოციებმა გადამაწყვეტინეს, დამეწერა ეს წიგნი და უფლება მიმეცა ჩემი

,თავისთვის, რომ ამემეტყველებინა უხსოვარი დროის ისტორიული პიროვნებები და გმირები.

***

საქართველო – გარდმოვლილი და ზღვიდან ამოცურებული, წითელი ბაჯაღლო ოქროსფერში გარდამავალი მზე შუადღის ცაზე შემდგარიყო. მზეს თვალს ველარ გაუსწორებდი. მისი სიწითლე გადასულიყო დამწველ და დამთრგუნველ თეთრ სიკაშკაშეში.

I

მოულოდნელად მოვარდნილი ჭექა-ქუხილი, ელვა და მეხი დასტყდომოდა მცხეთის მწუხრის ზეცას. აღვარცოფებულ თქეშსა და წვიმას აეყეფინება და აეხმაურებინა გრგვინვამოძალებული მტკვრისა და არაგვის ხეობები.

ქართლის მმართველი, მამასახლისი სამარა, სამეფო სასახლის მცირე დარბაზის ფანჯრიდან გაჰყურებდა მცხეთის თავზე შემომდგარ შავ ღრუბელს და დროდადრო ელვისაგან თვალისმომჭრელად თეთრმოცისფროდ გაიელვებდა ხოლმე მისი ჭაღარაშერეული თმა და მოკლეწვერიანი სახე. ვერცხლ-ძაფით შემკული გრძელ სამოს ასხმული მისი ახოვანი ტანი კი ქვათლილი ქანდაკებასავით გამოიყურებოდა ელვის ციალზე.

დარბაზის სიღრმეში რბილ საბრძანებლებზე განთავსებულიყვნენ ქართლის მმართველის ოჯახობა, აგრეთვე, სტუმრად წვეული სამარას უმცროსი ძმა, ადარნასე მეუღლის თანხლებით და კარის სწავლულთ უფროსი კვირიკე.

სამარამ კვირიკეს გახედა და მიმართა მას: „სწავ-ლულთ უფროსო, წარღვნა გამახსენა მოულოდნელად მოვარდნილმა წყალშლეგმა. ვახშმობამდე დრო გვაქვს და გვიამბე თქმულება წარღვნისეულისა, ვიდრე მცხე-თის აღმოცენებამდე“.

კვირიკემ გადახედა დარბაზში შეკრებილთ, თეთრ წვერზე ხელი რბილად დაისვა და დაბალი ტკბილხმო-ვანებით დაიწყო თხრობა:

– ოდესღაც ეგვიპტელთაგან შევიწროვებულმა ებრაელთა მცირედმა ნაწილმა გაქცევით გადაირჩინა თავი და ისინი ქართლის მიწას შეეფარნენ.

მათთა შთამომავალთა მონაყოლის თანახმად, რომელიც ემთხვევა ჩვენი ქვეყნის სამეფო შტოს მიერ თქმულ-გადმონაცემს, უხსოვარ დროს ურჩხულ-ცხოველთა გადაგვარების შემდგომ, მიწის ზედაპირს დიდი ყინულოვანი მთები ჰფარავდნენ. კარგა ხნის შემ-დეგ კი ადამიანთა მოდგმამ დიდი ზღვის (ხმელთაშუა ზღვა) მახლობელ მიდამოებში გაიდგა ფესვები და გამ-რავლდა, სადაც მყინვარი არ არსებობდა.

გაიარა დიდმა დრომ და ჟამმა. მიწა-წყალზე ხანგრ-ძლივი დროის განმავლობაში ძლიერი სიცხეები ჩამოწვა.

ჩრდილოეთით მდებარე ყინულის მთებმა გალღო-ბა-დნობა იწყეს და წყალი და ყინული სამხრეთისაკენ დიაძრა. წყლით გაივსო მდინარეები და ზღვები. ყინუ-ლის მთები ჩაწვა ზღვათა შემაერთებელ სრუტეებში, პონტოს ზღვასა (შავი ზღვა) და დიდ ზღვას (ხმელთაშუა ზღვა) შუა. დიდი ზღვიდან უსაზღვრო წყლის (ატლან-ტიის ოკეანე) გასავალი ჩრდილოეთიდან დაძრულმა ყი-ნულის მთებმა გადაკეტეს. გურგენის მტკნარი ზღვაც (კასპიის ზღვა) მოდიდდა.

მოზღვავდა და მოადგა წყალი ყოველსა ხმელეთსა. მოდიდებულმა წყალმა ხანგრძლივი, გადაუღებელი წვიმები გამოიწვია. წყლით გაივსო ყოველივე და კაცთა მოდგმის გადაშენება დაიწყო.

დიდი წყალმოძალება ხალხმა ღვთის რისხვად მიიღო ადამიანთა, მიერ ჩადენილი მრავალი ცოდვის საზღაურად და მას წარღვნა უწოდა.

დიდ წარღვნას გადაურჩა მხოლოდ ნოე, თავისი სამი შვილითა და ოჯახის წევრებით.

მის შვილთა და შვილიშვილთა გამრავლების შედეგად, კვლავ იწყო ზრდა და მრავლება კაცთა მოდგმამ. მომავალი მზარდი თაობები სულ ახალ და ახალ მიწებს ითვისებდნენ და ამდაგვარად მრავლდებოდნენ ახალი სამეფონი და ქვეყნები.

მდინარე მტკვრის სათავის მახლობლად დაფუძნებულმა ქვეყნის მთავარმა, ნოეს შვილის, იაფეტის მოდგმის ჩამომავალმა თარგამოსმა ერთ დღეს თავისი რვა შვილი შეჰყარა. გადმოიღო გზირ-მონადირეთა დახმარებით შედგენილი ტყავის რუკა და შვილებს ამცნო, რომ დადგა დრო, როდესაც მათ ახალი მიწები უნდა აეთვისებინათ, განესახლებინათ და შეექმნათ ახალი ქვეყნები, ისევე როგორც ოდესღაც მას მოუწია დატოვება ბაბილონისა და ჩრდილოეთით წამოსვლა.

შვილებს მან მიწები და ადგილსამყოფელი გაუნაწილა.

თარგამოსის მეორე ვაჟს, ქართლოსს, მფლობელობაში გადაეცა მდინარე მტკვრის სათავიდან და არაგვის შესართავთან მიმდებარე მიწები და მახლობელი ტერიტორიები.

ქონებითა და დიდძალი ხალხით წავიდა ქართლოსი

მისთვის კუთვნილ მიწა-წყალზე და მდინარეების — მტკვრისა და არაგვის შესართავთან ციხესიმაგრე ჩადგა.

ქართლოსის ქვეყანას ეწოდა ქართლი და მის ხალხს კი – ქართველნი.

ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ მისი ნეშტი ციხე-სასახლის მთის თავზე დაკრძალეს და მისი სახელის უკვდავსაყოფად, მთას ქართის მთა ეწოდა.

ქართლოსის ხუთ ვაჟთაგან ქართლის მმართველობა უფროსმა შვილმა, მცხეთოსმა ჩაიბარა, რომელმაც თავისი მონდომებითა და გამჭრიახობით აღაშენა, გაამდიდრა და გააპატივა თავისი ქვეყანა.

მდინარის მეორე საპირისპირო მხარეს კი აღაშენა ქალაქი, ჩაიდგა მრავლად ციხეები და ახლადაღშენებულ ქალაქს სახელად მცხეთა უწოდა.

სამარა ცალი ყურით უსმენდა სწავლულთ-უფროსის ნაამბობს, რადგანაც მისი აზრი და გონება სხვაგან იყო.

მის გულში შეშფოთება სუფევდა უბედურების წინათგრძნობისა.

წარღვნასავით დამანგრეველი ძალით მოდიოდა დასავლეთიდან ახალი ძლიერი ძალა, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგებოდა და სამარას საფიქრალიც და სატკივარიც ეს ახალი და უცნობი ძალა იყო.

სამარას თავისი ქვეყნისა და მისი ხალხის მომავლის ბედი აწუხებდა.

***

საბრძოლო ცხენზე ამხედრებული და მოოქროვილი ბერძნული საომარი აბჯარ-მუზარადით შემოსილი ალექსანდრე ფიქრს მისცემოდა.

მაკედონელის მრავალი წლების განმავლობაში განუყრელი მეგობარი, დაუშრეტელი ენერგიის მქონე და მრავალ ხელჩართულ ბრძოლაში გამოვლილი ერთგული ცხენი, ბუკეფალი (ბუცეფალი), გრძნობდა, რომ თავისი პატრონი ჩაფიქრებულიყო და აუჩქარებელი, დინჯი სვლით მიიწევდა წინ, რომ ამხედრებული მეფისათვის სიმშვიდე და ფიქრი არ დაერღვია.

სპარსეთის ძლევამოსილი მეფის, დარიოს III კოდომანის დამმარცხებელ ახალგაზრდა 25 წლის ჭაბუკსა და დიდ დამპყრობელს, ალექსანდრე მაკედონელს, აქეთ-იქიდან ცხენდაცხენ, გვერდიგვერდ ამოსდგომოდნენ და უხმოდ მისდევდნენ უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლი სახელოვანი მთავარსარდლები: ჰეფესტიონი, პტოლომეო, კლიტეოსი და სალეუკო.

სამი წელიწადი მიმდინარეობდა ომი ალექსანდრესა და დარიოს შორის და მრავალი, დიდი თუ პატარა ბრძოლა, ყოველთვის მაკედონელის ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვებით სრულდებოდა.

მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლა გავგამელასთან მოხდა.

დარიოსი საბოლოოდ დამარცხდა. იდგა ძველი წელთაღრიცხვით 331 წელი.

ბუკეფალზე ამხედრებული ძლევამოსილი მეფე გაჰყურებდა ჩრდილოეთით შორეულ, ძლივს შესამჩნევ მცირე კავკასიონის მთებს, რომლის პირიქეთა მხარეს ლეგენდარული კოლხეთის სამეფოს შემდეგ, კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეოსის მუდმივი ადგილსამყოფელი, ზვიადი, დიდი კავკასიონი იდგა.

თავისდაუნებურად გაახსენდა ალექსანდრეს თვისი აღზრდა – ბავშვობის წლები და მისი აღმზრდელი

მასწავლებლები: არისტოტელე, ლეონიდე და ლანიკე, რომლებიც ბავშვობიდანვე უკითხავდნენ პატარა ალექსანდრეს სხვადასხვა საგმირო ლეგენდებს, ევრიპიდეს ნაწარმოებებსა თუ ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“.

– შენი უფროსი და, ლანიკე გამახსენდა, აღმზრდელი ჩემი, – მშვიდად წარმოსთქვა ალექსანდრემ და გადახედა მის გვერდით ცხენდაცხენ მომავალ თავის უერთგულეს მეგობარსა და თანამებრძოლს, კლიტეოსს (კლიტეოსს მტერთან ხელჩართულ სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში რამოდენიმეჯერ სიკვდილს ჰყავდა გადარჩენილი ალექსანდრე, რადგანაც მას ევალებოდა მაკედონელის სიცოცხლის დაცვა ომსა და ბრძოლაში).

– ალექსანდრე, რამ გაგახსენა და ჩემი, ლანიკე? იგი ძალიან შორს არის აქედან, მაკედონიაშია, სახლში, – მიუგო გაკვირვებულმა კლიტეოსმა.

ალექსანდრემ შორეული მთებისაკენ აღმართა ხელი და გააგრძელა საუბარი:

– იმ მთების გადაღმა კოლხეთი და კავკასიონია.

ომდაუმარცხებელი მაკედონელის ბრძოლაწაუგებელ და მუდმივ გამარჯვებებს მიჩვეულ ალექსანდრეს თანამებრძოლებს საბრძოლო გამამხნევებელი მოკლე აღტაცებული შეძახილი აღმოხდათ.

– გავილაშქრებთ კოლხეთზე? – იკითხა ხელმარჯვნივ, გვერდით მიმავალმა, საბრძოლო შავ ულაყზე ამხედრებულმა ჰეფესტიონმა.

მაკედონელი კვლავ ჩაფიქრდა და შემდეგ მშვიდად გააგრძელა საუბარი, თითქოსდა თავის თავს საკუთარ ფიქრს უზიარებდაო.

– ძველი კოლხეთის სიდიადე ის აღარ არის, რაც

ადრე იყო. პონტოს (შავი) ზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროებზე აღმოცენებულ ქალაქებში ბერძნული კულტურისა და სწავლების ცენტრებია განვითარებული. ჩვენი მთავარი მიზანიც ეგ არის, რომ ჩვენ მიერ დაპყრობილ და დამორჩილებულ ქვეყნებში ბერძნული ჰეგემონია მოვახდინოთ და ერთიანი ელინური სამყარო შევქმნათ, თორემ უბრალო ხალხთან ომსა და მათ განადგურებას არავითარი აზრი არა აქვს.

კოლხეთში არა, მაგრამ იბერიაში გალაშქრება ნამდვილად მოგვიწევს. მცხეთის აღებით კი მთელს კავკასიას დავიმორჩილებთ.

– ალექსანდრე, მე მეგონა, რომ შემდეგი გალაშქრებები ბახტრიასა და სოგდიანაში მოგვიხდებოდა, – თქვა ჰეფესტიონმა.

– არ დამვიწყებია, ჰეფესტიონ, ცოტას დავისვენებთ, ჯარს გავაძლიერებ და შემდეგ შუა აზიისაკენ ბახტრიისა და სოგდიანასკენ დავიძრებით. იბერიაში კი პონტოელთა ლაშქრის თანხლებით აზონს გავგზავნი, – ღიმილით მიუგო ალექსანდრემ თავის უახლოეს მეგობარს, მრჩეველსა და მარჯვენა ხელს, ჰეფესტიონს (ჰეფესტიონს არაერთხელ ჰყავდა გადარჩენილი ალექსანდრე მოწამვლისაგან სიკვდილს და მის წინააღმდეგ მიმართული მრავალი შეთქმულება ჰქონდა გახსნილი).

***

ორი დიდი ძლიერი სატრაპიების (გუბერნიების) ბახტრიისა და სოგდიანას აღების შედეგად, მაკედონელი დაასრულებდა სპარსეთის იმპერიის დაპყრობას.

ძველი წელთაღრიცხვით 330 წელს მაკედონელმა მთელი სპარსეთის დაპყრობა დაასრულა.

ალექსანდრე მაკედონელი

ბახტრიისა და სოგდიანას მმართველი სატრაპების (გუბერნატორების) დამარცხების შედეგად, მაკედონელი ინდოეთის საზღვრებს მიუახლოვდა.

ერთ დროს უძლიერესი და მძვინვარე სპარსეთი, რომლის ტერიტორიები გადაჭიმული იყო ინდოეთის საზღვრებიდან საბერძნეთის საზღვრებამდე და მოიცავდა შუა აზიასა და ეგვიპტის ტერიტორიებსაც, აღარ არსებობდა.

სპარსეთის სამეფო გაქრა. მაკედონელმა შექმნა ახალი ელინისტური სამყარო, რომელიც მოიცავდა ინდოეთის ზღვიდან საბერძნეთამდე და ბალკანეთამდე არსებულ მთელს ტერიტორიულ სივრცეს. მხოლოდ იბერია და კავკასია დარჩა დაუპყრობელი დიდ დამპყრობელს.

მაკედონელმა იხმო თავისი ერთ-ერთი მხედართმთავარი, დიდგვაროვანი წარმომავლობის მქონე აზონი, რომელიც მაკედონელის მრავალეროვან ლაშქარში, ეგრეთწოდებული, ბერძენი პონტოელებისაგან შემდგარი ჯარის შენაერთს ხელმძღვანელობდა (ბერძენი პონტოელნი ეწოდებოდათ შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ ოდესღაც ქართველური წარმომავლობის ხალხებს, მოსინიკებს, ხალიბებს და მაკრონებს).

მას შემდეგ, რაც მაკედონელი სპარსეთში შეიჭრა, პონტოელებს ტაოელნიც მიემხრნენ. პონტოს ზღვისპირეთის სამხრეთით ბერძნული ენა, კანონები, სახელმწიფოებრივი წეს-წყობა და კულტურა დამკვიდრდა.

ქართველური ტომებისაგან შემდგარი ბერძნულენოვანი პონტოელთა ჯარი აზონის სარდლობით მაკედონელის მხარდამხარ იბრძოდნენ და ბევრ ბრძოლებში

მებრძოლთა სიმამაცითა და გულადობით გამოირჩეოდ-ნენ.

ალექსანდრემ აზონს იბერიის პატრიკობა და მმართველობა ჩააბარა, ბერძნული სახელმწიფოებრივი მმართველობის კანონ-წესებისა და წეს-წყობის დაცვა დაავალა, ბერძენ პონტოელთა ჯარი მისცა და პატრი-კად წოდებული აზონი იბერიაში გაგზავნა.

(იბერიას ძველი ბერძნები „ხალხით დასახლებულ“ უცნობ ტერიტორიას უწოდებდნენ. ქართველებში იბე-რიას ქართლი ერქვა).

ქართლის გულში, ქალაქ მცხეთაში ხმა გავარდა — „დიდმა დამპყრობელმა ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის დასაპყრობად დიდძალი ლაშქარი დაძრა, რომელსაც წინ მოუძღვის სარდლად პონტოელი ბერ-ძენი მხედართმთავარი აზოი“ (აზონს ქართველნი მოიხ-სენიებდნენ სახელად აზონი და აზო).

იდგა ძველი წელთაღრიცხვით 329 წელი ქრისტეს დაბადებამდე.

II

ქართლის ერისთავი და მმართველი — მამასახლისი სამარა, საგონებელში ჩავარდნილი და დამწუხრებული მცხეთაში ქართლის მთაზე მდებარე ციხე-სასახლის სამეფო დარბაზში საიდუმლო სერობა-დარბაზობას მართავდა. დარბაზში დიდ მაგიდაზე ირმის ტყავისაგან დამზადებული ქართლისა და მცხეთის მიწებისა და ციხეთა რუკა გაშლილიყო.

მაგიდის გარშემო შემოკრებილიყვნენ ტახტზე მჯდომი სამარა, ძმა სამარასი, სპასპეტი-სარდალი ქართლისა, ადარნასე და ჩინებულნი ქართლისა.

უჩვეულო იყო სამარასათვის ქართლში და ქვეყანაში შექმნილი ახალი ვითარება და გარემოება. წინა საღამოს მას შეატყობინეს, რომ მაკედონელს ქართლის დასაპყრობად დიდძალი ჯარი გამოეგზავნა. მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა და ღრმა ფიქრსა და საგონებელს მიეცა.

ოდითგანვე აღმოსავლეთ საქართველოში არსებულმა ქართველთა ძლიერმა სამეფომ შეაჩერა ურარტუელ მეფეთა შემოსევები (ძვ. წ. VIII საუკუნე), რის შედეგადაც ურარტუმ ქართლის დაპყრობა ვერ შესძლო.

გაძლიერებულ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ძველი ბერძნები სპერის სამეფოს ან იბერიას უწოდებდნენ (ძვ. წ. VII საუკუნე).

დიდი კიროსის შემოსევამ მთელს საქართველოში დასცა და დაასუსტა ქართლის სამეფოს ძლიერება (ძვ. წ. VII საუკუნე).

უდიდესი ახალი ირანული მიდიური იმპერია, რომელსაც ბერძნები სპარსეთს უწოდებდნენ, ინდოეთის

საზღვრებიდან დაწყებული საბერძნეთსა და ბალკანეთამდე აღწევდა ეგვიპტისა და კავკასიის ჩათვლით და მრავალ სატრაპიებად იყო დაყოფილი, რომლებსაც სატრაპები მართავდნენ.

დიდი კიროსის შემდეგ, აქემენიანთა დინასტიის გამგრძელებელ მემკვიდრეთა მომდევნო სპარსეთის მეფეთა – კამბისთა, ქსერქსეთა, დარიოსთა და არტაქსერქსეთა რამდენიმე თაობათა მეფობის ეპოქებში საქართველო პერიოდულად რჩებოდა ირანული გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნად და ხარკს უხდიდა სპარსეთის მეფეს.

სპარსეთის იმპერიის ორსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ირანელი მმართველი მეფეები კარგად იცნობდნენ ქართველური ეთნოსის თვითმყოფადობას, რომლის დიდი ნაწილიც მტრისაგან თავდასაცავად მთიან ადგილებში იყვნენ განსახლებულნი და კლდოვანი ოქროსწყლოვანი მდინარეების წყალობით განვითარებული ჰქონდათ ოქროს წარმოება, ვერცხლისა და მაღალი ხარისხის რკინის ჩამოსხმა, მესაქონლეობა. მდიდარი მიწა უხვმოსავლიანი იყო და იქ მაცხოვრებელი ხალხი გამორჩეულნი, ქალები იყვნენ ლამაზნი და პირმშვენიერნი, კაცები კი მამაცნი და კარგი მებრძოლნი.

საქართველოს აოხრება-განადგურებითა და მთლიანად გაქრობით სპარსეთი ვერაფერ მოგებას ვერ ნახავდა, პირიქით, ბევრს დაკარგავდა, ამიტომ სპარსეთის მეფეებს საქართველოსთან უფრო ლოიალური დამთმობი პოზიცია ეკავათ და ქვეყნის სათავეში მმართველებად ქართველთა მეფეების შთამომავლები რჩებოდნენ, რომელთაც ხშირ შემთხვევაში, ცოლად მოჰყავდათ დიდგვაროვანი სპარსული წარმომავლობის ქალი.

სპარსეთის მეფეს ქართველი მმართველები დიდ ხარკ-გადასახადს აძლევდნენ და საჭიროების შემთხვევაში, ქართველთა მმართველს უნდა უზრუნველეყო სპარსეთის ჯარის სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

აგერ, უკვე მეორე საუკუნე მიდიოდა, რაც სამარას წინამორბედი ქვეყნის მოთავეებს ასეთი სახით ურთიერთობა ჰქონდათ სპარსეთის მეფეებთან და სამარაც იმავე გზას აგრძელებდა.

მას, ისევე, როგორც მის ძმას, სპასპეტ-სარდალ ადარნასეს, ცოლად დიდგვაროვანი მიდიელი ქალი ჰყავდა. ემორჩილებოდა და კარგად იცნობდა სპარსეთის მეფე არტაქსერქსე IV-ს და სპარსეთის ახალ მმართველს, დარიოს III-კოდომანს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც დარიოსი სასომხეთის სატრაპიის სატრაპად იყო სპარსეთიდან გამოგზავნილი.

გავგამელასთან მაკედონელისა და დარიოსის საბოლოო საბრძოლო დაპირისპირებისას (ძვ. წ. 331 წლის 1 ოქტომბერს) დარიოს III-ის მრავალეროვან ჯარში, რომელიც რიცხობრივად თითქმის სამჯერ აღემატებოდა მაკედონელის ჯარს, სპარსელთა გვერდით იდგნენ და იბრძოდნენ 2000 მხედარი სასომხეთიდან, 1000 მხედარი ალბანეთიდან (აზერბაიჯანი), 1000 მხედარი კაპადოკიიდან, დიდი ძალები ბახტრიიდან და სოგდიანადან და კიდევ სხვა მრავალი.

დარიოს III-ს სამარამ ჯარისათვის სურსათ-სანოვაგე-ხარჯი და იარაღ-აღჭურვილობა გაუგზავნა. ჯარის გაგზავნა სამარას დარიოსისათვის არ შეეძლო, რადგანაც ქართველთა მეფე-მმართველებს აკრძალული ჰქონდათ სპარსეთიდან რეგულარული ლაშქრის

ყოლა და მხოლოდ ოფიციალურად სამეფო დაცვის ამალა და წესრიგის დამცველი მცირე ჯარი იდგა ქართლში.

ისევე, როგორც მისი წინამორბედი ქართლის სხვა მმართველები, სამარაც ასე იყო მრავალი წლების განმავლობაში მიჩვეულ-დავალებული სამსახურს, სპარსეთის მეფის წინაშე, რადგანაც მათ სხვა გზა არ იცოდნენ და იმ ეპოქაში სხვა გზა არც არსებობდა.

სამარასათვის უცებ ყველაფერი შეიცვალა, ჩვეული არსებული სამყარო დაინგრა. სპარსეთის სამეფო აღარ არსებობდა. დარიოს III კოდომანი მოკლულ იქნა.

ქართლის გარშემო ახალი, ენერგიული და განსხვავებული სამყარო ბობოქრობდა.

ალექსანდრე მაკედონელმა იმდროინდელ მსოფლიო მცნებაში ჯერ არნახული და უდიდესი, ახალი ელინისტური სამყაროს იმპერია შექმნა, რომელიც ბალკანეთიდან და ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე არსებულ მთელს ტერიტორიულ სივრცეს მოიცავდა.

დარიოსის სიკვდილის შემდეგ საქართველო თავისუფალი იყო. სამარამ იცოდა, რომ ნაჩუქარი თავისუფლება ადვილი დასაკარგი შეიძლებოდა გამხდარიყო. მან თავის ძმას, ადარნასეს, რომელიც სამეფო დაცვის ჯარის უფროსი იყო, სპასპეტ-სარდლის თანამდებობა უბოძა და ქართლში ლაშქრის შექმნა დაავალა.

სამეფო ტახტზე დაბრძანებული სამარა მოღუშული და წარბშეკრული ფიქრს განაგრძობდა. ხანგრძლივი დაძაბული დუმილის შემდეგ გადახედა ჩინებულთ, მრჩეველთ და მიმართა:

– პონტოელნი ბერძენნი დიდძალი სპა-ჯარით ქართლის დასაპყრობად დაიძრნენ. მტერი ამჟამად კლარჯეთს იმყოფება და მალე ქართლის საზღვრებს მოად-

გება... რას იტყვით წარჩინებულნო და მრჩეველნო, რა ვქმნათ? რა ვიღონოთ?

სამეფო დარბაზში ჩამოვარდნილი ხანმოკლე დუმილის შემდეგ სიტყვა ციხე-ქალაქთა თავმა აიღო:

— ჩვენს წინაპრებს, ოდითგანვე, ჩვენი ერის განადგურებისაგან გადასარჩენად, ციხე-ქალაქების დანგრევა-გადაწვისა, ოჯახთა, დედათა და შვილთა ჩვენთა წარსხმას და მონათა მათთა გასყიდვისა, ყოველთა უკულმართისა და ბოროტისა თავიდან ასაცილებლად ჰქონდათ ხმარებაში და იყენებდნენ ზავის კანონსა და წესს. გავგზავნოთ ჩვენც მაკედონელთან და აზონთან მოციქულნი და ერისკაცნი დასაზავებლად.

სამარამ გადახედა დადუმებულ დარბაზობის დანარჩენ მონაწილეებს და წარმოთქვა:

– რას ფიქრობენ ჩინებულთ და მრჩევალთ უხუცესნი?

– ზავის დადება, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნებოდა, რადგან ჩვენთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ხარკს სპარსეთს გადავუხდით თუ ბერძენთ, — წარმოსთქვა ჩინებულთუხუცესმა.

– ზავის დაადება რომ სდომებოდა მაკედონელს, ელჩობას და მოციქულთ გამოაგზავნიდა ქართლში და არა დიდ ლაშქარს — ჩაერთო საუბარში მრჩეველთუხუცესი.

– სპასპეტი ქართლისა რას გვეტყვის? — იკითხა სამარამ და თავის ძმას, ადარნასეს გადახედა.

ადარნასე ფეხზე წამოდგა, ღრმად ამოისუნთქა და მცირე დუმილის შემდეგ წარმოსთქვა:

– დავაგვიანეთ ფიქრნი და საქმენი ზავის დასადებად. როდესაც მაკედონელმა პირველ ბრძოლაში გრა-

ნიკუსთან (ძვ. წ. 334 წელს) დაამარცხა დარიოსის ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი, ჩვენ მაშინ უნდა დავფიქრებულიყავით, მაგრამ შემთხვევითობას მივაწერეთ ყმაწვილი მეფის გამარჯვება დარიოსზე.

მაკედონელის პირველ გამარჯვებას მოჰყვა პონტოს ზღვისპირეთის სამხრეთი ხალხების გათავისუფლება სპარსეთისაგან.

შემდეგი დიდი ბრძოლა მაკედონელსა და დარიოსს შორის ისოსთან (ძვ. წ. 333 წელს) ისევ მაკედონელის გამარჯვებით დასრულდა, სპარსთა რაოდენობრივად ბევრად უფრო მეტი ჯარის განადგურებით, რასაც მოჰყვა ეგვიპტის გათავისუფლება სპარსთაგან და მაკედონელის ეგვიპტის ფარაონად შერაცხვა.

ჩვენ აქაც დავაყოვნეთ, რომ დარიოსს განვდგომოდით.

შემდგომშიც სხვადასხვა მრავალი სატრაპიებისა და ციხე-ქალაქების ბრძოლებით აღებისას, არ მივაქციეთ მაკედონელს ყურადღება. მის მიერ ბაბილონისა და პერსეპოლისის აღებამ დარიოსი წელში გასტეხა (ძვ. წ. 332 წელს). ჩვენ მაშინაც უმოქმედოდ დავრჩით. საბოლოო ბრძოლაში გავგამელასთან (ძვ. წ. 331 წელს) დარიოსს რომ განვსდგომოდით და მაკედონელის მხარე დაგვეჭირა, კიდევ გადავრჩებოდით, ამჟამად კი ზავზე და მოლაპარაკებაზე ფიქრი ძალიან დაგვიანებულია, რადგანაც მაკედონელმა ჩვენს დასასჯელად ჯარი გამოაგზავნა და ქართლის საზღვრებს მომდგარი აზონი უკან აღარ გაბრუნდება, სანამ მაკედონელის ბრძნაებას არ შეასრულებს – რომ დაიპყროს და დაიმორჩილოს მცხეთა და ქართლი.

ციხე-დარბაზში ჩამოვარდნილი სამარისებური სიჩუმე სამარას სიტყვამ დაარღვია:

– სპასპეტი სრულ ჭეშმარიტებას გვამცნობს. ზავი და მოლაპარაკება ძალიან დაგვიანებულია. ადრე უნდა გვეფიქრა და ბრძნულად განგვეჭვრიტა შედეგნი, რამდენიმეწლოვანი ომისა მაკედონელსა და დარიოსს შორის, მაგრამ რას მოვისაზრებდით ან ვინ მოელოდა, რომ დარიოსი, რომელსაც ულევი, ურიცხვი, განუსაზღვრელი რაოდენობრივი შესაძლებლობები გააჩნდა ჯარითა და ცოცხალი ძალით, სამარცხვინოდ დამარცხდებოდა ყველა ბრძოლაში ყმაწვილი მაკედონელის წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ 45 000-იანი შემადგენლობის ჯარი ჰყავს.

დარიოსის სიბეცემ სამხედრო-საომარ საქმეში გამოიწვია ის, რომ მაკედონელის რისხვა ამჟამად ჩვენ დაგვატყდა თავს. აზონი ჩვენს დასაპყრობად მოდის და ბრძოლით წინ უნდა აღვუდგეთ მას.

სხვა გამოსავალი ქართლის გადასარჩენად აღარ არსებობს და სასწრაფოდ საომრად უნდა მოვემზადოთ ბერძნების წინააღმდეგ (ქართლში პონტოელებს ბერძნებს ეძახდნენ).

მთელს ქართლში მოსახლეობა რიცხობრივად მცირეა ლაშქრის შესაკრებად, ამიტომ ყველას, ვისაც კი ხმლის ხმარება შეუძლია, ჯარში უხმეთ.

ციხე-გალავნები გაამაგრეთ და გააძლიერეთ, რომ მტკიცედ ჩავკეტოთ მცხეთა. მთავარ ციხე-ბურჯად ციხე სარკინე იქნება, რათა აზონს მცხეთაში შემოსასვლელი გზა გადავუკეტოთ. მათში სასწრაფოდ მაშვერნი გაგზავნეთ მთიელ მებრძოლთა ჩამოსაყვანად. ყრმა-ბავშვნი გახიზნეთ.დაგვიდგა დრო და ჟამი, როდესაც მხოლოდ ორი გზაღა გვაქვს დარჩენილი, სიკვდილი და განადგურება ან გამარჯვება და გადარჩენა.

III

თეთრ საბრძოლო ბედაურზე ამხედრებული, საბრძოლო აბჯარასხმული აზონი მრისხანე გამომეტყველებით შეჰყურებდა ფართო ვაკეზე განლაგებულ-განთავსებულ ლაშქარს, რომელიც დიდმა ალექსანდრემ ქართლის დასაპყრობად მას ჩააბარა.

გრძელი გზის გავლის შემდეგ ჯარი ისვენებდა და ენერგიასა და ძალას იკრებდა ხვალინდელი ბრძოლის წინ.

აზონი მრავალ ბრძოლებში თან ახლდა მაკედონელს. როგორც წესი, ყველა ბრძოლას თვით ალექსანდრე ხელმძღვანელობდა და ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც მაკედონელმა ჯარი თავის ერთ-ერთ მხედართმთავარს ჩააბარა და გაგზავნა საომრად.

აზონისათვის ეს უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობა იყო. მან თავისი მხედართმთავრული ნიჭით, სიმამაცე-გამბედაობითა და შეუპოვრობით ბევრ ბრძოლებში დიდი ალექსანდრეს ნდობა მოიპოვა.

აზონს კარგად ახსოვდა მაკედონელის დანაბარები დავალებები და მოთხოვნები.

მას მცხეთის აღების შემდეგ, თავისი გავლენის ქვეშ უნდა მოექცია იბერიისა და კოლხეთის მთელი ტერიტორიები, დაემორჩილებინა ჩრდილოელი მეზობელი კავკასიის ხალხები, დაემყარებინა და განევრცო ბერძნული კანონ-წეს-წყობილება, ენა, წეს-ჩვეულება და კულტურა.

ათენის აკროპოლისის მსგავსად, მცხეთაში აეგოთ აკროპოლისი და ბერძნების მსგავსად პატივი ეცათ, აკროპოლისის პანთეონში დადგმული ციური ღმერთებისა და ქალღმერთებისათვის.

სისტემატიურად გაეგზავნა გადასახადი მაკედონელისათვის ფულადი სახით - ვერხლით.

აზონის ძალისხმევით, ამდაგვარად კავკასიაც გახდებოდა ახალი ელინური სამყაროს შემადგენელი ნაწილი.

მაკედონელმა მშვენივრად იცოდა, რომ ბერძნულად აღზრდილ და მოლაპარაკე აზონის ძარღვებში ქართველური სამეფო წარმომავლობის სისხლი სჩქეფდა, სწორედ ამიტომაც გამოგზავნა მაკედონელმა აზონი იბერიაში პატრიკ-მმართველად.

მეფე იარედოსის ვაჟი, აზონ არიან ქართლში იყო დაბადებული და გაზრდილი.

მამამისი იარედოს არიან ქართლს განაგებდა და ემორჩილებოდა სპარსეთის მეფეს (არიან ქართლი, იგივე არიული ქართლი, იგივე ირანის ქართლი, უძველესი ძირძველი ქართველური წარმომავლობის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიებზე. დიდი კიროსის შემოსევის შემდეგ ეს ძირძველი ქართული მიწა ირანის სამეფოს საზღვრებში მოექცა.

ირანს ბერძნები და ქართევლები სპარსეთს უწოდებდნენ, ისინი კი თავიანთ ქვეყანას უწოდებდნენ ერანს, აირანს, არიანს, არიულ რასას, რაც სანსკრიტზე კეთილშობილს ნიშნავს.

არიან ქართლი, ანუ არიელ ქართველთა მიწა, იმჟამად ირანს ჰქონდა დაპყრობილი და ირანის ქართლად მოიხსენიებოდა).

იარედოსის მმართველობის პერიოდში არიან ქართლში ბერძნულ-ქართულ-სპარსულ კულტურათა ურთიერთშერწყმის გზაჯვარედინი არსებობდა და პონტოელთა დიდძალი მოწოლისა და ზეგავლენის შედე-

გად, არიან ქართლში ყოველივე ბერძნული მომძლავრებულიყო და საგრძნობი გამხდარიყო.

როდესაც მაკედონელმა პირველ ბრძოლაში დაამარცხა დარიოსი, არიან ქართლის მმართველი იარედოსი მაშინვე განუდგა დარიოსს და მაკედონელის მხარე დაიჭირა. მან ალექსანდრესთან გაგზავნა თავისი მემვკდირე შვილი, აზონი მხედრობით.

მაკედონელმა აზონს პონტოელთა ჯარი ჩააბარა და მრავალ ომებში, რამდენიმე წლის განმავლობაში აზონი მაკედონელის მრავალეროვან ლაშქართან ერთად იბრძოდა.

ერთგულება, თავდადება, სიმამაცე და საბრძოლო საქმის კარგი ცოდნა მაკედონელმა დაუფასა აზონს და აი, ახლა, მცხეთის წინ დგას აზონი თავისი ლაშქრით.

აზონი თუ მცხეთას აიღებდა და ქართლს დაიმორჩილებდა, იგი თავისი წინაპრების დიდ ოცნებას აღასრულებდა. 200 წლის წინანდელ დიდი კიროსის მიერ გაჩეხილ იბერიის სამეფოს აღადგენდა. ქართლს, კლარჯეთს და ტაოს ისევ გაამთლიანებდა და თვითონ გაერთიანებული იბერიის ახალი მეფე გახდებოდა, მით უმეტეს, სწორედ მის სამშობლოში, არიულ ქართლში, ტაო-კლარჯეთში დაირწა ქართველური ეთნოსის შექმნისა და ჩამოყალიბების პირველი აკვანი.

აზონი, მართალია, გაბერძნებული იყო და არც მცხეთის სამეფო ტახტი ეკუთვნოდა კანონიერად, მაგრამ ვითარება შეიცვალა, ახალი ეპოქა დადგა, სადაც რომ ხერხი არა სჭრიდა, იქ ძალა გასჭრის.

ძვ წ. 329 წლის შუა ზაფხულის დილა თენდებოდა. აზონმა თავის სეფე-კარავში მოკლე თათბირი დაამთავრა, ჯარის მეთაურებს ბრძანება მისცა,

ლაშქარი საბრძოლველად მოემზადებინათ და თვითონ საომარი აბჯარ-მუზარადის შემოსვას შეუდგა.

მაკედონელმა აზონის გაგზავნა იბერიის დასაპყრობად ზაფხულისათვის დაგეგმა, რადგანაც ომის წარმოება ჯარისათვის ზაფხულში ბევრად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სიცივეში, წვიმასა და თოვლში.

საბრძოლო აბჯარასხმული აზონი კარავიდან გამოვიდა, რკინის მძიმე ჯავშანასხმულ თორიან საომარ ცხენზე ამხედრდა და მის წინ მოშორებით მდებარე, ამაყად ზეაღმართულ სარკინეს ციხესიმაგრეს გახედა.

სარკინეს ციხე მცხეთის გალავნის დასავლეთის მხარის ჩამკეტი კარიბჭე იყო.

საკმაოდ შთამბეჭდავი იყო რვა მეტრამდე სიმაღლისა და სამ მეტრამდე სისქის სარკინეს ციხე-გალავნის გრძელი კედელი, შიგადაშიგ ჩაყოლებული ფართო, ოთხკუთხა მძლავრი გამაგრებული გოდოლებითა და კოშკებით.

სარკინეს ციხის გრძელი გალავანი კლდიდან კლდემდე, მთელს სიგრძეზე იყო გადაჭიმული და მცხეთის დასაცავად საიმედო ჩამკეტ ზღუდეს წარმოადგენდა.

***

ძვ. წ. VIII საუკუნეში მცხეთოსის მიერ დაარსებული ქალაქი, მცხეთა მდებარეობდა მდინარეების არაგვისა და მტკვრის შესაყართან და წარმოადგენდა ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ ცენტრსა და დედაქალაქს.

ქალაქის დაწინაურებასა და განვითარებას ხელს უწყობდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა,

რადგანაც მცხეთაზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები, რომლებიც მდინარეების არაგვისა და მტკვრის გაყოლებით მიემართებოდა.

მცხეთაზე გადიოდა ინდოეთიდან პონტოს (შავ) ზღვამდე სავაჭრო საქარავნო გზა და ჩრდილო კავკასიიდან წინა აზიისაკენ მიმავალი გზაც. სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობამ ხელი შეუწყო მცხეთის კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას. დროთა განმავლობაში გაჩნდა მჭიდროდ დასახლებული უბნები: სამთავრო, ზემო ავჭალა, წიწამური, ნარეკვავი, წეროვანი, ნაბაღრევი, მოგვთაკარი და სარკინე. ყველა უბანს თავისი გალავან-ციხესიმაგრე კარიბჭე ჰქონდა შემოვლებული, რომლებიც ერთმანეთთან ხიდებით იყო დაკავშირებული.

მთავარი მცხეთის გარშემო დიდი მცხეთა იყო განთავსებული, მთის კალთებზე საცხოვრებელი უბნებითა და სახლებით შეფენილი.

ჩრდილოეთიდან მცხეთას იცავდა ღართისკარის, ბებრისა (ბელტის) და წიწამურის ციხეები. დასავლეთიდან სარკინე-სავანეს ციხეები. აღმოსავლეთიდან — ნაქულბაქევ-ზემო ავჭალის თავდაცვითი ნაგებობანი.

სხვადასხვა უბნების ციხესიმაგრეები ქმნიდნენ დიდი მცხეთის ერთიან თავდაცვით სისტემას, რომლის ცენტრი იყო არაგვისა და მტკვრის შესართავთან ქართის მაღალ მთაზე აღმართული და დიდად გამაგრებული ციტადელი, შიდა ციხე, რომელსაც გაბატონებული მდებარეობა ეკავა მთელს მცხეთაში. შიდა-ციხეში განთავსებული იყო ქართლის სამეფო-სასახლე-რეზიდენცია, რომელსაც ზურგის მხრიდან მაღალი მთები იცავდნენ, ხოლო ციხის მაღალი კედლების საძირკველის ძირს

კი მდინარეების არაგვი და მტკვარი სარტყელივით შემორტყმულიყვნენ.

ციხენი აგებული იყო მშრალი წყობით, დიდი ქვათლილების საფუძველზე ალიზით ამოყვანილი გალავნითა და გალავანს შიგადაშიგ ჩატანებული, ძლიერად გამაგრებული ოთხკუთხა კოშკებით.

ციხეთა გალავნების კედლების სისქე სამ მეტრამდე აღწევდა, სიმაღლე კი ექვსიდან რვამდე.

IV

სამარამ და მისმა ძმამ, ქართლის მთავარსარდალ-სპასპეტმა ადარნასემ, გადაწყვიტეს, აზონის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გეგმა განეხორციელებინათ თავდაცვითი საბრძოლო სისტემით, რადგანაც ციხესიმაგრეებში გამაგრებული თავდაცვითი ბრძოლით აზონის ჯარს უფრო დიდ ზიანს მიაყენებდნენ, ვიდრე გაშლილ ველზე დიდი ბრძოლით, რამეთუ აზონის ჯარს დიდი საბრძოლო გამოცდილებები ჰქონდათ მიღებული გაშლილ ველზე წარმოებულ ომებში და მრავალგზის მონაწილენი იყვნენ მაკედონელის ბრწყინვალე და ტრიუმფალური გამარჯვებებისა, მით უმეტეს, აზონის ლაშქარი რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა ქართლის მმართველის, სამარას ლაშქარს.

სამარა ადარნასესთან ერთად სამეფო სასახლის მაღალ კედელზე გადმომდგარიყო და ზევიდან ადევნებდა თვალს ქართველთა ჯარის საომარ მზადყოფნას.

მტერი მხოლოდ დასავლეთის კარიბჭის ციხე სარკინეს მოპირდაპირედ იდგა, სხვა ციხესიმაგრეებს საფრთხე ჯერჯერობით არ ემუქრებოდა, ამიტომ მთე-

ლი საბრძოლო ძალები სამარამ ციხე სარკინეს დასაცავად განალაგა.

რამდენიმე ათასობით მეციხოვნენი, მშვილდოსნები და მეომრები განთავსებულიყვნენ სარკინის ციხის გალავნის კედლების თავზე, კოშკებზე, კედელ-გალავნის შიდა ეზოში და მუდმივ საომარ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ.

სამარას გვერდით მდგომი ქართლის სპასპეტი ბოლო რჩევა-მითითებებს აძლევდა ქართველთა სპაჯარის ათასისთავებს, რომლებიც მცხეთის დასაცავად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ და აზონის ჯარის ქმედებას ელოდნენ.

მსტოვრებისაგან შეტყობინებული ჰქონდა აზონს, რომ სარკინეს ციხის გალავანი და კოშკები ძლიერად იყო გამაგრებული და მათ უამრავი მეციხოვნენი იცავდა.

ქართველთა ჯარი ციხიდან გარეთ გამოსვლასა და ბრძოლას არ აპირებდა, მათ ქალაქის დაცვა შიგნიდან განიზრახეს, ამიტომ აზონმა გადაწყვიტა, პირველი საცდელი შეტევა განეხორციელებინა მცხეთის დასავლეთ კარიბჭეზე და დაენახა, თუ რა ძალებითა და საშუალებებით აპირებდა ქართლის მმართველი, სამარა ქალაქის დაცვას. აზონმა ზეცას გახედა და მცირედი დააყოვნა.

როდესაც მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მთების თავზე მზე გასწორდა, აზონმა მთელი თავისი ჯარები სარკინეს ციხესიმაგრისკენ დასძრა.

რამდენიმე ათეულ-ათასობით ბერძენ ჯარისკაცთა კოლონები მწყობრად განლაგებულნი ერთმანეთის გვერდით, სწრაფი ნაბიჯითა და მძიმე რკინა-აბჯარ-აღჭურვილობის ჟღარუნით სარკინეს უახლოვდებოდნენ.

ციხესთან შორიახლო ჯარი შესდგა. გალავნის კედლის მოპირდაპირედ მთელს სიგრძეზე, მშვილდის სროლის მანძილზე, ბერძენთა ჯარის კოლონები შეჩერდნენ და საბრძოლო მზადყოფნაში განთავს-განლაგდნენ.

აზონმა ნიშანი მისცა და ჯარს გამოეყო 2000 მებრძოლი, რომლებიც კედლისამღები გრძელი კიბეებით აღჭურვილნი, სწრაფი სირბილით ციხის კედელ-გალავნისაკენ გაემართნენ.

ბერძენთა ძირითადი ჯარის ნაწილებმა კი იმავდროულად, რამდენიმე ათეული ნაბიჯით წინ წაიწიეს. სარკინეს გალავნის კედლებზე, რამდენიმე ათასი მშვილდოსანი გადმოდგა და კიბეებჩაბღუჯული მორბენალი ბერძენი მებრძოლებისაკენ მსუბუქი მშვილდების ქიბურჯ-ისართა წვიმა წამოვიდა.

მწკრივ რიგებად განლაგებული აზონის მთავარი ძალები გვერდი-გვერდ მჭიდროდ დადგნენ, მკლავის სიგრძე ლითონის სარკესავით მოპრიალე მრგვალი საბრძოლო ფარები მთელმა ჯარმა ერთმანეთს მჭიდროდ მიაბჯინეს, ოვალურად ოდნავ უკან გადახარეს, სარკნეს ციხის თავზე შემდგარ ზაფხულის მცხუნვარე მზეს მიუშვირეს და გალაპლაპებული ფარებიდან მზის ანარეკლი მეციხოვნეებისაკენ მიმართეს.

სარკინეს ციხის გალავნის დამცველთ და მშვილდოსნებს, უეცარი სიკაშკაშისგან ყველას ერთად თვალთ დაუბნელდათ.

აზონის მრავალათასიანი ლაშქარი გადაქცეულიყო რამდენიმე ასეული მეტროვანი სიგრძე-სიგანის უზარმაზარ თვალისმომჭრელ ლითონის სარკედ, რომლის გამოსხივებაც თვალს უბნელებდა და შეუძლებელს ხდიდა ქართველთა ჯარის მშვილდოსნებისათვის, მოესრათ მოახლოვებული მტერი.

აზონის ჯარის კიბეებმომარჯვებული მოწინავე რაზმი გალავნის კედლებს მიადგა. ბერძენმა მებრძოლებმა კედლებზე ასეულობით მაღლივი კიბეები აღმართეს და ზედ ასვლა დაიწყეს.

აზონის ჯარის ძირითადმა ნაწილმა სარკედ ქცეული ფარები ძირს დაუშვეს, კიდევ ოდნავ წინ წაიწიეს, დიდი საბრძოლო მშვილდები მოიმარჯვეს და ათეული ათასობით გრძელი ქეიბური-ისრები გაფრინდნენ ციხის დამცველებისაკენ.

მეციხოვნენი არ ეპუებოდნენ გრძელი მრისხანე ქეიბურების წვიმათა შხუილს.

გალავნის კედლის ქონგურებს ამოფარებულმა მეციხოვნეებმა გრძელი კავ-კაუჭებით კედლებზე მომდგარი კიბეები გადააქციეს და მტრის თავზე ციხის დამცველებმა უამრავი ლოდები და მსხვილი ქვა-ღორღი დაუშვეს.

აზონი დარწმუნდა სარკინის ციხის სიმაგრეში და ციხის დამცველთა შეუპოვრობაში. აზონის ჯარის დანაკარგები მინიმალური იყო, ჯარის უაზროდ გაწირვა მას არ სჩვეოდა და შეტევის შეწყვეტის ნიშანი მისცა. ჯარმა უკან დაიხია.

საბრძოლო სეფე-კარავში დაბრუნებისას აზონმა თავისი ჯარის მხედართმთავრებთან სასწრაფო თათბირი გამართა და დაავალა მათ, უახლოესი ტყიდან ხის მასალა გამოეჭრათ და გამოეტანათ. მალევე აეგოთ და გაემზადებინათ რამდენიმე ლოდსატყორცნი ციხის კედლის მნგრეველი ტარანტები, ოთხი ციხის ამღები მგორავი კოშკი და შეეკრათ სამი მეტრის სიგრძე-სიგანის ტივის მაგვარი რვა დაფა, ზევიდან ერთი მტკაველი დატკეპნილი მიწაყრილით.

სარკინეს ციხის დამცველთა დანაკარგი მცირე იყო. ბერძენთა ჯარის შეტევის მოგერიებასა და შეჩერებას, მეციხოვნეთა სიხარული გამოეწვია.

სამარამ თავის ჯარს შეუთვალა: „ნაადრევ სიხარულს ნუ მიეცემით, ერთი შეტევის მოგერიება ომის მოგებას არ ნიშნავსო“ და გალავანზე დიდი რაოდენობით ლოდების, ქვა-ღორღისა და მშვილდის ისრების ატანა-მომარაგება ბრძანა.

მცხეთაში ზაფხულის თბილი ღამე ჩამოწოლილიყო. ღამის სიჩუმეს მხოლოდ ტყეში შეფარებული ბერძენთა ლაშქრის მხედრობის ცხენთა ფრუტუნი და დამფრთხალი ჭოტ-ბუკიოტთა ჩხავილი თუ არღვევდა.

აზონის ჯარი ისვენებდა, ხვალინდელი ბრძოლისათვის ემზადებოდა და ძალას იკრებდა, მხოლოდ გუშაგნი და მეთვალყურენი ფხიზლობდნენ ცეცხლის კოცონებთან ჩამჯდარნი. მცხეთაშიც მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევდა.

ციხის დამცველნი ნახევრად დაცარიელებულ თავთავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ციხე-გალავნის კედლებზე მხოლოდ ღამის მეთვალყურეები ფხიზლობდნენ და წინ და უკან ბოლთასა სცემდნენ.

სამეფო სასახლეში სამარა თავისი ოჯახით, მისი ძმა, ადარნასე და სამეფო დაცვა იმყოფებოდა.

სამარას თვალს ძილი არ ეკარებოდა, იგი ხვალინდელ ბრძოლაზე ფიქრობდა.

არც ადარნასეს არ მოუხუჭავს თვალი. იგი ფიქრად წასულიყო და ვერ ივიწყებდა, აცრემლებული თავისი ოჯახის წევრები როგორ ემშვიდობებოდნენ მთაში გახიზვნის წინ.

თვალწინ ედგა რამდენიმე დღის წინ ბებრის ციხის

კარიბჭედან გამავლი, თავისი ოჯახის წევრებით დატვირთული მოჩარდახებული ურმები. ერთ-ერთი ურმის კოფოზე ადარნასეს სამი წლის ვაჟი, ფარნავაზი შემომდგარიყო და ხელაღმართული გამოსამშვიდობებლად მამას პატარა ნაჩუქარ ხანჯალს უქნევდა.

ადარნასემ არ იცოდა, დარჩებოდა თუ არა ცოცხალი ხვალინდელ ბრძოლაში და თუღა ეღირსებოდა კიდევ თავისი ოჯახის ნახვა.

გამთენიისას აზონმა ბრძანება გასცა, რომ ჯარი ციხის ასაღებად მომზადებულიყო.

მეციხოვნეებმა მტრის ჯარის წამოშლისთანავე განგაში ასტეხეს და ბრძოლის განახლების მაუწყებელ ბუკ-ნაღარას დაჰკრეს.

იარაღაუხსნელმა მძინარე მცხეთამ მალევე გამოიღვიძა და სარკინეს ციხე-გალავანი და შიდა ეზო სწრაფად შეივსო ციხის დამცველი აბჯარასხმული შეიარაღებული მებრძოლებით.

სანამ მზე და სიცხე დააჭერდა, აზონმა ბრძანება გასცა და ბერძენთა მწყობრად განლაგებული ჯარი სარკინეს ციხისკენ დაიძრა.

ციხის გალავანთან, სამშვილდე ისრის მანძილზე, აზონის ჯარი შეჩერდა.

ჯარს 200-ზე მეტი მებრძოლი გამოეყო, მორებისაგან შეკრული სამმეტროვანი ოთხკუთხა დაფები დამცავი ფარივით თავს ზევით აღმართეს და სწრაფი სვლით გალავნის კედლისაკენ გაემართნენ.

მათ დასაცავად აზონის ჯარის მხრიდან ათეულ ათასობით მშვილდის ქეიბურ-ისრები მიფრინავდნენ ციხის დამცველი მშვილდოსნებისაკენ, რომლებიც გალავნის ქონგურებს ამოფარებულნი ცდილობდნენ,

მოესრათ დამცავი ფარების ქვეშ მოახლოვებული ბერ-ძენი მებრძოლები.

მალევე რვა დამცავი ფარი გალავნის კედლებს მიადგა.

გალავნის კედლიდან გადმოიყარა ლოდები და მძიმე ქვა-ღორღი, დამცავი ფარების თავზე დაუშვეს ცხელი კუპრ-ზეთი და ცეცხლოვანი ისარ-ჩირაღდნები, მაგრამ ერთი მტკაველი მიწაყრილით შელესილ დამცავ დაფა-ფარებს ცეცხლი არ ეკიდებოდა.

ბერძენმა მებრძოლებმა რვა დამცველი ფარი ერთ-მანეთს მიადგეს, შეაერთეს და გალავნის კედელს მია-ბჯინეს სიგრძეზე გაერთიანებული დაფები, რის შემ-დეგაც ბერძენი მებრძოლები მუხლებზე დადგნენ და დამცველი ფარ-დაფები კედლიდან ჩამოყრილ ლოდებ-სა და საყრდენებზე დადგეს. სწრაფად მოიმარჯვეს ხელსაწყოები და მიწის სიღრმეში გათხრა დაიწყეს.

დაახლოებით სამი საათის შემდეგ 200 ბერძენმა მე-ბრძოლმა გალავნის კედელს 10 მეტრამდე სიგრძისა და 4 მეტრამდე სიგანის საძირკველი გამოუთხარეს, რის შემდეგაც დამცველ ფარებიანად უკან დაიხიეს.

აზონმა ნიშანი მისცა და ლოდსატყორცნმა ტარან-ტებმა ძირგამოთხრილ უსაძირკვლო გალავნის კედელს უზარმაზარი ლოდები დაუშინეს.

კედელმა ცოტა ხანს ლოდების რტყმევას გაუძლო, შემდეგ დაიბზარა, შეირხა და ხმაურით ძირგამოთხრილ სიღრმეში ჩაიშალა.

გალავნის კედელში აზონის ჯარის შესასვლელად გზა გაიხსნა.

ბერძენთა ჯარმა შეტევაზე გადასვლა დაიწყო.

ციხის ამღები ხის ორი კოშკი აზონის მებრძოლებმა გარღვეული გალავნის კედლის ერთ მხარეს დასძრეს, ორი დანარჩენი კოშკი კი მეორე მხარეს.

გარღვეული კედლისაკენ კი დაიძრნენ ფალანგები (ფალანგა მრისხანე ძალას წარმოადგენდა საომარ ვითარებაში, რომელიც მაკედონელის მამის, ფილიპე II-ის შექმნილი იყო. ალექსანდრემ და მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო მხედართმთავარმა პარმენიონმა, კიდე უფრო დახვეწეს და გააუმჯობესეს მაკედონიური ფალანგის ბრძოლისუნარიანობა.



მაკედონიური ფალანგა

თითოეულ ფალანგაში შედიოდა მძიმე ჯავშან-აღჭურვილი 24 მებრძოლი, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ 3 მეტრის სიგრძის შუბებით, მკლავის სიგრძე მრგვალი რკინის ფარებითა და ბერძნული გორდა მახვილებით.

ფალანგაში 24 მებრძოლი სამმწკრივად იყვნენ ერთმანეთის უკან განლაგებულნი, ყოველ მწკრივში კი რვა მეომარი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ განთავსებულნი.

პირველი და მეორე მწკრივში სამმეტრიანი შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი, ბოლო მესამე მწკრივის მეომრებს კი ორი ერთმანეთზე გადაბმული შუბი ჰქონდათ მომარჯვებული.

ბრძოლის დროს მაკედონიური ფალანგა გადაიქცეოდა ხოლმე მკლავის სიგრძე რკინის ფარებაღმართულ, რვა მეტრის სიგრძის შეუვალ კედლად, წინ გაშვერილი 24 გრძელი და ბასრი შუბით.

ფალანგას მცველად გვერდებიდან ოთხ-ოთხი მებრძოლი იდგა ორივე მხარეს და ბრძოლის დროს, თუ ფალანგაში ვინმე მებრძოლი დაეცემოდა, გვერდითი დამცველი მებრძოლი ფალანგის მწკრივში მის ადგილს იკავებდა.

გაშლილ ბრძოლის ველზე, როდესაც რამდენიმე ათასობით მაკედონიური ფალანგები ერთდროულად დაიძრებოდნენ, წარმოიქმნებოდა უძლიერესი და უდიდესი მრისხანე სამხედდრო ძალა და თუ ფალანგები, სწრაფი აჩქარებული ნაბიჯით დაიწყებდნენ წინსვლას, მაშინ ზვავივით მათი წამოსვლის შეჩერება არავის და არაფერს არ შეეძლო).

ციხის ამღები მაღლივი ხის კოშკები ბერძენმა მებრ-

ძოლებმა გალავნის კედელს მიადგეს და ფალანგებმაც გარღვეული სარკინეს ციხის კედელში შესვლა დაიწყეს.

ციხის დამცველები გააფთრებულნი ეძგერნენ მტერს, მაგრამ თავიანთი ხმლებით ვერას გახდნენ სამმეტრიანი ბასრი შუბების წინააღმდეგ.

პირველმა ფალანგამ წინ წაიწია და მას უკან მეორე ფალანგა შეჰყვა.

ხის მაღლივი კოშკებიდან აზონის მებრძოლებმა გალავანზე დაიწყეს გადასვლა. ციხის გალავანში შესვლისას ფალანგები ცდილობდნენ, სწრაფად წაწეულიყვნენ წინ.

ციხის შუა ეზოში მეოთხე ფალანგის შესვლისას ისინი თანდათანობით ზურგების მხრიდან შეეკვრნენ ერთმანეთს და ოთხი ფლაანგა გადაიქცა ერთ დიდ ოთხკუთხა გაერთიანებულ 100-კაციან საბრძოლო რაზმად, რომელიც მთელი ძალით ცდილობდა მისწოლოდა ქართველთა ჯარს ციხის შიდა ეზოს სიღრმეში, რათა საშუალება მისცემოდათ უკან მომდევნ სხვა ფალანგებს, ციხის გალავანში რომ შესულიყვნენ.

გამბედაობამ და სიმამაცემ ვერ უშველა ქართველ მებრძოლებს, ძლიერ გაუჭირდათ ფალანგების სწრაფი შემოჭრისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რადგან ხმლებით ვერა და ვერ მიუახლოვდნენ გრძელი შუბებით შეიარაღებულ ბერძენთა მწკრივებს.

ქართველთა მშვილდოსნები, რომლებიც თავდაპირველად გალავნის ზედა კედელ-კოშკებიდან ცდილობდნენ ფალანგების მოისვრას, ახლა ხმალდახმალ ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი მეციხოვნეებთან ერთად მტრის წინააღმდეგ, რომლებიც მრავლად გადმოსულიყვნენ ციხის გალავნის ორივე მხარეს მაღლივი მგორავი ციხისამღები ხის ოთხივე კოშკიდან.

გალავნის შიდა ეზოში უფრო მეტი და მეტი ფალანგები შემოდიოდნენ და სწრაფად მიიწევდნენ წინ.

ჩამოშლილი კედლის გალავნის ორივე მხარე და მახლობელი კოშკები აზონის ჯარს ჩაეგდოთ ხელთ და ცდილობდნენ, ზევიდან მშვილდებით მოესრათ ქართველთა ჯარი.

გალავნის გარღეული კედლის შემოსასვლელი მთლიანად ბერძნებს ეკავათ.

შიდა ეზოში უფრო მეტი ფალანგები შემოსულიყვნენ და ციხის შუა ნაწილში უკვე რამდენიმე ოთხკუთხა 100-კაციანი ფალანგათა გაერთიანებული რაზმები იბრძოდნენ.

გალავნის კედლის მარჯვენა ფრთა აზონის მებრძოლებით გავსებულიყო. მათ ხელჩართული, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლით გზა გაიკაფეს სარკინეს ციხესიმაგრის მთავარ კარიბჭემდე.

რამდენიმე ხანში ციხის უზარმაზარი და რკინით მოჭედილი მძიმე ჭიშკარი ხმაურით გაიხსნა.

გახსნილი კარიბჭედან ციხის შიდა ეზოში უფრო მეტი და მეტი ფალანგები შემოიჭრნენ.

ბერძენთა ჯარი სარკინეს ციხეში უკვე ორ მხრიდან შედიოდა და, მიუხედავად ქართველ მებრძოლთა თავგანწირვისა და სიმამაცისა, ბერძნებმა ღრმად შესძლეს შეღწევა ციხის შიდა ეზოში.

გაისმა აზონის ჯარის ბუკთა ხმა. ციხის ორივე შესასვლელში ბერძენთა ფალანგები მთელს სიგრძეზე ორად გაიყვნენ და ფართო დერეფანი შეჰქმნეს ციხის ორივე შესავლელში.

გაისმა ყიჟინა და ცხენთა ფლოქვების თქარა-თქურისაგან მიწა აზანზარდა. კავალერიაც გამოჩნდა.

ციხის ორივე შემოსასვლელში აზონის ჯარის მხედრობა შემოიჭრა.

ოციათასი მხედარი მთელი სისწრაფით შევარდა მცხეთის დასავლეთ ჭიშკარში, წინ მათ თორიანი მძიმე ჯავშნოსანი, გრძელი შუბებით შეიარაღებული კავალერია მიუძღოდათ.

გაარღვიეს და გადათელეს ქართველ მებრძოლთა რკალი და მცხეთაში შევიდნენ.

ათიათასმა ბერძენმა ცხენოსანმა სამეფო სასახლისაკენ აიღო გეზი და თითქმის დაცარიელებული შიდა ციხის დაპყრობა დაიწყო.

ციხე-ციტადელის კარიბჭის გალავანზე კიბე-ხიდით გადასულმა აზონის მებრძოლებმა შიდა ციხის მთავარი ჭიშკარი გახსნეს და ბერძენთა მხედრობა ციხესიმაგრეში შეიჭრა. სამეფო ციხე-დარბაზში ბრძოლა ხანმოკლე აღმოჩნდა.

ქართველთა მთელი ლაშქარი სარკინესა და მცხეთას იცავა, მეფის სასახლეში კი მხოლოდ სამარას დამცველი მცირე ამალა იმყოფებოდა, ბერძენთა ჯარს ციხესიმაგრის აღება არ გასჭირვებია და სამარის დამცველი მცირე რაზმიც მალევე გაანადგურეს.

დაჭრილი სამარა და ადარნასე ბერძნებმა დაატყვევეს, მათ ხმლები ჩამოართვეს და სარკინეს ციხეში სასწრაფოდ აზონს მიჰგვარეს.

აზონმა თავის მებრძოლებს გალავნის კედლის თავზე ააყვანინა გაბაწრული სამარა და ადარნასე, სადაც ყველას დასანახავად მათ თავები მოჰკვეთეს.

ქართველთა ლაშქარმა ბრძოლა შესწყვიტა, იარაღი დაჰყარა და აზონს დანებდა.

დატყვევებულ ქართველებს საბრძოლო იარაღი აჰყარეს და ჩამოართვეს ბერძნებმა.

აზონის ბრძანებით, ქართლში ყველა ქართველს აეკრძალა იარაღის ტარება და სიკვდილით დაისჯებოდა ის, ვინც ამ ბრძანებას დაარღევდა.

ქართველთა ჯარის ნაწილი გაექცა ბერძენთა დატყვევებას, დატყვევებულთა დიდი ნაწილი კი აზონმა მცხეთის ციხეებში დაამწყვდევინა.

ქართლის სამეფო სასახლეში დიდი ზარ-ზეიმით შესულ აზონს სამარას დატყვევებული ოჯახის წევრები წარუდგინეს, რომლებსაც მცხეთა არ დაეტოვებინათ და სამარას გვერდით დარჩენილიყვნენ.

ქართლის დამპყრობელ აზონს სამეფო ტახტზე მოცილე არავინ არ უნდოდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო, ამიტომ არც ბავშვები და არც ქალები არ დაინდო და სასახლეშივე სამარას მთელი ოჯახი მოაკვლევინა.

აზონმა ქართლის სამეფო ტახტის დაპყრობა მცხეთის სამეფო სასახლეში დიდი ღრეობით აღნიშნა. მცხეთაში ერთი კვირა გრძელდებოდა ბერძენთა ჯარის მიერ ქართლის მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, დამცირება და თარეში.

ცხეთის სამეფო სასახლის მაღალი გალავნიდან, პერიოდულად, თვითკმაყოფილი აზონი გადახედავდა ხოლმე ბერძენთა ჯარის მიერ აწიოკებულ მცხეთას და ქართლის სამეფო გვირგვინით თავმორჭმული აზონი მთელი კავკასიის დაპყრობა-დამორჩილებას გეგმავდა.

V

ბერძენთა ტყვეობას გადარჩენილი შანშე ხევისთავი თავისი მცირე რაზმით მცხეთის დაცემის შემდეგ მთაში დაბრუნდა.

უცხენოდ, უიარაღოდ და უაბჯროდ დარჩენილმა შანშემ და მისმა მებრძოლთა მცირე ნაწილმა შეძლეს დასხლეტოდნენ ბერძენთა ჯარის გუშაგებს და ღამე ტყე-ტყე სიარულით შეძლეს აზონის მდევართა კვალის არევა.

ბერძენთა მდევარმა ვერ გაარკვია, თუ ვინ გაექცათ და, ან რა ცამ თუ მიწამ ჩაყლაპა გაქცეული ტყვეები.

რამდენიმე დღის შემდეგ ტყეში, ხევსა და მთებში ნარბევ-ნახეტიალებმა შანშემ და მისმა რაზმმა მიაღწიეს თავიანთ სახლს.

გაირკვა, რომ ბერძენთა ჯარი ჯერ მთამდე არ იყო ამოსული.

შანშე ხევისთავი თავის ციხესიმაგრეში დაბრუნდა, რაზმის მებრძოლები კი თავთავიანთ სახლებში გაუშვა.

გვიანი ღამე იდგა.

შანშე ხევისთავის დაბრუნება მთელს ციხე-სასახლეს ერთხმად მოედო და მალევე ციხის დიდ დარბაზში მოღუშულ-მჭმუნვარე შანშე, მის გარშემო შემოკრებილთ დამწუხრებული ამცნობდა ქართველთა ჯარის დამარცხებას, მცხეთის დაცემას, ქართლის მმართველის სამარას, მისი ოჯახისა და ძმის, ქართლის სპასპეტის ადარნასეს სიკვდილით დასჯას, აზონის გამეფებასა და ბერძენთა ჯარის თავაუღებელ პარპაშს მცხეთაში.

შანშე ხევისთავის ციხესიმაგრეში თავშეფარებულმა ადარნასეს მეუღლემ, რუსუდანმა მწარედ შეჰკივლა

მცხეთიდან მოტანილი საშინელი ამბის გაგონებისას და გული შეუღონდა.

შემდეგ გლოვის ნიშნად თმა გაიშალა, შავი სამოსი გადაიცვა და რამდენიმე დღის განმავლობაში ძაძებად-მყოფელს თვალზე ცრემლი არ შეშრობია.

რუსუდანი დასტიროდა თავისი თავისა და წვრილშ-ვილის ქვრივ-ობლად დარჩენას.

დამწუხრებულ და მოტირალ დედას ჩახუტებუ-ლი ორი პატარა ქალიშვილი, გურანდა და ნანი დედის ტირილს აყოლებულნი ბავშვურად სტიროდნენ, თუმცა არ ესმოდათ, რისთვის და რატომ, სამი წლის ფარნავა-ზი კი გაკვირვებული და გაოცებული შეჰყურებდა დამ-წუხრებულ და გულამომჯდარ მომტირალ დედას, რად-განაც იგი პირველად ხედავდა თავის მოსიყვარულე, მზრუნველ, გულთბილ, ტკბილმოუბარ და მუდმივად ბაგემოღიმარ დედას ამგვარ მდგომარეობაში.

მცხეთიდან გაქცეული მოსახლეობა ნელ-ნელა დროთა განმავლობაში, უბრუნდებოდა თავიანთ სახ-ლსა და კერას.

თავმოკვეთილი ქართლის სპასპეტის მეუღლეს შან-შე ხევისთავმა აუკრძალა მცხეთაში დაბრუნება, დარ-ჩენა და შვილების მთაში აღზრდა ურჩია, რათა აზონის რისხვას გადარჩენილიყვნენ და ისეთივე ბედი არ სწ-ვეოდათ, როგორიც ქართლის მმართველის, სამარას ოჯახს.

მცხეთაში დარჩენილ და დაბრუნებულ მოსახ-ლეობას, აგრეთვე, ტყვედ აყვანილ ქართველ მებრ-ძოლებს, აზონის ბრძანებით, აიძულებდნენ, რომ ემუშა-ვათ მონური შრომით სხვადასხვა მძიმე ფიზიკური დატვირთვის სამუშაოებზე.

აზონის ბრძანებით, მთელ ქართლში ყველა ციხეები უნდა დაენგრიათ და მოეშალათ, გარდა ხუთი ციხისა, სადაც თავისი ჯარები უნდა ჩაეყენებინა.

აზონმა მცხეთის გალავანიც მთლიანად მოაშლევინა და ციხე-გალავნების გამოთავისუფლებული ქვამასალისაგან ქართის მთაზე აკროპოლისის აშენება დაიწყო, სადაც მაკედონელის დავალების თანახმად, ბერძნული ათენის აკროპოლისის მსგავსად, პანთეონში ბერძნული ციური ღმერთებისა და ქალღმერთების ქანდაკებები დაიდგმებოდა.

აზონმა მცხეთაში ბერძნული მმართველობა, კანონები, წეს-ჩვეულება და ენა-დამწერლობა დააწესა. ქართლის სხვადასხვა მხარეში თავისი ხელქვეითები გაამწესა.

შემდეგ ეგრისში გადავიდა და სისასტიკით, დაუნდობლობითა და ძრწოლვით ეგრისიც დაიმორჩილა.

ეგრისიდან დიდძალი სიმდიდრით მცხეთაში დაბრუნებული აზონი, ცოტა ხანს შეყოვნდა ქართლში და შემდეგ ჩრდილო კავკასიაში გაილაშქრა თავისი ჯარით.

გადავიდა კავკასიონზე და გააფთრებულ ბრძოლებში დაიმორჩილა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები.

მაკედონური ფალანგების წინაშე დაეცნენ ოვსნიც და ლეკ-დურძუკნიც.

აზონის სისასტიკეს და სიმაკცრეს ბევრი სიცოცხლე შეეწირა, ბევრი ქალაქი და ციხე დაინგრა.

ოვსთა და დურძუკთა მეფეებს აზონმა ხარკი-გადასახადი დაადო და დიდძალი ქონებით, ოქრო-ვერცხლითა და ავლა-დიდებით მცხეთაში დაბრუნდა.

მალევე აზონმა „არიან ქართლიდან“ მთელი თავისი საგვარეულო და დიდი ოჯახ-ნათესაობა ჩამაოიყვანა და ყველა ისინი მცხეთას დაასახლა.

დიდი ალექსანდრე მაკედონელის დავალება შესრულებული იყო.

აზონის მიერ დამორჩილებული მთელი კავკასია ელინისტური სამყაროს შემადგენელი ნაწილი გამხდარიყო, სადაც ბერძნული მმართველობა-კანონები, ენა-დამწერლობა და ბერძნული ღმერთების თაყვანისცემა დომინირებდა.

აზონის შიში ყველას ჰქონდა და ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ქართლში სახალხოდ იარაღ-ასხმული ქართველი კაცი აღარ დადიოდა.

მაკედონელი ინდოეთში გალაშქრებას აპირებდა, ამიტომ აზონმა თავისი ჯარის ნახევარი შემადგენლობა ალექსანდრეს გაუგზავნა, რადგანაც საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, რომ დამონებულ ქართლში დიდი ლაშქარი დარჩენილიყო და მდგარიყო.

აზონმა მაკედონელისათვის გაგზავნილ ჯარს თან დიდი ძღვენი და ოქრო-ვერცხლი გაატანა საჩუქრად, ალექსანდრესათვის გადასაცემად.

დიდი სიმდიდრე და განძი – ქართლში, ეგრისში, ოსეთში და დურძუკეთში მოპოვებული, აზონის სარძოლო გამარჯვებების მოხვეჭილი ნაალაფევი იყო და განძის გადაცემასთან ერთად, ალექსანდრესთან გაგზავნილ ელჩობას მისთვის უნდა გადაეცათ აზონის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ქართლის პატრიკი აზონი აუწყებდა დიდ დამპყრობელს ალექსანდრე მაკედონელს კავკასიის დაპყრობა- დამორჩილებას.

VI

დრო გადიოდა. მთაში ცხოვრების პირობებში პატარა ფარნავაზი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა.

მთის ხევისთავი შანშე, რომელიც ადრე ქართლის სპასპეტ-მთავარსარდალთან მორჩილებაში და ახლო მეგობრობაში იმყოფებოდა, სპასპეტის სიკვდილის შემდეგ დაობლებულ ადარნასეს ოჯახს მფარველად დაუდგა.

შანშე ხევისთავს ორი შვილი ჰყავდა – კახაბერი და ბაკური.

მან თავისი მეორე ვაჟი, ბაკური, თავისი ოჯახითა და მსახურებით, სპასპეტის უკაცო ოჯახს ყურადღების მისაქცევად და საჭიროების შემთხვევაში, დასაცავად მიუჩინა.

ვაჟკაცური იერ-წარმოსადეგი ბაკური ჩინებული მოჯირითე, მშვილდოსანი მონადირე და მებრძოლი მოფარიკავე იყო. მას ჰყავდა ქალის ხელსაქმის დიდი მცოდნე მეუღლე, ლელა და ერთი ვაჟი, ბაქარი.

უსაფრთოხების მიზნით, სპასპეტი ადარნასეს ოჯახის არსებობა და ვინაობა დიდად გასაიდუმლოვებული იყო.

როდესაც მცხეთიდან მთაში მეფე აზონის მოხელენი ამოდიოდნენ ხოლმე გადასახადების ასაკრეფად, შანშე ხევისთავი ბაკურისა და რუსუდანის გაერთიანებულ ოჯახს, მთის სხვადასხვა სოფლებში გაგზავნიდა უცხო თვალისაგან ასარიდებლად.

ორ გაერთიანებულ ოჯახს განსაკუთრებით მოსწონდათ ხოლმე, როდესაც გაზაფხულ-ზაფხულში თავშესაფარად და საცხოვრებლად მიდიოდნენ მთის

ერთ-ერთ შორეულ სოფელში, რომელიც მდინარე არაგვის მახლობლად მდებარეობდა.

მაღალი მთების მიუხედავად, არაგვის ჭალა ამ ადგილას ბარს უფრო წააგავდა. მდინარის ჭალა ფართო, გაშლილი და ბარისსახისა იყო. ჭალის გარშემო კი მთიან ფოთლოვან ხემრავალ ტყეებში ბევრი იყო ტყის ფრინველი, შველ-ირემი და ნადირი.

ბაკურის ვაჟი, ბაქარი და ფარნავაზი თანატოლები იყვნენ. ბაკური არ ანსხვავებდა ბაქარსა და ფარნავაზს ერთმანეთისაგან, ორივეს შვილივით თანაბრად ეპყრობოდა. ყოველდღიურად არაგვის ჭალაში ბაკური ყმაწვილებს ავარჯიშებდა ჯირითობაში, ფარიკაობაში, მშვილდისა და შუბის სროლაში.

ორივე მოზარდი ყოველდღიურ წვრთნასა და სწავლაში ვაჟკაცდებოდნენ, გამძლეობა და ნებისყოფა თანდათან უყალიბდებოდათ, მკლავი და ხასიათი ეწრთობოდათ და კარგ მებრძოლ-მონადირეებად იზრდებოდნენ.

ბაკური ფარული კმაყოფილებით ადევნებდა თვალყურს მოზარდთა ერთმანეთთან ჭიდილ-პაექრობას, განვითარებას, ზრდასა და დავაჟკაცებას. ორივე ერთმანეთზე მჯობნი იყო, მათ გამჭრიახობის, სისხარტისა და დიდი სიმამაცის კეთილშობილური თვისებები გააჩნდათ.

სწავლისა და წვრთნა-ვარჯიშის დროს თუ გულფიცხლად და გამეტებით უტევდნენ და ეპაექრებოდნენ ერთმანეთს ბაქარი და ფარნავაზი, წვრთნის შემდეგ არაგვის პირას ჩამომჯდარნი მოღიმარნი და გულისხმიერნი უმოწმებდნენ ერთმანეთს ნაკაწრ-დაჟეჟილობებს.

ბაკური კი სიცილით ეუბნებოდა ორივეს: „დაინდეთ

ერთმანეთი, ნუკი დახოცავთ ერთურთსო“ და თან ჭრილობისა თუ ნაკაწრ-დაჟეჟილობის განკურნვას ასწავლიდა ონავარ ვაჟებს.

ფარნავაზის დედა, რუსუდანი ბავშვებს სწავლა-განათლებას უნერგავდა და ასწავლიდა ფარნავაზს, ბაქარს, გურანდასა და ნანის წერა-კითხვასა და სხვადასხვა ენებს.

ბაკურის მეუღლე, ლელა კი პატარა გოგონებს ქალის ხელსაქმის პირველსაწყის ხელ-ხელოვნებას აჩვევდა.

ორი გაერთიანებული და მთაში გადამალული ოჯახი ამდაგვარად ცხოვრობდა და მათი დამწუხრებული ყოველდღიური ყოფა პატარა სიხარულით შეიცვალა და მათს ცხოვრებას ოდნავ მხიარულება მიეცა, როდესაც ბაკურის ფეხმძიმე მეუღლემ ლელამ, მშვენიერი პატარა გოგონა შობა. ახალშობილს სახელად ქალთამზე დაარქვეს.

VII

ძვ. წ. 323 წელს ალექსანდრე მაკედონელის უეცარი გარდაცვალება მეხის გავარდნასავით მოედო მთელს სამყაროს. ეს მოულოდნელი ცნობა მცხეთაში შემოიტანა და გაავრცელა დიდვაჭართა ქარავანმა, რომლებიც ზაფხულის ერთ-ერთ დღეს მცხეთას ეწვივნენ.

აზონს აუწყეს მაკედონელის გარდაცვალება და მან სასახლეში მექარავნე დიდვაჭრის მოყვანა ბრძანა.

აბრეშუმით მოვაჭრე მიდიელი სოვდაგარი კარგად იცნობდა მცხეთას. მას ყოველთვის უხაროდა, გრძელი და დამღლელი გზის შემდეგ, მისი მრავალი საპალნეებით დატვირთული დიდი ქარავანი მცხეთას რომ მიადგებოდა.

მცხეთა დიდი ქალაქი იყო. მდიდარი და კარგი ბაზარი ჰქონდა. საქონელიც კარგად საღდებოდა, ქარვასლებიც კეთილმოწყობილი და საიმედო იყო. აქლემებისთვისაც წყალი და საკვები უხვად და უფასოდ მოიპოვებოდა.

მიდიელი სოვდაგარი, მართალია, მცხეთაში ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ სამეფო სასახლიდან დღეს პირველად მიიღო მიწვევა.

გრძნობდა და იცოდა, რისთვისაც იწვევდა მას ქართლის პატრიკი სასახლეში.

რა თქმა უნდა, აზონისათვისაც უკვე ცნობილი იქნებოდა მაკედონელის სიკვდილი, მაგრამ მას ისეთი სახითა და ფორმით უნდა ემცნო და ეამბა აზონისათვის იმპერატორის გარდაცვალება რომ აზონს გლოვის ნაცვლად, სიამისა და სიხარულის გრძნობა გასჩენოდა.

აბა, რის დიდვაჭარი იქნებოდა, თუ ასეთი მოულოდ-

ნელი და დიდი ცნობის საშუალებით კარგი სარგებელი არ ენახა.

მიდიელი სოვდაგარი ძვირფას ჭრელ სამოსში გამოეწყო, ქარავანი თავის ხელქვეითებს ჩააბარა, აზონისათვის საჩუქრად ოქროსფერი ხატაული აბრეშუმი შეარჩია და სამეფო სასახლისაკენ აზონის მიერ გამოგზავნილ ოთხ ბერძენ მეომარს გაჰყვა.

მცხეთის სამეფო სასახლის დიდი დარბაზი აზონს მარმარილოთი და ქანდაკებებით მოერთო და მოეკაზმა. სამეფო ტახტიც მარმარილოს შემაღლებულ კიბე-კვარცხლბეკზე დაადგმევინა და ტახტს თავს ზევით მოოქროვილი ჩარდახი გააკეთებინა.

სამეფო ტახტში ჩამჯდარი აზონი მაკედონელის სიკვდილმა სერიოზულად დააფიქრა. მართალია, მან დანამდვილებით არ იცოდა, ეს ახალი ამბავი სიმართლე იყო თუ არა, მაგრამ მაკედონელის უეცარ სიკვდილს შეიძლებოდა ბევრი რამ შეეცვალა.

ფიქრებში წასულ აზონს აცნობეს მექარავნე დიდვაჭრის სასახლეში მოსვლა და მანაც სტუმრის მოყვანა ანიშნა მსახურთ.

სასახლის დიდი დარბაზის კარი გაიღო და დარბაზში შემოვიდა ჭრელ მდიდრულ სამოსში გამოწყობილი მიდიელი დიდვაჭარი, რომელიც შეუჩერებლივ, დიდად თავაზიანი თავის ქნევით ნელ-ნელა მოიწევდა აზონისაკენ.

მოღუშულ და არასაზეიმო გუნებაზე მყოფ აზონს გაუკვირდა სოვდაგრის ასეთი პომპეზურობა და წარბებაწეული გაოცებული შეჰყურებდა დიდვაჭრის ტაკიმასხრულ მოახლოვებას.

მარმარილოს ფართო კიბე-კვარცხლბეკთან მიახ-

ლოვებისას, სოვდაგარმა მარჯვენა ხელით რბილად და ოდნავ მოხრილად სამეფო ტახტისაგან მარცხნივ სტყორცნა აბრეშუმის ქსოვილის შეკვრა-ხვეულა, მარცხენა ხელით კი მყარად დაიჭირა აბრეშუმის მეორე ბოლო.

აზონის ფერხთით, ტახტიდან სოვდგრამდე, მარმარილოს თეთრ კიბეებზე ოქროსფრად აელვარდა ირიბად გადაშლილი ძვირფასი ხატაული აბრეშუმი.

სოვდაგარმა კვლავ თაყვანი სცა აზონს და შემდეგ აღმოსავლური ტკბილ-ქარაგმულით მიმართა: — „მზეთა-მზე სამარადჟამოდ ჩაესვენა, რათა ახალი მზე გამობრწყინდეს და განდიდდეს! მიიღე ჩემგან საჩუქრად აბრეშუმი ოქრონაქარგი, ვითარცა ნიშანი სამეფო კაბისა და სამოსელისა“.

აზონს გაუკვირდა დიდვაჭრის სითამამე, მაგრამ გულის სიღრმეში ესიამოვნა მისი სიტყვები. წამოდგა, თბილად მიესალმა დიდვაჭარს, მადლობა მოახსენა საჩუქარზე და ტკბილით გაწყობილ სუფრასთან მიიწვია მიდიელი სოვდაგარი.

სუფრასთან დასხდომისას აზონი დიდი გულისყურით უსმენდა მექარავნის მონაყოლს. დიდვაჭრის თქმით: ინდოეთიდან ბაბილონში დაბრუნებული ალექსანდრე მაკედონელი თანდათანობით სრულიად მარტოობაში რჩებოდა. ჯერ კლიტეოსისა და შემდგომ კი ჰეფესტიონის სიკვდილის გამო, ალექსანდრე ერთგული მხედართმთავრებისა და მრჩევლების გარეშე დარჩენილიყო.

ივნისის თვეს, 33 წელს მიღწეული დიდი დამპყრობელი გარდაცვლილიყო.

ბაბილონში ხმები დადის, რომ ალექსანდრე მისივე მხედართმთავრებს მოეწამლათ.

რაც შეეხება მის მხედართმთავრებს, მაკედონე-

ლის ცხედარი ჯერ გაცივებულიც კი არ ყოფილა, რომ ისინი ერთმანეთს ცოფიანი ძაღლებივით დარეოდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ომებითა და ბრძოლებით დაუწყვიათ მაკედონელის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერიის დაყოფა და გადანაწილება, რაც შესაძლებლი იყო, ძალიან დიდხანს გაგრძელებულიყო, რადგანაც ყოველი მხრიდან ერთმანეთს თანაბარი ძალები ებრძვიან და ყოველ მხედართმთავარს თავისი მომხრე ჯარი დიდი რაოდენობით ჰყავს.

აზონი დიდად ჩააფიქრა სოვდაგრის მონაყოლმა. თუ ყოველივე ეს სიმართლე იყო და ალექსანდრე მკვდარი იყო, მაშინ მას საკუთარი თავი დამოუკიდებელ მეფედ შეეძლო გამოეცხადებინა, მაგრამ ჯერ ყველაფრის გადამოწმება ესაჭიროებოდა.

აზონი თუმცა ძალზედ ძუნწი იყო, მექარავნე დიდვაჭარი მაინც უხვად დაასაჩუქრა და სასახლიდან დაითხოვა.

ქარვასლისაკენ მიმავალი დიდად კმაყოფილი მიდიელი სოვდაგარი გულში საკუთარ თავს განადიდებდა იმ ვაჭრული ნიჭის გამო, რაც მას გააჩნდა, „მწუხარე ამბავი სასიხარულო ამბად“ დიდ ფასად გაეყიდა და პერიოდულად მოისინჯავდა ხოლმე ქამარზე გაკიდულ აზონის მიერ ნაჩუქარ მძიმე ქისას.

აზონი მაკედონელის არცერთ მხედართმთავარს არ ენდობოდა, კარგად იცნობდა მათ გულხარბ და დაუნდობელ ხასიათს.

მარტოდ დგომა და მარტოდ დარჩენაც არ შეიძლებოდა, რადგან ადრე თუ გვიან, მასაც მოაკითხავდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, ერთგულება და მორჩილება იმ მხედართმთავრისთვის გამოეცხადებინა, რომელიც

ყველაზე უფრო შორს იქნებოდა მისგან და ქართლის სამეფოს საზღვრებიდან.

ასეთი მხედართმთავარი საბერძნეთ-მაკედონიის მომავალი მეფე იქნებოდა.

დღესდღეობით კი მხედართმთავრებს შორის დიდი სისხლისმღვრელი ომი იყო გაჩაღებული. საბერძნეთ-მაკედონიის მეფის სტატუსიც გაურკვეველი იყო და ვინ იცის, მომავალში კიდევ რამდენ მეფეს გამოიცვლიდა საბერძნეთი, სანამ არ დალაგდებოდა ყველაფერი. დალაგებას კი, ალბათ, ათწლეულები დასჭირდებოდა. მანამდე კი აზონი, ქართლის სამეფო ტახტზე მორჭმული გვირგვინოსანი მეფე, თავის პოზიციებს გაიმაგრებდა და გაიმყარებდა.

აზონმა იმ დღესვე მსტოვარ-მაცნენი გააგზავნა სასომხეთის სატრაპთან, რათა გადაემოწმებინა მაკედონელის სიკვდილის სისწორე და თუ ალექსანდრეს სიკვდილი სიმართლე აღმოჩნდებოდა, მაშინ მაცნეთ-მეთავეს სასომხეთის სატრაპისათვის აზონის წერილ-არზა უნდა გადაეცა, რომელშიც აზონი იუწყებოდა: „როგორც იბერიის პატრიკ-მმართველი, ერთგული რჩებოდა დიდი ალექსანდრე მაკედონელისადმი მიცემული ფიცისა და სამსახურისა.

მორჩილებაში იქნება და უერთგულებს საბერძნეთის მეფეს კვლავაც, ისე როგორც, ემსახურებოდა დიდ ალექსანდრე მაკედონელს“.

სასომხეთიდან დაბრუნებულმა მსტოვარ-მაცნეებმა აზონს დაუდასტურეს მაკედონელის სიკვდილი და წერილის გადაცემაც აუწყეს სასომხეთის დაბნეული სატრაპისათვის, რომელსაც ვერ გადაეწყვიტა, რა გზა აერჩია.

პასუხმაც დიდხანს არ დააყოვნა. რამდენიმე კვირაში ბაბილონიდან მცხეთაში მოციქულნი ჩამოვიდნენ, რომლებმაც აზონს, მაკედონელის დანატოვარი ანდერძის შესრულების აუცილებლობითი მოთხოვნის არზა ჩამოუტანეს.

მაკედონელის ანდერძის თანახმად, იბერია საბერძნეთს განეკუთვნებოდა და იბერიის პატრიკი უნდა დამორჩილებოდა საბერძნეთის მეფეს.

აზონი დიდ პატივს სცემდა მაკედონელის დანატოვარი ანდერძის შესრულებას. საბერძნეთის მეფეს მოჩვენებითი მორჩილება და ერთგულება შეუთვალა, თუმცა ალექსანდრეს ანდერძის შესრულებას ჯერ-ჯერობით არც ჩქარობდა, რადგან კარგად იცნობდა ყოფილ თანამებრძოლ მხედართმთავრებს, მათ ხასიათსა და ზნე-ჩვევებს, ამიტომ იგი არავის ჯარით არ ეხმარებოდა და შორიდან ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ უმოწყალოდ ებრძოდნენ და ხოცავდნენ ერთურთსა და ერთმანეთის ოჯახებს, ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და გამეფების სურვილით თავგზააბნეულნი და თავბრუდახვეულნი, ერთ დროს ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგომნი და მხარდამხარ მებრძოლნი სახელოვანი მხედართმთავრები.

დრო გადიოდა და ერთმანეთის წინააღმდეგ მაკედონელის ყოფილი მხედართმთავრები კიდევ უფრო უარეს სასტიკ ომებში ჩაებნენ, რომლებსაც დასასრული არ უჩანდა.

აზონის ჯარით დახმარება ყველას წაადგებოდა, მაგრამ აზონი ისევ მშვიდად აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას და ხედავდა, თუ როგორ სუსტდებოდა და ძლიერებას ჰკარგავდა მაკედონელის მიერ შექმნი-

ლი, ერთ დროს უდიდესი და უძლიერესი ელინისტური იმპერია.

აზონს ბერძენ-მაკედონელნი, მართალია, ჯერ ისევ იბერიის პატრიკად მიიჩნევდნენ, მაგრამ თვით აზონი ქართლში უკვე კარგა ხანი იყო, რაც მეფედ იწოდებოდა.

წლების განმავლობაში აზონმა დიდი გამოცდილება მიიღო კავკასიის დაპყრობა-დამორჩილებაში და ქვეყნის სისხლიანი მეთოდებით მართვა-გამგებლობაში. იგი არავის არ ენდობოდა, მძიმე, უხეში ხასიათი ჰქონდა და უამრავ ადამიანს სიკვდილით სჯიდა სახალხოდ, სხვათა დასაშინებლად და უსიტყვოდ დასამორჩილებლად.

აზონი ომებს, სიკვდილსა და სისხლს ნაჩვევი იყო და მეფობის დროსაც იგივეს ახდენდა და აკეთებდა ქვეყანაში, სისხლთმოყვარული დამსჯელი ჯალათი იყო და ამიტომ მასთან ურთიერთობასა და შეხვედრას ყველა ერიდებოდა და გაურბოდა, როგორც ქართველნი, ასევე მისი ხალხი – ბერძნებიც.

დროთა განმავლობაში აზონმა მაკედონელის კიდევ ერთი პირობა დაარღვია.

ქართის მთაზე აღმართული აკროპოლისის პანთეონიდან საბერძნეთიდან გამოგზავნილი მარმარილოს ღმერთებისა და ქალღმერთების ქანდაკებები აიღო და ისინი სამეფო სასახლეში მოსართავად დადგა, მათ მაგივრად კი პანთეონში ახალი, მის მიერვე მოგონილი ღმერთები დაადგმევინა.

ახალი ღმერთები, რომლებიც აზონმა მოიგონა, იყვნენ გაცისა და გაიმის მოოქროვილ-მოვერცხლილი ქანდაკებები.

გაცი წარმოადგენდა მამაკაცური საწყისის კაცღმერთის ქანდაკება-გამოსახულებას, გაიმი კი –

ქალური საწყისის ქალღმერთის ქანდაკება-გამოსახულებას.

აზონმა მთელს ქართლში მოუწოდა მოსახლეობას და აიძულა ხალხი, რომ დაევიწყებინათ ბერძნული ღმერთები და ახალი ღმერთებისათვის ეცათ თაყვანი და პატივი.

VIII

მთაში მალევე გავრცელდა ახალი ღმერთების – გაცისა და გაიმის შემოღების ცნობა-ამბავი, თუმცა ქართველებს მანამდე არც ბერძნული ღმერთების დიდი პატივისცემა და მოწიწება არ ჰქონდათ. ქართველები ჩუმად, მალულად ისევ ძველი ქართული ღმერთებისადმი თაყვანისცემას განაგრძობდნენ, რომლებიც მრავლად გააჩნდათ იმდროინდელ საქართველოში.

ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ღმერთი იყო ნადირობის ქალღმერთი დალი.

ფარნავაზი და ბაქარი, ნადირობის წინ და ნადირობის შემდეგ, პატივს მიაგებდნენ ხოლმე ნადირობის ქალღმერთ დალის, ისე როგორც მათ ასწავლა და მიაჩვია მათმა აღმზრდელმა ბაკურმა.

პატარა ქალთამზე წამოზრდილიყო და როდესაც იგი დაინახავდა, რომ ფარნავაზი და მისი ძმა ბაქარი ნადირობის ქალღმერთის პატივსაცემად საკურთხევლისაკენ მიემართებოდნენ, ყველასაგან განებივრებული და მოსიყვარულე პატარა ქალთამზე საკურთხეველზე აცოცდებოდა და მონადირეებს ხელებგაშლილი შეს-

ტიტინებდა: მე ვარ დალი, მე მეცით პატივი, დალი მე ვარო“.

ფარნავაზი და ბაქარი ღიმილითა და სიყვარულით შესცქეროდნენ ხოლმე პატარა თვალებგაბრწყინებულ მოტიტინე ცქრიალა გოგონას, რომლის დატუქსვას არც ცდილობდნენ და მოთმინებით ელოდნენ, სანამ ფარნავაზის დები პატარა ბავშვს სიცილით საკურთხეველს განარიდებდნენ.

ზამთრის სუსხიან დღეებში მოზარდები, ყველა ერთად სახლში შეკრებილნი, მთელ დროს სწავლა-განათლებას ანდომებდნენ.

მთაში დიდთოვლობის დადგომისას, ცეცხლის კოცონისაგან გამთბარ სახლში, რუსუდანი გრძელ მაგიდასთან მიმსხდარ ბავშვებს საგანმანათლებლო მეცადინეობებს უტარებდა.

ერთ-ერთი მორიგი სწავლების დროს ფარნავაზმა დედას ჰკითხა:

– მცხეთაში ახალი ღმერთები, გაცი და გაიმი შემოუღიათ. ქართველთა უძველესი ღმერთებიც მრავლადაა: ნაყოფიერების, მოსავლის, ჭექა-ქუხილის, ნადირობის, ტყის, წვიმისა და სხვა კიდევ მრავალი ღმერთები. ბერძნებს კიდევ სხვა უამრავი ღმერთები გააჩნიათ. სპარსელებსაც თავიანთი ღმერთები ჰყავთ. კავკასიონის მთებს გადაღმა რამდენჯერმე გადასვლისას აღმოჩნდა, რომ ოვსნი და დურძუკნი სულ სხვა ღმერთებს ეთაყვანებიან.

აღარ მესმის, როგორ ან რანაირად უნდა გავიგოთ ამდენი განსხვავებული ღმერთების არსებობა?

ფარნავაზის შეკითხვას მისი დებიც და ბაქარიც

ცნობისმოყვარეობით აჰყვნენ და თვალებგაფართოვებულნი რუსუდანს მიაჩერდნენ.

ბაკურმაც სწრაფად დაამთავრა ტკაცუნა კოცონში ახალი შეშის შეკეთება და სმენად იქცა.

კოცონთან ახლოს მიმჯდარმა ლელამ ფარდაგის ქარგვა შეაჩერა და მთელი ყურადღება რუსუდანს მიაპყრო.

კოცონში ფიჩხის ტკაცატკუცის ტკრციალს მხოლოდ პატარა ქალთამზის ფხაკუნი ეხმიანებოდა, რომელიც ფარნავაზსა და რუსუდანს შორის ჩამჯდარიყო და მაგიდაზე დადებულ ხარის ბეჭის ძვალზე ყვავილების გამოხატვას ცდილობდა.

რუსუდანმა მრავლისმეტყველად გაიღიმა, ესიამოვნა მოზარდთა ადრეული გონება-მოწიფულობა.

ფარნავაზის დედა, რუსუდანი, რომლის ნამდვილი სახელი რუზდანი იყო, წარმომავლობით მიდიელ დიდგვაროვანთა წარჩინებულ ოჯახს განეკუთვნებოდა. მათ ოჯახში საღვთო რელიგიად დაწესებული ჰქონათ ზოროასტრიზმი (წინასწარმეტყველი ზარათუსტრას მიერ შექმნილი რელიგია: ზარათუსტრიანიზმი იგივე ზოროასტრიზმო, სპარსეთში ოფიციალურ რელიგიად იყო გამოცხადებული. ამ რელიგიის მთავარი არსი იყო განგების მიერ შექმნილი, ბუნებაში არსებული ყველაფრის პატივისცემა და მზის თაყვანისცემა, როგორც სიცოცხლის, სინათლისა და სითბოს მომცემი. ამ რელიგიის მიმდევარნი საკურთხეველზე სიმბოლურად ცეცხლს ანთებდნენ მზის ანალოგიის სანაცვლოდ, როგორც სინათლისა და სითბოს ნიშანს. ქართველები ზოროასტრიზმს ცეცხლთაყვანისმცემლობად მოიხსენიებდნენ).

ადარნასესთან შეუღლების შემდეგ რუსუდანმა ყოველივე ქართული გაითავისა და შეისისხლხორცა. ქართული ღმერთებიც მიიღო, შეითვისა და შვილებსაც ქართული წეს-ჩვეულებითა და ქართული ღმერთების დიდი პატივისცემით ზრდიდა.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ რუსუდანმა გადახედა არზა-ხელნაწერებიან მაგიდასთან მიმსხდარ ბავშვებს და ჩაფიქრებულმა დინჯად წარმოსთქვა:

– ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი. ადამიანი შემდეგ გამრავლდა და წარმოიქმნენ ქვეყნები და სახელმწიფოები. ღმერთი, რომელმაც შეჰქმნა პირველი ადამიანი, რჩება ყველა ადამიანის, ქვეყნისა და სახელმწიფოების ხალხთა შემქმნელ ერთადერთ და ნამდვილ ღმერთად, რადგანაც სწორედ ამ ღმერთმა შეჰქმნა და წარმოშვა პირველი ადამიანი და ადამიანთა მოდგმა.

დღესდღეობით ძალიან ბევრი ღმერთები არსებობენ, რომლებიც უკვე ადამიანის მიერ არიან მოგონილნი და შექმნილნი.

რამდენი ქვეყანაც და რამდენი სახელმწიფოც არსებობს, იმდენი განსხვავებული ღმერთები არსებობენ. ყველა ქვეყანასა და ყველა სახელმწიფოს თავისი უამრავი ღმერთი გააჩნია. თუნდაც აქ ავიღოთ ჩვენთან, ქართლში, თქვენ ჯერ ბავშვები ხართ და უკვე სამჯერ მოესწარით ქართლში ღმერთების გამოცვლას.

სხვადასხვა ქვეყნები და ხალხნი სხვადასხვა განსხვავებულ ღმერთებს იგონებდნენ, რათა განესაზღვრათ თავიანთი ხალხისა და ქვეყნის ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულება, ტრადიცია და წესრიგი. ბევრ შემთხვევაშიც, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ახალ, ამა თუ იმ ღმერთს ჰქმნიდნენ.

გაივლის მრავალი წლები, ასწლეულები და ათასწლეულები. ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებში ბევრ სხვა ახალ ღმერთებს შეჰქმნიან, მოიგონებენ და დასწერენ. ზოგნიც შეიძლება, ქალის, დედის მიერ ნაშობნი აღიარონ ღმერთებად, ზოგნიც კი შეიძლება ხალხთა შორის ცოცხლად დაიარებოდნენ ღმერთებად ან ღმერთის შვილებად იწოდებოდნენ ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად. ეხლა კი თქვენ თვითონ დაფიქრდით, რომელია ნამდვილი ღმერთი – ღმერთი, რომელმაც წარმოქმნა ადამიანი, თუ ადამიანის მიერ მოგონილი უამრავი ღმერთები.

ქართლში შესაძლებელია, მომავალში კიდევ სხვა ახალი ღმერთები შეჰქმნან და დააწესონ.

რა უნდა ჰქნას ადამიანმა? ამდენ განსხვავებულ ღმერთებში რომელ ერთ ღმერთს უნდა მიაგოს პატივი და რომელი ერთი ღმერთი უნდა იწამოს?

გამოსავალი ერთია!.. ქართლში რომელი ღმერთიც არ უნდა არსებობდეს, ქართველმა ადამიანმა პატივი უნდა სცეს თავის ხალხს, თავის ქვეყანას, თავის სამშობლოს, თავის სისხლ-ხორცს, თავისი ქვეყნის კეთილ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს, განერიდოს ბოროტებასა და აკეთოს სიკეთე.

რუსუდანის ახსნა-განმარტებამ დიდად ჩააფიქრა ბავშვები.

ლელა შეუმჩნევად მანდილით ცრემლს იმშრალებდა.

სამფეხა სკამზე ცეცხლთან ჩამომჯდარი ბაკური თითქოსდა ცეცხლის მოგიზგიზე ალში სამარას, ადარნასეს, თავის წინაპართა და გარდასულ გმირთა აჩრდილებს ხედავდა და გრძნობდა გონების თვალით, თუ რამხელა პასუხისმგებლობა ჰქონდა მას დაკისრებული მოზარდი თაობის სულის გამოწრთობა-გამობრძმედაში და მათს

გულებში ისეთი თვისებების გაღვივება-აღმოცენებაში, რანიც რომ ძე-ხორციელს ნამდვილ ღირსეულ ადმაიანად და სახელოვან მამულიშვილად აქცევდა.

რუსუდანსა და ფარნავაზს შუა ჩამჯდარი ქალთამზე დაღალა სწავლამ. მართალია, ჩუმად იმყოფებოდა, მაგრამ მოუსვენრად იყო. სხვებისაგან შეუმჩნევლად დროდადრო ქულაჯის კალთას დაქაჩავდა ხოლმე, ან ფეხზე პწკენდა გვერდით მჯდომ ფარნავაზს.

პატარა ქალთამზე ჯერ მხოლოდ ექვსი წლისა იყო და სწავლაზე მეტად თამაში მოსწონდა.

ფარნავაზი პატარა ქალთამზეს ყველაზე მეტად ანებივრებდა. ტყიდან ან ნადირობიდან დაბრუნებულს ხშირად ტყის ხილი, ცოცხალი ფრინველი ან პატარა ცხოველი მიუყვანია და მიურთმევია გოგონასთვის, რომელიც აღტაცებულ-გახარებული, ხშირად კისერზე მოხვეული ჩამოჰკიდებია მოცინარეს, სანამ ფარნავაზი ზურგსუკან დამალულ ტყის ნობათს არ გამოაჩენდა.

პატარა ქალთამზესათვის ბაქარიც და ფარნავაზიც დებთან ერთად და-ძმანი იყვნენ მისთვის, მაგრამ ფარნავაზი მაინც გამორჩეულად უყვარდა.

სწავლებისას ფარნავაზისაკენ გაცუნცულდებოდა ხოლმე და მაგიდასთან მიმჯდარს ქალთამზე გვერდით მიუსკუპდებოდა.

დრო გადიოდა...

ხანდახან ფარნავაზი და ბაქარი ერთმანეთს მშვილდის სროლაში ეპაექრებოდნენ, ნაპრიიდან ნასროლი ქიბურჯით ვინ მეტ კალმახს მოისრავდა მდინარე არაგვში,.

ბაკური თვალს ადევნებდა ყმაწვილებს და კეთილი რჩევებით სასიკეთოდ სწვრთნიდა მათ.

მათს შორიახლოს მწვანე მოლზე ჩაცუცქულნი გურანდა, ნანი და მზექალა, დაწნული პატარა კალათებით მოისრულ თევზს აგროვებდნენ და მოხარული შეძახილებით თავიანთ ძმებს ამხნევებდნენ.

ფარნავაზი და ბაქარი ბაკურს ხანდახან მწყემსებთან მიჰყავდა, ხანაც უბრალო გლეხკცთა ოჯახებს სტუმრებოდნენ, რათა მოზარდ ჭაბუკებს ახლოს გაეცნოთ ქართველი კაცის ყოველდღიური ცხოვრების არსი.

ხშირად ეხმარებოდნენ სიდუხჭირეში ჩავარდნილ გაჭირვებულებსა და ობლებს.

საბრძოლო ხელოვნებაშიც დიდად დაოსტატებულიყვნენ ურთიერთშეზრდილი ძმადნაფიცები.

სწავლებაშიც დიდი ბეჯითობა ეტყობოდათ ყველას. რუსუდანი დიდად კმაყოფილი იყო ვაჟებისა და ქალიშვილებისა. ყველანი უკვე კარგად ფლობდნენ ძველარამეულ და ბერძნული ხელნაწერი ტექსტების კითხვას, დამწერლობაც საკმაოდ ხელეწიფებოდათ.

ერთ დღეს, ერთ-ერთი სწავლების დროს ქალთამზე ფარნავაზს გვერდით მიუჩოჩდა და უთხრა: ფარნავაზ, გთხოვ, მასწავლე ჩემი სახელი როგორ დავწერო, ოღონდ ქართულად, სხვა ენაზე არ მინდაო.

ქალთამზის მოთხოვნაზე ყველას გაეცინა და გამხიარულდნენ. ფარნავაზმაც პატარა გოგონა გვერდით მოისვა და ხარის ბეჭის ძვალზე ძველკოლხური დამწერლობის სიმბოლიკით გამოხატა ქალის სიმბოლო და მზე.

შემდეგ შეეკითხა თვალებგაფართოვებულ გაოცებულ ქალთამზეს:

– აბა, მითხარი, რას ხედავს შენი ლამაზი თვალები?

ქართლამზემაც სხაპა-სხუპით წამოიძახა:

– ქალი და მზე, ესე იგი ქალთამზე! (ძველკოლხური სიმბოლური აღმნიშვნელობითი დამწერლობა არ დაიხვეწა და არ განვითარდა, რადგანაც მრავალგზის შემოსევებმა და სხვა კულტურების ექსპანსიამ, დასცა კოლხეთის კულტურულ-საგანმანათებლო ცხოვრება და შემდეგ კი თვითონ კოლხეთიც გადაგვარდა.

იმდროინდელ სამყაროში ინდოეთიდან ბალკანეთამდე გავრცელებული იყო, ერთი საერთაშორისო და სავაჭრო ენა ძველარამეული, რომელიც ყველა იმდროინდელ სახელმწიფოებში მეორე ენად ითვლებოდა საკუთარი ენა-დამწერლობის შემდეგ.

მაკედონელის ეპოქაში ძველარამეული ძველბერძნულმა ენა-დამწერლობამ შეავიწროვა).

IX

აზონი მცხეთაში ბერძნულ ენა-დამწერლობას იყენებდა, თუმცა იმ დროს მცხეთაში ხალხი ექვს განსხვავებულ ენაზე მეტყველებდა: ქართულად, ბერძნულად, სომხურად, არამეულად, ებრაულად და სპარსულად, რადგანაც მრავლად იყვნენ მცხეთაში უცხოელი ვაჭრები, ხელოსნები და სხვადასხვა საქმის ოსტატ-შეგირდნი.

ფულად ერთეულად აზონს ქართლში შემოღებული ჰქონდა მაკედონელისეული თეთრი, დრაჰმის ვერცხლის ფული, რომელიც იმ ეპოქაში ოქროზე მეტად ფასობდა.

მცხეთაში ყველა მახლობელი ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები და მყიდველნი, ხელოსნები და მეწარმეები, ქართველ გლეხობას კი მცხეთაში შეჰქონ-

დათ თავიანთი ნაწარმი ხილ-ბოსტნეული, ხორცეული, საქონელი და ღვინო.

მცხეთის საბაზრო დიდ მოედანზე მუდამ ხალხმრავლობა იყო, სიცოცხლე სჩქეფდა და ათასფერად აჭრელებული ბაზრის მოედანზე უამრავი აღმოსავლური სურნელ-სანელებელთა არომატი ტრიალებდა.

ფარნავაზს და ბაქარს მთელი მთა შემოვლილი ჰქონდათ ბაკურთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაშიც რამდენიმეჯერ ყოფილან გადასულნი.

მცხეთაში დიდი დღესასწაულისა და დიდბაზრობის დღე ახლოვდებოდა.

ბაკურმა გადაწყვიტა, რომ დრო დადგა ფარნავაზსა და ბაქარს ქართლის გული – მცხეთაც გაეცნოთ.

სამივემ მწყემს-მონადირის სამოსი გადაიცვეს და ვითომცდა, ტყავ-ბეწვეულის გასასყიდლად, ცხენზე ამხედრებულნი მცხეთას გაემგზავრნენ.

ფარნავაზი და ბაქარი გააოცა დიდებული მცხეთის სიდიადემ. ასეთი დიდი ქალაქი მათ ჯერ არ ენახათ. ამდენი ციხეები ერთად თავშეყრილი პირველად იხილეს. მცხეთის ბაზრის მოედნის სიდიდემ და სიჭრელემ, ათასგვარმა საქონელმა, უამრავი ჯურის ხალხმრავლობამ გააკვირვა ჭაბუკები. ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ ყოველივეს, რასაც პირველად ხედავდნენ მცხეთაში.

ისინი გააოცა უცხოეთიდან შემოსულმა აქლემების ქარავანმა, რომლებიც ძვირფასი აბრეშუმისა და ხატაული ფართლეულით დატვირთული საპალნეებით დამძიმებულნი, ღვინის ტიკებით სავსე კამეჩებშებმული ურმების გვერდით ფეხებმოკეცილნი მიწაზე გაწოლილიყვნენ და ზანტად იცოხნებოდნენ.

მათს შორიახლოს ცოცხალი საქონლის ვაჭრობა გაეჩაღებინათ. ხარ-ძროხის, ცხვარ-თხის, გოჭ-ქათმისა და ცხენ-სახედართა საერთო ხმაური ერთიან დიდ ღრიანცელად გარდაქმნილიყო.

ბაკური, ბაქარი და ფარნავაზი სწრაფად გაერიდნენ ბაზრის განაპირა ადგილს და მოედნის შუაგულისაკენ გადაინაცვლეს.

ხორბლისა და ფქვილის დახლებს მოჰყვებოდა ბოსტნეულის, თაფლისა და ყველ-მაწონის დახლებთა გრძელი რიგები, რომლებსაც ენაცვლებოდა ერთმანეთის გვერდით ლამაზად გაწყობილი თიხისაგან დამზადებული დოქები და ჯამ-ჭურჭელი, იქვე მოოქროვილ-მოვერცხლილი თასები, ჭურჭელი, გრძელყელა სურა-დოქები და მარგალიტებითა და პატიოსანი ქვებით მოოჭვილნი ძვირფასი სამკაულები მზეზე ელვარებდნენ.

მოედნის მარცხენა მხარეს სადღაც მწვადიც იწვებოდა და მისი კვამლის ოხშივარი გადარეული იყო მოედნის შუაგულში განლაგებული უცხო სანელებლებ-საკაზმის სურნელისა და მრავალნაირი ხილისა და ტკბილის დახლებიდან მომავალ სურნელთან.

ცოტა მოშორებით მოწნული გოდრები დაედგათ, რომლებშიც არაგვსა და მტკვარში დაჭერილი, ჯერ კიდევ ცოცხალი თევზი სხმარტალებდა.

ბაზრის მოედნის მარჯვენა მხარეს განლაგებულ დახლებში, განეთავსებინათ უამრავი განსხვავებული სამოს-მოსართავები, წუღები და ქალამნები, ათასნაირი ნაქარგები და საოჯახო ნივთები.

თითქმის ყველა დახლის მეპატრონე ხმამაღლა გაჰყვიროდა და გაიძახოდა, ხარისხსა და ფასს უქებდა თავის საქონელს.

მოედნის ერთ მხარეს ხალხი შეჯგუფებულიყო და უსმენდნენ მელექსე-მოშაირეს, რომელიც ურემზე შემომდგარიყო, ორსიმიანი ფანდური ხელში აეღო და დაამღერებდა:

„ორ მკლავზედა გაწოლილა წყალში,
მცხეთა არის დიდქალაქი ქართლში,
საქართველო კავკასიის მთებში,
ბრწყინავს როგორც მარგალიტი ზღვებში...“

ღვინით კარგ ხასიათზე მოსულ მომღერალ მეშაირე-მელექსეს ხალხი სიცილით გასძახებდა ხოლმე: „ეგრეა, ეგრე! მართალი ხარ, მართალი!“

გათამამებულმა მელექსემ კიდევ უფრო მოუმატა ხმას:

„დრომ აგვრია, ჟამთა ვითარებამან,
ხმალ-აბჯარი დაგვიჟანგა წლებამან,
უფალს შევთხოვ, არ დაგვტოვოს მარტონი,
ნეტავ ქართველთ გამოგვიჩნდეს პატრონი“.

მელექსის გარშემო შეკრებილმა ხალხმა, ზოგიერთმა თავი დაუშვა, ზოგს ცრემლი მოადგა თვალს, ზოგმაც კი მწარედ ამოიოხრა:

– ეჰ, როდის გვეღირსება, როდისღა?..

– გისმინოს განგებამ! – გაისმა ხალხს უკან ხმა და მელექსესაკენ წამოვიდა ღვინის დოქითა და ჯამით ხელში საბა მჭედელი. მიუახლოვდა მას, ღვინო თიხის ჯამში ჩამოასხა, მიაწოდა მელექსეს და თან დააყოლა: „შაირობა კარგი გცოდნია, მაგრამ ფრთხილად იყავი, აზონის ხალხითაა სავსე ბაზარიო“ და თვალით მიანიშნა

შორიახლოს მოსიარულე შეიარაღებულ ბერძენ წესრიგის დამცველებზე.

მელექსემ ღვინით სავსე ჯამი საბა მჭედელს ჩამოართვა, ჯამი გაშლილი ხელით ზე აღმართა და ორლესული შაირი გალექსა:

„საზონი და საწონიო,

დროის თვალით საზომიო!“

მის გარშემო შეკრებილი ხალხი მიუხვდა მელექსეს სიტყვათა თამაშს და ბაგეებთან ღვინით ჯამმიდგმულ მეშაირეს, სიცილით მიაძახეს: „ გაამოს, გაამოს! დაიმსახურე! გეკთუვნისო“.

ბაკური, ბაქარი და ფარნავაზი ღიმილით შეჰყურებდნენ ღვინით შეთამამებულ მელექსეს.

ბაკურმა ოდნავ წინ წაიწია და საბა მჭედელს გასძახა. საბამ შორიდანვე შეიცნო თავისი ახლობელი ბაკური და ხელგაშლილი მისკენ გამოეშურა.

საბა მჭედელი განთქმული ოსტატი იყო და დღეს თავის შეგირდებთან ერთად მცხეთის სადღესასწაულო დიდ ბაზრობაზე ნამუშევრები გამოეტანათ.

საბას დახლი იქვე იყო, სადაც მელექსე და ხალხი შეკრებილიყვნენ. საბამ ბაკური მიიწვია თავის სავაჭრო დახლთან, იქ გამოეფინათ უამრავი სხვადასხვა რკინის ნაკეთობანი და ცხენის საკაზმ-აღჭურვილობანი.

– ბიჭო, ცხენები ჩრდილში დააბინავეთ! – გასძახა საბამ თავის შეგირდებს, რომლებიც მაშინვე წამოიშალნენ და ცხენები ჩამოართვეს ბაკურს, ფარნავაზსა და ბაქარს.

ბაკურმა წარუდგინა საბას თავისი შვილი და შვილობილი.საბამ სტუმრები დაბალ სამფეხა სკამებზე დასაჯდომად მიიწვია, სადაც გრძელ ტაბლაზე პატარა

სუფრა იყო გაშლილი.

დასასვენებლად ჩამომჯდარმა ბაკურმა თვალი შეავლო დახლში გამოფენილ ნაკეთობებს, ხელობა შეუქო საბა მჭედელს და ღვინის ჯამით მარჯვენა დაულოცა.

მცირე საუბრის შემდეგ ბაკურმა საბას აუწყა, რომ მისი ვაჟკაცებით იგი მცხეთის სანახავად იყო ჩამოსული და საბას საჩუქრად უნაგირების მოსართავ-მოსაკაზმად ტყავ-ბეწვეული გადასცა.

საბამ აუწყა ბაკურს, რომ მცხეთაში ხვალისათვის დიდი ჯირით-ყაბახი და ასპარეზობა უნდა გამართულიყო და ბაკურს თავის ოჯახში ღამით დარჩენა შესთავაზა. შემდეგ საბამ ბაკურს ცხენისათვის საჭირო აღკაზმულობა უსაჩუქრა და თან დასძინა:

– განგებას კაცისა და ცხენის შუამავლად მჭედელი გაუჩენია, რადგანაც მჭედლის მიერ გამოჭედილი ლაგამია, რომელიც რომ ცხენს აიძულებს კაცისადმი თვინიერებისა და მორჩილების ქონას.

ბაკურმა, ბაქარმა და ფარნავაზმა მთელი დღე მცხეთაში დაჰყვეს. მათ თავიანთი მანდილოსნებისათვის ბაზრად მცირედი საჩუქრებიც შეიძინეს.

მთელი მცხეთა მოიარეს, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდინარეშიც გაიბანავეს ზუსტად იმ ადგილის მოპირდაპირედ, სადაც ქართის მთაზე აღმართული იდგა, ოდესღაც ქართლის მეფეთა ზვიადი ციხე-სასახლე.

წყალში მკერდამდე შესულ ჭაბუკებს ბაკური უხსნიდა ამ ციხე-სასახლის ისტორიულ წარსულს და დროდადრო ბერძენ მებრძოლებს გაჰხედავდა ხოლმე, რომლებიც სამეფო სასახლისაკენ მიმავალ მდინარეზე გადებულ ხიდს იცავდნენ.

ფარნავაზი მდუმარედ ისმენდა ბაკურის მონაყოლს და გულში ჯავრ-ცეცხლი უტრიალებდა აზონის მეციხოვნეთა შემხედვარეს, რომლებიც ამაყად გადმომდგარიყვნენ ციხესიმაგრის გალავანზე.

საღამო ხანს ბაკურმა და ჭაბუკებმა ისევ მცხეთაში გაისეირნეს, შემდეგ ერთ-ერთ მოსასვენებელ-საჭაშნიკეში ვახშმად პირსაპატიო კერძები მიირთვეს და დაღამებისას ბაკური, მცხეთის სიდიადით აღფრთოვანებულ-აღტაცებულ ჭაბუკებთან ერთად, დასაძინებლად



მცხეთა ფარნავაზის ეპოქაში.
მხატვარი ზურაბ კალატოზიშვილი

საბა მჭედლის სახლისაკენ გაეშურა.

მცხეთის დიდ დღესასწაულობისას, აზონის ბრძანების თანახმად, მცხეთის დიდ მოედანზე ყოველწლიურად ეწყობოდა მშვილდოსან-მოჯირითე მებრძოლთა შეჯიბრი-ასპარეზობა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ აზონის ბერძენ-მეომარნი, თითო-ოროლა უცხოელნი და ზოგიერთი ქართველი მოპაექრე მოასპარეზე.

ყოველწლიურად ჯირით-ასპარეზობის გამარჯვება წილად ხვდებოდა ხოლმე აზონის პირადი დაცვის რომელიმე მებრძოლს.

ღვინით შეზარხოშებული და დიდად კმაყოფილი აზონი თვით გადასცემდა ხოლმე ასპარეზობის გამარჯვებულს მთავარ ჯილდოს და შემდეგ სამეფო სასახლეში დიდ ზეიმ-ვახშმობასა და ნადიმ-წვეულებას აწყობდა.

მცხეთის დიდ მოედანზე ხალხს დილიდანვე მოეყარათ თავი ხელსაყრელი ადგილების დასაკავებლად.

მებრძოლ-მოჯირითეთა და მოასპარეზეთა ნახვა მცხეთისა და მისი შემოგარენის მაცხოვრებელ ხალხში დიდ ინტერესს იწვევდა. სტუმარ-მაყურებელიც ბევრი მოდიოდა ამ დროს ქართლის გულში.

ბაკურმა, ფარნავაზმა, ბაქარმა და საბა მჭედელმაც მიაშურეს მცხეთის ბაზრის დიდ მოედანს და მაყურებელთა შორის ადგილი დაიკავეს.

ბუკებს ჩაჰბერეს და მოედნის თავში დადგმულ, შემაღლებულ, განიერ მოჩარდახებულ კვარცხლბეკზე გამოვიდა აზონი თავისი დიდებულებითა და პირადი დაცვით გარშემორტყმული.

ოქროსფერ ტოგაშემოსილი, წითელ ხალათმოსხმული და სამეფო გვირგვინმორჭმული აზონი მისთვის განკუთვნილ ტახტზე დაბრძანდა.

ბერძენ მებრძოლთა მისალმება-შეძახილს აზონმა ხელის აწევით უპასუხა და შემდეგ თავის დაკვრით ანიშნა თანაშემწეს ასპარეზობა-შეჯიბრის დაწყება.

მაყურებელთა შორის ჩამდგარი ფარნავაზი მოჯირითეებსა და მშვილდოსნებს ყურადღებას არ აქცევდა და მათ არსებობას ვერც კი ამჩნევდა, მისი გახევებული მზერა და მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მხოლოდ ერთ ადამიანზე, რომელსაც ფარნავაზი პირველად ხედავდა.

ეს ადამიანი იყო ფარნავაზის მამისა და ბიძის მკვლელი, ქართლის დამპყრობელი აზონი.

ფარნავაზს ორმხრივ მისი აღმზრდელი ბაკური და ერთგული ძმადნაფიცი ბაქარი ამოსდგომოდნენ. ისინი გრძნობდნენ ფარნავაზის აღლევებულ მდგომარეობას, ხედავდნენ, როგორ ჩაებღუჯა მუჭში უბეში შემალული ხანჯლის ტარი და რკინისებური მკლავებით ცდილობდნენ მის შეკავებას. ბაკური გადაიხარა ფარნავაზისკენ და მშვიდად წასჩურჩულა:

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, შვილო, ჯერ ადრეა, მოთმინებაა საჭირო, დიდი მოთმინება.

ფარნავაზი უცებ გამოფხიზლდა, ბაკურს რამდენჯერმე უხმოდ დაუქნია თავი და მარჯვენა ხელი უბიდან ამოიღო.

ბაკურმა ფარნავაზსა და ბაქარს მიმართა:

– გავეცალოთ აქაურობას! – საბა მჭედელს გამოემშვიდობა და სამივემ ერთად მცხეთის დიდი მოედანი დატოვა.

X

მთაში დაბრუნებულებმა ფარნავაზმა და ბაქარმა თავთავიანთ დედებსა და დებს მიართვეს მათთვის მცხეთაში შეძენილი საჩუქრები. მანდილოსნებმა დიდად გაიხარეს ფერადი ხატაული აბრეშუმებისა და ლამაზად მორთული ფეხსაცმელების ხილვისას.

განსაკუთრებით გაუკვირდათ სპარსეთიდან შემოტანილი და უცხო ხილად მოხსენიებული, ტკბილი ნუგბარი, შაქარ-ყინული, რომელიც ახლად შექმნილ-მოგონებული ჰქონდათ იმდროინდელ სპარსეთში და მექარავნე ვაჭრებს მისი მცხეთაში შემოტანა დაეწყოთ.

მართალია, ფარნავაზი არ ამხელდა მცხეთაში აზონის ნახვის ამბავს, მაგრამ დედამისი, რუსუდანი გრძნობდა, რომ იქ რაღაც მოხდა.

დედის გულისტკენას ერიდებოდა ფარნავაზი და მდუმარედ იყო, მაგრამ მისი სახეცვლილება რუსუდანმა უმალვე შენიშნა.

ბაკურთან ცალკე საუბრის დროს, რუსუდანმა სთხოვა, რომ სიმართლე ეამბნა, რა მოხდა მცხეთაში, რადგანაც ფარნავაზის გულჩახვეულობის მიზეზი დედას უნდა სცოდნოდა. მიზეზისა და ძირის შეცნებით კი ყოველივე რთულისა და საჩოთირო საქმის გახსნა და მოგვარება უფრო იოლი იქნებოდა.

ბაკურს აღარფერი დაუმალავს და დაწვრილებითუამბო, რაც მცხეთაში შეემთხვათ.

რუსუდანმა ბევრი იფიქრა და რამდენიმე დღის შემდეგ გადაწყვიტა, გულის გადასაყოლებლად ოსეთში ახლობლებთან გაეგზავნა ფარნავაზი და ბაქარი. მართალია, ისინი ბაკურთან ერთად რამდენჯერმე ყოფილან ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ამჯერად, მათ მარტო მოუწევდათ წასვლა და მოგზაურობა.

რუსუდანმა იხმო ორივე და ესაუბრა მათ:

– წარღვნაგადარჩენილი ნოეს შთამომავალნი არიან მთელი კავკასიის ყველა მეფენი და ქვეყნის მმართველნი, როგორც კავკასიის აქეთა მხარეს, ისე, მთასიქეთა მხარესაც. ნოეს სამ შვილთაგან მესამე ვაჟის, იაფეტის შთამომავალნი არიან ისინიც და შენც, ფარნავაზ.

იაფეტის მემკვიდრეობითი შტოს შთამომავალი იყო თარგამოსი, რომელსაც რვა შვილი ჰყავდა: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანოსი, ლეკოსი, ჰეროსი,

თარგამოსი და მისი შვილები

კავკასოსი და ეგროსი.

ქართლოსის შვილები იყვნენ: მცხეთოსი, კახოსი, კუხოსი, გაჩოსი და გარდაბოსი. ამ ხალხთა საცხოვრებელ ადგილ-სამფლობელოებს მათივე სახელები ეწოდათ.

მცხეთა-ქალაქის დამაარსებლის, მცხეთოსის, ქართლოსის უფროსი შვილისა და ქართველთა მეფის პირდაპირი შთამომავალი და მემკვიდრე შენ ხარ, ფარნავაზ.

სამარასა და მისი ძმის, ადარნასეს სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტი შენ გეკუთვნის და შენღა დარჩი, ქართლოს-მცხეთოსის ძირ-ფესვის გამგრძელებლად.

კავკასიის ყველა მმართველ-მეფეებთან ნათესაურ-ახლობლური ურთიერთობები უნდა დაამყარო და განამტკიცო კავშირები. ერთმანეთისადმი დახმარება უნდა გასწიოთ და საფუძველი ჩაუყაროთ მუდმივ მჭიდრო და მტკიცე ურთიერთობას.

დროა, ფარნავაზ, რომ დაიწყო ამ სასიკეთო ხიდების გაბმა-შენება, ბაქარიც მუდამ გვერდით გეყოლება. ჯერ ნაკლებ საშიში ადგილებიდან დაიწყე ქმედება, აზონისაგან შეუმჩნევლად. ეწვიე ოვსთა და ლეკ-დურ-ძუკთა მეფეებს, შემდეგ კი შინაურ მმართველებთან ურთიერთობის დროც დადგება.

***

ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალ ფარნავაზსა და ბაქარს შანშე ხევისთავმა წერილ-არზები და მცირედი

მოსაკითხი გაატანა ოვსთა და დურძუკთ მეფეთათვის გადასაცემად.

ჩრიდლოეთში კარგად მიიღეს დავაჟკაცებული ფარნავაზი და ბაქარი. ისინი ახლო ურთიერთობას ამყარებდნენ ოვსთა და დურძუკთა სამეფო კარის ოჯახებთან. ლხინში, გართობასა და ჯიხვზე ნადირობაში ატარებდნენ მეტწილად დროს.

ერთი თვე დაჰყვეს ფარნავაზმა და ბაქარმა ჩრდილოეთში და შემდეგ ისევ სახლისაკენ, ქართლში გამობრუნდნენ. გზად ქალებისათვის საჩუქრებად ვერცხლის მოსართავ-სამკაულები შეიძინეს.

შემოდგომის დამდეგს ფარნავაზი და ბაქარი შანშე ხევისთავის ციხეში დაბრუნდნენ. მალე მთაში ნაადრევი თოვლიც ჩამოწვა, რომელსაც შემდეგ გრძელი ზამთარი მოჰყვა.

ბაკურისა და რუსუდანის ოჯახებმა გააგრძელეს ჩვეული ზამთრის ცხოვრება. გარეთ დიდთოვლობა იყო და სახლში ცეცხლთან ახლოს მიმსხდარნი ოჯახის წევრები ცდილობდნენ, წერა-კითხვაში, სწავლასა და ხელსაქმეში მოეკლათ დრო.

ფარნავაზი და ბაქარი მთელი ზამთრის განმავლობაში მოწყენილნი, მოუსვენარად იყვნენ.

ოც წლამდე მიღწეული ვაჟკაცებისათვის დრო უაზროდ გადიოდა. სახლში რაც კი ხელნაწერები და წიგნარზები არსებობდა, რამდენჯერმე ჰქონდათ გადაკითხული. დიდთოვლობისას სანადიროდ წასვლას და თავის შექცევას აზრი არ ჰქონდა, რადგან ასეთ დროს ნადირ-ცხოველი ბარად ჩადიოდა.

ბაქარსა და ფარნავაზს მთაში ცხოვრება და სახლში ცეცხლთან ჯდომა აღარ აკმაყოფილებდათ. მთა უკვე

პატარა იყო მათთვის. ოცი წლის ვაჟკაცთა გონებამოწიფულობასა და მკლავის სიმარჯვეს მეტი სარბიელი და გასაქანი ესაჭიროებოდა. მთა ეპატარავებოდათ და მათი გულები დიდი ცხოვრების თავბრუდამხვევ კორიანტელში ჩაბმას ესწრაფოდნენ.

გაზაფხულის დადგომამდე, სანამ სანადიროდ შესძლებდნენ გასვლას, ფარნავაზი და ბაქარი მშვილდოსნობასა და ფარიკაობაში ჰკლავდნენ დროს. მათ ყოველდღიურ ჭიდილს ციხის თოვლიან ეზოში მამაკაცები სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს და ბაკურს უქებდნენ აღმზრდელობას.

ქალები სარკმელებიდან შეშფოთებულნი უმზერდნენ ხმალთა ნაპერწკლების ფრქვევას და ხანდახან ლელა თუ გასძახებდა ხოლმე თავის ქმარს: „ბაკურ, დაუცხრე ბიჭებს ვნებანი, ზიანი არ უყონ ერთმანეთსო“.

ბაკურის ძმას, კახაბერს ხუთი ვაჟი ჰყავდა. ისინიც კარგი ვაჟკაცები იზრდებოდნენ და მთის აფთრებივით მამაცნი იყვნენ. ფარნავაზი და ბაქარი ხანდახან ხუთივე ძმას გამოიწვევდნენ ხოლმე საფარიკაოდ და ციხის შიდა ეზოში ისმოდა ხმალ-ხანჯალთა კაფიაობა და რკინათა კვესა-ჟღარუნი.

ერთმანეთთან ზურგით შებრუნებული ფარნავაზი და ბაქარი მოხერხებულად იგერიებდნენ თამამად და ონავრად შემოტეული ხუთივე ძმის ხმალ-ხანჯალს. მებრძოლებს ორივე ხელში ან მხოლოდ ხმლები ეჭირათ, ან ხმალი–ხანჯალი.

ციხისთავზე გადმომდგარი შანშე ხევისთავი, კახაბერთან და ბაკურთან ერთად, ღიმილით ადევნებდა თვალს თავის შვილიშვილებს და დროდადრო სიცილით

ჩასძახებდა ეზოში მოფარიკავეთ: „აჰაი! ნუ დახოცეთ ერთმანეთი, დანდობით, დანდობითო!“.

ბრძოლის ეშხში შესულ სისხლალეწილ ჭაბუკებს დედათა სიტყვები თუ დააშოშმინებდათ, რომლებიც შვილებს სადილად უხმობდნენ და ცოტა ხნის შემდეგ მედგრად მებრძოლი ვაჟკაცები უფროსებთან ერთად სუფრასთან მიმსხდარნი სიცილ-ხუმრობით მოთუშულ ხბოსა და ცხელ ხინკალს მიირთმევდნენ, ახლად მოხარშული ლუდისა და ჟიპიტაურის არყის თანხლებით.

მალე ზამთარიც მიილია. გაზაფხულმა ვნებიანად იფეთქა და ნადირობის დროც დადგა. ტყეში გასვლას მონატრებულმა მონადირეებმაც მოუხშირეს სანადიროდ გასვლას.

მთაში მყვირალი ირემი ბრუნდებოდა, ტყეებში ტახი მომრავლებულიყო და ლორთქო ბალახებში გარეულ ღორთა კოლტები დაშლიგინებდნენ; ოდნავ ჩაბარებულში კი გნოლ-როჭო-კაკაბნი და დურაჯ-ხოხობნი იწყებდნენ ყელყელაობასა და თავმოწონებას.

გაზაფხულის ყვავილოვანი მთა-ველ-მინდვრები მრავალფერად აჭრელებულიყო.

ჰაერში გაცოცხლებულ-გაღვიძებული მიწის სურნელ-ოხშივარი ტრიალებდა. ბუნებას სიცოცხლე უბრუნდებოდა.

XI

რამდენიმე დღე გასულიყო, რაც ბაკურმა და რუსუდანმა ოჯახებით შანშე ხევისთავის ციხე დასტოვეს და საცხოვრებლად ისევ თავიანთ საყვარელ, ბარის სახის მსგავს სოფლად გადავიდნენ.

გვიანი გაზაფხულის, ვარდობისთვის მზიანი დღე

იყო.

დილით ადრე სანადიროდ გასული ფარნავაზი და ბაქარი ნანადირევი ფრინველით სახლში ბრუნდებოდნენ. შუადღის მზე გადასული იყო, როდესაც ტყიდან გამოვიდნენ და ჭალის მიმართულებით მდინარე არაგვისაკენ დაეშვნენ გასაგრილებლად.

ერთ რამედა ღირდა ოცდაერთწლამდე მიღწეული ძლიერი ვაჟკაცების, ფართე მხარ-ბეჭით, მაღალი, მშვენიერი და სასიამოვნო გარეგნობის მქონე ახოვანთა ხილვა. ფარნავაზი და ბაქარი მხიარული სიცილ-ხუმრობით მიუახლოვდნენ არაგვს. შენიშნეს, რომ მდინარის ნაპირთან ახლოს მათი დები იმყოფებოდნენ.

გოგონები მზის სითბოს დახარბებოდნენ და მდინარის წყალში ბანაობა-თამაშით ერთობოდნენ და მხიარულობდნენ, ეტყობოდათ, რომ გრძელი, ცივი ზამთრის შემდეგ, მზის სითბო და მდინარის წყალი მონატრებოდათ.

დებმაც დაინახეს ტყიდან ჭალად გამოსული ძმები და მათ შესახვედრად წყლიდან ამოსვლა დააჩქარეს.

ფარნავაზის დები, გურანდა და ნანი, მდინარის ნაპირთან შეყოვდნენ, რომ სისველე ოდნავ შეეშროთ და სველ პერანგებზე ზემოდან კაბა-სამოსი გადაეცვათ. ქალთამზე კი სველი, თეთრი პერანგითვე, ფეხშიშველი, ჰაეროვანი სირბილ-ნახტომებით მონადირეებისაკენ გაეშურა.

ბაქარმა ნაბიჯს მოუჩქარა, მოისრული სამი ტყის ფრინველი ქამრიდან შეიხსნა, გოგონების დასანახად ნანადირევი ხელგაშლილად გამოაჩინა და მოწყურებულმა მდინარის პირას მდგარი წყლის დოქისაკენ გასწია.

ქალთამზე ძმას წინ შეხვდა, თბილად მიესალმა, შემდეგ სველი ხელების თითებიდან ჩამომდინარე წყლის წვეთები სახეზე აპკურა და სიცილ-კისკისით ფარნავაზისკენ გაიქცა.

ფარნავაზი შემდგარიყო. მოისრული ტყის ფრინველი ქამრიდან არ შეეხსნა. დღეს პირველად გამოსულიყო სანადიროდ, მას შემდეგ, რაც აქ, არაგვისპირა ჭალის სოფლად გადმოვიდნენ. იცოდა, ქალთამზე მისგან ტყის საჩუქარს რომ ელოდა.

ფარნავაზმა მხარზე გადაკიდებული სასაგზლე ტოპრაკიდან ფოთლებში გახვეული პატარა ზღარბი ამოიყვანა. ზღარბმა ეკლები გადაშალა, მაყვალივით შავი თვალები გამოაჩინა, ცხვირი აქეთ-იქით გააცმაცუნა და შემდეგ დრუნჩი ისევ ეკლებში ჩარგო.

ფარნავაზმა ზღარბიანი ხელი ზუსგს უკან დამალა და მისკენ მსუბუქად, თითის წვერებზე მორბენალ ქალთამზეს გახედა.

ფარნავაზი გაოცებული, სახტად დარჩენილი შეჰყურებდა მწვანე მოლის ფონზე თეთ პერანგში ზეციური ქმნილებასავით ჰაეროვნად მოფარფატე ქალთამზის მოახლოვებას, რომლის ჰაერში მოლივლივე, გრძელ, გაშლილ თმებს ამშვენებდა თავზე დადგმული მინდვრის ყვავილებისაგან მოწნული თხელი გვირგვინი.

ქალთამზე გაზრდილიყო და მეჩვიდმეტე წელში შემდგარი, უმშვენიერესი და ულამაზესი ქალწული დამდგარიყო.

სისველის გამო, თხელი, თეთრი პერანგი გამჭვირვალე და ჰაეროვანი გამხდარიყო, მჭიდროდ შემოტმასნოდა ქალთამზის მაღალ, სრულყოფილ, უბადლო ტანსა და ქალწულის ღვთაებრივ სილამაზეს, სიმსუბუქესა და

იმავდროულად, ვნებას ჰმატებდა.

რაც უფრო უახლოვდებოდა ქალთამზე, მით უფრო მეტი სიცხადით აშკარავდებოდა მისი ჰარმონიული, სრულყოფილი მშვენიერება. გრძელი, ჩალისფერი თმები აკოკრებულ-ათქვირებულ ვარდისფერ მკერდზე ეცემოდა. მაღალი ,თეთრი წვივ-თეძოები ვნებიანად ირხეოდნენ და დროდადრო ბოქვენსზედა თხელი, ოდნავშესამჩნევი სიმუქე გამოიკრთებოდა. რამდენადაც არამიწიერი სილამაზის განსახიერება იყო თვალწარმტაცი ასული, იმდენად სიცოცხლე, სიყვარული, ახალგაზრდობა, ვნებიანობა და მგზნებარება იყო შერწყმული მისი ზეციური ქმნილების მსგავს უბიწო სხეულში.

ქალთამზე მიუახლოვდა ფარნავაზს და მის წინ შეჩერდა. მშვენიერ არსებას სირბილისაგან სუნთქვა აჩქარებოდა და ყოველ ჩასუნთქვაზე მისი გული ისეთი ძალით ბორგავდა, თითქოს ნატიფი, ოდნავ გაღეღილი სველი პერანგიდან ქალწულის ვნებით აღსავსე თბილი მკერდი ამოვარდნას ლამობდა.

ქალთამზე სათნო, თბილი ღიმილით შესცქეროდა დაბნეულ და გახევებულ ფარნავაზს.

მშვენიერ ასულს თეთრ, ბროლისფერ სახეზე ღაწვები ოდნავ ავარდისფერებოდა, ხოლო მისი დიდი, თბილი და ზურმუხტისფერი, მომწვანო ნაზი თვალები სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდნენ.

ქალთამზეს ჯერ კიდევ ბავშვური, უბიწო, თბილტკბილი მომღიმარი ბაგეები ვარდის ფაფუკი ფურცლებივით გაიშალ-გადაიხსნენ და გაისმა მისი ტკბილი ხმა, რომელიც გაჯერებული იყო სიცოცხლის სიყვარულით, ახლაგაზრდული თვითდაჯერებულობით, გუ-

ლითადი კეთილგანწყობით, სითბო-ლმობიერებითა და ზარივით წკრიალა მდიდარი ტონით:

– ჩემო ფარნავაზ, შენი ქალღმერთი დალი გეახლა, დღეს რას შემოსწირავ შენს ღვთაებას?

თბილი, სახუმარო ტონით სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, ქალთამზემ ნატიფად ჩამოქნილი ხელები გადაუშალა ფარნავაზს, სახეზე კი კვლავ შერჩა გულითადი ღიმილი და მოციმციმე თვალები.

ზურგსუკან წაღებული ხელით ფარნავაზი ერთ ადგილზე, გაქვავებულივით იდგა. მას სიტყვისა და მოძრაობის უნარი წართმეოდა და ვერც ვერაფერი ეთქვა და ვეღარც საჩუქარი გამოეჩინა; მხოლოდ თვალებით უცნაურად შესცქეროდა ხელებგაწვდილ ქალთამზეს, რომელსაც წყალნაპკურებ ჩალისფერ თმებზე წყლის წვეთები მარგალიტებივით უელავდა.

უსიტყვოდ და უმოძრაოდ მყოფ ფარნავაზს ქალთამზემ თავი მიუახლოვა, თითის წვერებზე შესდგა, ორივე ხელი მხრებზე დაადო, ჯერ მხარმარჯვნივ გადახედა, მერე მხარმარცხნივ და თან სიცილითა და კისკისით შეეკითხა:

– რას მიმალავ, ფარნავაზ?

ქალთამზეს ნამიანი თმის კულულები ფარნავაზს სახეზე ეხებოდა, მის მხრებზე დაყრდნობილი ქალწულის საამო სურნელი ძალიან ახლოს შეიგრძნო და მთელს ტანში უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა.

ვაჟის მხრებზე დაყრდნობილმა ქალთამზემ შეიგრძნო მისი წამიერი თრთოლვა. უცებ დიდი ყურადღებითა და ინტერესით შეხედა თვალებში და შეშფოთებული, დაბალი ხმით, თრთოლვით შეეკითხა:

– რა მოხდა, რა მოგივიდა, ფარნავაზ?

ფარნავაზი უსიტყვოდ იდგა. ისინი ერთმანეთის სუნთქვას გრძნობდნენ და თვალთა მზერით ცდილობდნენ, ერთმანეთის სულისეულ სიღრმეებს ჩასწვდომოდნენ.

ფარნავაზმა პირველად შეიგრძნო რაღაც ახალი, უცხო, ძლიერი, გამოუცნობი, დიდად სასიამოვნო და იმავდროულად, ბედნიერ-მტკივნეული გრძნობა-ძალა-ენერგია, რომელიც მის არსს, გონებას, აზროვნებას, გულსა და სხეულს დაუფლებოდა და დაჰპატრონებოდა.

ფარნავაზისა და ქალთამზეს თვალთა მზერა სიღრმისეულ შრეებში ერთმანეთს მთელი ძალით შეასკდნენ და უხილავი ცეცხლის ალმა მათ სულებში ქვეცნობიერად წარმოქნილ-დაბადებული ფაქიზი და სათუთი გრძნობა გამოააშკარავა და უფრო მეტი გზნებით გააღვივა. მათი მზერა შეერთდა, მათ იგრძნეს და დაინახეს ერთმანეთის იდუმალი სამყარო. უსიტყვოდ და უხმოდ ბევრი რამ უთხრეს ერთმანეთს.

ქალთამზე თვალს ვერ აშორებდა ფარნავაზის თვალებს, მათი მზერა თითქოს, გაერთიანებულიყო და ერთ დიდ, უცნობ, უხილავ, მაგიურ სამყაროდ ქცეულიყო, სადაც რაღაც ძლიერი, ახალი ძალა და გამოუცნობი ენერგია უამრავი და უხილავი გზა-არხებით იღვრებოდა ორივეს სხეულში, იდუმალ-სასიამოვნო დაძაბულობის თანხლებით. უხვად მოზღვავებული სითბო ფარნავაზისა და ქალთამზეს გულებში მხურვალედ მოგიზგიზე მწველ დიდ გრძნობად გარდაიქმნებოდა.

ქალთამზეს სახეზე ალმურმა დაჰკრა. შეიმცნო და იგრძნო, რომ მოწიფულიყო, გაზრდილიყო, დაქალებულიყო და ბავშვობის დრო დამთავრებულიყო, მის გონებასა და გულში კი ახალი, ჯერ იდუმალი, დიდი გრძნობა

გაღვიძებულიყო, რომელიც მთელს მის სხეულს მხურვალე ცეცხლად ედებოდა.

ბაქარი, გურანდა და ნანი მოახლოვებულიყვნენ და შეჩერებულნი გაკვირვებით შესცქეროდნენ ფარნავაზისა და ქალთამზის უცნაურ საქციელს.

ბაქარს ხელში წყლის დოქი ეჭირა, გურანდასა და ნანის კი ქალთამზის კაბა-სამოსი და ფეხის შესამოსი წამოეღოთ თან, მდინარის ნაპირიდან.

ქალთამზეს ხელები ისევ ფარნავაზის მხრებზე ედო. ისინი ერთმანეთის პირისპირ გაუნძრევლად, უსიტყვოდ იდგნენ და ერთმანეთს კვლავ თვალებში შეჰყურებდნენ. მათთვის გარე სამყარო დროებით გამქრალიყო, რადგანაც შეუცნობლად, უხმოდ და უსიტყვოდ მათი ახლად გაჩენილ-დაბადებული გრძნობა ორივეს გულებში დადუღაბებასა და ერთმანეთთან შერწყმას ლამობდა.

მათ არც უგრძვნიათ, ვერც კი შენიშნეს თავიანთი და-ძმის მოახლოვება.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ, თავდახრილმა ბაქარმა დაბნეულმა გაუწოდა წყლის დოქი ფარნავაზს.

ფარნავაზი და ქალთამზე უცებ გამოფხიზლდნენ, მათი შემაკავშირებელი უხილავი ძალა-ენერგია დროებით დაირღვა და სადღაც გაჰქრა.

შემკრთალმა ქალთამზემ სწრაფად დაიხია უკან . ახლაღა შენიშნა, რომ თხელი ნატიფი და სისველის გამო გამჭვირვალობაში გადასული პერანგი მის ულამაზესსა და მშვენიერ სხეულს სრულყოფილი სიტურფით წარმოაჩენდა. შეცბუნებულმა და დარცხვენილმა გურანდასა და ნანის ჩასაცმელი გამოართვა და იქვე ბუჩქს ამოეფარა.

ფარნავაზმა ფოთლებში გახვეული ზღარბი მიწაზე დასვა, ბაქარის მიერ მიწოდებული დოქიდან სახეზე ცივი წყალი პეშვით შეიპკურა, ცოტა მოსვა და ისევ ქალთამზეს გახედა, რომელიც უკვე სამოსჩაცმული, აწითლებული და თავდახრილი უახლოვდებოდა მათ. ეკლიან ბირთვად ქცეულმა პატარა ზღარბმა ისევ გამოაჩინა მაყვალივით შავი თვალები, მუქი ცხვირის დრუნჩიც აქეთ-იქით გააცმაცუნა, იგრძნო ბალახისა და მიწის სურნელი, კვლავ გადაიშალა და როცა ფეხქვეშ მყარი მიწა იგრძნო, მთლად გაიმართა და აჩქარებული ნაბიჯებით, ფხაკა-ფხუკითა და კურტუმოს ქნევით გაეცალა იქაურობას, რამაც სამივე ქალიშვილის უნებლიე ღიმილი გამოიწვია.

სახლში შვილთა დაბრუნებისას, მშობლებმა გუმანით იგრძნეს, რომ რაღაც მოხდა, თუმცა არავინ არაფერს არ ამხელდა.

რამდენიმე დღის განმავლობაში ფარნავაზი და ქალთამზე ცდილობდნენ, მორიდებოდნენ ერთმანეთს. პერიოდულად, მალულად თვალს თუ გააპარებდნენ წამიერად ერთმანეთისკენ და თუ მათი თვალები შემთხვევით შეხვდებოდნენ, მათს გულებში გაღვივებული დიდი გრძნობა ორივეს სულის სიღრმეში მწველ და სასიამოვნო ტკივილს იწვევდა, სახეზე კი მათ ან სიფითრე გადაჰკრავდათ ხოლმე, ან კი ალმური.

შვილთა ასეთი სახეცვლილება რუსუდანმა და ლელამ მაშინვე შენიშნეს. დედის გული და თვალი, ყველაფერს გრძნობდა და ხედავდა.

ბავშვობიდანვე ყველასაგან განებივრებული, მოსიყვარულე და მუდამ სახეგაბრწყინებული ქალთამზე

ერთიანად შეცვლილიყო. ერთი ხელის დაკვრით მისი ბავშვობა, სადღაც, შორეულ წარსულში გამქრალიყო და გასაოცრად, ყველას თვალწინ მისი არსება უმშვენიერეს, კდემამოსილ და სრულყოფილ, დახვეწილ ქალწულად გარდაქმნილიყო. სახლში აღარ ისმოდა მისი ბავშვური თამაში, სიცილ-კისკისი. გულს, თითქოს, ველარაფერს ველარ უდებდა. საჭმელ-სასმელსაც არ ეკარებოდა. მის სახეზე კი ყველა ამჩნევდა გამოუძინებელ და ნამტირალევ, ოდნავ შესიებულ თვალის ქუთუთოებს.

ფარნავაზიც გულჩახვეული გამხდარიყო. სახლში ველარ ჩერდებოდა და ცდილობდა, სულ სახლსგარეთ ყოფილიყო. ძირითადად ბაქართან ერთად ნადირობა-თავზაობაში და ჯირით-ფარიკაობაში ჰკლავდა დროს.

სახლში ყველა დუმდა. ფარნავაზსა და ქალთამზეს ყველა უხმოდ თანაუგრძნობდა და ცდილობდნენ, მათთვის არაფერი არ ეგრძნობინებინათ, მაგრამ ერთად შეზრდილ ოჯახებს, დიდსა თუ პატარას, უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის.

ყველამ ყველაფერი იცოდა და ყველა ყველაფერს გრძნობდა.

აშკარა და ნათელი იყო ყველასათვის, რომ ფარნავაზსა და ქალთამზეს შორის ბავშვობიდანვე არსებული და-ძმური სიყვარული, ურთიერთობა და მხიარული ხუმრობა-თამაშობანი გარდაქმნილიყო და გადაზრდილიყო გულწრფელ, მხურვალე, ლამაზ და ნამდვილი დიდი სიყვარულის უსაზღვრო გრძნობაში, რომელიც მოულოდნელად მოვარდნილი ძლიერი ნიაღვარივით შეჭრილიყო მათ გულებში.

ორივესათვის საგრძნობი იყო, რომ ყველა გარშემომყოფნი ხედავდნენ და ამჩნევდნენ, რაც მათ გულებ-

ში ხდებოდა, მაგრამ არ იცოდნენ, რა ექნათ, რა ეღონათ და ამით ძლიერ იტანჯებოდნენ და განიცდიდნენ თავიანთ გამოუვალ მდგომარეობას.

დაძაბული ვითარება ისევ რუსუდანმა განტვირთა.

ერთ საღამოს ორივე ოჯახი ვახშმად უსხდნენ სუფრას. მსახურებს კვერები და ოსეთში ნასწავლი ხაჭაპურები დაეცხოთ, შამფურებზე ტყის ფრინველი წამოეცვათ, გასაგრილებლად კი წყაროში ჩაცივებული, თაფლში გადარეულ თხელ მსუბუქ ღვინოს მიირთმევდნენ და ზედ ტყის მაყვალ-კენკროვანს აყოლებდნენ. ყველა კარგ ხასიათზე და მხიარულ განწყობილობაზე იყო, მხოლოდ ფარნავაზი და ქალთამზე ისხდნენ ერთმანეთისგან ოდნავ დაშორებით მოწყენილნი და ურთიერთს თვალს არიდებდნენ.

რუსუდანმა მოვერცხლილი ფიალა ქარვისფერი ტკბილი სასმელით შეავსებინა. ყველას გადახედა და სათნო, თბილი დედობრივი ღიმილით წარმოსთქვა:

– მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთად ცხოვრებას შევუდექით. მრავალი სიხარული და ჭირი ერთად გამოვიარეთ და გავიზიარეთ. ყველას ერთმანეთის მიმართ დიდი სიყვარული და პატივისცემა გაგვაჩნია.

როდესაც ჩვენს შორის თუნდაც ერთი ადამიანი მაინც არს დამწუხრებული და ჩუმად იტანჯება, ყველა დანარჩენებიც ჩვენს გულებში დამწუხრებულნი ვართ და უხმოდ ვიტანჯებით. ყველამ ვიცით, ბავშვობიდანვე ერთმანეთის რა დიდი სიყვარული ჩავუნერგეთ ჩვენს შვილებს. გავიდა დრო და ეს სიყვარული კიდევ უფრო დიდ და ნამდვილ სიყვარულში გადაიზარდა, რაც ნორმალური და ბუნებრივი მოვლენაა.

ასე, რომ, ჩემო შვილებო, ქალთამზე და ფარნავაზ, ნუ დაგვტანჯეთ და ნურც თქვენ ნუ იტანჯებით. თქვენი ბავშობის დროინდელი სიყვარული დიდ, ნამდვილ სიყვარულში გადაიზარდა, მე და ლელამ წინასწარ ვიცოდით, რომ ეს ასეც მოხდებოდა. ყველას გულით გვიხარია თქვენი სიყვარულის ამბავი.

გიყვარდეთ ერთმანეთი და ნუ ერიდებით ერთმანეთს, მოიქეცით ბუნებრივად, როგორც გული და გონება გიკარნახებთ და დანარჩენს, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

მაგიდის გარშემო მსხდომმა დანარჩენმა ოჯახის წევრებმა სიხარულითა და გამხნევებით აიტაცეს რუსუდანის სიტყვები.

ლელამაც შეაშველა რუსუდანს სიცილით წარმოთქმული ორიოდე სიტყვა:

– ჩემო საყვარელო შვილო, ქალთამზე, ბავშვობიდანვე ყველაზე მეტად ფარნავაზი გიყვარდა, ახლა კი კიდევ უფრო მეტად შეგყვარებია.

ლელას სიტყვები ფარნავაზის დებმა აღტაცებული სიცილ-კისკისით აიტაცეს.

ფარნავაზი ფეხზე წამომდგარიყო და დავდახრილ და დარცხვენილ ქალთამზეს შეჰყურებდა, რომელსაც წამიერად მოეჩვენა, რომ ყველა მის ფარულ, მაგრამ გააშკარავებულ სიყვარულს დასცინოდა და ერთადერთი მისი მხსნელი და მშველელი მხოლოდ ფარნავაზი იყო.

თვალაცრემლებული და აწითლებული ქალთამზე უცებ სკამიდან წამოდგა, ფეხზემდგომ ახოვან ფარნავაზთან მიირბინა, როგორც ბავშვობისას სჩვეოდა, მკერდში ჩაეხუტა, მის უბეში სახე ჩამალა და სიხარულისაგან აქვითინდა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა და სიხარულის ტაში შემოჰკრა. ფარნავაზმა თავზე ხელი ნაზად გადაუსვა მის მკერდზე მიკრულ ქალთამზეს, რომელსაც ქვითინისაგან მხრები უთრთოდა.

მათ გარშემო მყოფნი კი გულაჩუყებულნი, მოღიმარნი და თვალში სიხარულ-ბედნიერებით ცრემლმომდგარნი შესცქეროდნენ და შესტკბოდნენ ორ უმშვენიერეს არსებას, რომლებიც განგებამ სიცოცხლის ყველაზე დიდი ნიჭითა და ძვირფასი განძით – წრფელი, დიდი სიყვარულით დაასაჩუქრა.

მაგიდის თავში ჩაფიქრებულად მჯდარი ბაკური მოღიმარი წამოდგა ფეხზე. დინჯად მიუახლოვდა ფარნავაზსა და ქალთამზეს, ორივეს გადაეხვია, თავზე ეამბორა და მშვიდად წარმოსთქვა:

– შვილებო, თბილი საღამოა, წყაროზე გადით, გაისეირნეთ და ისაუბრეთ, ამათ სეირს ნუ აყურებინებთ, – და ღიმილით გადახედა სუფრასთან მსხდომ სახეგაბადრულ ოჯახის წევრებს. – ქალთამზე, ხომ იცი, შვილო, ღამე ძილის წინ როგორ მიყვარს შენი ხელით მორთმეული ცივი წყალი, ფარნავაზიც თან გამოგყვება. დღეიდან ჩემზე მეტად, ფარნავაზი უფროა შენი დამცავი და ქომაგი.

***

ზაფხულის თბილი და მშვიდი ღამე იდგა. ხეობიდან მხოლოდ არაგვის ჩხრიალ-რაკრაკი მოისმოდა, რომელსაც პერიოდულად ღამის ჭრიჭინას ხმა ან ძაღლის შორეული ყეფა თუ დაარღვევდა. მდინარის ჭალის მხრიდან პატარა ნიავს მიძინებული ტყის ნოტიო სურ-

ნელი ამოჰქონდა.

ფეხით მიმავალი ფარნავაზი და ქალთამზე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გაჰყურებდნენ. ისინი ერთმანეთის გვერდით იმყოფებოდნენ და სიხარულისაგან ბედნიერები და აღელვებულები იყვნენ.

სოფლის განაპირას, ფერდობთან ახლოს, ხის ქვეშ ერთმანეთის გვერდით ჩამოსხდნენ. ფარნავაზმა თავისი ძლიერი მკლავი ათრთოლებულ ქალთა მზეს მსუბუქად მოჰხვია და ბედნიერებისაგან ატირებული სატრფო გულში ჩაიკრა. მერე შუბლზე თბილად ეამბორა და ცოტა ხნის შემდეგ აღელვებულმა წასჩურჩულა:

– ჩემო პატარავ, ვინ იფიქრებდა, თურმე რა ძლიერ გვყვარებია ერთმანეთი.

ისინი უსაზღვროდ ბედნირები იყვნენ. მგზნებარებით ანთებულ მათს გულებს უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის. ჩახუტებულებს თბილ სიამოვნებას ჰგვირდა ერთურთის გახშირებული სუნთქვის შეგრძნება. სიხარულის ცხელი ცრემლები ღაწვებზე სდიოდა ქალთამზეს.

მათმა ათრთოლებულმა ბაგეებმა თავისთავად მონახეს ერთმანეთი, ნაზად შეერთდნენ და ვნების მორევით ჩაიძირნენ და ჩაიკარგნენ სიამოვნების იმ ტკბილ, მგზნებარე უსასრულობაში, სადაც საოცნებო ნეტარებით დროისა და სივრცის შეგრძნება შეცვლილია დაკარგულია?.

მათი აღელვებული გულები სიტკბოების უძირო მორევში, ჯერ განუცდელი პირველი სიყვარულისაკენ მიიკვლევდნენ გზას.

XII

მეორე დღეს სახლში ყველა გახარებული და ბედნიერი სჩანდა. ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა თუმცა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას რაღაც ახალი ხიბლი მისცემოდა, ოჯახში ხალისი და სიხარული იგრძნობოდა.

მესამე დილას ქალთამზემ ფარნავაზს მამაკაცის ზედა, საგარეო, ოთხადგაკეცილი პერანგი გადასცა და ჰკითხა:

– ფარნავაზ, აბა, თუ გახსოვს, რა არის ეს? – და გაღიმებულმა მიუთითა გაკეცილი პერანგის კუთხეში ამოქარგული ნაქარგზე.

ფარნავაზი თვალს ვერა სწყვეტავდა ქალთამზის ღვთაებრივ ლამაზად მოღიმარ სახეს, მის მომწვანო თვალებს, საიდანაც სითბო და სიყვარული მზის სხივებივით იღვრებოდა. მას მხოლოდ ერთი სურვილი იპყრობოდა, მშვენიერი პირ-სახე და თვალები მხურვალედ დაეკოცნა ქალთამზისათვის, თუმცა სხვათა თანდასწრებით ამას არ გააკეთებდა. ქალთამზე გუმანით მიუხვდა ფიქრ-საწადელს. გულის სიღრმეში ესიამოვნა და ოდნავ აწითლდა. მიუახლოვდა ფარნავაზს, ნაქარგზე

თითი დაადო და ხმადაბლა, თითქოს წაუმღერაო, ნელა დამარცვლა:

– ფარნავაზ, აქეთ... ამას შეხედე... – ფარნავაზს ჩაეცინა და ნაქარგს დახედა. ოთხად გაკეცილ პერანგზე ძველ-კოლხური სიმბოლიკის დამწერლობით ამოქარგული იყო ქალის გამოსახულება და მზე, ზუსტად ისე, ბავშვობაში ფარნავაზმა ქალთამზეს რომ ასწავლა, როგორ გამოესახა თავისი სახელი – ქალის სიმბოლო, გვერდით მზე მოხატული.

ფარნავაზი გაჰკვირდა, დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ, მაგრამ ქალთამზეს არ დავიწყებოდა. მან პერანგი გაშალა და დაინახა, რომ პერანგის მარჯვენა მხარეს, ქალთამზის სიმბოლოს საპირისპიროდ, გამოქარგული იყო კაცი და მზე. ორაზოვან სიმბოლოს შორის კი გასაოცარი სილამაზის ორნამენტული ნაქარგი იყო გამოსახული.

სამარისებულ სიჩუმეში ყრუდ გაისმა იქ მყოფი დანარჩენი ოჯახის წევრების აღტაცების შეძახილები. ყველას ძალიან მოეწონა ნაქარგ-ნახელავი. გაოცებულმა ლელამ შვილს ჰკითხა:

– ქალთამზე, შვილო, შენია ეს ნაქარგი?

ქალთამზემ თავი მორცხვად დახარა და ფარნავაზს სთხოვა, პერანგი გადაეცვა.

ფარნავაზმა მორთულ-მოქარგული სამოსი სწრაფად გადაიცვა, კმაყოფილმა ორიოდე ნაბიჯი გაიარ-გამოიარა და შემდეგ მადლობის ნიშნად, ქალთამზე გულში ჩაიკრა. მათს გარშემო კი ისმოდა ქალთამზის ხელის სინატიფისა და ხელსაქმის ცოდნის საქებარი სიტყვები.

სახალხოდ ალერსს ქალთამზეც ერიდებოდა, მან

ფარნავაზს აგრძნობინა და მოხერხებულად, ვითომდა, ხელიდან გაუსხლტა მას.

ოდნავ დარცხვენილმა ქალთამზემ ფარნავაზს შეხედა და უთხრა:

– ნეტავ ქართული დამწერლობა არსებობდეს. გურანდა, ნანი და მე შენ, ბაქარს და მამაჩემს თქვენივე სახელებით დაგიქარგავდით სამოსელს, – თან გადმოხედა ფარნავაზის გამხიარულებულ დებს.

ფარნავაზმა გაოცებულმა შეხედა თვალებგაბრწყინებულ ქალთამზეს, რომლის ნათქვამი ემთხვეოდა ფარნავაზის ჩანაფიქრსა და შორეულ გეგმებს.

ფარნავაზს ბევრჯერ უოცნებია, რომ დამდგარიყო დრო, როდესაც ქართლი განთავისუფლდებოდა აზონისაგან და ბერძნული ზეგავლენისაგან. ქართლში ქართველი მეფე იმეფებდა და ქვეყანას ქართული ენა-დამწერლობა ექნებოდა.

ფარნავაზმა ჩაფიქრებულ და წარბებშემართულ გარინდებულ დედამისს გაჰხედა. შემდეგ ქალთამზეს ხელი ფრთხილად შეავლო, მაგიდასთან მიიყვანა, სკამზე ჩამოსვა, მაგიდასთან შეკრებულთ თვალი მოავლო და მშვიდად, დამაჯერებლად წარმოსთქვა:

– ჩვენ უნდა შევქმნათ ქართული დამწერლობა, ჩვენ ყველამ ერთად!

ხანმოკლე სიჩუმის ჩამოვარდნის შემდეგ, ბაკური ფეხზე წამოდგა, შეჭაღარავებულ ულვაშზე ხელი გაისვა და რუსუდანს მიმართა:

– რუსუდან, დაო ჩემო! შენის წყალობით ჩვენი ხუთივე შვილი დიდად განსწავლულნი არიან მრავალმხრივ და მრავაგსგზის! ქართველთა შორის, დღესდღეობით, მთელს ქართლში, ალბათ, იმდენ სწავლულს ვერ

მოუყრის ერთად კაცი თავს, რამდენი სწავლულიც, ამ ერთ ჭერქვეშ არიან თავშეყრილნი. ბარაქალა, რუსუდან! ასეთი საქმისათვისა და ასეთი შვილის გაჩენა-აღზრდისათვის.

საუბარში ლელაც ჩაერთო:

– მართალი ხარ, ბაკურ, ამათზე მეტი თუ იცის ვინმემ რამე? – და ორივე ხელი გაშალა.

რუსუდანმა ფარნავაზს შეხედა და დიდად კმაყოფილი ტონით შეეკითხა:

– როდისათვის გაქვს გამიზნული, შვილო, ამ დიდად სასიკეთო საქმის დაწყება?

ფარნავაზმა ბაქარს, ქალთამზესა და თავის დებს ხელები გადაჰხვია და ღიმილით მიუგო დედამისს:

– რაც მალე, მით უკეთესი, დედაჩემო, თუნდაც დღესვე!

ფარნავაზის გარშემო მხიარული სიცილი ატყდა.

რუსუდანს ეს იდეა და აზრი ძალიან მოეწონა, ესიამოვნა და ფარნავაზს ურჩია, მოეძებნა სამეფო კარის ყოფილი სწავლულთუფროსი, კვირიკე, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევდა. ფარნავაზს ყველა დიდი სიხარულით შეჰპირდა დახმარებას ახალი ქართული ანბანის შექმნა-შერჩევა-დამუშავებაში.

ამ დიდი საქმისათვის, მართლაცდა, სად ნახავდა ფარნავაზი უკეთესად მომზადებულ ხალხს. აგერ, თვრამეტი წელია უკვე, რაც ყველგან ბერძნები პარპაშობენ და ყოველივე ქართული სულიერი გამოვლინება ჩაკლულ-მიძინებულია. ძველ-კოლხური დამწერლობაც განუვითარებელი დარჩა, სწორედ ბერძენ-პონტოელების გამო და დღეს-დღეობით იგი მკვდარი დამწერლობა

გამხდარიყო.

ფარნავაზმა და ბაქარმა დაიწყეს ნელ-ნელა შეკრებვა იმდროინდელ ქართველთა მიწებზე არსებული ან შემონახული სხვადასხვა დამწერლობითი მინიშნებებისა და არსობრივი ნიშან-სიმბოლოებისა, რომლებიც რომ აღმნიშვნელობითი სახით ოდესღაც იხმარებოდა, ან კიდევ ხმარებაში იყო ქართლში, მთაში, კახში, ჰერში, სამცხეში, ეგრისსა და სვანეთს.

შეკრებილ-შეგროვებულ ნიმუშებსა და სიმბოლურ მითითებებს, სახლში დაბრუნებისას ყველა ერთად ამოწმებდნენ, ადარებდნენ, ახარისხებდნენ და კინძავდნენ.

ფესტოსის დისკო.
ძველი კოლხური დამწერლობა

შედარებებს ახდენდნენ ბერძნულ, არამეულ, იუდეურ დამწერლობებსა და ანბანთა თანმიმდევრულ ასოთა წყობასთან.

ერთმანეთს ადარებდნენ მათ ასოთა მოხაზულობა-

სა და ხელწერას.

ფარნავაზის აზრით, ქართული ანბანი და დამწ-ერლობა იმდენად სრულყოფილად უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომ ქართული წერა-კითხვის მცოდნე ადა-მიანს არ უნდა გასჭირვებოდა სხვა უცხო ენის შესწავლა და მას[illegible]აპარაკი, რაო[illegible]ავაჭ-რო[illegible]ადაკვე[illegible]ლ-ში[illegible]ის ა[illegible]ა ვ[illegible]და[illegible]ბ[illegible]ერებ[illegible]ა ენა[illegible]ემნელად[illegible]

დი[illegible]თა და მზრუ[illegible]ჩიეს და შეჰქმნეს ქართული ანბანის ასოები და მათი თან-მიმდევრობითი წყობა. ანბანის ასოთა ნიმუშებად გამოიყენეს მათ მიერვე მოძიებული და უკვე არსებული რამდენიმე სიმბოლური ასო-მინიშნებანი, ზოგიერთი ასოთა ნიმუშები გააუმჯობესეს ან ოდნავ შესცვალეს, ბევრი ახალი ასო კი თვითონვე შეჰქმნეს და მოიგონეს.

ფარნავაზი დიდი მონდომებით ეკიდებოდა ყოვე-ლივე საქმეს, ყოველ წვრილმანს, აანალიზებდნენ და საღად მსჯელობდნენ ყოველივე პატარა, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალზე.

გაზაფხულის დამდეგს ქართული ენის ანბანის ასოებთა შექმნა-შერჩევა, დასრულებული იყო; მაგრამ ანბანის შედგენისა და შერჩევის შემდეგ გადასაწყვეტი იყო, თუ როგორ აეკაზმათ და რა სახის დამწერლობითი ფორმა-მოხატულობა მიეცათ ქართული ასოებისათვის.

შეარჩიეს ოთხი განსხვავებული სახეობის ფორმის

დამწერლობა-მოხაზულობა-მოხატვა: პირველი უნდა ყოფილიყო ოთხკუთხოვანი მოხაზულობის ფორმის ასოები.

– მეორე მრგვლოვანი ფორმის.

– მესამე სიმაღლეში წაგრძელებულ ფორმით.

– მეოთხე სიგანეში გაგრძელებულ-გაწელილი ფორმის სახით.

დამწერლობა უნდა ყოფილიყო ლამაზი და ნატიფი ხელით შესრულებული, ამიტომ ლელას, ფარნავაზის დებსა და ქალთამზეს დაევალათ, რომ მათ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცალ-ცალკე, ამოექარგათ ქართულ ასოებთა ანბანი და რამდენიმე სიტყვა.

ლელას მიერ ნასწავლი ხელსაქმე გოგონებს კარგად აეთვისებინათ, ჩინებული ქარგვის ხელი ჰქონდათ და ისინი დიდი სიხარულითა და მონდომებით შეუდგნენ ქართული ასოთაწყობის ანბანის სხვადასხვა ნიმუშების ამოქარგვას.

ყველა გულდასმითა და ნატიფი ხელით ცდილობდა პირველი ქართული ანბანის ლამაზად გამოყვანას.

მართალია, ლელა და გოგონები ერთმანეთის ნახელავს შეგნებულად არ ნახულობდნენ, მაგრამ ფარნავაზი დროდადრო შემოუვლიდა ხოლმე ცალ-ცალკე მანდილოსნებს და კეთილგანწყობით უქებდა მათ ნამუშევარს.

შვილის შემყურე რუსუდანი დიდად გახარებული იყო, რადგანაც დავაჟკაცებულ ფარნავაზში იგი უკვე ხედავდა და განსჭვრეტდა იმ სასიკეთო თვისებებს, რომლებიც რომ ხელს შეუწყობდნენ მას, როგორც მომავალი სახელმწიფო მოღვაწის თანდათანობითა და ნელ-ნელა ჩამოყალიბებაში, რომელიც იზრუნებდა და

იფიქრებდა თავისი ქვეყნისა და ერის კეთილდღეობაზე.

გავიდა ხანი და მანდილოსნებს ქართული ასოთაწყობის ანბანის მოხატვა-მოქარგვა დაესრულებინათ.

და აი, დადგა დრო, როდესაც უნდა აერჩიათ თუ რომელი ან როგორი ფორმისა და მოხატულობა-მოხაზულობის ასოთაწყობის აჰკაზმულობა, უფრო უკეთესი იქნებოდა მომავალი ქართული ენა-დამწერლობისათვის.

შეიკრიბნენ ყველა ერთად. უმნიშვნელოვანესი დღე იყო ეს დღე მათს ცხოვრებაში, ყველა ძალიან ღელავდა. სახლის კედელზე ერთმანეთის გვერდით დაჰკიდეს ოთხი თეთრი აბრეშუმის ბაირაღი, რომლებზეც ამოქარგული იყო ქართული ანბანის ასოთწყობა და რამდენიმე სიტყვა.

ოჯახის ყველა წევრები მაგიდასთან ისხდნენ და აღფრთოვანებულები შეჰყურებდნენ ქართული ასოთ-დამწერლობის ოთხივე ნიმუშს, რომლებიც ნატიფად და ლამაზად იყვნენ შესრულებულ-ნაქარგნი. ოთხივე მანდილოსანს ჩინებული ხელი ჰქონდა, მაგრამ ყველას აღტაცება და მოწონება მრგვლოვანმა ასოთდამწერლობამ გამოიწვია.

ყველამ აღიარა მრგვლოვანი მოხატულ-მოხაზულობისა და სახე-ფორმის ასოთა-დამწელობის მეტი სილამაზე, მეტი სიმარტივე წერისათვის, მეტი მშვენიერება და სიმსუბუქე-ჰაეროვნობა.

მრგვლოვანი ასოთდამწერლობა ქალთამზის ნაქარგი იყო.

ქართული ასოთაწყობის გამოყვანა-მოხატვა-გამოქარგვაში, ქალთამზეს ის დიდი სიყვარული ჩაექსოვა და ჩაედო, რომელიც რომ მას გააჩნდა ფარნავაზის მიმა-

რთ.

სიყვარულჩაქსოვილი ქართული ანბანის ასოთაწ-ყობას, ბოლოში სამი სიტყვა ჰქონდა კიდევ მინაქარგი, რომლებიც თეთრი აბრეშუმის ბაღდადზე გამოსახულ-ნი, საოცნეობო ლექს-სიმღერასავით იკითხებოდნენ: – სამშობლო. საქართველო. ფარნავაზი. ძველქართულად

XIII

მცხეთაში დიდი სადღესასწაულო ჯირითობა-ყა-ბახის ასპარეზობის დრო ახლოვდებოდა, რომელსაც მეფე აზონი ყოველწლიურად მართავდა.

ფარნავაზმა გადაწყვიტა, რომ მცხეთაში ჩასულიყო და მონაწილეობა მიეღო ყაბახ-ასპარეზობის შეჯიბრში.

მცხეთაში გამგზავრება ფარნავაზმა მხოლოდ ბაქარისთანხლებით გადაწყვიტა. გაამზადეს დურძუკე-თიდან ჩამოყვანილი ბედაურები და სახლში შებრუნდ-ნენ ოჯახთან გამოსამშვიდობებლად.

ყველა ღელავდა და ნერვიულობდა, შიშობდნენ, რომ მცხეთაში ფარნავაზი და ბაქარი რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდნენ.

ადრეულ პერიოდში ბაკურთან ერთად ყმაწვილთა მოგზაურობებისას სახლში დარჩენილი ხალხი შედარ-ებით მშვიდად იმყოფებოდნენ ხოლმე.

ამჟამად ფარნავაზი და ბაქარი ოცდაორ წლამდე მიღწეული კაცნი იყვნენ, მთა უკვე ეპატარავებოდათ მათ, თუმცაღა ყველა მათი საყვარელი ხალხი სწორედ მთაში ეგულებოდათ, მაგრამ მათი გულები უფრო დიდი საქმის შეჭიდებასა და მეტის გაკეთებას ითხოვდნენ,

აკი ბავშვობიდანვეც ასე აღზარდეს და ყოველივე ამას ოჯახის წევრებიც ნათლად გრძნობდნენ და ხედავდნენ.

ოჯახის ყველა წევრები თვალაცრემლებულები გამოემშვიდობნენ მცხეთას მიმავალთ და კარში გამოვიდნენ მათს გასაცილებლად. ბაკურმა ჭაბუკებს საგზლად, ნუზლით გამზადებული ორი ტოპრაკი გადასცა. მათ ტოპრაკები ცხენებს დაჰკიდეს და ცხენებზე ასამხედრებლად მოემზადნენ. რუსუდანი მათ კვლავ მიუახლოვდა გამოსამშვიდობებლად. გადაეხვია ორივეს, დალოცა და დიდი სიფრთხილე-თავდაჭერილობა სთხოვა ბოროტმოსისხლე და კაცთმოძულე, ვერაგ აზონთან შეხვედრისას.

თვალაცრემლებულმა ქალთამზემ თავი ვეღარ შეიკავა და კვლავ გამოენთო მათკენ. ჯერ ბაქარს გადაეხვია და წასჩურჩულა: „გაუფრთხილდიო ფარნავაზს“, შემდეგ კი ფარნავაზს შემოეხვია და ცრემლმორეულმა შესთხოვა: – „დამიბრუნდიო“.

სახლის ბანზე გადმომდგარნი ბაკური და მანდილოსნები მანამდე გაჰყურებდნენ მხედრებს, სანამ ისინი თვალს არ მიეფარნენ.

გამცილებელნი უხმოდ იდგნენ სახლის მაღალ ბანზე, ყველა შინაგანად გრძნობდა, რომ რაღაც მოხდებოდა და უცხო ცვლილების წინათგრძნობა დაუფლებოდა მათს გულებსა და გონებას.

მცხეთის მთავარ მოედანზე უამრავ მოჯირითეს, მხედარსა და მებრძოლს მოეყარათ თავი.

გამარჯვებული მხედრისთვის ჯილდოდ ვერცხლის თასი დაეწესებინა აზონს. თვით კი მოჩარდახებულ მაღლობზე დადგმულ ტახტზე განთავსებულიყო, გარშემო

სასახლის კაცთა და სამეფო დაცვით გარშემორტყმული. მან თვალი გადაავლო საჯირითო მოედანზე მხედარ-მოასპარეზეთა მზადყოფნას, ნიშანი მისცა და შეჯიბრი დაიწყო.

მოასპარეზენი ერთმანეთს პირველად მშვილდის სროლაში გაეჯიბრნენ. ფარნავაზის ჯერიც დადგა. მისი ნასროლი სამი ისარი ტყუპ-ტყუპად მიებჯინა ერთმანეთს.

შეჯიბრის შემდეგი სახეობაც წარმატებით განვლო ფარნავაზმა.

გრძელთასმაშებმული საბრძოლო შუბი სტყორცნა ფარნავაზმა და სიმაღლეზე გაკიდებულ რგოლში მსუბუქად გაალივლივა.

შეჯიბრის შემდეგ სახეობაში მოასპარეზენი გაჭენებული ცხენიდან ისევ მშვილდისა და შუბის სროლაში უნდა გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

რამდენიმე ათეული მოასპარეზედან ამ სახეობის შეჯიბრის შემდეგ მხოლოდ ოთხნიღა შემორჩნენ, მათ შორის ფარნავაზიც.

შეჯიბრის შემდეგ სახეობაში უნდა გაჯიბრებოდნენ, ვინ უფრო სწრაფად და ნაკლებ დროში დაჩეხავდა სარებზე წამოცმულ მოძრავ გოგრებს.

ფარნავაზი ბოლო, მეოთხე მოასპარეზე იყო. მისი დროც დადგა. ბაქარმა მშვილდი და ისრები ჩამოართვა ფარნავაზს და გადასცა მას ალმასივით ალესილი თხლად გამოჭედილ-გამობრძმედილი კავკასიური ხმალი. სიმაღლიდან დაუშვეს თოკზე დამაგრებული სიმძიმე. აღჭრიალდნენ ბორბალ-გორგოლაჭები და გოგრაწამოცმულმა სარებმა დაიწყეს დაბლა-მაღლა და წრიული მოძრაობები.

ფარნავაზმა გააჭენა ცხენი, ხელის სწრაფი მოძრაობებით ხმალი აუსვ-დაუსვა და გამოუსვა სარზე წამოცმულ გოგრებს და სწრაფად ცხენდაცხენ ჩაიქროლა. ყველა გოგრა მთელი იყო, მაყურებლებში დამცინავი სიცილ-ჩოჩქოლი ატყდა.

თოკზე დამაგრებული სიმძიმე მიწაზე დაეშვა და სარების მოძრაობა შეწყდა. ფარნავაზმა მოატრიალა ცხენი, გოგრაწამოცმული სარების მთავარ ძელ-ღერძთან მიიჭრა და მთელი ძალით ზევიდან დაჰკრა ფეხი ძელს.

ძელ-ღერძზე დამაგრებული სარები შეინძრა და ყველა გოგრას წასხეპილი თავები ძირს დასცვივდათ. მცხეთის მოედანზე შეგროვებულმა მაყურებელმა აღტაცებისაგან ყიჟინა დაჰკრეს.

გაკვირვებულმა აზონმა თავისი დაცვის უფროსს გახედა და უთხრა: – „გამიგე, ვინ არისო ეს უცხო მხედარი“.

ბერძენმა მებრძოლმა დააზუსტა და მალევე მოახსენა აზონს:

– იბერიელი უნდა იყოს, მთიდან არის, მგონი, ჩამოსულიო.

შეჯიბრ-ასპარეზობის ბოლო სახეობას ორი მხედარიღა შემორჩა, ბერძენი ასისთავი და ფარნავაზი.

აზონის ბრძანებით, ვერცხლის თასი მაღალი ხის სვეტ-ბოძზე შემოდგეს. გაჭენებული ცხენიდან მშვილდის სროლით ვინც ვერცხლის თასს ჩამოაგდებდა, მთავარი ჯილდოც მას რჩებოდა და ჯირითობა-ყაბახის გამარჯვებულიც იგი იქნებოდა.

ბერძენმა ასისთავმა გააჭენა ცხენი, მოზიდა მშვილდი და გასტყორცნა ისარი, ქიბურჯმა ვერცხლის თასს შხუილით თავს ზემოთ გადაუფრინა.

ფარნავაზის ჯერიც დადგა. დასძრა მან თავისი ცხენი, გაუსწორდა ვერცხლისთასოვან ძელ-სვეტს, უზანგებზე წამოიწია, წელში გაიმართა და სტყორცნა ისარი.

ვერცხლის თასმა ზარივით გაიწკარუნა. ფარნავაზი ცხენდაცხენ ფიცხელ მიიჭრა ძელ-სვეტთან და ძირს დაშვებული ვერცხლის თასი ჰაერშივე მშვილდის თავს წამოაცვა.

მცხეთელებმა ისევ აღფრთოვანების ყიჟინა დაჰკრეს.

აზონი ტახტიდან წამოდგა და ფარნავაზი ხელით თავისთან მოიხმო.

ფარნავაზი მიუახლოვდა მოჩარდახებულ კვარცხ-ლბეკოვან მაღალ ბანს და აზონის წინ ცხენიდან ჩამო-ქვეითდა.

აზონმა სახელი და ვინაობა-სადაურობა ჰკითხა. ფარნავაზი ამას არ მოელოდა, ოდნავ შეყოვნდა და შემდეგ წელში გამართულმა თამამად მიუგო აზონს: — „ფარნავაზი იბერიიდან“. ტახტის წინ დადგმულ პატარა ტაბლაზე გამაგრილებელ სასმელ-თასებთან გვერდით მდებარე დაფნის გვირგვინი აიღო ხელში აზონმა და ფარნავაზს ანიშნა, მომიახლოვდიო.

ფარნავაზმა აიარა კვარცხლბეკის საფეხურები და მოჩარდახებულ ბანზე, დაფნის გვირგვინით ხელებ-შემართული აზონის პირისპირ აღმოჩნდა, რომელსაც აქეთ-იქედან იარაღმომარჯვებული სამეფო დაცვის მებრძოლები ამოსდგომოდნენ.

ჰაი, რამდენჯერ უნატრია ფარნავაზს, რომ პი-რისპირ შეხვედროდა მამისა და ბიძის მკვლელ ბოროტ-მოსისხლე აზონს.

კრიჭაშეკრულმა ფარნავაზმა პირდაპირ სახეში

შეხედა აზონს და მის სულსა და გულს შურისძიების სისხლი მოაწვა.

აზონმა მცხეთის მოედანზე შეკრებილი ხალხის გასაგონად ხმამაღლა, ომახიანად შესძახა: — „ფარნავაზი იბერიიდან“ – და დაფნის გვირგვინი თავზე დაადგა.

ფარნავაზი შეჰყურებდა აზონის ამღვრეულ, ცბიერ, უნდობ თვალებს და ყურში თავისი აღმზრდელის ბაკურის სიტყვები ჩაესმოდა: „ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჯერ ადრეა, მოთმინებაა საჭირო, დიდი მოთმინება და შემდეგ ყოველივე თავისი დროით მოვაო“.

მცხეთის მოედანზე შეკრებულმა ხალხმა რომ გაიგეს ჯირითობა-ყაბახის გამარჯვებული, თურმე, ქართველი ყოფილა, მოულოდნელობისაგან და აღტაცებისაგან მათ ისეთი ძალით იხუვლეს და შესძახეს, რომ აზონი უცებ შედრკა და ფარნავაზის ქედ-მოხრილ თავზე დადგმულ დაფნის გვირგვინს ხელები სწრაფად შეუშვა და მოაცილა.

წამიერად შემკრთალმა აზონმა თავის ხელქვეითებსა და სასახლის წევრებს გაჰხედა და ირონიულად წარმოსთქვა: „ველური ბრბო“.

აზონი შემდეგ ისევ ფარნავაზს მიუბრუნდა და სიტყვა ცივად მიუგდო:

– საღამოს ვახშმად სასახლეში ნადიმზე ხარ მოწვეულიო, – და უთარგმნეთ ქართულადო, თავის ხელქვეითს გადასძახა. სასახლის ხალხთან და სამეფო დაცვასთან ერთად აზონი მალევე გაეცალა იქაურობას.

მოჩარდახებული ბანიდან დაბლა ჩამოსვლისთანავე ფარნავაზი აღტაცებული მაყურებლების გარემოცვაში მოექცა.

მრავალი წლების განმავლობაში ყოველწლიურ ჯირი-

თობა-შეჯიბრში, რომელსაც აზონი აწყობდა, გამარჯვება აზონის ჯარის ბერძენთა მებრძოლებს ხვდებოდათ ხოლმე წილად და ამჟამად პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ასპარეზობაში გამარჯვებული იბერიელი ქართველი იყო, ამიტომ მცხეთის ქართველი მოსახლეობა და ახლო-მახლო შემოგარენიდან მოსული ქართველი ხალხი აღფრთოვანებულნი, გახარებულნი და აღტაცებულნი იყვნენ.

ხალხს ხელში აეტაცა ფარნავაზი და შეძახილებით – „ფარნავაზი, ფარნავაზი იბერიიდან!“. მცხეთის დიდი მოედნის შუაგულისაკენ მიიწევდნენ.

ცხენზე ამხედრებულმა და სასახლისაკენ მიმავალმა აზონმა ერთხელ კიდევ გაჰხედა ხალხით სავსე მცხეთის მოედანს. ხელში ატაცებული ფარნავაზის შორეული გამოსახულება ზევიდან გადაჰყურებდა ხალხით სავსე მცხეთის მოედანს.

აზონი ოდნავ ჩაფიქრდა, თითქოს, ფარნავაზი სადღაც ენახა, მისი სახე მისთვის ნაცნობი იყო, მაგრამ ვერ გაეხსენებინა, სად და როდის.

ცხენზე ამხედრებული ბაქარი დიდად გახარებული იყო ფარნავაზის ესოდენ შთამბეჭდავი წარმატებით.

ქართველებს ჯერ კიდევ აკრძალული ჰქონდათ ხმალ-ხანჯლის ასხმა და მცხეთაში იარაღის ტარება, ამიტომ შეჯიბრის დამთავრების შემდეგ ბაქარმა ფარნავაზის იარაღი შეჰფუთა და ცხენს გადაჰკიდა. მას ფარნავაზის ცხენიც სადავით ეჭირა და აღფრთოვანებულ-აზვირთებულ ხალხს დინჯად უკან მიჰყვებოდა.

უცებ ბაქარს წინ ერთი მოხუცი გადაუდგა, მისი ცხენის სადავეს ხელი კანაკლით შეავლო და შეშფოთებული ხმით ჰკითხა ბაქარს:

– შვილო, ფარნავაზის თანმხლები თუ ხარ?

ბაქარმა შეხედა აღელვებულ თეთრწვერა მოხუცს და მიუგო:

– ნამდვილად ასეა, მოხუცო, ფარნავაზის თანმხლები ვარ.

მოხუცმა თვალი თვალში გაუყარა ბაქარს და ხანმოკლე დუმილის შემდეგ ხმადაწევით, თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა:

– ფარნავაზს შემახვედრე, შვილო, სასაუბრო მაქვს მასთან.

მოხუცი კიდევ უფრო ახლოს მიუახლოვდა ბაქარს და ხმა უფრო მეტად დაუდაბლა:

– სამეფო კარის ყოფილი მსახურთუფროსი, ქაიხოსრო ვარ, ფარნავაზს აუცილებლად უნდა შევხვდე. მისთვის მამამისის დანაბარები მაქვს გადასაცემი.

ეჭვშეპყრობილმა ბაქარმა ოდნავ თავი გააქნია და სიფრთხილეს მიჩვეულმა, ცივად და პირქუშად მოინდომა მოხუცის თავიდან მოშორება:

– არა ვიცი რა, მოხუცო, დამეხსენი.

მოხუცის მიმქრალ თვალებში ელვამ გაჰკვესა. თავისი უღონო ხელით ბაქარს მაჯაში მთელი ძალით სწვდა და რიხიანად, მბრძანებულად წარმოსთქვა:

– ბებრის ციხის მისადგომებთან ქუჩის კუთხეში დაგელოდებით! იქ ვიქნები მანამდე, სანამ არ მოხვალთ. აუცილებლად გადაეცი ჩემი ნათქვამი, რაც რომ მე მოგახსენე! — და თვალით ანიშნა ფარნავაზისაკენ.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, მოხუცი შეუმჩნევლად ხალხში გაუჩინარდა.

განცვიფრებულმა ბაქარმა ნელი სვლით გაიკვლია ხალხში გზა და ფარნავაზს მიუახლოვდა.

ხელში აყვანილი ფარნავაზი ხალხმა მისსავე ცხენ-

ზე შესვეს.

ერთმა ახოვანმა, ულვაშებგადაწკეპილმა კაცმა ღვინით სავსე ჯიხვის რქა მიაწოდა ფარნავაზს და თან ხმამაღლა შესძახა: „გამარჯვებისა შესვი, ფარნავაზ, გამარჯვებისაო!“

– გამარჯვებისა, ფარნავაზ, და შენ გაიხარე ჩვენი გახარებისათვის! – აგუგუნდა ხალხი. ფარნავაზმა ჯიხვის რქა მარჯვენათი მიიწვდინა. შემდეგ წელში გასწორდა და მარცხენა ხელი ზე აღმართა.

ხალხი მიხვდა, რომ ფარნავაზს სიტყვის წარმოთქმა სურდა.

შეწყდა შეძახილები და მცხეთის მთავარ მოედანზე სამარისებულ სიჩუმეში გაისმა ფარნავაზის ძლიერი და შთამბეჭდავი ომახიანი ხმა:

— ქართველნო! ქართლოსის ძენო! ამ ჯიხვით მე მსურს შევსვა გამარჯვებისა, მაგრამ არა დღევანდელის, არამედ ნამდვილი, ჭეშმარიტი და ბრწყინვალე დიდი გამარჯვებისა, რომელიც რომ გვეკუთვნის და წინა გვაქვს მთელს ჩვენს ერსა და ქართველთა ქვეყანას!

მრავალი წლების მანძილზე მიძინებულმა ეროვნულმა გრძნობამ და სიამაყემ ერთბაშად იფეთქა და იხუვლა მოედანზე შეკრებილ ხალხთა გულებში, სისხლსა და ძარღვებში.

მცხეთის მოედანზე ათეულათასობით შეკრებილმა აღფრთოვანებულმა ხალხმა ისეთი ძალით იქუხა, რომ სახლებში მიძინებულმა ძუძუმწოვარა ჩვილებმა შეშინებულებმა ტირილი მორთეს, მდინარის პირას ჩრდილში გაწოლილი საქონელი და ნახირი კი დაფრთხა.

ფარნავაზმა დაცლილი ჯიხვის რქა ჰაერში შეისროლა და ბაქარის თანხლებით ცხენი წინ გააჭრა. უკნიდან

კიდევ კარგა ხანს მოისმოდა ომახიანი შეძახილები: „ნამდვილი გამარჯვებისა! ჩვენი გამარჯვებისა! დიდი ჭეშმარიტი გამარჯვებისა!..“

აზონი სამეფო სასახლის კარიბჭეს მიახლოვებულიყო, როდესაც შემოესმა მცხეთის მოედნიდან წამოსული ხალხთა აღფრთოვანებული ხმა-შეძახილები, რომელმაც, თითქოსდა, მართლა ქუხილივით გადაუარა ქართის მთას.

აზონმა ცხენი შეაჩერა, ცოტა შეყოვნდა, მის თანმხლებ ამალას გახედა და იკითხა:

— რა არის ეს, რა ხდება?

— გამარჯვებას ულოცავენ იბერიელს. — სწრაფი პასუხი მიაშველა აზონს ერთ-ერთმა ამალის წევრმა.

აზონმა ჩაიცინა, თავი რამდენჯერმე გააქნია და ზიზღით წარმოსთქვა: „ბრბო!..“

***

ბაკურის რჩევის თანახმად, ფარნავაზი და ბაქარი ღამის გასათევად მცხეთაში საბა მჭედელს უნდა სტუმრებოდნენ. საბა ახლობელი, საიმედო კაცი იყო და მისი სახლის ჭერქვეშ დასვენება და ძილი, უხიფათო იქნებოდა ძმებივით შეზრდილთათვის.

მათ გეზი საბა მჭედლის სახლისაკენ ჰქონდათ აღებული.

ფარნავაზის გვერდით ცხენდაცხენ მიმავალმა ბაქარმა ფარნავაზს უამბო მცხეთის მოედანზე შემთხვევითი შეხვედრა უცნაურ მოხუცთან და მასთან იდუმალი საუბარი.

ფარნავაზი დააინტერესა ბაქარის მონაყოლმა. ვნახოთ მოხუციო, თქვა და მათ ცხენები ბებრის ციხის

მიმართულებით გააჭენეს.

მხედრები მიუახლოვდნენ ბებრის ციხეს და შეამჩნიეს ციხის მახლობლად მდებარე სახლის ჩრდილში, ქვის სკამზე ჩამომჯდარი მომლოდინე მოხუცი, რომელიც მხედრების დანახვისთანავე მყისვე ფეხზე წამოდგა.

ფარნავაზი მოხუცთან მიახლოვებისთანავე ცხენიდან ჩამოქვეითდა.

მოხუცმა მუხლი მოიყარა და ფარნავაზის ხელს ეამბორა.

– რას შვრები, მოხუცო! – წამოიძახა ფარნავაზმა და მუხლმოყრილი მოხუცი ფრთხილად ფეხზე წამოაყენა.

თვალცრემლმორეულმა და აკანკალებულმა მოხუცმა ფარნავაზს შეხედა და გულაჩუყებულმა წარმოსთქვა:

– ფარნავაზ, შვილო, რამდენი გეძებე, აღარ მქონდა იმედი, ცოცხალს თუ მოგესწრებოდი და განახავდი. როგორ გაზრდილხარ და დავაჟკაცებულხარ, ადარნასეს, მამაშენს დამსგავსებიხარ...

– მოხუცო, გეშლები ალბათ ვინმეში. მამაჩემი ვინ იყო ან რა ერქვა, შენ არ გეცოდინება, – ღიმილით გააწყვეტინა სიტყა ფარნავაზმა.

მოხუცმა ჩაიცინა, ოდნავ ირიბად შეხედა ფარნავაზს და იქედნურად მიუგო:

– ჩემი ბებრული თვალები ჯერ არასდროს არ მოტყუებულან. სამარასდროინდელი კარის მსახურთუფროსი ქაიხოსრო ვარ მე. მამაშენს კარგად ვიცნობდი, წყლის ორი წვეთივით ჰგავხართ ერთმანეთს შენ და ადარნასე.

მცხეთის დაცემამდე შემთხვევით გადავეყარე ადარნასეს ზუსტად აქ, ბებრის ციხესთან. მაშინ ყველას

ჩვენ-ჩვენი გასაჭირი გვქონდა, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგას, თუ როგორ ემშვიდობებოდი მამაშენს, ურმის კოფოზე შემდგარი პატარა ხანჯლით ხელშემართული. აი, აქ მოხდა ეს ამბავი, – წარმოსთქვა დანაღვლებით და მოხუცმა თავისი დანაოჭებულ-გაძვალტყავებული ხელი ბებრის ციხის კარიბჭისაკენ გაიშვირა.

ფარნავაზს მოაგონდა, რომ ყმაწვილობაში დედამისს მონაყოლი ჰქონდა მისთვის ეს ამბავი და სასახლის კარის მსახურთუფროსის, ქაიხოსროს სახელიც ბუნდოვნად ახსოვდა, როდესაც რუსუდანი სასახლის ცხოვრებას გაიხსენებდა ხოლმე ხანდახან.

ფარნავაზი თბილად მოეხვია მოხუცს და უთხრა: ფარნავაზი ვარ, ნამდვილად ფარნავაზი, ადარნასეს ძეო.

მოხუცმა ფარნავაზს მიუგო, რომ რაღაც ძალზედ მნიშვნელოვანი ჰქონდა მისთვის გადასაცემი და ფარნავაზი და ბაქარი სახლში მიიწვია.

ქაიხოსროს სახლი ბებრის ციხის გალავნის გარეთ მდებარეობდა. მთის კალთაზე შეფენილ სახლებს შორის მისი სახლი ერთ-ერთი ბოლო და უბრალო სახლი იყო კლდის ძირში განთავსებული.

აზონის შემოსევის დროს ქაიხოსროს ერთადერთი შვილი სარკინეს ციხის დაცვისას დაჰღუპვოდა. აზონის გამეფების შემდეგ კი ქაიხოსროს სახლში ვიღაც ბერძენი მხედართმთავარი დაბინავებულიყო. მას შემდეგ ქაიხოსრო თავის მეუღლესთან ერთად მცხეთის გარეუბანში გადასულიყო საცხოვრებლად.

ქაიხოსრომ თავისი ცხოვრების მოკლედ თხრობის შემდეგ მცირედით აწყლიანებული თვალები შეიმშრალა და გულაჩუყებულმა გააგრძელა საუბარი:

– გასულ ზამთარს, ცოლიც გარდამეცვალა, მიწას მივაბარე და სანამ მეც მომიწევდა წასვლა ამ ქვეყნიდან, მადლობა უფალს, რომ შენს ნახვას მოვესწარი, ფარნავაზ. შენთვის ძალზედ მნიშვნელოვანი დანაბარი მაქვს გადმოსაცემი, – წარმოთქვა ეს სიტყვები ქაიხოსრომ, მძიმედ წამოდგა დაბალი სამფეხა სკამიდან და გვერდით მდებარე საკუჭნაოში გავიდა.

მალევე ოთახში შემობრუნდა და ფარნავაზს ოთხად გაკეცილი მცირე დოლბანდი გადასცა, თან სიტყვიერად დააყოლა:

– შენ გეკუთვნის, განგებისა და ბედისწერის გამოისობით, შენს მფლობელობაში გადმოდის და მე უკვე გავნთავისუფლდი ესოდენ მძიმე ტვირთისაგან, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში ვალდებულებად მედო.

– რა არის ეს? – იკითხა გაკვირვებულმა ფარნავაზმა და დოლბანდი ფრთხილად გადახსნა. ფარნავაზის ხელისგულზე გადაშლილ თეთ აბრეშუმზე ოქროს მოზარდახშული დიდი ბეჭედი აელვარდა, ოქრომინანქრითა და კვეთილ-ნაჭედი დიდი, უცხო, ძვირფასი „ქვათვალით“.

– ქართლოსიანთა სამეფო ბეჭედი! – ხმადაბლა წარმოსთქვა ქაიხოსრომ, ფანჯარაში გაიხედა და კვლავ გააგრძელა საუბარი. – როდესაც აზონი თავისი ჯარით სამეფო სასახლის შიდა ციხე-ეზოში შემოიჭრა, იმ დროს სამარა, ადარნასე, მე და მცირეოდენი დაცვის მებრძოლები სასახლის დიდ დარბაზში ვიმყოფებოდით.

სამარამ თითიდან წაიძრო სამეფო ბეჭედი, მე გადმომცა და დამავალა, რომ ეს ბეჭედი გადამეცა ქართლოსიანთა სამეფო შტოს გამგრძელებელი მემვკდირ-

ესათვის, თუ ვინიცობა, ისინი დაიღუპებოდნენ და შემდეგ ჩუმად გამაპარეს სამეფო დარბაზიდან.

სამარა, ადარნასე და სამარას ყველა მემკვიდრე – ოჯახობა დაიღუპა, ამიტომ ეს ბეჭედი, როგორც ქართლის სამეფო ნიშანი, შენს მფლობელობაში გადმოდის, ფარნავაზ. შენა ხარ ქართლოსიანთა შტოს გამგრძელებელი და მცხეთოსის სამეფო ტახტის მემკვიდრე!

მცირე დუმილის შემდეგ ფარნავაზმა სამეფო ბეჭედი ისევ დოლბანდში გადაახვია და ქაიხოსროს მიუგო:

– მადლობა მომიხსენებია შენთვის, კარის უფროსო. სიკეთეს და ერთგულ სამსახურს არ დაგიკარგავ. იმქვეყნად წასვლაზე ფიქრი კი დაივიწყე, ჯერ ბევრი საქმე გვაქვს ამქვეყნად გასაკეთებელი, – ფარნავაზი ფეხზე წამოდგა. ქაიხოსროს ხელი შეაშველა დაბალ სკამზე დაჯდომაში, მომცრო ოთახში ოდნავ გაიარ-გამოიარა და შემდეგ ისევ მოხუცს მიმართა:

– დედაჩემი რუსუდანი და ჩემი დები, მთაში შანშე ხევისთავთან იმყოფებიან. მე და ჩემი ძმობილი, შანშე ხევისთავის შვილიშვილი ბაქარი, ჯირითობის დამთავრების შემდეგ დასვენებას საბა მჭედლის სახლში ვაპირებდით და ხვალ დილით მთაში უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ ვითარება შეიცვალა.

დღეს საღამოს სასახლეში აზონთან ვარ დაბარებული. მე და ბაქარს წასვლა მოგვიწევს მასთან, არწაუსვლელობაც არ იქნება. სასახლიდან როცა დავბრუნდებით, შემდეგ ვიმსჯელოთ, თუ რა ვქნათ და რა მოვიმოქმედოთ, მანამდე კი სამეფო ბეჭედი და ვერცხლის თასიც ისევ შენთვის ჩამიბარებია, ჩემო ერთგულო მოხუცო.

ბოლო სიტყვების წარმოთქმისას ფარნავაზი მიუახლოვდა ქაიხოსროს, ბეჭდიანი დოლბანდი ხელებში

ჩაუდო, ორივე ხელი ჩია მხრებზე მოავლო მოხუცს და უთხრა: – გამხნევდი, კარის უფროსო, ჩვენი დროც მალე დადგება, შენ კი მარტო არ დაგტოვებთ, ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე ერთად გვაქვს გასაკეთებელიო“.

გულაჩუყებულმა ქაიხოსრომ ცრემლი შეუმჩნევლად მოიცილა და ფარნავაზს შესთხოვა: – აზონს ერიდე, შვილო, დიდი გულღვარძლიანი უპირო კაცია და ნუ ენდობი!

XIV

მცხეთის სამეფო სასახლეში აზონს დიდი ნადიმწვეულება ჰქონდა გამართული.

აზონის სტუმრები ძირითადად მისი ყოფილი თანამებრძოლები იყვნენ, რომლებიც ზოგნი სასახლის კარის დიდ-მოხელენი გამხდარიყვნენ და ზოგნიც აზონის ჯარის მხედართმთავრებად დაწინაურებულიყვნენ.

ფარნავაზისა და ბაქარის სასახლეში მისვლისას, ბაქარი დიდი სამეფო დარბაზის წინამდებარე დარბაზში დასტოვეს, სადაც წვრილ-მოხელენი და დაცვის მებრძოლნი განთავსებულიყვნენ.

ფარნავაზი კი დიდ დარბაზში შეიყვანეს, სადაც აზონი იმყოფებოდა.

რუსუდანისაგან მონაყოლით ფარნავაზმა იცოდა, თუ როგორი იყო მცხეთის სამეფო სასახლის დიდი დარბაზი, როგორი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები იყო სასახლეში დამყარებული და დამკვიდრებული მრავალი წლების განმავლობაში, მაგრამ დარბაზში შესვლისას იგი გაოცდა.

პირველი, რაც თვალში მოხვდა ფარნავაზს, ეს იყო სამეფო დიდი დარბაზის სიფართოვე და სიდიდე,

რომელიც არ ემთხვეოდა დედამისის მიერ გადმოცემულ მონათხრობს.

როგორც ჩანდა, აზონს კიდევ უფრო გაეფართოვებინა დიდი დარბაზი.

გვერდითი კედელი მოეშლაათ და მხოლოდ მაღალი ძელ-საყრდენი სვეტები დაეტოვებინათ, რომლებიც დარბაზის შუაში დარჩენილიყვნენ მაღლივ თავებზე არკამოსხმულნი. დარბაზის მინაშენი ახალი ნაწილი კი სამეფო ბაღს მიბჯენოდა, ფართო აივნებითა და ბაღში შემავალი განიერი თლილი კიბეებით. მარმარილოთი მოჩუქურთმებულ-მოპირკეთებული დიდი დარბაზის სხვადასხვა კუთხეებსა და აივნებზე მარმარილოთივე მოპირკეთებული დიდი მაგიდები და გრძელი სკამ-ტახტრევნები იდგა. მაგიდებზე უხვად ჰქონდა შემოტანილი უამრავი საჭმელ-სასმელი, ხილი, ტკბილი და ნუგბარი. გრძელ სკამ-ტახტრევნებზე ძვირფასი აბრეშუმით გადაკრული რბილი ყურთ-ბალიშები გაეფინათ. დარბაზის შუა სივრცეში ხალხის გამრთობი მოცეკვავენი, ჯამბაზ-ოხუნჯნი და მელექსე-მუსიკოსნი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

დიდი დარბაზის კიდევ უფრო გასალამაზებლად ირგვლივ კედლებთან ალაგ-ალაგ დაედგათ, ერთ დროს მაკედონელის ბრძანებით, საბერძნეთიდან მცხეთას გაგზავნილი ბერძნული ღმერთებისა და ქალ-ღმერთების მარმარილოს ქანდაკებები.

მას შემდეგ, რაც აზონმა მცხეთის აკროპოლისში ახალი ღმერთები, გაცი და გაიმი შემოიღო, ბერძნული ღმერთები სასახლის დიდი დარბაზის მოსართავად გადაატანინა და აი, ახლა დიდ ნადიმ-წვეულებაზე, თეთრი მარმარილოსგან დიდი ოსტატობით თლილი, ღმერთებად და ქალ-ღმერთებად მიჩნეული შიშ-

ველი ქანდაკებები ზევიდან დაჰყურებდნენ სამეფო დარბაზში მყოფ ნახევრად შიშველ მოკისკისე მრავალ სეფე-ქალსა და მათთან მოარშიყე-მომრუშე ღვინით შეზარხოშებულ აზონის სტუმრებს.

დარბაზში მყოფნი ყველა კარგ ხასიათზე და გუნებაზე გამოიყურებოდნენ. მოძალებულმა ღვინომ თავისი საქმე ქნა და იდგა სამეფო დიდ დარბაზში ერთი ამბავი, ღირანცელი და სიცილ-ხორხოცი.

აზონის სტუმრები მეტწილად თავისივე ჯარის მხედართმთავრები, ათასისთავები და ასისთავები იყვნენ. სამეფო კარის დიდმოხელენიც და მსახურნიც, ყოფილი ჯარის მსახურნი და მებრძოლნი იყვნენ, ამიტომაც აზონის სამეფო კარზე მიჩვეულნი იყვნენ ჯარისკაცულ უხეშობასა და სიტლანქეს, საუკეთესო მაგალითის მიმცემი კი თვით სისხლისღვრასა და კაცისკვლას ნაჩვევი აზონი გახლდათ.

აზონი ღვინით შეზარხოშებისას ზომა-წონას ჰკარგავდა და მისი უხამსი ხუმრობები უხეშობაშიც ხშირად გადაზრდილა.

სამეფო ტახტზე დაბრძანებულმა აზონმა ადრევე შეამჩნია დიდ დარბაზში შემოსული წლევანდელი შეჯიბრ-ასპარეზობის გამარჯვებული „ფარნავაზი იბერიიდან“. მისი ხელის სიმარჯვით აზონი მოიხიბლა და ფარნავაზის გამოყენება თავის სამსახურში განიზრახა, ვითარცა, „ყურმოჭრილი ერთგული ძაღლისა“.

აზონი ფარნავაზის მოხმობას არ ჩქარობდა. ტახტის გვერდით მდგომი მაგიდიდან რაიმე ნუგბარსა და პირსაპატიო კერძს ჭაშნიკს გაუსინჯავდა, ღვინოს შესვამდა, გამხიარულდებოდა და პერიოდულად შორით გაჰხედავდა ხოლმე ფარნავაზს, აკვირდებოად მის

საქციელსა და ქმედებას.

ცხრამეტი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც აზონმა ქართლი დაიპყრო და ქართველთა სხვა მიწებიც დაიმორჩილა. ამ დროში ქართველთა ხასიათიც კარგად შეისწავლა. მცხეთაში მმართველობის პირველივე წელს შეამჩნია, რომ ქართველნი სულით ძლიერნი, გაუტეხავნი და თავისუფლების მოყვარულნი იყვნენ. მათი დაპყრობა შესაძლებელი იყო, მაგრამ მათი დაბეჩავება, ერის სახე-პიროვნულობის წაშლა და მორჩილად დამონება – შეუძლებელი. ამიტომ მან გადაწყვიტა, რომ ქართველი ერის სასიკეთო თვისებანი შიგნიდან, სიღრმისეული ბუნებიდან გაეტეხა. გარეგნული და სასიამოვნო თვისება-თავისებურებანი გულშუალედიდან გაეხრწნა და გაერყვნა, ვითარცა გარედან მშვენიერი შესახედაობის ვაშლს გული რომ დამპალი ექნება, ან კიდევ გულში დაბუდებული ჭია შიგნიდან რომ დაუწყებს ხვრას გარეგნულად ჯანმრთელი ხილის ნაყოფს. აი, ასე უნდა დაელპო და გაეხრწნა ქართველთა შინაგანი სული და გული, მაშინ მის სამეფოს ქართველთა მხრიდან საფრთხე აღარ დაემუქრებოდა.

ქართველთა მტერი თვით ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

აზონსა და მის ხალხს ქართველი ერის სულსა და გულში უნდა ჩაენერგათ და გაეღვივებინათ ისეთი მანკიერი თვისებები, რომლებიც რომ ყველა ერს თვითგანადგურებისა და თვითმოსპობის მორევში ჩაითრევდა – ერის ურთიერთგათიშულობა, პიროვნული აღზევებისა და განდიდებისაკენ სწრაფვა, პირადი კეთილდღეობისათვის ყველაფერი უკადრისის კადრება და ნორმად მიღება, ქვეყნის, ერისა და ახლობელთა ღალატი,

ფულით მოსყიდვა, კაცის კვლა, დასმენა-დაბეზღება, მოპარვა-ქურდობა, უნდობლობა, შიშის დათესვა, განუკითხაობა, უსამართლობა, ყველაფერზე ხელის ჩაქნევა და საბოლოოდ, ყველაფრის იმედის დაკარგვა.

აზონს ყველგან უკვე დიდი ხანია, თავისი ხალხი ჰყავდა გაბნეულ-განაწილებული. ყველა მეთოდებს იყენებდა ქართველთა გადასაგვარებლად. შიმშილობებსაც ხშირად აწყობდა, პერიოდულად ხალხს ყველაფერს ართმევდნენ და სიკვდილის პირას მისული დამშეული ხალხი ორი ლუკმის გულისათვის ყველაფერზე თანახმა იყო. ზოგიერთი ქართველი თავის სამსახურში აჰყავდა და სხვა ქართველთა დასანახად, მათ დიდ ფულს უხდიდა, ვითომდა, დიდ პატივშიც ჰყავდათ და ყველასაგან ხელშეუხებლობა ჰქონდათ, რათა შური გაეღვივებინა ქართველთა შორის. აზონმა დასავლეთით ეგრისის საზღვართან და კახეთის საზღვართანაც ჯარი ჩააყენა, რომ ხალხს თავისუფალი ურთიერთკავშირი ერთმანეთთან არა ჰქონოდათ.

ბევრი ქართველიც მოსყიდული იყო და ქართველ ხალხში ბოროტება და ღვარძლი ინერგებოდა.

ფარნავაზსაც ამგვარი ხრიკებისათვის გამოიყენებდა აზონი, თან მისი სივაჟკაცეც ესაჭიროებოდა და ფულითაც ადვილი მოსასყიდი იქნებოდა.

ფარნავაზი დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში დამდგარიყო და გაკვირვებული შესცქეროდა სამეფო სასახლის ყოფა-ცხოვრებას, დანა პირს ვერ გაუხსნიდა და ლუკმა არ გადაუვიდოდა ყელში. სწორედ აქ, ამ დარბაზში დაატყვევეს მამამისი ადარნასე და ბიძამისი სამარა აზონის მებრძოლებმა.

ფარნავაზი ყველაფერს და ყველას აკვირდებოდა,

აინტერესებდა და სწავლობდა, თუ ვინ იყვნენ, რა ხალხი იყო და ან რას წარმოადგენდნენ ქართლის მმართველნი ბერძენნი.

ფარნავაზს ბერძენი სასახლის მოხელე მიუახლოვდა და უთხრა, აზონი გიხმობსო.

აზონმა რომ დაინახა მოახლოვებული ფარნავაზი, ტახტიდან ფეხზე წამოდგა და სასახლის დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

გვერდით მდგომი მაგიდიდან აზონმა ღვინის თასი აიღო და დარბაზს მიმართა:

– წლევანდელი შეჯიბრის გამარჯვებული იბერიელი ფარნავაზია და ტრადიციის თანახმად, ისიც ჩემს სანადირო ამალაში ჩაირიცხება, ისევე, როგორც გასული წლების შეჯიბრთა გამარჯვებულნი.

შემდეგ აზონმა ფარნავაზს ღვინის თასი გაუწოდა და მის უკან მდგომ ხელქვეითს ირონიულად უთხრა: – გადაუთარგმნე იბერიელს ქართულად, რომ შესვას ეს სასმისი, როგორც რომ მცხეთის ბრბო ბღაოდა, ფარნავაზის გამარჯვებისა.

ფარნავაზმა აზონს თავი დაუხარა, სასმისი გამოართვა, წელში გაიმართა და გამართული ბერძნულით წარმოსთქვა:

– ჩემს მკლავსა და მონდომებას არ დავზოგავ იბერიის სამეფოს სამსახურში. მოსვა ღვინო და სასმისი იქვე მდგომ მსახურს გადასცა.

აზონს და ბერძენთ გაუკვირდათ ფარნავაზის ესოდენ კარგი ბერძნულის ფლობა. აქა-იქ ფარნავაზის საქებარი სიტყვებიც გაისმა ბერძენთა მხრიდან.

ისევ სამეფო ტახტზე დამჯდარმა აზონმა ფარნავაზს მიმართა:

– მშვილდის ხმარება და ბერძნული ენა ჩინებული გცოდნია, მაგრამ მე გოგრების დასხეპვამ გამაოცა. მითხარი, ეს შენი მარჯვენის დამსახურებაა თუ კავკასიური ხმლისა?

– კავკასიური ხმალი რომ მქონდეს აქ, ძღვნად მოგართმევდით. გამარჯვებას კი დღეს სხვებიც იმსახურებდნენ, რადგან ბევრი ღირსეული მეტოქე იმყოფებოდა დღეს საჯირითო მოედანზე, – თავმდაბლად მიუგო ფარნავაზმა.

აზონს ფარნავაზის თავმდაბლობა უფრო კადნიერ სითამამედ მოეჩვენა, ოდნავ თვალებმოჭუტვით გახედა მას, გაიფიქრა, ცოტა დავაფრთხობ, შევაშინებ, რომ დაფასება თავში არ აუვარდესო და ცბიერი სახით მიმართა მას:

– კავკასიური ხმლები ჩვენცა გვაქვს. გვაჩვენე, აბა, კიდევ რა შეგილძია — და ხელქვეითს ანიშნა ხმალი მოეტანათ, თავისი დაცვის უფროსს კი აზონმა ხმადაბლა უთხრა: — შეები იბერიელს, მაგრამ არ მოკლა და არ დაასახიჩრო, კარგი მონადირე უნდა იყოს, მჭირდება.

დარბაზის შუაგულში გოლიათივით მაღალი და ძლიერი, ოდნავ შეზარხოშებული ბერძენი ასისთავი წინ და უკან დადიოდა და ხელში ბერძნულ მახვილს ატრიალებდა, აქეთ-იქედან კი თავისივე მებრძოლები ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ.

ამასობაში სასახლის მსახურმა ხმალი მოიტანა და ფარნავაზს გადასცა.

ფარნავაზმა გააშიშვლა ხმალი და მოსინჯა. ბერძენმა ასისთავმა ფარნავაზი ხმლით ხელში რომ დაინახა, მყისვე ეკვეთა მას.

ფოლადის კვესის ხმის გაგონებაზე, გვერდითი დარბაზებიდან ხალხი სეირის საყურებლად დიდ დარ-

ბაზს მოაწყდა.

კარს იქით, მეორე დარბაზში მყოფი ბაქარი მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალს არ აშორებდა ფარნავაზს, შორიდან, ღია კარიდან სჭვრეტდა მას და როდესაც ფარნავაზი და ბერძენი ასისთავი ერთმანეთს შეებნენ, ბაქარმაც იდროვა, სხვებთან ერთად დიდ მთავარ დარ-ბაზში შემოვიდა და შეუმჩნევლად კარის მახლობლად განთავსდა.

ღვინით შეგულიანებული ბერძენი ასისთავი ძლი-ერად და უმოწყალოდ უტევდა ხმალდახმალ ფარნავაზს, რომელიც ადვილად იგერიებდა ბერძენი მებრძოლის ფიცხელ შემოტევებს.

ცოტა ხნის შემდეგ ბერძენი ასისთავი უფრო გაგულისდა და მეტი ძალითა და სისწრაფით ეძგერა ფარნავაზს. ეს უკვე თამაშ-გართობას აღარა ჰგავდა.

ფარნავაზი შეტევაზე გადასვლას არ აპირებდა, მხ-ოლოდ მოხერხებულად იგერიებდა გაფიცხებულ ბერ-ძენს და შემდეგ ღიმილით შესძახა მას: „დამშვიდდი, ასისთავო, ეს მხოლოდ თამაშიაო“.

ბერძენმა მებრძოლმა სულ დაკარგა მოთმინება და გაშმაგებით შეუტია ფარნავაზს, გარდი-გარდმო ნაპერ-წკლებს აფრქვევდნენ მათი ხმლები. გარშემო მყოფთა შეძახილებიც აღარ ისმოდა, ყველა დაძაბული შეჰყუ-რებდა დარბაზის შუაგულს და თან ცალ თვალს აზონ-ისაკენ აპარებდნენ, ელოდნენ, როდის შესწყვეტდა აზონი ორთაბრძოლას, მაგრამ აზონი ყოყმანობდა ხმ-ლით შეჭიდულთა შეჩერებას. მას უყვარდა უკიდურეს დაძაბულობამდე სიტუაციის მიყვანა, რათა გამოეცადა ესა თუ ის ადამიანი, გაეგო, რა სისხლი სჩქეფდა მის ძარღვებში, რას წარმოადგენდა და რისგან იყო შექ-მნილ-ჩამოყალიბებული მისი სული.

ფარნავაზს მობეზრდა, ბერძენი ასისთავი რომ არ ეპუებოდა და გადაწყვიტა, ბოლო მოეღო მისი უხეში და უაზრო ჯიუტობისათვის; გამოეყენებინა მისი აღმზრდელის ბაკურის მიერ ნასწავლი საბრძოლო ხერხი, რომელსაც ფარნავაზი და ბაქარი ბავშვობიდანვე სწავლობდნენ და ხვეწდნენ ერთმანეთთან ხმლით წვრთნა-ვარჯიშში.

ფარნავაზმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და მარჯვენა ხმლიანი ხელი უკან დასწია.

ასისთავმა მკლავი მთელს სიგრძეზე გაშალა და მახვილი ფარნავაზისაკენ მიმართა, სწორედ ამას ელოდა ფარნავაზი. ელვისებური სისწრაფით ერთი ნაბიჯი წინ წასდგა, მოულოდნელად უკან დაწეული ხელი გაშალა, გამართა და თავისი ხმალი ბერძენის მახვილს გამოსდო, მაჯა ხმალთან ერთად სწრაფად სამჯერ დაატრიალა და ბოლო დატრიალებისას თავისი ხმალი ბერძნის მახვილს დაბლიდან ძლიერად აჰკრა.

ბერძნულმა მახვილმა ერთი გაიწკარუნა, ასისთავს ხელიდან გაუსხლტა, მაღლა ავარდნილმა ჰაერში ბრუნი გააკეთა და ფარნავაზის ფერხთით ზღართანით დაეცა.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ბერძენი ასიათავი თვალებგაფართოვებული და პირდაბჩენილი სახტად დარჩენილიყო.

ატყდა გარშემომყოფთა სიცილ-ხარხარი. ფარნავაზი დაიხარა, ძირს დავარდნილი მახვილი ხელში აიღო, ბერძენ ასისთავს ღიმილით დაუბრუნა და თვითონ აზონისაკენ გაეშურა ხმლის დასაბრუნებლად.

უცებ რაღაც ხმაურ-ჩოჩქოლი ატყდა დარბაზში და ფარნავაზს შემოესმა ბაქარის ხმა:

– ზურგი, ფარნავაზ!

ფარნავაზმა სწრაფად მიაბრუნა თავი და დაინახა, რომ დამცირებულ-გაბოროტებული ბერძენი ასისთავი მახვილგაწვდილი სირბილით უახლოვდებოდა ზურგს-უკნიდან.

ფარნავაზი ოდნავ მარჯვნივ გადგა, ასისთავის მახვილგაწვდილი მკლავი მარცხენა იღლიაში მოიქცია და თავისი ხმლის ვადა ძლიერად დაჰკრა ბერძენი მებრძოლის მახვილჩაჭიდებულ ხელს.

ასისთავის მახვილჩაბღუჯული მაჯა ფარნავაზის ოდნავ მოხრილ მარცხენა მუხლზე დაეშვა და ბერძნული მახვილის წვერი ქვის ძირს მიებჯინა. ფარნავაზმა მთელი ძალით დაჰკრა მარჯვენა ფეხი, მის მარცხენა მუხლსა და იატაკს შორის ირიბად მოქცეულ მახვილს.

ასისთავის მახვილი შუაზე გადატყდა და მარცხენა იდაყვი ფარნავაზმა გამეტებით სახეში ჰკრა მის ზურგს უკან მოხრილ ასისთავს.

მახვილგადატეხილი, ვადაჩაბღუჯული და სახეშელეწილი ბერძენი ასისთავი ფარნავაზის ზურგს უკან რუმბივით გადავარდა და ცხვირ-ბაგიდან სისხლი წასკდა.

გაოცებული აზონი ტახტიდან წამოდგა, თავისი დაცვის უფროსს ხელის აწევით ანიშნა, კმარაო და ფარნავაზს მიმართა:

– იბერიელო, უფრო გარკვევით მითხარი, ვინა ხარ, საიდან ხარ და ბერძნული ენა სად ისწავლე?

ფარნავაზმა ხმალი აზონის ფერხთით, კიბის საფეხურზე დადო, წელში გაიმართა და მიუგო:

– ჩემი წინაპრები ტაოელნი არიან წარმომავლობით და ბერძნული ამიტომ ვიცი. ამჟამად ოჯახთან ერთად მთაში ვცხოვრობ და მონადირეობა, ტყავ-ბეწვის გას-

ყიდვით ვირჩენთ თავსო.

აზონმა ჩაიხითხითა და ფარნავაზს მიუგო:

– თითქმის მე მგვანებიხარ, მაგრამ შენგან განსხვავებით, მე მცხეთაში ვცხოვრობ. შენც მცხეთას გადმოხვალ საცხოვრებლად, ყოველ ნადირობისას თან უნდა მახლდე. აი, ესეც შენთვის მომიცია, სახლი შეიძინე მცხეთაში. – და აზონმა ფარნავაზს ვერცხლის ფულით სავსე ქისა გადაუგდო.

ფარნავაზმა თავი დაუკრა, მადლობა გადაუხადა და გამობრუნებას აპირებდა, რომ აზონმა ისევ შეაჩერა: – მოითმინე, ეს ხმალი იბერიის ყოფილი სპასპეტის ნაქონია, მას ხმალი დიდი ხანია, აღარ სჭირდება, შენთვის მიჩუქებია, დაიმსახურე და ხმლის ტარების უფლებას გაძლევ, რადგანაც ნახევრად ბერძენი ხარ.

ფარნავაზს თვალთ დაუბნელდა, სიბრაზისაგან გახელებამ და ყელში მოწოლილმა ბოღმამ მას სიტყვის თქმის უნარი დააკარგვინა. არაფერი შეიმჩნია, მამისეული ხმალი უსიტყვოდ აიღო, აზონს თავი დაუკრა და დარბაზის გასასვლელი კარისაკენ გაემართა.

კართან სასახლის მოხელემ ფარნავაზს უთხრა, მალევე შეგვატყობინე, სად დასახლდები მცხეთაშიო.

სასახლის დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ, ფარნავაზმა და ბაქარმა სამეფო ციხე-სიმაგრის შიდა ეზოში თავიანთი ცხენები მოიძიეს, ციხის გალავნის ჭიშკარში გამოვიდნენ და ქაიხოსროს სახლისაკენ გასწიეს.

XV

ქაიხოსროს სახლის კარის ზღურბლთან ჩამომ-ჯდარს ჩასთვლემოდა. ცხენების ფლოქვების ხმამ გამოაღვიძა, წამოდგა, მოახლოვებულ და ჩამოქვეითებულ ფარნავაზსა და ბაქარს შეეგება, მადლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდითო, წარმოსთქვა და სახლში შეუძღვა აზონისგან მომავალ სტუმრებს.

ღამე იყო და დასაძინებლად ნაბადგაგებულ ტახტებზე მალევე განთავსდნენ.

ფარნავაზსა და ბაქარს გაუჭირდათ ჩაძინება, თუმცა საკმაოდ დაღლილები იყვნენ. ძალზედ დატვირთული და ძლიერი შთაბეჭდილებებით აღსავსე დღე განვლეს. ხვდებოდნენ, დღემ, რომელმაც შესცვალა მათი ცხოვრების გეზი, დაუვიწყარი უნდა გამხდარიყო მათთვის. ნათლად დაინახეს, რომ დამთავრდა ჩვეული, ყოველდღიური არსებობაბა და ხვალინდელი დღიდან იწყებოდა ახალი, გამოუცნობი, საშიში და ხიფათით აღსავსე, რთული ცხოვრება.

მამლის პირველი ყივილისას ჩასთვლიმეს, დაღლილობამ თავისი გაიტანა.

მეორე დღის დილა გათენდა. ქაიხოსრომ მწირი საუზმე გაუწყო გამოღვიძებულ ფარნავაზსა და ბაქარს, თან მოუბოდიშა:

– მომიტევეთ მცირედისათვის, გაჭირვებული, მარტოხელა მოხუცი ვარ და ნუ დამძრახავთ. მე შეიძლება, ზამთრამდეც ვეღარ მივაღწიო, ჩემი დღეები უკვე დათვლილია, ერთი ნატვრა მქონდა, შენ რომ მენახე, ფარნავაზ და მადლობა გამჩენს, ესეც ამისრულდა, ახლა კი მშვიდად შემიძლია წავიდე იმ ქვეყნად, ნამეტანი და-

ვამძიმე წუთისოფელი, – ამოიოხრა მოხუცმა და კვლავ განაგრძო საუბარი: – ღამე დაქანცულ-დაღლილები მეჩვენეთ და აღარ შეგაწუხეთ ლაპარაკით, აზონს თუ შეხვდით სასახლეში?

ფარნავაზმა სუფრასთან გვერდით მოისვა ქაიხოსრო, დაამშვიდა და მოკლედ მოუთხრო, რაც რომ მოხდა სასახლეში აზონთან შეხვედრისას.

ქაიხოსრო გაოცებული, ყურადღებით უსმენდა ფარნავაზის მონაყოლს, ადარნასისეული ხმალიც შეამოწმა და შემდეგ ჰკითხა მას:

– აზონმა თუ მცხეთაში დარჩენა დაგავალა და მის სამსახურში იქნები, საცხოვრებელი ადგილი თუ გაქვს არჩეული, ან დედასა და დებს რას უპირებო?

ფარნავაზმა მცირე დუმილის შემდეგ ქაიხოსროს შეხედა და მიუგო:

– კარის უფროსო, შენზე უკეთესად არავინ არ იცის, რა მოხდა მცხეთაში აზონის შემოსვლისას, ან სად მდებარეობს მამაჩემის, ჩემი ოჯახისეული სახლ-კარი და რა მოუვიდა მას. მომიყევი ყველაფერი დაწვრილებით, რაც იცი და შემდეგ გადავწყვიტოთ, თუ რა მოვიმოქმედოთ და რა ვიღონოთ.

ქაიხოსრომ ერთი ღრმად ამოისუნთქა, მომცრო მაწვნის ქილა აკანკალებული ხელით მაგიდაზე დადო და მძრწოლვარე ხმით გაიხსენა, მცხეთის უკეთური და შავბედითი გარდასრული დღენი. მან დაწვრილებით აღწერა სარკინის ციხისა და მცხეთის დაცემა, აზონის მიერ სამეფო ციხე-სასახლის აღება და სამარასა და ადარნასეს სახალხოდ თავების მოკვეთა.

რაც შეეხებოდა ადარნასეს სახლ-კარს, იქ აზონის ნათესავნი დაბინავებულ- დასახლებულიყვნენ.

ფარნავაზი და ბაქარი დიდი ყურადღებით უსმენ-დნენ მოხუცს. მართალია, მათ იცოდნენ, რა მოხდა იმ ბედუკულმართ დროს მცხეთაში, მაგრამ ყოველივე იმ მოვლენების შემსწრეს და საკუთარ თავზე დატრიალე-ბული ჭირ-ვარამ გამოვლილი კაცის მონაყოლს პირვე-ლად ისმენდნენ.

ქაიხოსრომ დაასრულა თხრობა და დამძიმებულმა სიჩუმემ დაისადგურა მოხუცის პატარა სახლის ვიწრო ოთახში.

დამწუხრებული და თავდახრილი ფარნავაზი თვალ-გაშტერებით დასცქეროდა მუჭში ვადამოქცეულ მამი-სეულ ხმალს. ქაიხოსროს მონაყოლმა მისი ოჯახის წევრების სიკვდილმა მცხეთისა და ქართლის დაცემა-დაპყრობამ გული დაუმძიმა ფარნავაზს, ხანმოკლე დუმილის შემდეგ, მან მხარზე ხელი დაადო მოხუცს და უთხრა:

– ბევრი უბედურება გინახავს და გამოგივლია, მარტო აღარ დაგტოვებთ. მე და ბაქარს გადაწყვეტილი გვქონდა, მცხეთაში სახლი მოგვეძებნა დასასახლებ-ლად, მაგრამ, ვფიქრობ, სახლის მოწყობა მცხეთის გა-ლავნის გარეთ სჯობს, თავისუფლებაც მეტი გვექნება და ცხენებისთვისაც საკმაო ადგილია აქ. ასე რომ, ამაზე უკეთესს ადგილს სხვაგან ვერც ვნახავთ სახლ-კარის ასაშენებლად. ასე არ არის, ბაქარ?

– მართალი ხარ, ფარნავაზ, ქაიხოსრო თუ თანახმაა და ნებას დაგვრთავს, აქ აღვმართოთ სახლი და ყველა ერთად, ერთ დიდ ოჯახად ვიცხოვრებთ. ასე მთასთანაც თავისუფალი მიმოსვლა გვექნება და მცხეთის გალა-ვნის კარიბჭეში ჩამდგარ მუდმივ მეციხოვნე-გუშაგებ-საც მოვერიდებითო.

ქაიხოსროს ამ მოულოდნელი სიხარულისაგან გული აუჩუყდა და თვალთცერმლ მომდგარმა თქვა:

– გმადლობთ, შვილებო, გაიხარეთ, ამ სიბერეში ჩემი გახარებისათვის.

ფარნავაზმა გასამხნევებლად ბეჭებზე ხელი მოუთათუნა მოხუცს და მიუგო:

– ახლა მშენებელ-ხუროთა ნახვა მჭირდება, რომ ოჯახის ჩამოყვანამდე სახლი გავმართოთ; მე და ბაქარი მცხეთას წავალთ და მალევე დავბრუნდებით.

მთელი კავკასიის უმნიშვნელოვანესი ქალაქი, მრავალ ათეულათასოვანი მაცხოვრებელით, ქართლის გული მცხეთა, მხოლოდ სავაჭრო მსხვილ დიდ ცენტრს არ წარმოადგენდა. ვაჭრობის გარდა მცხეთაში და მის სხვადასხვა უბნებში განსხვავებული ხელოსნობა-საქმიანობები იყო განვითარებული: სარკინეში, ლითონის წარმოება; წიწამურში, სოფლის მეურნეობა; კარნისხევში, მეთუნეობა; ბებრის ციხის მახლობლად, ქვითა და ხით ხურობა, ზემო ავჭალაში მინისა და თიხის, მცხეთაში – ოქროსა და ვერცხლის წარმოება. მრავალად არსებობდა კრამიტით დახურული ანტიკური აბანოები, სვეტებიანი დარბაზები და ქარვასლები მოქარავნე მოვაჭრეთათვის.

ღართისკარ-ბებრის ციხის უბანში მისვლისას ფარნავაზი დანახვისთანავე იცნეს მშენებლებმა და დიდად გაიხარეს, რომ მცხეთის გუშინდელი გამარჯვებული გმირისათვის სამსახურის გაწევა შეეძლოთ. ისინი სწორედ წინანდღელ ჯირითობაზე საუბრობდნენ აღტაცებულნი, როდესაც მათთან ფარნავაზი მივიდა.

კირით-ხურონი და კალატოზნი ქაიხოსროს სახლთან მიიყვანა ფარნავაზმა და მათ დაავალა, რომ მთის

ფერდობის კლდოვანი კუთხის გასწვრივ, ქვითა და ალ-იზით ორი მართკუთხა ფორმის გრძელი კედელი ამო-ეყვანათ. ამდაგვარად შეიქმნებოდა კლდის კუთხისა და გრძელი კედლების საშუალებით, კარგად შეკრული და საიმედოდ დაცული, დიდი ოთხკუთხა ფორმის მიწის ფართული სივრცე.

სამხრეთის მხარის ყრუ კელდის გასწვრივ მთელს სიგრძეზე, შვიდ მეტრამდე მოშორებით, კიდევ ერთი ცრუ კედელი აეგოთ შიგჩატანებული რამდენიმე კარი-თა და ფანჯრით. ორ პარალელურ კედლებს შორის არ-სებული შიდა სივრცე, გამყოფი კედლებით ოთახებად უნდა დაეყოთ და გადაეხურათ.

აღმოსავლეთის მხარის კედელში კი ფარნავაზმა მშენებლებს დიდი ჭიშკარ-კარიბჭის ჩატანება დაავა-ლა. ამდაგვარად აშენებული სახლი ციხესიმაგრესავით ოთხივე მხრით მტკიცედ დაცული იქნებოდა, საკმაოდ დიდი და ფართე შუა ეზოთი. ქაიხოსროს სახლიც შიდა ეზოს განაპირა მხარეს დარჩებოდა, სადაც ყმა-მსახურ-ნი განთავსდებოდნენ.

დილიდან დაღამებამდე მუშაობა არ წყდებოდა, ამოყავდათ გალავნის კედელი და იგებოდა სახლი. კამეჩებშებმული ურმებით ეზიდებოდნენ დიდძალ რი-ყის ქვებსა და ლოდებს. მშენებელნი მონდომებითა და სისწრაფით ცდილობდნენ საქმის კეთებას, ზოგიერთი მათგანი აზონის ტყვედყოფილი მუშები იყვნენ, რომ-ლებსაც თავის დროზე აკროპოლისისა და პანთეონის მშენებლობასა და მრავალი ციხის დარღვევა-მოშლა-ში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული. როცა აზონს ქართლსა და კახეთში ასაშენებელ-დასანგრევი აღა-რაფერი დარჩა, ტყვეთა შენახვა-გამოკვებას ამჯობი-

ნა, გაეთავისუფლებინა და სახლებში გაეშვა სარკინეს ციხის ყოფილი დამცველ-მებრძოლნი.

ორი დღე კიდევ დაჰყვეს ფარნავაზმა და ბაქარმა მცხეთაში.

მესამე დღეს ფარნავაზმა ქაიხოსროს, ხურო-კალატოზებსა და მშენებლებს, აზონის მიერ ბოძებული ფულის ქისა და მხედრულ ასპარეზობაში მოპოვებული ვერცხლის თასი გადასცა, როგორც საფასური სახლკარის აშენებისა და მოწყობა-გაკაზმვისა, „დანარჩენს შემდეგ გადაგიხდით, მთიდან რომ დავბუნდებიო“, შეჰპირდა; ქაიხოსროს სახლის მშენებლობა-მოწესრიგების მეთვალურეობა ჩააბარა:

— თავს გაუფრთხილდი, მოხუცო, ყურადღება მიაქციე აქაურობას, სახლის კარის უფროსობა ჩამიბარებია. ორ კვირაში ოჯახთან ერთად დავბრუნდები და იქნებ სახლი დასრულებული და დამთავრებული დამახვედრო, ააჩქარე მუშახელიო.

გამოემშვიდობა მოხუცს ფარნავაზი და ბაქართან ერთად მთას გაემგზავრა.

XVI

მთაში ზაფხულის საღამოს სასიამოვნო სიგრილე იდგა. ბინდდებოდა, მაგრამ კავკასიონის მაღალ მწვერვალებს ჯერ კიდევ ნათელი ედგათ.

ფარნავაზი და ბაქარი დაღლილ-დაქანცული და ოფლისგან გახვითქული ბედაურებით, ნელი სვლით უახლოვდებოდნენ შანშე ხევისთავის ზვიად ციხესიმაგრეს, რომელიც მაღალი მთიდან ამაყად გადაჰყურებდა მთის ქვეშ გაშენებულ სოფელს. ფარნავაზმა თვალი მოავლო მისთვის კარგად ნაცნობ გარემოს, სადაც აღიზარდა და დავაჟკაცდა ბაქართან ერთად, გარემოს, სადაც პირველად შეიგრძნო სამშობლოს სიყვარული და მშობლიური მთა-ბარის კეთილმყოფელი მაგიური ძალა, გარემოს, სადაც დაიბადა მისი გულის რჩეული და სადაც პირველად იგრძნო ნამდვილი წრფელი, დიდი სიყვარულის ზეციური მადლი.

სოფელთან მიახლოვებისას ატყდა ძაღლთა ყეფა-გნიასი, რომლებმაც შორიდანვე შეიგრძნეს მოახლოებულ მხედართა ცხენების ოფლიანი ოხშივარი. სოფელში ცხვრისა და ხინკლის ერთმანეთში შეზავებული სურნელი ტრიალებდა. სადღაც სტვირი უკრავდა, საიდანღაციდან კი ჩვილი ბავშვის ტირილი მოისმოდა. სოფლის თავზე ფრთაგაშლილი დიდი არწივი ცის მაღლივ კამარაზე ჩამავალი მზის გამოსამშვიდობებელ ბოლო ირაოს ჰკრავდა.

ხევისთავთა მაღალ-გალავნიანი ციხესიმაგრე, შუაში თავი კოშკითა და აქეთ-იქით გვერდებში ჩამდგარი მრგვალი გოდოლებით, საღამოს ბინდ-ბუნში

უზარმაზარი გოლიათის თავსა და მხარ-ბეჭს წააგავდა, რომელიც მცველივით ედგა კავკასიონის სამხრეთით მდებარე დღემზიან და ბარაქიან მიწა-წყალს.

ფარნავაზი თითქოს ემშვიდობებაო იქაურობას, კიდევ მიმოავლო თვალი გარემოს.

ბაქარი მიუხვდა ფარნავაზს ფიქრს, მასაც იგივე შეგრძნება დაუფლებოდა და გასძახა ძმადნაფიცს: „აჰაი, რა ზღაპრულ მხარეს ვტოვებთო!“

ფარნავაზმა უხმოდ რამდენიმეჯერ თავი დაუქნია ბაქარს და შემდეგ ჰკითხა:

— ბაქარ, ხომ არ გაშინებს აზონი და ხიფათი იმისა, რაც მცხეთაში მოგველის?

– მთავარია, შენ იყო უშიშრად, ფარნავაზ, დიდ ცეცხლთან მოგიწევს თამაში. მე ყოველთვის შენი ერთგული ვიქნები ჭირსა თუ ლხინში, იცი ეს შენ. აზონმა თუ გვაჯობა, მისი რისხვა ღვარცოფივით დაგვატყდება თავს ჩვენცა და ჩვენს ოჯახებსაც. ამიტომ ჩვენ უნდა ვაჯობოთ, სხვა გზა არ არის!

ფარნავაზი ჩააფიქრა ბაქარის სიტყვებმა და შემდეგ მშვიდად მიუგო მას:

— ვაჯობებთ, ჩემო ბაქარ! მოთმინებით, სიდინჯითა და წინდახედულობით ვაჯობებთ!

ფარნავაზისა და ბაქარის მცხეთაში გამგზავრების წინ ისინი ბაკურთან შეთანხმდნენ, რომ უსაფრთხოებისა და სიმშვიდისათვის, ბაკურს მანდილოსნები შანშე ხევისთავის ციხესიმაგრეში უნდა წაეყვანა, მცხეთიდან მობრუნებული ფარნავაზი და ბაქარი კი პირდაპირ ხევისთავის ციხეში დაბრუნდებოდნენ.

ფარნავაზი და ბაქარი მთაში აქამდეც უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ აგერ უკვე მეექვსე დღე ილე-

ოდა და ისინი კი არსად სჩანდნენ; არც არაფერი მათ შესახებ არა სმენოდათ რა. ყველა ნევრიულობდა და განიცდიდა მათს შეგვიანებას.

ბაკურს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ერთი კვირის თავზე თუ კიდევ არ გამოჩნდებოდნენ ფარნავაზი და ბაქარი, კაცნი შეეყარა და მცხეთას წასულიყო მათს მოსაძებნად.

ციხის გალავნის კედელზე გადმომდგარმა მეთვალყურეებმა შორიდანვე შეამჩნიეს ფარნავაზისა და ბაქარის მოახლოვება და მაშინვე ამცნეს ხევისთავს მათი გამოჩენა.

ციხის ალაყაფთან დახვდნენ ოჯახის წევრები მცხეთიდან დაბრუნებულებს. მსახურებმა გაოფლილი ცხენები შესაშრობად სწრაფადვე ჩამოართვეს მხედრებს. სიხარულით აღტაცებული გოგონები პირველები გადაეხვივდნენ ფარნავაზსა და ბაქარს, მათი მშობლები კი უფალს მადლობას სწირავდნენ შვილების მშვიდობით დაბრუნებისათვის. ბაკურმა თავის აღსაზრდელებს უთხრა:

– შანშე ხევისთავი მძიმედ ავადაა, თქვენი ნახვა უნდა. ეახლეთ, შემდეგ დაისვენებთ, — და ციხე-სასახლეში თავად შეუძღვა.

ღრმად მოხუცებული შანშე ხევისთავი ავადმყოფობდა. მთის მმართველობა მის უფროს ვაჟს, კახაბერს ჰქონდა ჩაბარებული.

საწოლ ოთახში ტახტზე წამოწოლილმა შანშე ხევისთავმა ფარნავაზისა და ბაქარის დანახვაზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვაჟკაცმა რაინდებმა არ მისცეს ამის საშუალება, მყისვე მიიჭრნენ მასთან და ცალ მუხლზე მოიდრიკნენ მის ტახტრევანთან.

უკურნებელ სენსა და მძიმე ავადმყოფობას ძლიერ მოეტეხა ერთ დროს ლომკაცად წოდებული, მთის მმართველ-გამგებელი შანშე ხევისთავი, რომელიც დასნეულებულ ჩია მოხუცს დამსგავსებოდა და ოდესღაც მის არწივისებრ გამოხედვასა და გოროზ თავლებში, რომლებიც ერთ დროს ცეცხლს აფრქვევდნენ, ახლა უიმედობას დაესადგურებინა და სიცოცხლის შუქი მათში ნელ-ნელა ლღვებოდა და იფერფლებოდა.

– დავძაბუნდი, შვილებო, სიარულიც კი აღარ ძალმიძს. ასეა ცხოვრება მოწყობილი, ყველა იმქვეყნად წარმავალნი ვართ, – წარმოსთქვა მძიმედ შანშე ხევისთავმა და შემდეგ თავისი მიმქრალი თვალებით, გამომცდელი და ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილი მზერა მიაპყრო ორივეს. მცირე დუმილის შემდეგ ხევისთავმა ჩაახველა და დინჯად წარმოსთქვა: – მცხეთას ვაჟკაცი ჭაბუკები წახვედით, იქიდან კი კაცნი დაბრუნებულხართ, ბევრი რამ გადაგხდათ თავს და ბევრს ახალს გაიგებდით ალბათ.

ფარნავაზი და ბაქარი დაეთანხმნენ თავის მსუბუქი დაკვრით. ხევისთავმა ერთი კიდევ შეავლო თვალი მუხლმოყრილ ჭაბუკებს და შემდეგ ოთახის შუაგულში ფეხზედ მდგომ თავის შვილებს, კახაბერსა და ბაკურს მიმართა: – ამათი იმედი მაქვს, რაც რომ ჩვენ ვერ შევსძელით და ვერ გავაკეთეთ, ესენი შესძლებენ და გააკეთებენ. ჩემი ცხოვრების დღენი დასრულდა და ჟამი ჩემი არსებობისა ამოიწურა, ერთ-ორ დღეში წავალ, ალბათ, ამ ქვეყნიდან და საბოლოო გამოსამშვიდობებელი, დიდი, მეფური ვახშამი მოაწყვეთ, ხბო წამოაქციეთ და ნაკვერჩხალზე შესდეთ, მეც წამოვდგები და ვახშმად გეწვევით, მანამდე კი მკურნალს დამიძახეთ.

ხევისთავი ისევ ფარნავაზსა და ბაქარს მიუბრუნდა და მიუგო მათ:

– ნამგზავრები ხართ, შვილებო, ახლა დაისვენეთ, ვახშმად შევხვდებით და ყველაფერი დაწვრილებით მერე მიამბეთ.

იოთამ მკურნალი ხევისთავს ეახლა. შანშემ ახლო მოიხმო და უთხრა:

– ხბო უნდა დაიკლას ახლა, წადი, ძარღვთაგან სისხლი და ღვიძლი გამოარიდე. შავი ღვინო და ხბოს სისხლი გააზავე ერთმანეთში და წვრილად დაკეპილი ღვიძლი ჩახარშე ნაზავში, გაგრილებისას თაფლიც გადაურიე. პაპაჩემისაგან მახსოვს მონაყოლი, ოდესღაც მომაკვდავი სკვითთა ბელადი მომჯობინებულა სისხლნარევი შეჭამანდის მიღებით. მაინც ვკვდები და იქნებ ცოტა დღენი მომემატოს კიდევ.

ფარნავაზი და ბაქარი ცალკე ოთახში გავიდნენ გასაბანად და მოსასვენებლად, სადაც სიხარულითა და სიცილით მათი დები შემოიჭრნენ და ძმებს კისერზე შემოეხვივდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ მცხეთიდან ძმები მათ აუცილებლად საჩუქრებს ჩამოუტანდნენ.

ქალთამზე ფარნავაზს ვერ შორდებოდა, ორივეს მონატრებოდათ ერთმანეთი.

ოთახში შემოსულმა რუსუდანმა და ლელამ სიცილით უთხრეს გოგონებს: „მოასვენეთ, ნამგზავრები და დაღლილები არიან. დაინდეთ თქვენი ძმები, შემდეგ ისაუბრებთო“ – და გოგონები საჩუქრებიანი ბოხჩებით ოთახიდან გაიყვანეს.

ხევისთავის ციხე-დარბაზში დიდი სანადიმო სუფრა გაეშალათ. ნაკვერჩხალზე შემწვარი ხბოს ხორცის

შემოტანამდე, სუფრა არაგვის კალმახით, ხოხბითა და გნოლით დაამშვენეს, რომელსაც შემდეგ შემოჰყვა ცხვრის გუდის ყველის ნაჭრებით გაწყობილი დიდი ხის ლანგრები, რომლებზეც ზემოდან პატარა წკნელებზე აცმული კლდის ჯიხვის მწვადი იყო სიგრძეებზე გადებული.

იოთამ მკურნალმა ვახშმობამდე ხევისთავს ხბოს ღვიძლის შეჭამანდი შეაჭამა და რამდენიმე ხნის შემდეგ შანშემ მართლაც შეიგრძნო თავის უსუსურ ორგანიზმში სითბო და ოდნავ ენერგიის მოზღვავება.

ვახშმობისათვის შანშე ხევისთავი ტახტზე მოათავსეს, აქეთ-იქედან რბილი ყურთ-ბალიშები შემოუწყვეს და სანადიმო დარბაზში ოთხმა კაცმა ხევისთავდაბრძანებული ტახტი მაღლა აწეული შემოაბრძანეს. შანშე ხევისთავი კარგ ხასიათზე დამდგარიყო, ეამა, თავისი დიდი ოჯახი სრულად რომ ნახა შეკრებილი, გაიღიმა და ტახტსზემოდან მიმართა მათ:

– ეჰ, დავკუტდი, ველარ დავდივარ და ისეთი კაცის ცხოვრება რა ვსთქვი, ძაღლის ცხოვრებას რომ შენატრის.

ხევისთავის ხუმრობით ნათქვამმა სიტყვებმა სიცილი გამოიწვია დარბაზში შეკრებილთა შორის.

კახაბერი მამამისს ხელგაშლილი შეეგება და ხუმრობითვე მიუგო:

– მამაჩემო, ეგვიპტელთა ფარვანივით შემოგაბრძანეს და ძაღლის ტანტალი რაღა სანატრელიაო.

ხევისთავსაც გულიანად გაიცინა. მსახურებმა მისი ტახტი მაგიდის თავში ფრთხილად დადგეს. სანადიმო მაგიდას ოჯახის ოცამდე წევრნი მისხდომოდნენ და მათ შორის იყვნენ კახაბერის დაკაცებულ-დავაჟკაცებული

ხუთი ვაჟიც: – შავლეგი, ზეზვა, მინდია, თედო და იმედა.

დანაყრების შემდეგ შანშე ხევისთავმა ფარნავაზს მიმართა:

– ფარნავაზ, შვილო, გვიამბე, რა მოხდა მცხეთას, რა გადაგხდათ თავს შენ და ბაქარს, გუმანით ვგრძნობ, რომ აზონს უნდა შეხვედროდი.

– დიდო ხევისთავო, პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ვართ განმსჭვალულნი მე და ჩემი ოჯახი, თქვენი და თქვენი ოჯახის მიმართ. ზრუნვა და ამაგი, რაც ყველამ თქვენ გამოიჩინეთ, გაიღეთ და გასწიეთ ჩვენთვის, დაუვიწყარია და მე ამ დიდ სიკეთეს ვერასოდეს ვერ გადაგიხდით, მაგრამ დადგა დრო, როცა მთა უნდა დავტოვოთ და მცხეთას დავბრუნდეთ, ამის შესახებ მოგვიანებით გიამბობთ, ახლა კი ჩემს ძმადნაფიცს, ბაქარს ვთხოვ, რომ მან გამცნოთ ყოველივე მცხეთის შესახებ, საკუთარ თავზე ლაპარკს არა ვარ ჩვეული და მიძნელდება, – დაამთავრა სიტყვა ფარნავაზმა და ერთდროულად ყველამ ბაქარს მიაპყრო მზერა, რომელმაც დაძაბული სიჩუმე დაარღვია და მშვიდი, საინტერესო მეტყველებით დაწვრილებით აღწერა ჯერ მცხეთის ჯირითობა-ყაბახი და შემდეგ, აზონის სასახლეში ფარნავაზის სტუმრობა.

ბაქარის საუბრისას დარბაზში მყოფნი დროდადრო ხან გაკვირვებით, ხანაც მოწიწებითა და პატივისცემით გახედავნდნ ხოლმე ფარნავაზს.

დედამისი რუსუდანი და ქალთამზე აღელვებულები ჩანდნენ, ბაქარს კი უსმენდნენ, მაგრამ ფარნავაზს თვალს ვერ აშორებდნენ.

თავდახრილი ფარნავაზი მამისეული ხმალს დაჰყურებდა და ფიქრით სხვაგან იყო.

ბაქარმა დაამთავრა თხრობა, ქაიხოსროსთან შეხვედრა კი შეგნებულად არ მოჰყვა, რადგან ეს ამბავი ფარნავაზს დაუტოვა მოსაყოლად.

სამარისებულმა სიჩუმემ მოიცვა დარბაზი. ყველა იქ მყოფი აღფრთოვანებული და გაოცებული დარჩა ბაქარის მონაყოლითა და ფარნავაზის ვაჟკაცურ-ქველური სიმამაცით.

ბაკური სიამაყით შეჰყურებდა თავის აღზრდილსა და გამოწვრთნილს.

დარბაზის სიჩუმე ფარნავაზმა დაარღვია. მან უბიდან სამარას ნაქონი სამეფო ბეჭედი ამოიღო, ყველას დასანახად ხელი წინ, მაგიდის შუაგულისაკენ გამართა და წარმოსთქვა:

– ეს სამეფო ბეჭედი მცხეთოსის შთამომავალთა, ქართლის მმართველ-მეფეთა ნიშან-დასტურია! აზონი სანამ სასახლეში სამარასა და მის ძმას ადარნასეს დაატყვევებდა, სამარამ მოახერხა ამ ბეჭდის გადაცემა სასახლის კარის უფროს ქაიხოსროსათვის და თან დაუბარა, რომ ეს სამეფო ნიშანი შემოენახა და გადაეცა ქართლოს-მცხეთოსის მემკვიდრესა და ქართლის შემდგომი კანონიერი მეფე-მმართველისათვის, აზონის ბოძებული ეს ხმალი კი ქართლის სპასპეტის, ადარნასეს კუთვნილია.

უცებ გაისმა რუსუდანის მოულოდნელი ხმადაბალი ამოოხვრა.

სიტყვის დამთავრებისას ფარნავაზმა სამეფო ნიშან-დასტურის ბეჭედი და მამისეული ხმალი მაგიდაზე დააწყო.

შანშე ხევისთავმა აკანკალებული ხელი ხმლისაკენ გაიწვდინა. ბეჭედი და ხმალი მაშინვე ხელთ გადასცეს.

ხევისთავმა დახედა ხმალსა და ბეჭედს, შემდეგ ხმალი ტუჩებთან მიიტანა და ეამბორა, თვალთაგან კი ორიოდე ცრემლი მოსწყდა და სპეტაკი თეთრი წვერ-ულვაში დაუნამა.

ხევისთავმა თავი ასწია და რუსუდანს მრავლისმნიშვნელი გამომეტყველებით შეხედა. ცრემლმომდგარმა რუსუდანმა და შანშე ხევისთავმა უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს და რუსუდანმა თანხმობის ნიშნად თავი მსუბუქად დაუკრა ხევისთავს.

ხევისთავმა ყრუდ ჩაახველა და შემდეგ დარბაზში შეკრებილთ მიმართა:

– ქართლის სპასპეტი, ადარნასე ჩემი მფარველი და ქომაგი იყო. მან ბევრჯერ გადამარჩინა სამარას რისხვას. ბევრ საკითხში სამარას არ ვეთანხმებოდი და ვეურჩებოდი, ზოგიერთ ჩემს ნაფიქრალს სპასპეტი იზიარებდა და ურჩობისათვის სამარამ სიკვდილით რომ არ დამსაჯა და ჩემი ოჯახი არ ააწიოკა, ადარნასეს უნდა ვუმადლოდეთ, ამიტომაც მე მას ერთგულება შევფიცე.

ბერძენთა შემოსევისას მე და ჩემი უფროსი ვაჟი, კახაბერი, სარკინეს ციხის კედლებს ხმლით ხელში ვიცავდით. შემდეგ კი, როდესაც მცხეთა დაეცა, ბერძნებმა ქართველთა თვალწინ სამარა და ადარნასე გამოიყვანეს დასასჯელად.

ჩვენ ყველანი დამწუხრებულნი შევყურებდით გალავნის თავზე შემდგარ სამარას და ადარნასეს. მე ჩემს მებრძოლებთან ერთად პირველ მწკრივში ვიდექი. ადარნასემ შემამჩნია და მხოლოდ მე შემომცქეროდა თვალებში უხმოდ და უსიტყვოდ, სანამ მისი სიცოცხლე არ დასრულდა. მივხვდი, რას მთხოვდა და რას მევედრებოდა.

მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა. დღეს გამოვააშკარავებ და ნათელს მოვფენ კარგად დაფარულ საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ მე, კახაბერმა და ბაკურმა ვიცოდით.

მცხეთის ბრძოლის დაწყებამდე ბაკურს დავავალე, მთაში დარჩენილიყო და ჩვენი სახლ-კარისათვის, ჩვენი ოჯახებისათვის და ჩვენი ახლობლის, რუსუდანის წვრილშვილიანი ოჯახისათვის მიეხედა, მე და კახაბერი კი მცხეთის დასაცავად წავედით... მე ჩემი ვალი ქვეყნისა და ადარნასეს წინაშე პირნათლად მოვიხადე. მცხეთიდან მთაში გამოგზავნილი უკაცოდ დარჩენილი წვრილშვილიანი ოჯახი, ქართლის სპასპეტის, ადარნასეს ოჯახია.

სამარასა და მისი ოჯახის დაღუპვის შემდეგ, ქართლის მმართველობა მემკვიდრეობით ფარნავაზს გადაეცემა, ქართლოსიანთა სამეფო ბეჭედი ნიშან-დასტურიც მას ეკუთვნის. აზონის წასვლის ჟამიც დადგება. მოვა დრო, როდესაც ქართლის სამეფო ტახტსა და ქვეყნის მმართველობას ფარნავაზი ჩაიბარებს. მანამდე კი დიდი მოთმინება და მზადებაა საჭირო. ნელ-ნელა კავშირები უნდა დამყარდეს ეგრისთან, ოვსთან და დურძუკეთთან, რომლებიც მოხარკედ უდგანან ბერძნებს და უკმაყოფილონი არიან.

ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა ფარულად მებრძოლი რაზმები უნდა შეადგინონ და გამოწრთვნან ლაშქრის შესადგენად, ფარნავაზის ერთგულნი უნდა იყვნენ და მის გვერდით უნდა იდგნენ ომსა და სიდუხჭირეში. – ხევისთავს უჭირდა დიდხანს ლაპარაკი, ერთი ღრმად ჩაახველა, ცოტა დაისვენა და შემდეგ ისევ განაგრძო:

– ყველამ კარგად უწყით, რომ აზონს მსტოვარ-ჯაშუშნი და ფულით მოსყიდული მოენე კაცნი მრავ-ლად მოეძიება მთასა და ბარში, ამიტომ რაც დღეს ამ დარბაზში ითქვა და გაიგონეთ, ამ დარბაზშივე დარჩეს და გარეთ ხალხში არ გავრცელდეს, თორემ ყველა სა-შიშროების წინაშე აღმოვჩნდებით, აზონთან კი ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

ხევისთავმა კიდევ ერთხელ ჩაახველა და შემდეგ ფარნავაზს მიმართა:

– ფარნავაზ, შვილო, დაიმახსოვრე ჩემი რჩევა, ყოველთვის საკუთარ ქვეყანაზე და ხალხზე იზრუნე. ხალხი ამას დაგინახავს და მუდამ შენს გვერდით იქნება. ეგრისის ერისთავს დაუკავშირდი და საერთო გამონახე მასთან, რადგანაც ერთი მოდგმისა ვართ ჩვენც და ისინიც... და ქართველთა ურთიერთშორისი კავშირი და ერთმანეთთან გაერთიანება ყველაზე მთავარი და ძირ-ითადი ბურჯსაყრდენია სახელმწიფოს სიმტკიცისა და ძლიერებისათვის.

ახლა კი მომიახლოვდი, ფარნავაზ, გამომართვი სამეფო ნიშან-ბეჭედი და მამიშენისეული ხმალი!

ფარნავაზი წამოდგა, ხევისთავს მიუახლოვდა და ქედი მოიხარა მის წინაშე.

ხევისთავმა ფარნავაზს სამეფო ბეჭედი და ხმალი გადასცა, თან სიტყვაც დააყოლა: – ეს ქართლის სპას-პეტისეული ხმალი ისევე ღირსეულად ატარე, როგორც მამაშენი ატარებდა, მხოლოდ მამულის თავისუფლები-სათვის გეშიშვლოს და მარტო მტრის სისხლი სცხე-ბოდეს მას.

შემდეგ ხევისთავმა ღვინის სასმისი აღმართა, მა-გიდის გარშემო მყოფთ თვალი გადაავლო და წარ-

მოსთქვა: „დღეგრძელობა ქართლის მომავალ მეფეს, ფარნავაზს!“

ხევისთავის სიტყვა უცებ აიტაცეს ნადიმის მონაწილეებმა და დარბაზში ერთდროულად გაისმა ომახიანი შეძახილები: „დღეგრძელობა! დღეგრძელობა ფარნავაზს!“

მაგიდასთან მსხდომნი რუსუდანი, გურანდა, ნანი და ქალთამზე სიხარულისაგან აცრემლებულიყვნენ.

ფარნავაზმა ბაქარს ღვინით სავსე სასმისი გამოართვა, ცოტა ხანს შეყოვნდა და შემდეგ წარმოსთქვა:

— მცხეთაში ბებრის ციხის მახლობლად მე და ბაქარმა გალავანშემორტყმული დიდი სახლის აშენება დავიწყეთ. კირით-ხუროთა ზედამხედველად სამეფო სასახლის ყოფილი კარისუფროსი, ქაიხოსრო დავტოვეთ. მალე სახლ-კარის აგება დასრულდება და მე და ბაქარი ჩვენი ოჯახებით მცხეთას გადავალთ საცხოვრებლად, თუ უფროსებს საწინააღმდეგო არა აქვთ რა.

საქმე ასე მოითხოვს, მალე მცხეთას უნდა დავბრუნდე, რადგანაც აზონს ყოველი ნადირობისას თან უნდა ვახლდე მონადირეთა ამალაში, ამდაგვარად მტერსაც უკეთ შევისწავლი და შევიცნობ. მცხეთაში გადასვლის შემდეგ მუდმივი კავშირ-ურთიერთობა გვექნება თქვენთან და მთასთან. აღმზრდელი ჩემი, ბაკური, რომელმაც მამობა გამიწია, დიდ პატივისცემაში გვეყოლება და მას სახლის მმართველობა ჩაბარდება.

სახლი დიდი და მტკიცე შენდება, ყველასათვის საკმარისი ადგილ-სამყოფელითა და სათავსით.

საბოლოოდ კიდევ ერთს გთხოვთ, ყველამ იცით ჩემი და მშვენიერი ქალთამზის დიდი სიყვარული, მის ხელს გთხოვთ, როგორც მეუღლედ ჩემსად; მცხეთას

ავეწყობით, დავლაგდებით და შემდეგ გვიან შემოდგომაზე დიდი საქორწილო ლხინი და სუფრა გავმართოთ, მანამდე კი ამ სასმისით მინდა, შევსვა ჩვენი არსებობის ახალი მიზანმიმართული ცხოვრების დაწყებისა და განხორციელებისა, რომ შევსძლოთ ქართველთა მიწაწყლიდან აზონის განდევნა და ჩვენი სამშობლოს ბერძენთაგან გათავისუფლება.

დარბაზში აღფრთოვანებული და ხალისიანი შეძახილები გაისმა. პირმშვენიერი დარცხვენილი ქალთამზე წამოწითლდა და თავი დახარა.

შანშე ხევისთავმა ხელი მაღლა აღმართა და დარბაზში ჩამოვარდნილ სიჩუმეში კმაყოფილებით წარმოსთქვა:

– ძალიან კარგი, აგრე ჰქმენ, ფარნავაზ, კარგი რამ განგიზრახავს. ქალთამზის ცოლად წაყვანაც დიდად სასიხარულოა. შენ კიდევ, ჩემო ბაკურ, სჯობს, მცხეთას წახვიდე. მამულს, ერსა და ფარნავაზს იქ ყოფნით უფრო გამოადგები, აქედან არაფერი არ მოგაკლდებათ. ჩემი მთელი ქონების ნახევარი შენსა და კახაბერს შორის გაიყოფა, რამდენიმე ათასი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელიც შენ მოგეცემა და აქ შენს მიწაზე შეგენახება.

ლხინი და ნადიმი გვიანობამდე გაგრძელდა. კმაყოფილი და ნასიამოვნები ხევისთავი მოსასვენებლად გაიყვანეს, ქალებიც დასაძინებლად გავიდნენ. სუფრასთან დარჩენილ კაცთა სიმღერის ხმა კი გათენებამდე გუგუნივით ისმოდა ჩაძინებული კავკასიონის მთათა ნისლოვან კალთებში.

XVII

დილით ფარნავაზსა და ბაქარს დები სიხარულით შემოეხვივნენ, აინტერესებდათ. როგორი იქნებოდა მცხეთის ახალი სახლი. გუშინდელი საღამოს შემდეგ ქალთამზე ოდნავ მორიდებული და დარცხვენილი იყო. ფარნავაზმა ხელად განტვირთა ქალთამზეს უხერხულობა, გულში ჩაიკრა და თვალები ალერსიანად ჩაუკოცნა. ოთახში რუსუდანიც შემოსულიყო და თბილი ღიმილით შეჰყურებდა გახარებულ შვილებს. ფარნავაზი მიუახლოვდა რუსუდანს, უბიდან ქართლოსიანთა სამეფო ბეჭედი ამოიღო, დედამისს გაუწოდა:

– დროებით შემინახე ეს ბეჭედი, დედა, ამის გამოჩენა ჯერ არ შემიძლია და შენთან უფრო საიმედოდ იქნება.

რუსუდანმა ბეჭედი გამოართვა, ჩამოჯდა, დაიცქერდა და შემდეგ ფარნავაზს მიმართა: — შვილო, რასაც ახლა მოგიყვები, კარგად დაიმახსოვრე, — ოთახში მყოფნი რუსუდანის გარშემო ჩამოსხდნენ და სმენად იქცნენ. რუსუდანმა ძვირფასი, დიდი უცხოთვლიანი ბეჭედი კარგად დასანახად წინ წასწია და საუბარი განაგრძო: – სამარა სანამ ქართლის მმართველი გახდებოდა, ქართლს სამარასა და ადარნასეს მამა მართავდა. მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთი სადილობისას შენმა პაპამ ეს ბეჭედი თითიდან წაიძრო და ასეთი ამბავი მოჰყვა, მცხეთოსის შთამომავალთ, მრავალი წლების განმავლობაში აურაცხელი სიმდიდრე დაუგროვებიათ, უამრავი ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი ქვების სახით. ადრეულ პერიოდში კავკასიონიდან ჩამომავალ მდინარეებს უხვად ჩამოუტანიათ ოქროს

ქვა, მცხეთაშიც საუკეთესო ოქრომჭედლები და ოსტატები ჰყავდათ.

დიდი კიროსის შემოსევის წინ (VI საუკუნე ძვ. წ.), ქართლის მაშინდელმა მმართველმა მთელი ის დიდი სამეფო განძი გამოქვაბულში გადამალა. იგი კიროსთან ბრძოლაში დაიღუპა და სამეფო განძის სამალავის ადგილსამყოფელის საიდუმლოება იმქვეყნად თან გაიყოლა.

ქართლის მომავალ თაობათა მეფე-მმართველებს შემორჩად მხოლოდ ეს სამეფო ბეჭედი, რომლის ძვირფას ქვაზეც ამოკვეთილ-ამოტვიფრული ნიშან-ნახატი ქართლოსიანთა სამეფო სიმდიდრე-განძის აღმნიშვნელი ნიშანია.

რუსუდანმა ბეჭდის ნაკვეთ ძვირფას ქვას თითი ძლიერად დააჭირა.

ძვირფასი თვალი ოქრო-ნაქარგ ზარდახშაში ოდნავ ჩაღრმავდა და ქვისა და ზარდახშის შუა, ბეჭდის მარცხენა მხარეს დამალულმა პატარა სამაგრ-საკეტმა ამოიწია.

რუსუდანმა პატარა სამაგრი გვერდით გადასწია, ძვირფასთვლიანი ოქროს მინანქოვანი ზარდახშა გადაიხსნა და გამოჩნდა ბეჭდის მეორე დამალული შიდა მხარე, რომელზეც ამოტვიფრული იყო, მთა გამოქვაბულითა და ირმის რქები.

რუსუდანმა ზარდახშაგადახსნილი ბეჭედი ფარნავაზს გაუწოდა და გააგრძელა საუბარი: — ქართლის შემდგომმა მმართველებმა ყველამ ეძება სამეფო განძი. მოიარეს მთელი მთიანი გამოქვაბულ-ღრმულები და ქართველთა მიწები, მაგრამ ვერავინ ვერსად ვერაფერს ვერ მიაგნო.

ვარაუდობდნენ, რომ ვინმემ გასცა ან გაჰყიდა სამალავის ადგილსამყოფელი და ქართლოსიანთა სამეფო განძი ისევ კიროსმა, ან მისმა შვილმა იგდეს ხელთ და დაისაკუთრესო. ეს ამბავი კი მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ, შვილებო და მომავალში მხოლოდ თქვენს შვილებს შეგიძლიათ რომ გადასცეთ.

დაამთავრა რუსუდანმა საუბარი, მის გარშემო მსხდომნი კი გაოცებულნი დაჰყურებდნენ სამეფო ბეჭდის იდუმალ შიდაფსკერზე გამოსახულ უცნაურ საიდუმლო ნახატს – მთის ძირში არსებული გამოქვაბულის კარ-შესასვლელთან ქორბუდა ირმის გაშლილ რქებს.

* * *

სიცოცხლე ინტერესმიცემული ქაიხოსრო გამოცოცხლებულიყო და განახლებული ენერგია-მოზღვავებული ცხოვრების ძალა გასჩენოდა.

ფარნავაზისა და ბაქარის წასვლის შემდეგ, ქაიხოსრომ გადახსნა თავისი ძველი დიდი სკივრი და შიგნიდან ამოალაგა ოცი წლის წინათ შენახული სასახლის კარის დროინდელი კაბაკრული სამოსი, პერანგ-ქულაჯები და შარვალ-ხალათი. უხმარობისაგან, დიდი ხნის მოდებული მტვერი ჩამოაცილა სამოსს, შემდეგ გადაიცვა, გამოეწყო ძველებური იერით. თუმცაღა, ყველაფერი ოდნავ დიდი ეჩვენა, წელში მაინც გაიმართა და რიხიანად გავიდა მშენებლებთან სახლ-კარ-გალავნის შესამოწმებლად. პერიოდულად მუშახელს ომახიანად შესძახებდა ხოლმე გასამხნევებლად. გაახსენდა ქაიხოსროს თავისთავი, როდესაც სამარას კარზე მსახურობდა და დაუვლიდა ხოლმე სასახლის მოხელეთ და

ყმა-მსახურთ, აკი მაშინაც ასე სჩვეოდა მათი შემოწმება-დათვალიანება და გამხნევება.

ქაიხოსრო კარგად იცნობდა უბრალო ხალხის ხასიათსა და თვისებას. ბერძენთაგან შევიწროვებული და გაჭირვებაში მყოფი ქართლის მოსახლეობა ოცი წელია, აზონის ტირანიის ქვეშ იმყოფებოდა და მათ ვერანაირი გამოსავალი ვერ გამოენახათ, იმჟამინდელ უბედურ არსებობაში და ვერც მომავალ ცხოვრებაში.

მათ ჰაერივით სჭირდებოდათ რაღაც ახალი და რაიმე იმედის მომცემი მომავალი ცხოვრებისათვის, ამიტომ ქაიხოსრო როდესაც მუშა-ხელს მიმართავდა, ცდილობდა, რომ უბრალო ხალხის გულსა და გონებაში, უკეთესი მომავლის იმედი და ნუგეში შთაენერგა, მით უმეტეს, მან კარგად იცოდა, რომ საღამოს სახლებსა და ოჯახებში დაბრუნებული მშენებელნი, მის მიერ ნათქვამ სიტყვებს მცხეთაში, ოჯახში და ხალხში გაავრცელებდნენ.

დილიდანვე ჩაცმულ-გამოწყობილი ქაიხოსრო შემართებით ხვდებოდა ახალ-მოსულ მუშახელს და ამხნევებდა მათ: „გამარჯვება და დილა მშვიდობისა კეთილო ხალხნო! ფარნავაზი მოგვიტანს გამარჯვებასაც და მშვიდობასაც! ცოტა დროღა დარჩა ფარნავაზისა და მისი ოჯახის ჩამობრძანებამდე; აბა, დავუჩქაროთ, აბა, გავაკვირვოთ თქვენი ხელმარჯვეობითა და ოსტატობით, აბა, ჰე, ბიჭებო, აბა, თქვენ იცით!“

მუშახელზე მართლაც მოქმედებდა ქაიხოსროს სიტყვები. უფროსასაკოვანი ხალხი ორჭოფულად ჩაიღიმებდნენ ან ჩაიცინებდნენ, რადგან ბედნიერი მომავალი ცხოვრების იმედი მათ უკვე დიდი ხანის დაკარგული ჰქონდათ, თუმცაღა ქაიხოსროს ნათქვამი სიტყვები,

მათს დაკოდილ გულებს საამოდ ესალბუნებოდა. ახალგაზრდები კი პირიქით, ხალისითა და იმედით ივსებოდნენ კარის უფროსის სიტყვათა გაგონებისას.

მცხეთაშიც ყველას ახსოვდა ფარნავაზი. მოსახლეობამ იცოდა, რომ ფარნავაზი მცხეთაში სახლს იშენებდა და მას როგორც გმირსა და მხსნელს, ისე მოიხსენიებდნენ.

ქაიხოსროს სიტყვებიც ქართველთა შორის გავრცელებულიყო. ბევრი ახალგაზრდა და ჭაბუკი მშენებლებს მოჰყვებოდნენ ხოლმე დასახმარებლად და უსასყიდლოდ სამუშაოდ, ოღონდ კი ფარნავაზს რაიმეთი დახმარებოდნენ.

ამდენი მუშახელის არსებობა ქაიხოსრომ კარგად გამოიყენა და სახლის დიდ ბანს ზემოდან მეორე სართულად ფართე, ბან-ვერანდებით გაწყობილი რამოდენიმე ოთახი კიდევ დაადგა. ეზოს შუაგულში ჭა გაათხრევინა და სახლის კუთხეში ელინურ ყაიდაზე მოპირკეთებული აბანო-აუზი ააგო. კლდის ქვეშ კი ჩალით გადახურული ღობე-წნული ჩაადგმევინა, საქონელთა და ცხენთა სადგომად.

ზაფხულის დილის სასიამოვნო სურნელი მოჰქონდა ქართლის აკროპოლისის მთიდან დაშვებულ გრილსა და მსუბუქ ნიავს. ტოგამოსხმული აზონი საწოლი დარბაზ-პალატიდან სასახლის ბანზე გამოსულიყო და მცხეთას ციხის აივნიდან გაჰყურებდა. ოცი წელიწადი გასულიყო მას შემდეგ, რაც მას ქართლი დაეპყრო და მცხეთას მეფედ დამჯდარიყო.

მაკედონელის ყოფილ ელინურ იმპერიაში ისევ დიდი არეულობა სუფევდა. ალექსანდრეს ყოფილი თანამებრძოლი მხედართმთავრების გარდა, სისხლისმღვრელ

ომებში აგრეთვე ჩაერთვნენ მათი შვილებიც, რათა ყოფილი იმპერია სხვადასხვა სამეფოებად დაეყოთ.

ალექსანდრე მაკედონელის ცამეტი წლის შვილი, ალექსანდრე IV და დედამისი, როქსანა, მუხანათურად მოაკვლევინა აზიის რეგენტის ანტიპატროს შვილმა, კასანდრომ. აზონი კი, აგერ, უკვე ოცი წელიწადია, მშვიდად და ბედნიერად განაგებდა ქართლსა და კავკასიას. მართალია, აზონი ოფიციალურად საბერძნეთის მეფეს ემორჩილებოდა, მაგრამ ეს მორჩილება უმნიშვნელო იყო, რადგანაც მორჩილება განისაზღვრებოდა მხოლოდ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ საბერძნეთის მეფისადმი მცირეოდენი ხარკის გადახდით.

საბერძნეთიც გაუთავებელ ომებში იყო ჩაბმული, მესამე მეფე გამოეცვალათ უკვე და აზონისთვისაც ძალზედ ხელსაყრელი იყო ამდაგვარი არეულობა, რადგანაც მისთვის არავის არ ეცალა. მხოლოდ ხარკის სახით მცირეოდენს, მაგრამ ძვირფას, მდიდრულ ძღვენს აგზავნიდა საბერძნეთს, რაც აზონის ქონებასა და სიმდიდრეს არას დააკლებდა რას, ეს იყო და ეს.

შემოდგომით საბერძნეთიდან მოციქულ-ემისარის ჩამოსვლის დრო იყო და აზონს ძღვენის მომზადება უნდა დაეწყო. მან მსახურს გასძახა და კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი დიდებულ მცხეთას; უცებ გაახსენდა, რომ მცხეთის გალავნის გარეთ, ბებრის ციხის მახლობლად გუშინ მშენებარე, ციხის მსგავსი დიდი სახლი შეამჩნია, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა მახლობელი სახლებისაგან.

მოახლოვებულ მსახურს აზონმა დაავალა, რომ სადილობისათვის სასახლეში გადასახდების ამკრეფი

სწვეოდა თავისი ვაჟით და იქვე ჰკითხა მსახურს, თუ რა შენდებოდა ბებრის ციხის მახლობლად, გალავნის გარეთ.

მსახურმა არა იცოდა რა ფარნავაზის მშენებარე სახლის შესახებ და დაჰპირდა, რომ მალევე გაარკვევდა. სადილისათვის სასახლეში აზონს გადასხადების ამკრეფი, ფარდაოსი ეახლა თავისი შვილით. ფარდაოსი ბიძაშვილად ეკუთვნოდა აზონს, რომელიც მცხეთის დაპყრობის შემდეგ, თავის ოჯახთან და ნათესავებთან ერთად ჩამოიყვანა არიან ქართლიდან, და როგორც ერთგული და სანდო კაცი, გადასახადების ამკრეფთა უფროსის თანამდებობაზე დანიშნა.

სასახლეში მისულ ფარდაოსს აზონი გადაეხვია, მისი ვაჟი ახეონიც თბილად მოიკითხა და ორივე სუფრასთან მიიწვია. ახეონი გაზრდილიყო და დავაჟკაცებულიყო. იგი თავმდაბლად მიესალმა აზონს და მისი ოჯახის წევრებს. სუფრასთან ყველამ ერთად მოილხინა და ყველანი გახარებულნი და კმაყოფილნი იყვნენ.

აზონმა ფარდაოს აუხსნა, რისთვის დაიბარა სასახლეში, თუმცა ფარდაოსმა თავისი გამოცდილებით, უკვე კარგად იცოდა, თუ რა სწადდა აზონს. აზონის თქმით, ბერძენთა მეფის მოციქულ-ემისართა ჩამოსვლამდე ფარდაოსს პატარა რაზმის თანხლებით უნდა შემოევლო ქართლი, ეგრისი, სვანეთი, მთიანეთი, კახეთ-ჰერეთი, ოსეთი და დურძუკეთი. აეკრიფა ხარკი-გადასახადი და დაბრუნებულიყო მცხეთაში ბერძენ მოციქულთა ჩამოსვლამდე, რათა ღირსეული ძღვენ-საჩუქარი გაემზადებინათ ბერძენთა მეფისათვის. ფარდაოსს გამგზავრებისათვის მზადება ხვლავე უნდა დაეწყო, რომ კავკასიონის უღელ-ტეხილებზე გავლა დროულად მოესწროთ, სანამ თოვლი მთებში გზებს გადაკეტავ-

და. მან მგზავრობისათავის მზადყოფნა გამოსთქვა და აზონს შესთხოვა, რომ გადასახადების აკრეფის შემდეგ მცხეთაში დაბრუნებისას, თანამდებობის დატოვება მსურსო, რადგანაც მოვხუცდი, მიჭირს ამხელა მოგზაურობები და მიძნელდება რამოდენიმე თვის განმავლობაში სახლიდან გარეთ გასვლა და ყოფნაო.

აზონმა მოუსმინა ბიძაშვილს და დასთანხმდა: – კარგი, ფარდაოს, თანახმა ვარ, როდესაც დაბრუნდები, დაისვენე, შენს თანამდებობას კი შენს შვილს, ახეონს ჩავაბარებო.

ფარდაოსმა აზონს მადლობა მოახსენა და მიუგო:

– ჩემო აზონ, თანამდებობის დატოვების შემდეგ, მინდა, რომ ჩემს სამშობლოში, ჩემს მიწაწყალზე დავბრუნდე, მცხეთიდან წავიდე. ჩემი შვილი, ახეონი, არ ვიცი, ჩაიბარებს ჩემს სამსახურს, თუ მე გამომყვება სამშობლოში.

აზონმა ჩაიცინა, ხელი მოუთათუნა მხარზე და უთხრა, როცა დაბრუნდები, ეს საკითხი შემდეგ გადავწყვიტოთო და საუბრის სხვა თემაზე გადასატანად მსახურს ჰკითხა, შეიტყო თუ არა რაიმე ბებრის ციხესთან მშენებარე სახლის შესახებ.

მსახურმა თანხმობის ნიშნად აზონს თავი დაუკრა და უპასუხა:

– მხედრულ შეჯიბრში გამარჯვებული ფარნავაზის ახლობელი მოხუცი ცხოვრობს იქ და თქვენი ბრძანების თანახმად, ფარნავაზი იმ მოხუცის პატარა სახლ-კარს აფართოებს და აშენებს, რათა თავისი ოჯახით მთიდან მცხეთაში გადმოვიდეს საცხოვრებლად.

აზონმა მოუსმინა მსახურს და დაავალა, რომ შეეტყობინებინა მისთვის, როდესაც ფარნავაზი მცხეთაში ჩამოვიდოდა.

XVIII

შანშე ხევისთავი რამდენიმე დღის განმავლობაში იოთამ მკურნალის მიერ შემზადებული ხბოს ღვიძლით შეზავებული შეჭამანდით იკვებებოდა და ოდნავ მოკეთება დაეტყო, სხეულში სითბო და ძალა მისცემოდა. მან დაიბარა თავისი შვილები და ურჩია, რომ ფარნავაზის მცხეთაში წასვლამდე მთა მოევლოთ და მოეარათ; თან გაეყოლათ ფარნავაზიც, თავიანთი ვაჟებიც და რამდენიმე მსახურნიც.

სოფელთა თავკაცნი, სადაც კი თხუთმეტი მხედარი შევიდოდა, შეშფოთებულნი შეეგებებოდნენ ხოლმე მოსულ სტუმრებს. — „ხომ მშვიდობაა?“ — იკითხავდნენ გაკვირვებულნი, სტუმართა მიღებისას.

კახაბერი და ბაკური ამშვიდებდნენ სოფლის თავკაცებს, აცნობდნენ ფარნავაზს, თავიანთ ვაჟებს და შანშე ხევისთავის მოკითხვას შეუთვლიდნენ.

სოფლის თავკაცნი, სტუმართა საპატივცემულოდ დიდ სუფრას აშლევინებდნენ. წამოაქცევდნენ ჭედილას, ციკნებს ან ბატკნებს. სუფრაზე მიიტანდნენ ცხელ ოხშივარადენილ ჩაქაფულს, სარზე წამოცმულ შემწვარ, ცვრიან ციკან-ბატკანს,, მოთუშულ ხბოს ხორცს გუდის ყველთან ერთად და ამ სუფრის მისადაგებლად და დასამშვენებლად, თიხის დოქებით შეჰქონდათ დათვის სისხლივით მუქი და სქელი, ქვევრში დაყენებული, კახური წითელი ღვინო, რომელიც სოფლის თავკაცებს, ძვირფასი სტუმრებისათვის ჰქონდათ ხოლმე გადანახული. დოქის ყელიდან თიხის ფიალებში წითელი ღვინის ჩამოსხმისას ჯერ ყურსაამებელი რაკრაკი გაისმოდა, შემდეგ კი გადმოსული ღვთაებრივი სასმელის

არაჩვეულებრივი არომატი და სურნელი დატრიალებოდა სუფრაზე. ფიალაში ჩასხმული ღვინო ჯერ მოთეთრო მცირე ქაფს ჯაჭვივით მოიკიდებდა, შემდეგ კი მალევე დაიწმინდებოდა და მუქი ალუბლისფერი აკიაფდებოდა ფიალაში მოკამკამე დამათრობელ ნექტარში.

(ღვინის კულტურა საქართველოში, უსხოვარი დროიდან იღებს სათავეს. ქართველი კაცი ოდითგანვე ვაზთან შრომას იყო დაკავშირებული და ღვინის დაყენების ორიგინალური მეთოდი გააჩნდა. ქვევრებში დაყენებული სხვადასხვა სახეობის საუკეთესო ღვინო გასაყიდად გადიოდა ასურეთისა და ურარტუს სამეფოებში.

საქართველში ხუთასზე მეტი ვაზის ნაირსახეობა არსებობდა და ძველ სამყაროში ვაზისა და ღვინის სამშობლოდ მოიხსენიებდნენ. იმ ეპოქაში მრავლად არსებობდა უხუცესი ველური ვაზის ასწლოვანი ხეები, რომლის სქელი ხის ტანის ღერძისაგან კარებებს და საოჯახო ავეჯ-ნივთებს ამზადებდნენ).

ხევისთავის შვილთა, კახაბერისა და ბაკურის გაცნობა-ურთიერთობა მთის სოფლების თავკაცებთან, შანშე ხევისთავის უფელბების შვილებისათვის გადაცემის დასტურ-აღმნიშვნელ რიტუალ წეს-გაცნობას მიანიშნებდა, ამიტომ ყოველ დიდ სოფელში მათი მისვლისას იკრიბებოდნენ ყველა მახლობელი პატარა სოფლების თავკაცნიც. შეკრებისას ხევისთავის შვილები და სოფლის თავკაცნი მთისა და ქართლის სამეფოს მომავალ კეთილმოწყობაზე ბჭობდნენ. სოფლის თავკაცთ ევალებოდათ, რჩეული ვაჟკაცებისაგან შეექმნათ რაზმები, მალულად გაეწვრთნად და ევარჯიშათ საბრძოლველად და მზადყოფნაში ყოფილიყვნენ საჭიროების შემთხვევაში.

ქვემო თუშეთში ყოფნისას ხევისთავის მიერ გაგზავნილი ამალა კახეთიდან მოსულ, კახეთის ყოფილი ერისთავის მემკვიდრეს, ელიზბარს შეხვდნენ. აზონის მმართველობის პერიოდში კახეთის საერისთავო გაუქმებული იყო და მცხეთიდან იმართებოდა.

ელიზბარმა დიდი მხედრობის მომზადება და შეკრება ითავა, ყველამ ერთმანეთს ერთგულება და თანადგომა შეჰფიცეს და შანშე ხევისთავის მიერ გაგზავნილი ამალა სახლისაკენ გამობრუნდა.

ფარნავაზისა და ბაქარის მთაში დაბრუნების შემდეგ ორი კვირა გასულიყო. დადგა დრო, რომ მცხეთაში გამგზავრეიბს მზადყოფნა დაწყებულიყო.

რუსუდანმა და ლელამ, ხუთი ურემი გაამზადებინეს, ახალ სახლში პირველადი საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებისა გადასატანად. შანშე ხევისთავმაც დიდი ქონება და ძვირფასეულობა გადასცა მცხეთას მიმავალთ. გამგზავრების, სისხამ დილა უთენია ბაკურისა და რუსუდანის ოჯახები ყველას გამოემშვიდობნენ და გეზი მცხეთისაკენ აიღეს.

მოჩარდახებულ ურემში რუსუდანი და ლელა განთავსდნენ, სადაც ჰქონდათ ოქრო-ვერცხლით სავსე მომცრო სკივრი. ოცი წლის წინათ ადარნასეს მიერ გამოტანებული სიმდიდრე რუსუდანს, თითქმის, ხელუხლებლად მიჰქონდა უკან მცხეთაში.

ბავშვობიდანვე ცხენზე ჯდომასა და ჯირითს მიჩვეულმა გურანდამ, ნანიმ და ქალთამზემ, არ ისურვეს ურმით მგზავრობა და დედებს სთხოვეს, მცხეთამდე თავიანთ საყვარელ ცხენზე შემსხდართ ევლოთ ძმათა გვერდით. რუსუდანისა და ბაკურის ოჯახებს თან გამოჰყვნენ ყმა-მსახურნი, რომლებიც დანარჩენ ხუთ

ურმებზე იყვნენ განაწილებულნი ბარგის სამეთვალყ-ურადღ.

დასასვენებლად მგზავრები არაგვის სიახლოვეს ჭალაში შეჩერდნენ, სადაც გაგრილდნენ, ისადილეს და დასვენებულებმა ისევ მცხეთისაკენ გააგრძელეს გზა. საღამოვდებოდა, როდესაც მგზავრები მცხეთას მიუახოვდნენ. რუსუდანმა გადაწყვიტა რომ ჯერ მცხ-ეთაში შესულიყვნენ სალოგინე ქვეშაგებისა და პირ-ველყოვლისი საჭირო ნივთების შესაძენათ და შემდეგ მცხეთის გავლით მისულიყვნენ ახალ სახლში.

მცხეთის მოსახლეობა გაკვირვებული შესცქეროდა უცნაური მხედრობისა და მგზავრთა მსვლელობას. წინ ბაკური მიუძღვოდა ცხენით, რომელსაც აქეთ-იქიდან ფარნავაზი და ბაქარი ამოსდოგომოდნენ. მათ უკან, ცხენდაცხენ გურანდა, ქალთამზე და ნანი მოჰყვებოდ-ნენ, რომელთაც კიდევ ექვსი ურემი მოსდევდა. პირველ მოჩარდახებულ ურემში, რომელსაც მსახური მართავ-და, დიდებულად და კდემამოსილებით, რუსუდანი და ლელა განთავსებულიყვნენ.

მცხეთაში შესვლისთანავე ხალხმა იცნო ფარნავა-ზი. ქუჩის ორივე მხარეს მდგომი ხალხი გაჩერებულნი შეჰყურებდნენ ფარნავაზსა და მასთან ერთად მიმავალ ოჯახობას. ხანდახან სხვადასხვა მხრიდან შეძახილებიც მოისმოდა – „ფარნავაზი მოდის! ჩვენი მხსნელი ფარ-ნავაზი!“

ფარნავაზის მცხეთაში შესვლის ამბავი უცებ გავრცელდა. ფარნავაზის სანახავად სახლებიდან და სახელოსნოებიდან გარეთ გამოეფინილ ხალხს მცხე-თის დიდ მოედანზე მოეყარათ თავი და მის გამოჩენას ელოდნენ.

სასახლის კარზე გამოწვრთნილმა ქაიხოსრომ იცოდა, რასაც აკეთებდა. მომავლის იმედდაკარგულ მცხეთის მოსახლეობაში მის მიერ მუშახელთან ნათქვამ სიტყვებს ფესვი გაედგა და გავრცელებულიყო. როდესაც მგზავრები მცხეთის დიდ მოედანს მიუახლოვდნენ, იქ შეკრებილმა ხალხმა აღფრთოვანებულებმა ერთხმად შეჰყვირს. ყველა მხრიდან მოისმოდა შეძახილები: — „ფარნავაზი! ჩვენი მხსნელი ფარნავაზი! – სამართლიანი და გულუხვი ფარნავაზი! – ფარნავაზი ჩვენი ნუგეში!“

გაოცებულმა ბაკურმა ცხენის სვლა ოდნავ შეანელა, წინ ფარნავაზი გაუშვა და უკან მოჩარდახებულ ურემს გახედა, რომელშიც ოდნავ წამოწეული რუსუდანისა და ლელას გაკვირვებული მზერა დაიჭირა, მათ წინ კი ცხენზე ამხედრებულებსა და წელში გამართულ გოგონებს, სიამაყის გრძნობა აღვსებოდათ თვალებში.

მცხეთის მოედანზე ფართოდ გაშლილნი შემოვიდნენ მგზავრები. წინ მათ მოღიმარი და ხელაწეული ფარნავაზი მოუძღოდა, რომელიც აღტაცებულ ხალხს ესალმებოდა. ოდნავ უკან, აქეთ-იქიდან ბაკური და ბაქარი მოსდევდნენ. მათ შემდგომ დედოფლებივით მორთულ-მოკაზმულნი და ცხენებზე შემსხდარნი სამი ულამაზესი ქალი მოღიმარნი შესცქეროდნენ ხალხს. ჩარდახოვან ურემში მოთავსებულმა რუსუდანმა მცხეთის მოედნის გავლისას შეამჩნია თავისი ყოფილი ადარნასისეული სახლი, რომლის აივანზეც ვიღაც ბერძნულად ჩაცმული კაცი გადმომდგარიყო და ზევიდან დაჰყურებდა უცნაურ ტრიუმფალურ სვლას. რუსუდანმა თავი დახარა და თვალს მომდგარი ცრემლები შეუმჩნევლად შეიშრო, ცრემლები, რომლებიც სიხარულისაც და დამწუხრებისაც იყო.

მოედნის შუაგულში მხედრები ხალხის გარემოცვაში მოექცნენ; ფარნავაზს ერთი ქალი მიუახლოვდა, ხელში ატატებული ჩვილი ბავშვით; ქალმა ბავშვი მაღლა ასწია და ფარნავაზს მოთქმით მიმართა: – „ფარნავაზ, შვილო, შენი იმედი გვაქვს, შვილები ვერ გაგვიზრდია, ისეთ გაჭირვებაში ვართ, ლუკმა-პური არა გვაქვს და ძუძუგამშრალნი ვართ, ბერძენთა გადასახადებმა წელში გაგვწყვიტაო“.

ფარნავაზმა მოტირალ ჩვილიან ქალს ხელში ვერცხლის მონეტები ჩაუდო და ხალხშიც ყოველ მხარს ვერცხლის ფული მიმოაბნია.

მცხეთის დიდ მოედანზე თავშეყრილმა ხალხმა ერთაბაშად იხუვლა: „დღეგრძელი იყავ, ფარნავაზ! გულუხვია და სამართლიანია ფარნავაზი“.

* * *

ქაიხოსრო გალავნის შიდა ეზოში იდგა და გალავნის კედელზე შემდგარ მშენებლებს გაჰყურებდა, რომლებიც გალავნის კედლების ქონგურების აშენებას ასრულებდნენ. უცებ შორიდან რაღაც ხმაურ-ჩოჩქოლი შემოისმა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა. მოულოდნელად გალავნის ჭიშკარში მეზობლის პატარა ბიჭუნები შემოცვივდნენ ყვირილით: „მოდიან, მოდიან!“.

ქაიხოსრო ამ დღის დადგომას მოუთმენლად ელოდა – „მთლიანად გახსენით ჭიშკარი!“ – შესძახა მშენებლებს და თვითონ ფარნავაზის დასახვედრად გალავნის გარეთ გავიდა.

სახლს მიახლოვებულმა ფარნავაზმა შორიდანვე

შეამჩნია, რომ ქაიხოსროს თავის საქმე იმაზე მეტი შეუსრულებია, რაც მას დავალებული ჰქონდა. მშენებარე სახლი ციხე-სიმაგრეს გამსგავსებოდა, მაღალი ქონგურებიანი სწორი გალავნითა და დიდი ორალაყაფიანი ჭიშკრით, გალავანის უკან კი მოსჩანდა სახლსზემოდან დაშენებული ცალკეული ოთახ-სათავსოები, რომლებიც მცირე კოშკ-გოდოლებივით დაჰყურებდნენ გალავნის კედელს.

ფარნავაზი ცხენიდან ჩამოქვეითდა, დანარჩენმა მგზავრებმაც იგივე გააკეთეს. გალავნის ქონგურებზე შემომსხდარი მუშახელი მომსვლელთ შეძახილებით ხვდებოდა და ესალმებოდა, ჭიშკარის წინ კი ბედნიერი, გახარებული, თვალაცრემლებული და ხელგაშლილი ქაიხოსრო იდგა.

ფარნავაზი მიუახლოვდა ქაიხოსროს, გადაეხვია და მომღიმარმა უთხრა მას:

– სახლის აგება დაგავალე, ჩემო ტკბილო მოხუცო და შენ კი სასახლე აგიშენებია.

ბაკური და ბაქარიც თბილად შეხვდნენ გულაჩუყებულ მოხუცს. რუსუდანი მაშინვე იცნო ქაიხოსრომ, „დიდო ქალბატონო!“ წარმოსთქვა მან და მოიხარა რუსუდანის წინაშე. რუსუდანმა თბილი ღიმილით წამოაყენა ქაიხოსრო

– არ დაგვიწყებივარ, გახსოვარ კიდევ, კარის უფროსო, მადლობა შენდა ერთგული და უანგარო სამსახურისათვის, ამიერიდან დაივიწყე სამსახური, ჩვენი ოჯახის წევრი იყავი და იქნები.

რუსუდანმა ქაიხოსროს ლელა და გოგონები გააცნო.

ფარნავაზმა ცხენი მსახურს ჩააბარა და ქაიხოსროს მიმართა, „კარისუფროსო, აბა, გაგვიძეხი წინ, გვაჩვენე,

სად რა არისო“, და დაღლილი მგზავრები სახლ-კარის სანახავად ჭიშკარში შევიდნენ.

მშენებლებს გამრჯეთ და სწრაფად შეესრულებინათ თავიანთი საქმე. სახლი, მართლაც, რომ ყველას მოსაწონად აეშენებინად. მთავარ შესასვლელში დიდი დარბაზი გაეწყოთ, რომელსაც ორივე მხრიდან მრავალი პატარა ოთახები ჰქონდა მიბჯენილი. მაღლა ფართო ბანზე განლაგებულმა ოთახებმა აღტაცებაში მოიყვანა გოგონები, ბანიდან მშვენივრად მოსჩანდა მწუხრის მზეჩამავალი დიდებული მცხეთა. ყველას დიდად მოეწონა ახალი სახლი. კმაყოფილმა ფარნავაზმა მშენებელ-მუშახელნი გულუხვი გასამრჯელოთი გაისტუმრა. მსახურთ ურემ-ბარგი დააბინავეს და შემდეგ ელინურ აბანო-აუზს ეწვივნენ, რისი ნახვითაც ყველა დიდად აღფრთოვანდნენ.

მცირე დასვენების შემდეგ სავახშმოდ დიდ დარბაზში შეიკრიბნენ. ნამგზავრნი ყველა დაღლილ-დაქანცულები იყვნენ. დასასვენებლად და დასაძინებლად თავიანთთვის განკუთვნილი ოთახ-საძინებლების მომზადება-გაწყობას შეუდგნენ.

ძილის წინ ფარნავაზმა ელინურ აბანოს მიაშურა, საიდანაც გოგონების მხიარული ხმა მოისმოდა, მათ განბანვა დაემთავრებინათ, აუზის ფერადი ქვით მოპირკეთებულ კიდეზე ჩამომსხდარიყვნენ და თმებს იშრობდნენ.

ფარნავაზის დანახვაზე მისმა დებმა, გურანდამ და ნანიმ ხელის მოსმით, აუზიდან წყალი აპკურეს საყვარელ ძმას და სიცილით მკვირცხლად აბანოდან გავიდნენ, მოღიმარმა ქალთამზემ კი თმის შეშრობა გააგრძელა, წასვლას არ ჩქარობდა. ფარნავაზი შე-

ჰყურებდა მას და მთელი თავისი არსებით სტკბებოდა აუზთან ჩამომჯდარი ულამაზესი, ჰაეროვანი სიმსუბუქითა და ჰარმონიულობით, სინაზე-სინატიფითა და იმავდროულად, ვნებით აღსავსე მოღიმარი ქალთამზის არაჩვეულებრივი მომხიბლავი სილამაზით.

ფარნავაზი ქალთამზეს აღმერთებდა და ეთაყვანებოდა. არამიწიერ, ღვთაებრივ სილამაზესთან ერთად, განგებას ქალთამზისათვის უხვად დაემადლებინა მთელი თავისი მადლი და სიკეთე – ადამიანურობა, ლმობიერება, სითბო, სიკეთე და სიცოცხლის სიყვარული, რომელიც გადამდები იყო ყველასათვის მასთან ურთიერთობის დროს. თითქოსდა, სიცოცხლით სავსე გაბრწყინებულ მაცოცხლებელ უჩინარ სხივებს აფრქვევსო, იმდაგვარად მოქმედებდა მისი მომნუსხველი მომხიბვლელობა გარემომცველებზე. რუსუდანისაგან მიცემულმა საუკეთესო განათლებამ, ოჯახური ტრადიციული მაღალი მორალით აღზრდამ გავლენა იქონია ქალთამზის თავმდაბალი და გულითადი ხასიათის ჩამოყალიბებაში. საუბრისას მისი ხმა ტკბილხმოვანი წკრიალა ზარივით მოისმოდა, მაგრამ დამბანგველ-დამათრობელად და დამატყვევებლად მოქმედებდა მსმენელზე, რადგან მის ხმაში ერთად იყო შერწყმული სინაზე, სიმტკიცე, ალერსი, სითბო, ქალური სირბილე, გონებაგამჭრიახობა და ყველაფერს ამას ზედ ერთვოდა ლალისფერ მოღიმარ ბაგეთა პირსუნთქვის შეგრძნება, რომელსაც თან ახლდა უძიროდ სიღრმისეული მომწვანო ფერის თვალთა მომნუსხველი გამოსხივება.

ფარნავაზი მიუახლოვდას ქალთამზეს და აუზის კიდეზე მის გვერდით ჩამოჯდა.

ქალთამზის ნამიანი ჩალისფერი თმებისგან ვარდ-

თაფლოვანი ზეთის სურნელი იფრქვეოდა. ფარნავაზმა მსუბუქად და ნაზად ხელი გადაუსვა თმაზე, მის თვალებში შემყურე და ტკბილად მოღიმარ ქალთამზეს. მათ დიდი ხანია, უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის და ბევრ შემთხვევაშიც, მათ შორის სიტყვების ხმარება ზედმეტიც კი იყო. ქალთამზე მიუხვდა ფარნავაზს გულისწადილს, უსაზღვრო ბედნიერება, ულევი მზრუნველობა, დიდი სიყვარული და ოდნავი შეშფოთება იგრძნობოდა მის თვალთა მზერაში. ორივე ხელში მოიქცია ფარნავაზის ძლიერი მაჯა, თავი ზედ ჩამოადო და მშვიდად წარმოსთქვა: — „მადლობ, ფარნავაზ“.

ფარნავაზმა თავი დახარა, ქალთამზეს სურნელოვან თმებზე ეამბორა და დაბალ ხმაზე მიუგო:

– ახალ ცხოვრებას ვიწყებთ, ჩემო ძვირფასო.

– ვიცი, ფარნავაზ.

– უფრო სახიფათოს, საშიშსა და საპასუხისმგებლოს.

– კი, ვგრძნობ, ფარნავაზ.

– ბევრის თვალი ჩვენ შემოგვყურებს და ბევრის გული ჩვენსკენაა მომართული. ხალხის იმედის გაცრუება არ შეიძლება, თორემ ჩვენი ქვეყანა შეიძლება, მთლად დაიღუპოს და გადაგვარდეს. როგორ გგონია, შევძლებთ? ხომ არ გეშინია?

ქალთამზემ წამოიწია, ორივე ხელი ძლიერ მხრებზე დაადო ფარნავაზს, თვალებში შეხედა და მცირე დუმილის შემდეგ წარმოსთქვა:

– მუდამ შენს გვერდით ვიქნები, ჩემო ფარნავაზ და გავიზიარებ შენს წილ-ხვედრს; დიდი საქვეყნო საქმის კეთილ გამარჯვებაში ყველა გვერდით დაგიდგება და მხარში ამოგიდგება. შიშს კი რაც შეეხება, შენს გვერდით, ფარნავაზ, არაფრის არ მეშინია, თუ გინდა, აზონს

ხმლით ხელში მარტო მე შევებმევი, – და ხმამაღლა გადაიკისკისა ქალთამზემ ბოლო ხუმრობით წარმოთქმული სიტყვების შემდეგ.

ფარნავაზმა მომხიბვლელ ცდუნებას დიდხანს ვეღარ გაუძლო, მან მოიზიდა თავისკენ ქალთამზე და მის ტკბილ ბაგეებს დაეწაფა. ქალთამზე მორჩილად დანებდა ფარნავაზს და ორივე ერთად ვნებათაღელვის უსასრულო და დამათრობელ მორევში ჩაიძირნენ. ფარნავაზში მამაკაცურმა ჟინმა და სურვილმა იმძლავრა, იგი ვნებიანად ჩაეკონა ქალთამზის თბილ-მოვარდისფრო და რბილ გადაღეღილ გულმკერდს, ხელებით კი ქალწულის მკვრივი და თბილი, ვნებიანი მოცახცახე სხეული შეიგრძნო.

ტკბილბანგმორეულმა ქალთამზემ შესძლო თავისი ვნებათა დაცხრომა-დაოკება და ორივე ხელის სწრაფი მოძრაობით შეეცადა ჟინ-სურვილმომძლავრებული მამაკაცის შეჩერებასა და დამშვიდებას. უცებ გაისმა წყლის შხეფების ხმა და ფარნავაზი თბილი წყლით სავსე აუზში აღმოჩნდა.

გაკვირვებულმა ქალთამზემ ხმამაღლა გადაიკისკისა, შემდეგ ღიმილით დაიხარა, ფარნავაზს ნაზად შუბლზე ეამბორა: „შემოდგომამდე მოითმინეო“, — სახეზე წყალი შეაპკურა და სწრაფადვე სიცილით გაუჩინარდა აბანოდან.

მეორე დილას ახალ სახლში ყველამ ბედნიერებმა და დასვენებულებმა გამოიღვიძეს. ქალები და გოგონები სახლის გაწყობას და მორთვა-მოკაზმვას შეუდგნენ, მამაკაცები კი სამეურნეო ეზო-კარს აწყობდნენ.

მალევე აზონის სასახლიდან გამოგზავნილი ხელქვეითნი ესტუმრნენ ფარნავაზს: – გავიგეთ, რომ

ჩამოსულხარ და აზონის ბრძანებით მოვსულვართ, — მოახსენეს ბერძენმა ხელქვეითებმა.

ფარნავაზმა სახლის დიდ დარბაზში მიიწვია სტუმრად მოსული აზონის მიერ გამოგზავნილი ხალხი და გაუმასპინძლდა. ბერძნებმა ახალი სახლი მოუწონეს ფარნავაზს და შემდეგ მოახსენეს, რომ აზონს დიდი ნადირობა ჰქონია განზრახული და ხვალ დილიდანვე სასახლეში უნდა გამოცხადებულიყო, ნადირობა ქვემო ქართლში მოეწყობა და ერთ კვირამდე გასტანსო.

ბერძენ მოხელეთა გასტუმრების შემდეგ, რუსუდანმა ფარნავაზი იხმო და გააფთხილა:

– შვილო, დიდი ყურადღება იქონიე გარშემო მყოფ ხალხთან, ფრთხილად იყავი. დღეიდან უფრო მოგიმრავლდა მტერი, ეს ნორმალურია და ბუნებრივიც. კაცი, რომელიც არაფერს წარმოადგენს და მისი ფასი არაფრად არა ჰღირს, იმ კაცს მტერი არა ჰყავს, ის კაცი კი, რომელიც რაიმეს წარმოადგენს, მას მტერი და მოშურნე ყოველთვის ეყოლება, ხოლო რაც უფრო მეტ წარმატებასა და სიმაღლეს მიაღწევს კაცი, მტერ-მოშურნე მას უფრო მოუმრავლდება. აზონს უფრთხილდი, მოერიდე და ნურასოდეს ნუ ენდობი, გულბოროტი კაცია და შენი გაკეთებული სიკეთე მის მიმართ, შეიძლება მისგან ბოროტად დაგიბრუნდეს.

დღის განმავლობაში ფარნავაზი სანადირო მზადყოფნას შეუდგა, იარაღი, ცხენი და ჩასაცმელი შეამზადა. საღამოს, ვახშმობის შემდეგ ოჯახის წევრებს ყველას სათითაოდ გამოემშვიდობა, დასასვენებლად ადრე დაწვა და მეორე დღეს გამთენიისას, ფარნავაზი აზონს სასახლეში ეახლა.

XIX

მეფის სასახლეში დიდი სამეფო ნადირობის მზადყოფნის სამზადისი დასრულებულიყო. სასახლის ეზოში ორმოცამდე კაცი მოგროვილიყო.

აზონს თან მიჰყვებოდნენ მისი ახლობელი და რამდენიმე ნათესავი, რომლებიც ნადირობის დიდი მოყვარულნი და კარგი მონადირენიც იყვნენ, ასევე, აზონის პირადი დაცვის მებრძოლები და მარეკები, მსახურების თანხლებით, რომლებსაც რამდენიმე ურემი დაეტვირთათ ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო ერთკვირიანი სანადიროდ გასვლა-წასვლისათვის.

აზონს უყვარდა პერიოდულად სანადიროდ მცხეთიდან რამდენიმე დღით შორს გასვლა. ტყეში ან მდელოზე სამეფო სეფე-კარავს დაადგმევინებდა მსახურებს. დღისით ნადირობდა, საღამოს კი დიდი სუფრა იშლებოდა და შემწვარ ნანადირევთან, ღვინის თანხლებით თავს ირთობდა თავის ნათესავ-ახლობლებთან და დაცვასთან ერთად. ასე გრძელდებოდა ერთ კვირამდე, სანამ აზონს არ მობეზრდებოდა ნადირობა და მცხეთაში დაბრუნებას არ გადაწყვეტდა.

მზე ახალი გადმოსული იყო მცხეთის აღმოსავლეთი მთის წვერიდან, როდესაც აზონი სასახლიდან გამოვიდა გალავნის შიდა ეზოში. აზონმა თვალი გადაავლო მონადირეთა და მხედართა მზადყოფნას, ფარნავაზიც შენიშნა, შემდეგ მეჯინიბეს ანიშნა, ცხენიო და თანაშემწეს რაღაც გადაულაპარაკა.

მეჯინიბემ აზონს მაღალი შავი ულაყი მიჰგვარა. აზონის თანაშემწე მხედრებს მიუახლოვდა და ბრძანა, რომ მგზავრობისას ისინი სამ-სამად განლაგებუ-

ლიყვნენ აზონის უკან; ფარნავაზს მხედრობის ბოლო სამეულში მიუჩინა ადგილი, რომელთა უკანაც დატვირთული ურმები უნდა განთავსებულიყო.

აზონმა მისცა ნიშანი და მონადირენი მხედრობასთან ერთად ციხიდან გავიდნენ. მცხეთის გალავნის სამხრეთ კარებთან მონადირეთა ჯგუფს შეუერთდა წკნელით მოწნული და მოჩარდახებული, ძაღლებით სავსე ორი ურემი. ძაღლები გრძნობდნენ, რომ სანადიროდ ემზადებოდნენ და გახარებულ-აღტკინებულებს, წკავწკავ-გნიასი და ყეფა-ღრიანცელი აეტეხათ.

მონადირეთა ამალა ქვემო ქართლისაკენ მდინარე ალგეთის მიმართულებით დაიძრა, სადაც საუკეთესო სანადირო სანახები და ადგილები მდებარეობდა. იმ ადგილებში ხალხი ნაკლებად იყო დასახლებული და ფოთლოვანი ხეუხვი ტყეები მრავლად არსებობდა. განსაკუთრებით მუხისა და რკოს სიმრავლის გამო, გარეულ ღორთა კოლტები მრავლად დაშლიგინებდნენ ალგეთის ტყოვან მიდამოებში.

მონადირეთა ამალას წინ აზონი მიუძღოდა, რომელსაც გვერდით მისი მოხელე, თანაშემწე და დაცვის უფროსი ამოსდგომოდნენ, მათ უკან სამ რიგად მონადირენი-ახლობლები და დაცვა მოჰყვებოდა, რომელთა მომდევნოდ ურმები განლაგებულიყვნენ. გზა იყო გრძელი და ამიტომ არ ჩქარობდნენ, ცდილობდნენ, რომ ალგეთამდე ტყე-ტყე ევლოთ, რადგან მგზავრთათვის სასიამოვნო იყო ზაფხულის სიცხეში ველური ტყის სინოტივე და მაცოცხლებელი სიგრილე. აზონს განსაკუთრებით სწორედ ეს ადგილები მოსწონდა სანადიროდ, რადგანაც დიდი ნადირობისათვის ალგეთის მახლობლად ტახის გარდა, მრავლად იყო შველ-ირემი, დათვი, მგელი და ჯიქი-აფთარი.

პატარა სოფელ მანგლისამდე არ მისულ ნაძვნარ-ფიჭვოვან ტყეში აზონმა სადილად და დასასვენებლად გაჩერება ბრძანა. ზეგან-მაღლობისა და ათასწლოვანი ტყის ერთმანეთთან შეზავებული გასაოცარი ჰავა, მზის სხივ-სითბოსა და ტყის სურნელის ერთმანეთში შერწყმული უჩვეულო ჰაერი განმკურნებელ-დამამშვიდებელი მალამოსავით მოქმედებდა ადამიანის გონებაზე, გულსა და სულზე.

დასვენებისა და სადილობის შემდეგ, მხედრობამ ისევ გააგრძელა გზა მდინარე ალგეთის მიმართულებით. საღამოს ჟამს მონადირენი მიუახლოვდნენ დანიშნულ ადგილს. მდინარის მახლობლად, ტაფობზე ყმა-მსახურებმა და მებრძოლებმა წრიული ფორმის სახით კარვები გაშალეს, შუაში კი აზონის დიდი სამეფო სეფე-კარავი ჩადგეს.

ნამგზავრი და დაღლილი მხედრები მდინარე ალგეთის ცივი და კამკამა წყლით შეგრილდნენ, მდელოზე ალაგ-ალაგ დანთებულ კოცონებთან წასახემსებლად ჩამოსხდნენ და შემდეგ დასაძინებლად კარვებში განთავსდნენ, მხოლოდ რამდენიმე დაცვის მებრძოლი ფხიზლობდა კოცონთან ჩამომჯდარი.

ნამგზავრი და დანაყრებული სანადირო ძაღლები ერთმანეთთან თასმა-ბაწრებით დაკავშირებულნი და სქელი ხის ძირს გამობმულნი, დამშვიდებულიყვნენ და მწოლიარენი მთქნარება-ზმორებაში ძილს მისცემოდნენ.

ირგვლივ სრული სიმშვიდე ჩამოწოლილიყო, მხოლოდ მდინარის წყნარი ჩუხჩუხი და ღამის ჭრიჭინას ხმა მოისმოდა, რომელსაც ხანდახან შეუერთდებოდა კოცონთა ნაკვერჩხლის ტკაცუნი, ცხენთან ფრუტუნისა და ფლოქვთა თქარუნის ხმა; პერიოდულად კი მსუბუქი

ნიავის წამობერვისას, ტყეში ფოთლები იწყებდნენ შრიალს და მძინარე ძაღლები, უკმაყოფილონი გამოფხიზლების გამო, ყურებდაცქვეტილნი და ცალთვალგახელილნი, ოდნავ თუ წაიწკმუტუნებდნენ.

გათენებისას მონადირენი წამომდგარიყვნენ და მსუბუქი საუზმის შემდეგ, სანადირო სამზადისს შესდგომოდნენ. ნათელი დღე იდგა. მალევე აზონიც გამოვიდა თავისი კარვიდან, ეტყობოდა, რომ კარგად დაისვენა და კმაყოფილი კარგ ხასიათზე იმყოფებოდა. მან ფარნავაზი მოიხმო და გამოელაპარაკა:

– გავიგე, რომ მცხეთაში კარგად მოწყობილხარ... ახლა რაც შეეხება ნადირობას, ნადირობის მსვლელობის დროს ყოველწამს ჩემს გვერდით უნდა იყო ცხენდაცხენ მშვილდითა და შუბით მუდმივ მზადყოფნაში; მარჯვე ხელი გაქვს და თვალიც სწრაფად გიჭრის მოულოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, რადგან ჩემი უნიათო მონადირეების იმედი აღარა მაქვს, ერთხელ კინაღამ დამღუპეს.

აზონს კარგად ახსოვდა შარშანდელი ნადირობისას ერთი შემთხვევა, როდესაც იგი საკმაოდ დაწინაურდა უკან მომყოლი ამალისაგან ერთ უშველებელ ტახს ადევნებული. შაბიანში შესვლამდე აზონმა მოასწრო და მშვილდით დასჭრა უშველებელი ტახი. მოულოდნელად გამძვინვარებული, დაჭრილი ტახი შემობრუნდა და აზონის ცხენს შეუტია, ცხენი შეშინდა, დაფრთხა, აზონი ძირს გადმოაგდო და თავაწყვეტილი ტყეში შევარდა. ტახმა ძირს დაცემული აზონისაკენ ჯიქურ გაიწია, მაგრამ აზონის ბედად ტახს სანადირო ძაღლები შემოესივნენ და მათ შორის გააფთრტებული შებმა გაიმართა.

ტახმა თავისი გრძელი, ბასრი ეშვებით მუცელგა-

მოფატრული სამი ძაღლი გვერდზე მოისროლა, სხვა დანარჩენ ძაღლებს კი გაექცა და შაბიანში მიიმალა. ამასობაში სხვა დანარჩენი მონადირეებიც მოახლოვდნენ და მიწაზე გართხმული აზონი სასწრაფოდ წამოაყენეს, რომელიც დამფრთხალ-დაჟეჟილი სინანულით დაჰუურებდა თავის საყვარელ და ერთგულ მუცლგაფატრულ მწევარს.

ამიტომაც სჭირდებოდა აზონს, რომ ნადირობისას გვერდით ჰყოლოდა სწრაფი, ხელმარჯვე, მოქნილი, ძლიერი და სწრაფად მოაზროვნე კაცი, რომელიც მსგავსი მოულოდნელი და უცაბედი შემთხვევების დროს არ დაიბნეოდა და აზონის გადასარჩენად სწრაფად იმოქმედებდა, თუნდაც დათვისა და ჯიქის წინააღმდეგ. ასეთი კაცი კი სწორედ ფარნავაზი იყო.

აზონის სასახლეში ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ და კარგა ხნის სალაპარაკოდ გამხდარიყო ფარნავაზის ორ პაექრობაში გამარჯვება, პირველი, მცხეთის დიდ მოედანზე და მეორე კი აზონთან წვეულების დროს სასახლეში. ზოგიერთნი მას აქილევსსაც კი ადარებდნენ, მაგრამ ბერძენთა უმეტესობა ფარნავაზს შურით შეჰყურებდა, თუმცა ურთიერთობაში მის მიმართ პატივისცემას გამოხატავდნენ.

ალგეთისპირა ტაფობზე კარვების დასაცავად რამდენიმე დამცველი დასტოვეს, დანარჩენი მონადირენი კი ცხენზე ამხედრებულები აზონს გაჰყვნენ მდინარის თავდაღმა ჩაყოლებით. საკმაო მანძილის გავლის შემდეგ, მონადირენი შეჩერდნენ მდინარის მახლობლად მდებარე ფართევაკოვან მდელოზე, რომლის გარშემოც ასეულწლოვანი ბუმბერაზი მუხების დიდებული ტყე იდგა. ამაყად გაშლილი მუხის ხეების მკლავ-ტოტთა

ქვეშ უხვად იყო რკოს ნარჩენი და გარეული ღორის კოლტთა, ნაჩიჩქნ-ნაკვალევი. აზონმა გადაწყვიტა, რომ თვითონ, რამდენიმე მონადირე და ფარნავაზი აქ დარჩენილიყვნენ ხე-ტყეში ქვეითად მიმალულნი.

დანარჩენი მონადირენი, დაცვის მებრძოლები და მსახურები, მადევარი ძაღლების თანხლებით ორ ჯგუფად დაიყვნენ და ტყეში ორი მხრიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან ღრმად შევიდნენ, სადაც შემდეგ ფართო გაშლილ ნახევარ რკალად შეიკვრნენ და დაფდაფებისა და ბუკის ხმაურით მდინარის მიმართულებით დაიძრნენ. მარეკების მიერ ატეხილ ხმაურს მადევარ ძაღლთა წკავ-წკავი და ყეფა-ღრიანცელი შეუერთდა.

დაფრთხა ტყეში ნადირი და შეშინებულებმა ტყის სიღრმიდან მდინარისაკენ აიღეს გეზი, სადაც აზონი დანარჩენი მონადირეებით იყო ჩასაფრებული. ორივე მხრიდან მარეკებისა და მადევარი ძაღლებისაგან შემოტეული ნადირი იძულებული იყო, მდინარის გასწვრივ გავაკებულ მდელოზე გამოსულიყო, რაც ძალზედ ხელსაყრელ სამიზნე ადგილს უქმნიდა ჩასაფრებულ მონადირეებს. ძაღლთა ყეფის მოახლოვებისას მონადირეებმა იგრძნეს, რომ სადაც იყო, ნადირიც გამოჩნდებოდა და მშვილდები და შუბები მოიმარჯვეს. მალევე ბუჩქნარმა გაიშრიალა და გარეული ნეზვი, დედა ღორი გამოჩნდა ჭრელი პატარა გოჭებით, რომლებიც შეშინებულნი ძუნძულით მიჰყვებოდნენ დამფრთხალ დედას.

პირველის გასროლა ყოველთვის აზონს ეკუთვნოდა. მონადირეებმა გახედეს ჩასაფრებულ აზონს, მან მშვილდი დაუშვა და დანარჩენ მონადირეებს სწრაფად თვალი შეავლო, რომელთათვისაც აზონის ნიშანი გასაგები იყო (მონადირეებს წეს-ჩვეულებად ჰქონ-

დათ, რომ ძუძუმწოვარა პატარა ცხოველები დაენდოთ და მათთვის ზრდა ეცლიათ, რადგან ტყეებში ნადირ-ცხოველი ისედაც საკმარისზე მეტი იყო). ნეზვმა თავის გოჭებთან ერთად მდინარის გასწვრივ ჩაირბინა და უცებ ტყიდან ყელგაწვდენილი, მაღალწვივებიანი შველი გამოხტა.

აზონმა მოზიდა მშვილდი, სტყორცნა ისარი და ჰაერში კამარაშეკრული შველი ძირს დასცა. გავიდა ცოტა ხანი და კარგად მოზრდილი გარეული ღორების კოლტი გამოჩნდა მოშორებით, რომლებიც სწრაფი სირბილით ცდილობდნენ მდელოს გადასერვას.

მონადირეებმა გაჰკრეს მშვილდები, ორი ღორი დაიჭრა და დანარჩენ ღორთა ჯგუფს ოდნავ ჩამორჩნენ, მათ ძაღლები წამოეწივნენ, ღორები წრეში მოიქციეს და გაქცევის საშუალებას არ მოსცეს; ორი მონადირე მიუახლოვდა დაჭრილ ღორებს და მათ წვალებას შუბებით ბოლო მოუღეს.

მეძაღლეებმა მდევრებს უკან უხმეს და ნადირის დასაგეშად და გამოსადენად ისევ ტყეში შეუშვეს.

რამდენიმე ხანში ისევ გამოჩნდა გარეულ ღორთა კოლტები. მათ უკან ეშვებალესილი დიდი ტახი მოსდევდა, რომელიც დროდადრო უკან მიბრუნებული გრძელი ეშვებით თანმიმყოლ მდევარ ძაღლებს იგერიებდა. მეძაღლეებმა ძაღლებს ისევ უხმეს და მარტოდ დარჩენილი ტახისა და ღორებისაკენ მონადირეთა მხრიდან გაფრინდნენ ქეიბურები. ორი ღორი სასიკვდილოდ კიდევ მოისრა, ტახი კი ფერდში დაიჭრა.

ერთმა ისარმა უშველებელ ტახს ვერაფერი დააკლო, დაჭრილი ტახი შემოტრიალდა და გამძვინვარებული, სწრაფი სირბილით პირდაპირ მონადირეებისაკენ წამოვიდა.

აზონმა და მისმა მონადირეებმა ისევ სტყორცნეს მშვილდები, მაგრამ სწრაფად მორბენალ ტახს ისრებმა თავს ზემოთ ზუზუნით გადაუფრინეს. მოახლოვდა ფარნავაზის ჯერიც, სწორედ ასეთ გართულებულ დროს სჭირდებოდა იგი აზონს. ფარნავაზმა მოზიდა დიდი საბრძოლო მშვილდი, სტყორცნა ისარი და მორბენალი უშველებელი ტახი ბალახზე უსულოდ გაგორდა.

აზონი და მონადირენი მიუახლოვდნენ რუხი ფერის ტახს, რომელსაც ფარნავაზის მიერ ნასროლი რკინისწევროვანი ქეიბური ორთვალს შუა შუბლში მოხვედროდა.

აზონმა შეუქო ფარნავაზს ხელის სიმარჯვე და პირველი დღის ნადირობა დასრულებულად გამოაცხადა.

მონადირენი ალგეთის პირას კარვებგაწყობილ ვაკე-ტაფობზე დაბრუნდნენ, ნადირობის ალაფად კი ერთი შველი და ხუთი ღორი მოენადირათ, რომელთა დამუშავება-გამზადებას მსახურნი და სასახლის სამეფო სამზარეულოდან წამოყვანილი კაცი მაშინვე შეუდგნენ. საუკეთესო ხორცის ნაჭრები ცეცხლ-ნაკვერჩხალზე გასდეს სადილობისათვის, ღორის შიგთავსი წვრილად დაკეპეს და სუნელებთან ერთად გასუფთავებულ ნაწლავებში ჩასტენეს ბოლში გამოსაყვანად, რომლის გაშრობის შემდეგ, უკან, მცხეთაში დაბრუნებისას, ნაწილი შაშხისა მონადირეებზე ნაწილდებოდა ხოლმე, ნაწილი კი სასახლის სამეურნეო საცავებში ინახებოდა.

ნარჩენი ხორცისა ძაღლებს ეძლეოდათ. თუ რომელიმე ძაღლი ტახთა ეშვებისაგან დაჭრილ-დაფლეთილი იყო, მეძაღლე მათ მალამოთი კურნავდა და უშუშებდა ჭრილობებს.

ტყის ჩრდილში გაშლილ სუფრაზე მონადირეთა ღრეობა შებინდებამდე გრძელდებოდა ხოლმე. ასე

უყვარდა აზონს, დღისით ნადირობდა, შემდეგ კი საღამომდე დროს ატარებდა; მომდევნო დღეებშიც იგივე გრძელდებოდა.

მცხეთიდან ტიკებით წამოღებული ღვინო სადილობის წინ ამფორებში გადაიხსმებოდა და მდინარეში იდებოდა ჩასაცივებლად. მსახურნი ხანდახან სუფრაზე ალგეთის ცოცხალ თევზს შემოიტანდნენ ხოლმე, გოდოყურ-საწნახელით დაჭერილს, დიდ ფოთლებში გახვეულსა და ნაკვერჩხალზე შემწვარს, რომელსაც ტყის სოკო და ხილი მოჰყვებოდა ხოლმე თან.

XX

ფარნავაზი რამდენიმე დღის წასული იყო სანადიროდ აზონთან ერთად, რომ მთიდან მცხეთაში მაცნე ჩავიდა შესატყობინებლად, შანშე ხევისთავი გარდაცვლილიყო. მრავალ ჭირვარამს, ომებსა და ბრძოლებში გამოვლილმა ხევისთავმა დიდხანს იცოცხლა, ჭარმაგ ასაკამდეც მიაღწია, მაგრამ მისმა დაუძლურებულმა და დასნეულებულმა სხეულმა მეტს ვეღარ გაუძლო. ფიქრითა და სულით შანშე ხევისთავი სიცოცხლის დასასრულამდე თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

მცხეთაში ხანმოკლე ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ რუსუდანი თავის ქალიშვილებთან ერთად სახლში, მცხეთაში დარჩებოდა, რათა ისინი ფარნავაზის ნადირობიდან დაბრუნებას დალოდებოდნენ. ბაკური კი თავის დამწუხრებულ ოჯახთან ერთად მთას გაემგზავრებოდა.

აზონის მიერ გაგზავნილი გადასახადების ამკრეფი რაზმი, რომელსაც ფარდაოსი და მისი შვილი, ახეონი მეთაურობდნენ, ეგრისიდან დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც დიდი ხარკი-გაასახადი მიიღეს ეგრისის ერისთავ ქუჯისაგან და ამჟამად გეზი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ აეღოთ. გზად გადასახადების ასაკრეფად შანშე ხევისთავს მიადგნენ, რომლის ციხესიმაგრეც გლოვაზარსა და ძაძებში დახვდათ, შანშე ხევისთავის გარდაცვალების გამო. ფარდაოსმა და ახეონმა აზონის სახელით კახაბერს, მის ხუთ ვაჟსა და ოჯახის წევრებს ხევისბერის გარდაცვალება მიუსამძიმრეს, თავისი რაზმისათვის მცირეოდენი დასვენება, დაპურება ითხოვეს და გადასახადის გადახდაც დაავალდებულეს, მაგრამ ეს ყველაფერი უხეირო ბერძენი თარჯიმანის წყალობით, ისე უხეშად, უადგილოდ და უტაქტოდ გამოუვიდათ, რომ კინაღამ შეხლა-შემოხლა მოხდა მგლოვიარე ქართველებსა და ბერძენ მებრძოლებს შორის. მხოლოდ კახაბერისა და ფარდაოსის ჩარევით მოხდა თავ-თავიანთი ხალხის დამშვიდება და დაშოშმინება.

კახაბერი შეჰპირდა ფარდაოსს გადასახადის მიცემას და მსახურთ დაავალა ბერძენთა რაზმის დაპურება.

ბაკური, თავისი ოჯახით, გრძელი დამქანცველი გზის გავლის შემდეგ, მამაპაპისეულ ციხესიმაგრეს მიუახლოვდა. ბაკურმა შორიდანვე შეამჩნია ბერძნული მხედრობა, რომლებიც ცხენებიდან ჩამოქვეითებულიყვნენ და დაპურების მოლოდინში, ციხის გალავნის გარე კედელთან დაბმული ცხენების სიახლოვეს, საძირკველზე ჩრდილში ჩამომსხდარიყვნენ.

ციხესიმაგრის ერთ-ერთ ოთახში ფარდაოსი და ახეონი დასვენებას აპირებდნენ, როდესაც მათ ბერძენ-

მა მებრძოლმა შეატყობინა, რომ ციხეს ოთხი მხედარი უახლოვდებოდა. ფარადოსმა იცოდა მთის ხალხის ფიცხი ხასიათი და თავის შვილს მიმართა:

– გადი, რაზმს დახედე, რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს; ისიც საკმარისია, ასე ცოტა ხნის წინ არეულობა რომ ჩავაცხრეთ. ცეცხლს, სჯობია, გავერიდოთ.

ცხენზე ამხედრებულები ბაკური და ბაქარი ციხის კარიბჭეს მიუახლოვდნენ, მათ უკან ლელა და ქალთამზე მოჰყვებოდნენ. თეთრ ცხენზე ამხედრებული, წელში გამართული და კულულებ ჩამოშლილი ქალთამზე სევდიანად გამოიყურებოდა. კარიბჭესთან მდგარმა ბერძენმა მებრძოლებმა ვერც კი შეამჩნიეს ბაკურისა და ბაქარის მისალმება, რადგანაც ისინი ფეხზე წამომდგარნი, პირღია მისჩერებოდნენ ქალთამზის ღვთაებრივ სილამაზეს.

ახეონი გაოცებული შესცქეროდა ქალთამზეს და თვალი ვერ მოსწყვიტა, სანამ მგზავრნი კარიბჭეში არ შევიდნენ. ლაპარაკუნარწართმეული და გაოგნებული ახეონი ბერძენ ჯარისკაცთა უხამსმა სიცილ-ოხუნჯობამ გამოაფხიზლა და აწითლებული ციხის ეზოში უსიტყვოდ შებრუნდა.

მალევე ხევისთავის სასახლიდან საჭმელ-სასმელი გამოიტანეს და ციხის შიდა ეზოში სახელდახელოდ გაწყობილ მაგიდებზე ბერძენთა რაზმს გაუმასპინძლდნენ. მაგიდებთან დამსხდარმა ჩამომსხდარმა? ბერძნებმა თავიანთ თარჯიმანს აკითხვინეს, საჭმელ-სასმელის მომტან მომსახურეთ, თუ ვინ იყვნენ ცოტა ხნის წინ ციხეში მოსული ოთხი მგზავრი და ცხენზე ამხედრებული მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი. მალევე ბერძენთათვის გასაგები ცნობილი? გახდა ბაკურის ოჯახის

ვინაობა და ისიც შეიტყვეს, რომ მშვენიერი ქალთამზე მცხეთის გმირის, ფარნავაზის დანიშნული ყოფილა და მალე დიდი ქორწილი უნდა გამართულიყო მცხეთაში, მათი შეუღლების აღსანიშნავად.

ამ ამბის გაგონებაზე სუფრასთან მჯდარ ახეონს, თითქოს წელზე მათრახი გადაჰკრესო, მთელს ტანზე სიმწრის ოფლმა დაასხა, ყელში რაღაც, თითქოს, ბურთივით გაეჩხირა და პირში?არ უნდა ლუკმა აღარ გადაუვიდა. თიხის ღვინით სავსე ფიალა მაგიდაზე დაადგდო, ფეხზე წამოდგა და სუფრას გაეცალა.

ბერძენთა დასვენებისა და დანაყრების შემდეგ, ფარდაოსმა თავის შვილს უხმო, რათა კახაბერთან და ბაკურისთან მისულიყვნენ გამოსამშვიდობებლად და გადასახადის ასაღებად. ბერძენი თარჯიმანი აღარ გაიყოლეს, კიდევ რამე არ შეგვამთხვიოს, ვინმეს ბერძნული ეცოდინებაო, მით უმეტეს, ახეონიც ახერხებდა ქართულად რამდენიმე სიტყვა მართებულად გამოეთქვა.

ახეონმა შესძლო კახაბერთან და ბაკურთან სამადლობელო და გამოსამშვიდობებელი რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ მათთან საუბრის გაგრძელება გაუჭირდა. ბაქარი იმ დროს კახაბერის უფროს ვაჟთან, შავლეგთან და ქვისმთლელებთან ერთად კლდის სამტეხლოში იყო წასული, გარდაცვლილი ხევისთავისათვის შესაფერისი ქვის სარკოფაგის შესარჩევად და გამოსაჭრელად, ამიტომ ბერძნულის სათარგმნად ბაკურმა ქალთამზე მოიხმო.

დარბაზში დამწუხრებული ქალთამზის შემოსვლისას ახეონს ისევ ცივმა ოფლმა დაასხა და ტანში გააჟრიალა. ქალთამზეს ტირილისაგან თვალის ქუთუთოები ოდნავ შესივებოდა და ლამაზი ბაგენი ამობურცვოდა,

რაც კიდევ უფრო საყვარელ და ბავშვურ იერს აძლევდა მის ავარდისფერებულ, ალმურმოდებულ, სევდიან სახეს.

მისი დარბაზში შემოსვლა შუქის ნათებას ჰგავდა, რადგანაც დარბაზის სარკმელ-ფანჯრიდან შემომავალი მზის სხივები ოქროსფერებად აელვარდნენ და ათამაშდნენ ქალთამზის გრძელ კულულოვან თმაში.

ახეონი და ფარდაოსი გაოცდნენ ქალთამზის ბერძნული ენის ბრწყინვალე ცოდნით. მისი ნაზი ბაგეებიდან ტკბილხმოვანი ნარნარით იღვრებოდა ჰომეროსისეული ბერძნული მჭევრმეტყველება. ფარდაოსმა ქალთამზის დახმარებით შეიტყო, რომ შანშე ხევისთავის დაკრძალვა ზეგ დილით მოხდებოდა, კახაბერისაგან გადასახადის სახით, ფულით სავსე, მომცრო, მოჭედილი სკივრი ჩაიბარა, შემდეგ აზონის სახელით, ფარდაოსმა კვლავ მიუსამძიმრა კახაბერსა და ბაკურს ხევისთავის გარდაცვალება და, ვითომდა, დამწუხრებული სახით გამოემშვიდობა მათ.

ციხიდან გამოსული ბერძენთა რაზმი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დაიძრა.

ოდნავ ღვინომოკიდებული ფარდაოსი კარგ ხასიათზე დამდგარიყო და მის გვერდით ცხენდაცხენ მიმავალ თავის შვილს, ახეონს, ეოხუნჯებოდა და ელაზღანდარებოდა. ახეონი კრიჭაშეკრული და ჩაფიქრებული უხმოდ მიჰყვებოდა მამამისს და მისი ხუმრობის ნახევარიც კი არ ესმოდა, რადგან თვალწინ მხოლოდ ქალთამზის, ღვთაებრივი აფროდიტას მსგავსი სრულყოფილი ჰარმონიული ქმნილება და მისი უმშვენიერესი სახე ედგა.

ისე განვლეს გრძელი გზა, ახეონს სიტყვაც არ

დაუძრავს.

ქართველთა საზღვარი კავკასიონის უღელტეხილი ცხენოსანთა რაზმმა უკან ჩამოიტოვა და საღამო ხანს ერთ მოზრდილ სოფელს მიახლოვებულმა ფარდაოსმა გადაწყვიტა, ღამე დურძუკეთში, სოფლად გაეტარებინა. ვახშმობისას ფარდაოსმა შეამჩნია, რომ ახეონი საჭმელს პირს არ აკარებდა, სახეზეც ფერი არ ედო და არც ხმას იღებდა. ცოტა ხანს კიდევ დააკვირდა თავის შვილს და შემდეგ შეფარულად ჰკითხა:

– შვილო, გატყობ, რომ რაღაცა გაწუხებს და სადარდებელს მისცემიხარ, შენ რომ სწუხხარ და ცუდად ხარ, შენი შემყურე, მეც ვწუხვარ. ერთადერთი შვილი ხარ ჩემი და შენი დარდი და ჭირ-ვარამი ჩემი დარდი და ჭირ-ვარამია. გამაგებინე, შენი საფიქრალ-სადარდებელი და ერთად ვიფიქროთ, თუ რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ და რა გადავწყვიტოთ.

ახეონი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და თავაუწევლად, ყრუ ხმით მიუგო მამამისს:

– ხევისთავის შვილიშვილი ქალთამზეა ჩემი დარდის მიზეზი, ამ მშვენიერ არსებაზე ფიქრი გონებიდან და გულიდან ვერ ამომიგდია და არ ვიცი, რა ვქნა, ან რა ვიღონო.

ფარდაოსმა გულიანად გადაიხარხარა და შემდეგ ახეონს მიმართა:

– შენზე უკეთესი ვაჟკაცი მეორე არ დადის მცხეთაში, მდიდარიც ხარ, ახალგაზრდაც და კარგი შესახედიც. უკან, მცხეთაში დაბრუნებისას, გავუაროთ ხევისთავს, ვთხოვოთ მას ქალის ხელი, შეუღლდით და იყავით ბედნიერები. მომხიბვლელი გოგო კია...

– არა, მამაჩემო, შეუძლებელია. ქალთამზე ფარნავაზზეა დანიშნული და მალე შეუღლდებიან, –

გააწყვეტინა მამამისს სიტყვა ახეონმა.

ფარდაოსი შეცბა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ მიუგო:

– რა გაეწყობა, შვილო, არა ყოფილა საშენო ბედი. უამრავი სხვა ქალიც არსებობს, მასზედ უკეთესიც, მდიდარიც და გვაროვანიც. დრო ყველაფრის მკურნალია, მომავალში ჩვენი წრიდან ავარჩიოთ საშენო ღირსეული ქალიც, აბა, რად გინდა სხვა ერის ქალი ცოლად, ჩვენთვის უცხო იქნება ოჯახში და თავის წესზნეჩვეულებებზე ივლის.

– მეც ამ საბაბს ვიშველიებდი, რომ დამევიწყებინა ქალთამზე, მაგრამ უშედეგოდ, მამაჩემო, თავის მოტყუება გამომდის მხოლოდ. ვერა და ვერ აღმოვფხვრი მთელი ჩემი არსებიდან იმ გრძნობას, რაც გამიჩნდა მის მიმართ და უსაშველოდ დარჩენილი, ვწუხვარ და ვიტანჯები გულის ტკივილამდე. ვიცი, ეს დარდი ბოლოს მომიღებს, მაგრამ ვერ ვერევი საკუთარ თავს, არ შემიძლია, – თითქმის ცრემლმორეულმა მიუგო ახეონმა მამამისს.

ფარდაოსმა რომ დაინახა, თუ როგორ იტანჯებოდა მისი ერთადერთი შვილი, თვითონაც გული აუჩუყდა. მიუახლოვდა ახეონს და ფიქრებში წასულმა, შვილს მკლავზე რამდენჯერმე დაუსვა აკანკალებული ხელი.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ, ფარდაოსის სიბერისაგან მიმქრალ თვალებში ცეცხლის ნაპერწკალმა გაჰკვესა და სიხარულისაგან ხელი ხელს შემოჰკრა. შემდეგ ორივე ხელი შვილს ბეჭებზე მოავლო და შესძახა:

– ახეონ! იყოს ნება შენი, ქალთამზე შენი გახდება!

– როგორ, რანაირად, მამაჩემო? – გაუკვირდა ახეონს.

ფარდაოსმა ეშმაკურად ჩაიცინა, აქეთ-იქეთ მიმოიხედა და შემდეგ დაბალ ხმაზე გააგრძელა საუბარი:

– ოცი წელია, რაც გადასახადების ასაკრეფად დავდივარ კავკასიის აქეთა მხარეს და ამ ხალხის ზნე-ჩვევა და წესი კარგად მაქვს შესწავლილი. ამ მხარისა და ქვეყნის ხალხი საცოლე ქალს უმეტესწილად ნებით და ძალით იტაცებენ და ისე ჰქმნიან თავიანთ ოჯახებს. ძველ საბერძნეთში თუ ქალის, ელენეს მოტაცების გამო, ტროას ლეგენდარული ომი მოხდა, აქ ეს ამბავი ნორმად ითვლება და წეს-ჩვეულებაში აქვთ გამჯდარი.

– კი მაგრამ, ციხესიმაგრიდან როგორ უნდა მოვიტაცოთ? – გაიკვირვა ახეონმა.

– ციხესიმაგრიდან არა, ხევისთავის დაკრძალვის დროს მოვიტაცებთ და ისიც ჩვენ კი არა, დურძუკთ მოვისყიდი და იმათ გავატაცინებ შენს მომავალ მეუღლეს. კვალს კი ისე ავრევ, რომ ჩვენზე ეჭვს ვერავინ აიღებს.

– დაკრძალვის დროს ქალის გატაცებაზე არავინ არ დაგთანხმდება, მამაჩემო, ამაზე მეტი დიდი შეურაცხყოფა და უპატივცემულობა სხვა აღარაფერი აღარ არსებობს და შემდეგ კი ან მცხეთაში, რანაირად უნდა გამოვჩნდე გატაცებულ ქალთამზესთან ერთად. არა, ეს წარმოუდგენელია.

ფარდაოსმა ჩუმად ჩაიქირქილა და თვალებანთებულმა ახეონს ჩურჩულით უთხრა:

– ძალიან დიდი ფულის სანაზღაუროდ ყველაფერი შესაძლებელია, რომ კაცმა გააკეთოს. ამ საქმის მოგვარებას მე ჩემს თავზე ავიღებ, ხოლო რაც შეეხება დაბრუნებას, ქალთამზესთან ერთად მცხეთაში კი არა, ჩვენს სამშობლოში დაბრუნდები და მეც მალევე სამუდამოდ იქ ჩამოვალ საცხოვრებლად. წასვლის შესახებ

აზონს უკვე ველაპარაკე და შევთანხმდით.

XXI

დადგა შანშე ხევისთავის დაკრძალვის დღე. მიცვალებულს პატივი სცეს, როგორც მთის ტრადიციის წესი მოითხოვდა და შემდეგ ხევისთავის ცხედარი სოფლისაგან მოშორებით განაპირას, სამარხისაკენ წაასვენეს.

ატყდა გლოვა-ზარის ტირილი, შანშე ხევისთავის ცხედარს მისი შვილიშვილები და ახლო ნათესავნი მიასვენებდნენ, მათ უკან ოჯახის წევრები კახაბერი, ბაკური და ძაძებმოსილი მომტირალი ქალები მიჰყვებოდნენ, რომელთა უკანაც სხვადასხვა სოფელთა თავ-კაცნი და სოფლის მოსახლეობა ნელი სვლით აჰყოლოდნენ მწუხარე სამგლოვიარო სვლას.

საკმაო ხნის შემდეგ, ფეხით მიმავალი მგლოვიარენი მიუახლოვდნენ სამარხთა ადგილსამყოფელს და შეამჩნიეს, რომ მათ საპირისპირო მხრიდან რამდენიმე ცხენოსანი უახლოვდებოდათ ცხენთა დინჯი სვლით. მხედრები სამნი იყვნენ, ბოლო მხედარს კი თოკგამობმული მეოთხე ცხენი მოსდევა. სამარხთან მიახლოვებისას მხედრები ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ და მგლოვიარეებს მიუახლოვდნენ. მათ წინ ბაქარი შეხვდათ.

მხედრები დურძუკნი აღმოჩნდნენ, რომლებმაც ბაქარს მოახსენეს, რომ ისინი დურძუკთა მეფის მიერ იყვნენ გამოგზავნილნი. შანშე ხევისთავის გარდაცვალება გაეგო დურძუკთა მეფეს და მისი პატივისცემის აღსანიშნავად, შავ-ნაბად გადაფარებული შავი ბედაური გამოეგზავნა საჩუქრად, ხევისთავის ხსოვნის ნიშნად.

ბაქარმა აუწყა ეს ამბავი კახაბერსა და ბაკურს, რომლებმაც დურძუკთ თავი დაუკრეს და შემდეგ კახაბერმა ბაქარს უთხრა: „გადაეცი მაგათ, რომ დურძუკთა მეფის ძღვენს დაკრძალვის შემდეგ ჩავიბარებთო“.

ხალხს უკან გამდგარი დურძუკნი ყველას და ყველაფერს დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ, აღწერის მიხედვით მათ ადვილად ამოიცნეს მშობლებთან ახლოს მდგომი ქალთამზე, რომელიც დამწუხრებული და საგონებელში წასული დედამისს გვერდით ამოსდგომოდა ჭირისუფალთან ერთად.

დადგა ქვისგან გათლილ სარკოფაგში ხევისთავის ცხედრის გადასვენების დროც, რომელსაც შემდეგ ქვის დიდი გათლილი ფილა დაედებოდა ზემოდან და სამარხი მთლიანად მიწით ამოივსებოდა. მძიმე შრომის გასაწევად და ერთმანეთის დასახმარებლად, მამაკაცებმა წინ, სამარხისაკენ გაიწიეს, მათ უკან კი მხოლოდ ქალები და მოხუცები დარჩნენ.

ყველას ყურადღება ხევისთავის დაკრძალვისაკენ იყო მიმართული. ამ დროით ისარგებლეს დურძუკმა მხედრებმა, რომლებიც შეუმჩნევლად ქალების ზურგს უკან განლაგდნენ და ცხენებზე შესხდნენ.

დალაის ზარ-მომტირალ ქალებთან მდგომი ქალთამზე, თვალებაცრემლებული გაჰყურებდა ხევისთავის სამარხში ჩასვენებას. უცებ ქალთამზის თავს ზემოთ მსუბუქი შხუილ-ზუზუნის ხმა გაისმა და მან იგრძნო, მხრებზე როგორ ჩამოეცვა ჯერ ერთი და შემდეგ მეორე თოკის ბაწარი, რომლებიც სწრაფადვე მთელი სიძლიერით შემოეკრა ტან-ხელზე და გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ გაკრულ-შებოჭილი ქალთამზე დურძუკი მხედრის ცხენზე აღმოჩნდა თავდაღმა გადაკიდებული.

მხედრებმა სწრაფადვე მიატრიალეს ცხენები, უკან მდგომი რამდენიმე დაბნეულ-გაოცებული მოხუცი გადააქციეს და მთელი სისწრაფით ცხენები ჩრდილოეთისაკენ გააჭენეს. წინ ქალთამზე გადაკიდებული მხედარი მირბოდა, რომელსაც უკან ორი დურძუკი მიჰყვებოდა თოკგამობმულ ცხენთან ერთად.

ატყდა ხალხის ყვირილი, წივილ-კივილი და ჩოჩქოლი: –„ქალთამზე მოგვტაცეს! არიქა, დურძუკმა ქალთამზე გაიტაცაო!“

ისე სწრაფად დატრიალდა ყველაფერი, რომ მოულოდნელობისაგან გამშრალნი მამაკაცები გაოგნებულები და გაფითრებულები ვერც მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა.

ბაქარმა შეჰყვირა: „არიქა, მდევარიო!“ ქალთამზის დედა, ლელა კი გულშეღონებული გადაიქცა.

კახაბერმა ბრძანება გასცა, სასწრაფოდ რამდენიმე კაცი ციხეში გაქცეულიყო და სწრაფადვე ცხენ-იარაღით დაბრუნებულიყვნენ, დანარჩენები კი დურძუკ მხედრებს ფეხით სირბილით დადევნებოდნენ, სანამ მათ ცხენებს არ წამოაწევდნენ.

შანშე ხევისთავის დაკრძალვა მოხუცებს უნდა დაესრულებინათ და მათვე დაევალათ მიცვალებულის წესის აღსრულება.

გაცოფებული და გაფითრებული ბაკური სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა და ხელებგაშლილი, ხან დურძუკ მხედრებს გაჰყურებდა, ხან კი გულგახეთქილ ძირსდავარდნილ მეუღლეს, ლელას და თეთრწვეროვან, დაუმარხავ მამას გადახედავდა ხოლმე.

ჭირს კიდევ ჭირი დამატებოდა.

მანძილი ცხენოსან მხედრებსა და ქვეითად მორბენალ მდევარს შორის სულ უფრო და უფრო სწრა-

ფად მატულობდა. შორიდან მხოლოდ გულშემოყრილი ქალთამზის სასოწარკვეთილი, გულმომაკვდინებელი და შემზარავ-შემაზრზენი გამკივანი ხმა მოისმოდა, რომელიც შველას ითხოვდა.

დურძუკი მხედრები მთას მიფარებულიყვნენ და აღარა სჩანდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი შეჩრდნენ, შეკრულ-გაბოჭილ ქალთამზეს პირი აუკრეს, მეოთხე თავისუფალ ცხენზე გადაჰკიდეს, თასმა-ღვედებით მტკიცედ დაამაგრეს და ჭენებით ისევ მალევე გააგრძელეს გზა.

დურძუკმა მხედრებმა, საკმაო მანძილის გავლის შემდეგ, ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გეზი შეიცვალეს. დასავლეთით მთოვან-კლდოვან უგზო მხარეს გადაუხვიეს, მთა გადაიარეს და დასავლეთის მიმართულებით გააგრძელეს გზა.

ცხენზე გადაკიდებული შებოჭილი ქალთამზე მთელი ძალით ცდილობდა, როგორმე ბაწარ-თასმებისაგან გაეთავისუფლებინა თავი და დახსნოდა დურძუკებს, ან კი რამენაირად თავი გადმოეგდო ცხენიდან, რომელიც დურძუკებს შუაში მოექციათ და ისე მიაჭენებდნენ ოფლში გახვითქულ რაშებს, მაგრამ ქალთამზე ისეთი ძალით იყო გაკრულ-მიბოჭილი ცხენს, რომ შეუძლებელი იყო თავის გამოთავისუფლება.

ქალთამზეს მალე ძალაც წაერთვა, ტანზე შემოჭდობილი თოკ-ღვედები მას სუნთქვას უძნელებდა და უსუსურობისაგან დაუძლურებულ ქალთამზეს მხოლოდღა სიმწრის ცრემლი სდიოდა ღვარად თვალთაგან, გონებაში კი მხოლოდ ფარნავაზი წარმოსახვოდა, როგორც ერთადერთი იმედი მისი გადარჩენისა.

მალევე გულშეწუხებულმა და უნუგეშოდ დარჩე-

ნილმა ქალთამზემ გონება დაჰკარგა.

***

ნადირობიდან მცხეთაში დაბრუნებულ ფარნავაზს აცნობეს შანშე ხევისთავის გარდაცვალება და იგი თავისი ოჯახით მყისვე მთას გაეშურა, რომ ხევისთავის დაკრძალვისათვის მიესწრო. მცხეთიდან გასვლა ფარნავაზს საღამო ხანს მოუწია. შუაღამისას ფარნავაზმა დედამისთან და თავის დებთან ერთად ღამე გზად მდებარე ერთ-ერთ სოფელში გაათია და დილით ადრე, პირველი მამლის ყივილამდე, მათ ისევ მთისკენ გააგრძელეს გზა.

შუადღის მზე კარგა ხნის გადასული იყო, როდესაც მცხეთიდან გამომგზავრებულები ხევისთავის ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ და მათ შეამჩნიეს, რომ უცებ ციხის ღია ჭიშკრიდან მხედრები მთელი სისწრაფით გამოენთნენ, რომელთაც უკან სხვა მრავალი უმხედრო ცხენი მისდევდათ.

ფარნავაზმა დედას მიმართა: „რაღაც მოხდა ნამდვილად, თქვენ პირდაპირ ციხეში შედით, მე კი მხედრებს დავეწევი და გავარკვევ, რა ხდება“.

ცხენოსნებს წამოწეულმა ფარნავაზმა გასძახა მათ:

– რა მოხდა, ხომ მშვიდობაა?

კახაბერის ერთ-ერთმა შვილმა შორიდანვე შეიცნო ფარნავაზი და აღელვებულმა გამოსძახა მას:

– ხევისთავის დაკრძალვისას დურძუკმა ქალთამზე გაგვტაცა და ცხენი მიგვყავს მდევარისთვისო.

ამ ამბის გაგონებაზე ფარნავაზი გაშრა, გაფითრდა და თვალთ დაუბნელდა, ყურად კი მეხის გავარდნასავით ხმა ჩაესმოდა: „ქალთამზე გაგვტაცეს! ქალთამზე გაგვტაცეს“. მალევე გონს მოეგო, ერთი ღრმად ამოიგმინა

და ცხენს მათრახი გამეტებით, მთელი ძალით შემოჰკრა.

მთელი სისწრაფით მორბენალი ცხენები მალე ფეხ-ით მორბენალ მდევარს დააწიეს, რომელთაც მთიან აღმართში სირბილით სიქა გასცლოდათ და ძლიერ დაღლილიყვნენ.

ფარნავაზმა თავისი დაღლილ-ნამგზავრი ცხენი გამოიცვალა და წინ გაიჭრა. ბაკური და ბაქარიც მას გვერდში ამოუდგნენ და შეურაცხყოფილ-დარცხვე-ნილები, უხმოდ მისდევდნენ მას. დურძუკნი არსად სჩანდნენ. ფარნავაზმა გახედა კრიჭაშეკრულ ბაქარს და ჰკითხა მას:

– რა მოხდა, ბაქარ, როგორ მოხდა, ამიხსენი!

ბოღმამორეულმა ბაქარმა ძლივს შესძლო სიტყ-ვათა წარმოთქმა და მოკლედ აუხსნა ფარნავაზს, რაც მოხდა ხევისთავის დაკრძალვისას. ფარნავაზი მცირე ხანს დაფიქრდა და შემდეგ ბაკურსა და ბაქარს მიუგო:

– დურძუკთა მეფის გამოგზავნილები რომ არ არიან ისინი, ეს გასაგებია, რადგანაც ასეთი საქციელისათვის თვით დურძუკთა მეფე დასჯის მათ სიკვდილით; სხვა რაღაცაშია აქ საქმე და ესა გვაქვს გასარკვევი, უბრა-ლო ხალხი ვერ გაბედავდა ხევისთავის ოჯახობიდან ქალის მოტაცებას, მით უმეტეს, დაკრძალვის დროს, თანაც თვით ხევისთავის დაკრძალვისას, რადგან ასეთი შეურაცხყოფის მიყენება, ყველამ იცის, რომ არავის ეპატიება.

ფარნავაზმა სიტყვის დამთავრების შემდეგ კიდევ გამეტებით შემოჰკრა მათრახი ცხენს და წინ გაიჭრა, დანარჩენი მდევარიც მიჰყვა მას და მხედრობა ქარ-თლის ჩრილოეთის სამზღვრისაკენ დაიძრა, რომლის იქეთა მხარეს, კავკასიონის გადაღმა, დურძუკეთი იმყ-

ოფებოდა.

დასავლეთის მხარეს გადასულნი დურძუკნი, რომელთაც დატყვევებული და გატაცებული ქალთამზე მიჰყავდათ, მრავალი მიფარული მთა-ხეობები გაიარეს და ნელ-ნელა ტყის დაბლობისაკენ დაშვება დაიწყეს. მთიდან დაშვებული მხედრების დანახვაზე ტყიდან ახეონი გამოვიდა ოთხი ბერძენი მებრძოლის თანხლებით, რომელიც დურძუკთა მოლოდინში ტყეს იყო თავშეფარებული თავის მებრძოლებთან ერთად.

ფარდაოსი თავისი რაზმით დურძუკეთიდან ოსეთს გადასულიყო, თავისი შვილი ოთხი მებრძოლითა და მოსყიდული დურძუკებთი კი ქართლს გაეგზავნა. გაბაწრულ-გათოკილი და შეღონებული ქალთამზის დანახვაზე ახეონი შეწუხდა, მაგრამ გულის სიღრმეში მას დიდი სიხარული დაეუფლა, რადგან ქალთამზე უკვე მისი იყო.

დურძუკებისაგან ახეონმა შეიტყო, რომ ქალთამზის დასახსნელად დიდძალი მდევარი გამოდევნებიათ, მართალია, მდევარს გზა აუბნიეს, მდევარი ჩრდილოეთით მიდიოდა, ესენი კი დასავლეთის მიმართულებით იყვნენ გასულნი, მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე ჰმართებდათ. მალევე ტყეს შეაფარეს თავი ახეონმა და მისმა მიმყოლებმა ქალთამზესთან ერთად და ისევ დასავლეთისაკენ ტყე-ტყე გააგრძელეს გზა.

დაღამებამდე იარეს მათ: პირაკრული და თვალეზაკრული ქალთამზის ცხენი ახეონს მიჰყავდა ხელთოკგამობმული და მასთან გამოლაპარაკება ახეონს ჯერ არ გაებედა. გვიან ღამე შეჩერება და დასვენება ბრძანა. ცეცხლი არ უნდა დაენთოთ და მთვარის შუქზე

უნდა გამოეძინათ.

ქალთამზე ბერძენმა მებრძოლებმა ცხენიდან ფრთხილად ჩამოსვეს და მიწაზე გაშლილ ნაბადზე წამოაწვინეს, გულშეწუხებულს მხოლოდ პირი აუხსნეს და წყალი დაალევინეს.

ეჭვიანი დურძუკნი ფხიზლობდნენ, მაგრამ დაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა და მთელი დღე მდევარს გამოქცეულმა დურძუკებმა ჩასთვლიმეს.

ფარდასოსის გათვლილი გეგმის მიხედვით, ახეონი გამთენიისას ტყიდან სამხრეთით უნდა დაშვებულიყო დაბლობისაკენ და შემდეგ გეზი სამხრეთ-დასავლეთით, ქართლ-ეგრისის საზღვრისაკენ უნდა აეღოთ, სადაც საზღვართან მდებარე ციხესიმაგრეში ბერძენთა ჯარი იდგა.

ციხეში შესვლამდე დიდ-ფულად შეპირებული დურძუკნი უნდა გაესტუმრებინათ.

ერთი დღის დასვენების შემდეგ, ახეონი ქალთამზესთან ერთად არიან ქართლისაკენ გააგრძელებდა გზას, სადაც მალევე მამამისი, ფარდაოსი სამუდამოდ დაბრუნდებოდა თავისი ოჯახის წევრთა თანხლებით.

შუაღამისას, ახეონის ბრძანებით, ბერძენმა მებრძოლებმა მძინარე დურძუკნი დახოცეს და გამთენიისას მათი გვამები ღრმა ხევში გადაჰყარეს ნადირთა საჯიჯგნად და კვალის მოსასპობად. შემდეგ კი ახეონმა კვლავ გაბაწრული ქალთამზით გეზი ქართლ-ეგრისის საზღვარზე მდებარე ციხისაკენ აიღო.

დურძუკთა მეფემ ფარნავაზი და ქართველთა მხედრობა პატივისცემით მიიღო. მან დიდი დამწუხრება და სინანული გამოსთქვა მომხდარის შესახებ, გულთან

ახლოს მიიტანა ხევისთავის გარდაცვალებაც და ქალთამზის გატაცებაც. ამავე დროს, დიდად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რადგან მისი სახელის გამოყენებით, მოტყუებით გაუბედავთ არაკაცური და უღირსი ქმედება, დაკრძალვის რიტუალის დროს ქალის გატაცება, რაც არგაგონილ და უმსგავს საქციელად ითვლებოდა კავკასიელ ხალხთა ტრადიციებსა და ადათწესებში.

დურძუკთა მეფე ყმაწვილობის ასაკიდანვე იცნობდა ფარნავაზს, როდესაც იგი და ბაქარი ბაკურს ჩაჰყავდა ხოლმე დურძუკეთს, ფარნავაზი მეგობრობდა მეფის შვილებთან და ამჟამად, როდესაც დურძუკთა მეფემ შეიტყო ფარნავაზის ნამდვილი ვინაობა, მას ყველანაირი დახმარება აღუთქვა. მან ფარნავაზის წინაშევე დაიბარა თავისი მარჯვენა ხელი და დაავალა, რომ მთელს თავის სამეფოში დაეგზავნა მოხელეები, გაერკვია და მოეძებნა უღირსი საქციელის ჩამდენნი და სიკვდილით დაესაჯათ ისინი, ქალთამზე კი ფარნავაზისათვის დაებრუნებინათ.

დურძუკთა მეფემ ფარნავაზს თანადგომა და დახმარება აღუთქვა ბერძენთა წინააღმდეგ აღსდგომაში და მზადყოფნა გამოთქვა, ებრძოლა აზონის წინააღმდეგ და ფარნავაზის გვერდით დამდგარიყო დურძუკთა რჩეული ლაშქრით.

დურძუკთა მეფეს აზონის მიერ გაგზავნილი გადასახადების ამკრეფი ფარდაოსი, მესამე დღე იყო, რაც გაესტუმრებინა და დიდად განრისხებული ჩანდა აზონზე, რადგანაც ფარდაოსმა უწინდელზე ორჯერ მეტი გადასახადი მოითხოვა და უარის შემთხვევაში აზონის ჯარის შემოსევა-აწიოკებით იმუქრებოდა.

დურძუკეთიდან ფარნავაზი ოსეთში გადავიდა. ოვსთა მეფე მოხუცებულიყო, დაუძლურებულიყო და ქვეყანას მისი შვილი, ახალგაზრდა უფლისწული მართავდა, რომელიც, აგრეთვე, ბავშვობიდან მეგობრობდა ფარნავაზთან.

ქალთამზის მოტაცებისა და ხევისთავის გარდაცვალების ამბავი, ოსეთის უფლისწულმაც გულთან ახლოს მიიტანა და იგი შეჰპირდა ფარნავაზს, რომ უმალვე შეატყობინებდნენ მას, თუ რაიმე მსგავს შემთხვევას გაიგებდნენ ან მოჰკრავდნენ ყურს.

ფარნავაზის ვინაობის გაგების შემდეგ, ოვსთა უფლისწულმაც დახმარება აღუთქვა ფარნავაზს აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში, მით უმეტეს, ოვსნიც ძალიან გაბრაზებულები ჩანდნენ, რადგანაც წინადღეს ფარდაოსს ოსეთიდანაც ორმაგი გადასახადი წაეღო.

ჩრდილოეთი კავკასიიდან ქართველთა მხედრობა, დამწუხრებულნი, ქართლისაკენ გამობრუნდნენ. კახაბერსა და ბაკურს სიმწრის ცრემლი არ შორდებოდათ თვალთაგან და დამწუხრებულნი მოსთქვამდნენ: „ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს, როგორ გაგვიბედეს, რა ვჰქნათ და რა ვიღონოთო“. ფარნავაზსა და ბაქარს კი დანა პირს არ უხსნიდა.

მთაში დაბრუნებისას, ხევისთავის ციხე-სასახლეში გლოვა და ტირილი არ შემწყდარა. რამდენიმე დღის შემდეგ ფარნავაზმა და ბაქარმა ამჯობინეს მთას განშორებოდნენ, რადგანაც ლელა, რუსუდანი, გურანდა და ნანი, სხვა ქალებთან ერთად მუდმივ ცრემლთა ღვრასა და ტირილში იყვნენ ქალთამზის მოტაცების გამო. ამიტომ ძმადშეფიცულებმა გადაწყვიტეს, განეშორებინათ ქალები ამ მწუხარე ადგილ-სამყოფელსაგან და თავი-

ანთი ოჯახებით მცხეთაში დაბრუნებულიყვნენ.

ეგრის-ქართლის საზღვარზე მდებარე ციხეში შესვლისას, ახეონმა ქალთამზე დასასვენებლად ერთ ოთახში მოათავსა და ფარეშიც მიუჩინა, საღამოს კი თავად ეახლა. ოთახში შესვლისას ახეონს ფანჯარასთან ფეხზე მდგომი დახვდა ქალთამზე,რომელიც მის შესვლაზე შემობრუნდა, ნამტირალევი თვალები მიაპყრო და უმალვე შეიცნო გადასახადეის ამკრეფი ფარდაოსის შვილი.

ქალთამზეს ხმა არ ამოუღია, მრისხანე გამომეტყველებით, წარბშეკრული ამაყად შეჰყურებდა ახეონს და მსიგან ახსნა-განმარტებას ელოდა. ახეონი უცებ დაიბნა, იგი მოელოდა, რომ ქალთამზე ტირილითა და საყვედურებით დახვდებოდა და მისი დაწყნარება-დამშვიდება მოუხდებოდა. დაიბნა, აღარ იცოდა, რითი დაეწყო საუბარი და დაბნეული თვალს ვერ უსწორებდა ქალთამზის გულისგამგმირავ თვალთა მზერას. ხანგრძლივი და დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. აწითლებული და ოფლდასხმული ახეონი ფანჯარას მიუახლოვდა, რომელიც მაღალ კოშკში იყო გამოჭრილი. იქიდან კარგად მოსჩანდა მოსაზღვრე ეგრისის ამწვანებული ტყიანი მთები.

– ქართლისა და ეგრისის საზღვართან ვიმყოფებით, – ნირწართმეული ხმით, ძლივს ამოღერღა ორიოდე სიტყვა ახეონმა და ქალთამზეს თვალი გაუსწორა, რომელიც კვლავ უხმოდ შეჰყურებდა მას და მისი გამომეტყველება კვლავ დაუყოვნებელ ახსნა-განმარტებას მოითხოვდა.

ო, როგორ არ ჰგავდა ქალთამზე არც მცხეთელ გოგონებსა და არც სასახლის სეფე-ქალებს, უჭირდა მასთან საუბარი ახეონს და ოდნავ დაბნეული, პატარა

მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა, წყლის ჭურჭლიდან წყალი თასში ჩამოისხა, ხარბად მოსვა თასი და შემდეგ დაბალი ხმით გაუბედავად მიმართა:

– ცუდი და ბოროტი არ მსურს შენთვის, ქალთამზე. შენმა არაჩვეულებრივმა მომხიბვლელობამ და ღვთაებრივმა სილამაზემ გამაბედინა ის, რაც გავაკეთე... ჩემი ცხოვრება აზრს დაკარგავს, შენ თუ ჩემს გვერდით არ იქნები. სიმდიდრე და ბედნიერი ცხოვრება მუდამ გექნება. შევუღლდეთ, შევქმნათ ოჯახი და ვიცხოვროთ ერთად, – დაამთავრა სიტყვა ახეონმა და შეხედა.

ქალთამზეს წარბიც არ შეუხრია ახეონის საუბრისას, თუმცა გაუკვირდა, რაც მოისმინა და ისიც იგრძნო, რომ ახეონი მართლაც გულწრფელად ამბობდა თავის გულისნადებს.

ქალთამზე ცოტა ხნით დაფიქრდა და შემდეგ ცივად და მკაცრად მიუგო ახეონს:

– არ იცი და არ გესმის, რაც ჩაიდინე, არც შენ და არც მამაშენს ამ ქმედებას არ გაპატიებენ; ხევისთავის დაკრძალვის შებილწვისათვის, ჩემი მოტაცებისათვის და ჩემი დანიშნულისა და საქმროს, ფარნავაზის შეურაცხყოფისათვის სიკვდილით დაგსჯიან შენცა და მთელს შენს ოჯახსაც, ამიტომ თუ გინდა სიცოცხლე შეინარჩუნო და შენი ოჯახის წევრებიც უვნებლად დარჩნენ, სჯობს, ახლავე გამათავისუფლო და მცხეთას გამამგზავრო.

ახეონი ფეხზე წამოდგა, ქალთამზეს მიუახლოვდა და უპასუხა:

– ქალთამზე, არავინ არ იცის, სადა ხარ ან ვისთან ხარ, ვერც ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, ჩვენ მცხეთაში აღარსოდეს აღარ დავბრუნდებით. ჩემს სამ-

შობლოში, არიან ქართლში მივდივართ და იქ სასახლეში ვიცხოვრებთ ერთად.

ქალთამზეს იმედი თითქმის გადაეწურა, სისუსტე შეიგრძნო და სკამზე ჩაფიქრებული და დაღონებული დაეშვა, ახეონიც მყისვე მის წინ ჩამოჯდა და თავისი ხელი ქალთამზის ხელისაკენ წაიღო.

ქალთამზემ აირიდა, თვალებში შეხედა და თხოვნის კილოთი მიუგო ახეონს:

– ჩემი გული დიდი ხანია ფარნავაზს ეკუთვნის, შენი მე არასოდეს არ გავხდები, ეს შეუძლებელია. თუ მართლაც ასე ძალიან გიყვარვარ და ჩემი გაუბედურება არ გინდა, გამათავისუფლე და მამყოფე ბედნიერად ფარნავაზთან. თუ ნამდვილად გიყვარვარ, დამეხმარე ჩემს ბედნიერებაში, თუ არადა, შენც გაუბედურდები და მეც. ღირსეულ კაცს რად უნდა ისეთი ცოლი, რომელსაც მუდმივად სხვა კაცი ეყვარება. ასეთ ცხოვრებას ცხოვრება არ ჰქვია, მეც დავიღუპები და შენც.

ახეონი ფეხზე წამოდგა, „არასოდეს! შეუძლებელიაო“, წამოიძახა და ოთახიდან გავიდა.

გამთენიისას ახეონი და ოთხი ბერძენი მებრძოლი ციხიდან გავიდნენ. მათ ქალთამზე არიან ქართლში მიჰყავდათ.

მცხეთაში ფარდაოსმა შვილის შეტყობინება მიიღო, რომ „ყველაფერი რიგზე იყო“. გახარებული ფარდაოსი აზონს გამოემშვიდობა და აკრეფილი გადასახადების ნახევრის მითვისებული დიდი ქონებით თავის სამშობლოს მიაშურა.

XXII

შემოდგომამ ჩაიარა და ზამთარი დამდგარიყო. ქართლსა და მთაში დიდთოვლობა იყო. მცხეთაშიც დიდი ყინვები მძვინვარებდა. ფარნავაზის სახლში მწუხარება და უიმედობა სუფევდა, თითქოსდა, სიცოცხლე ჩამკვდარიყო.

ქალთამზის გარეშე აღარც სიხალისე აღარ იყო და აღარც ცხოვრებისადმი ინტერესი. ყოველდღიური არსებობა თავისთავად, ინერციითა და ზლაზვნით, თავისი გზით ნელ-ნელა წინ მიიწევდა. ქალთამზის დედა, ლელა მხოლოდ იმით ინუგეშებდა თავს, რომ შვილი ცოცხალი ეგულებოდა, ამას დედა გუმანით გრძნობდა და იმედოვნებდა, რომ ადრე თუ გვიან, თავის შვილს ნახავდა. მას ვერ წარმოედგინა, რომ უმშვენიერესი და ულამაზესი მისი ასული მოსაკლავად იყო გატაცებული. ყოფილა შემთხვევები, როდესაც გადამთიელთ ლამაზი ქალი მოუტაციათ და შემდეგ უცხოეთში დიდ ფულად მხევალ-მონად გაუყიდიათ.

ქალთამზის სილამაზის, აღზრდა-განათლებისა და სიბრძნის იმედი ჰქონდათ ლელას და რუსუდანს. მათ იცოდნენ, რომ ქალთამზე იშვიათი ქმნილება და უძვირფასესი განძი იყო, ნებისმიერი მამაკაცი მისი გულისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად თავს არ დაზოგავდა. ლელას მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა ყველაზე მეტად. მან იცოდა, რომ ქალთამზეს დიდი სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნდა, რაც სისხლით გადაეცემოდათ მთის ხევისთავთა ჩამომავლობას და შიშობდა, რომ მის ასულს სიამაყით თავისი თავი თვით არ დაეღუპა.

გაზაფხულისათვის მცხეთაში კახაბერ ხევისთავის გამოგზავნილი კაცი ჩამოვიდა, მან ფარნავაზს დურ-ძუკთა მეფის მიერ გამოგზავნილი ოქრო-ვერცხ-ლით გაწყობილ-მოსავადებული ძვირფასი ხანჯალი საჩუქრად მიართვა და წერილიც გადასცა, რომელშიც დურძუკთა მეფე ფარნავაზს დამწუხრებით აუწყებდა, რომ ქალთამზის კვალს ვერსად მიაგნეს, არსად არავინ არაფერი არ იცოდა მისი გატაცების შესახებ.

წერილის წაკითხვის შემდეგ, გულდამძიმებული ფარნავაზი კიდევ უფრო გულჩათხრობილი და დამ-წუხრებული შეიქმნა. ოვსთა მეფისგანაც არაფერი საიმედო არ ისმოდა.

ფარნავაზს აღარაფერი აღარა ჰგვრიდა არც სიხ-არულსა და აღარც სიამოვნებას, მის არსებობას სიცო-ცხლის ინტერესი და აზრი წართმეოდა. დროს მხოლოდ ნადირობაში ჰკლავდა, ხან აზონთან და ხან კი ბაქართან ერთად.

მთასა და ტყე-ღრეში უაზრო ხეტიალით დარდს იკლავდა, რამეთუ ფარნავაზს ნადირის მონადირებაც არ აინტერესებდა, რადგანაც ნადირობა მხოლოდ საბა-ბი და საშუალება იყო ყურადღების გადატანისა, რომ მუდმივად ქალთამზეზე არ ეფიქრა, რადგანაც უსაყ-ვარლესი ქალის დაკარგვაზე ფიქრი საშინელ გულისა და თავის ტკივილებს იწვევდა.

ბაქარსაც იგივე დიდი მწუხარება და დარდი ჰქონ-და დის გატაცების გამო, ვერ ივიწყებდა ქალთამზის შემაძრწოლებელ ხმას, როდესაც იგი შველას ითხოვდა. მას და ფარნავაზს უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის. ფარნავაზს ღვიძლი ძმასავით უყვარდა თანაშეზრდილი ბაქარი და დიდად აფასებდა მის ერთგულებას, მაგრამ

ხანდახან დღეში მხოლოდ ერთ-ორ სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს. ისინი უხმოდ იზიარებდნენ ერთმანეთის ტანჯვასა და ჭირ-ვარამს საყვარელი არსების უკვალოდ დაკარგვის გამო.

ერთხელ ერთ-ერთი ნადირობის დროს ფარნავაზი და ბაქარი ძალზედ შორს გასულიყვნენ მცხეთიდან. ისინი გზას უმიზნოდ მიჰყვებოდნენ და დროდადრო გარეულ ფრინველს თუ მოისრავდნენ, რათა ცოტა დაესვენათ და წაეხემსათ სარზედ აცმული და ნაკვერჩხალზე შემწვარი მოისრული დურაჯ-გნოლით ან ხოხობ-კაკაბით.

ორი დღე გასულიყო, მას მერე, რაც ისინი მცხეთიდან გავიდნენ და კახეთში სოფელი გავაზის მახლობელ მიდამოებში, მთის ფერდობის სიახლოვეს იმყოფებოდნენ. ზაფხულის სიცხე იდგა, უცებ ცა მოიქუფრა, მაღალი კავკასიონიდან შავი ღრუბელი გადმოვიდა და ზეციდან კაკლის სიმსხო სეტყვა დაეშვა. ფარნავაზმა და ბაქარმა სასწრაფოდ თავიანთი ცხენები მთის ფერდობისაკენ გააჭენეს, რომ ტყისთვის შეეფარებინათ თავი.

ტყის განაპირას, ფერდობის დასაწყისში ისლით გადახურული პატარა სახლი შენიშნეს და გეზი იქითკენ აიღეს. სახლში ერთი მოხუცი ბერიკაცი დახვდათ, რომელსაც ფარნავაზმა გამოდარებამდე თავშესაფარი სთხოვა, რათა სეტყვისაგან ცხენები არ დაშავებულიყვნენ და არ დამფრთხალიყვნენ. მოხუცმა სიამოვნებით მიიღო სტუმრები, ცხენები საიმედოდ დააბინავეს და მასპინძლის მიწვევით, სახლში შევიდნენ.

მოხუცი მარტოხელა მწყემსი აღმოჩნდა, რომელსაც ორიოდე ხარ-ძროხა, კიდევ რამდენიმე ცხვარიც ჰყავდა და ამით ირჩენდა თავს. მასპინძელმა მომცრო

ხის მაგიდა გადაწმინდა და ყველი, მწვანილი, ფხალგადარეული მაწვნის შეჭამანდი და ხმიადი პური გამოიტანა. ბაქარი სკამიდან წამოდგა და ბერიკაცს სიტყვა მიაგება: „ნუ გაირჯები, მოხუცო, გამოიდარებს და მალევე წავალთო“.

ბერიკაცმა თაროდან პატარა დოქი და თიხის ფიალები გადმოიღო, მაგიდაზე დადგა, დაბალ სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და ავდარშემოფარებულ მონადირეებს მიმართა:

– თხუთმეტი ზამთარი გავლიე და გამოვიდარე ამ ჩემს პატარა ქოხში და პირველად მწევია სტუმარი კაცი, ისეთი ღვინო უნდა დაგალევინოთ, რომა გასინჯულიც კი არ გექნებათ მსგავსის სადარი, რადგანაცა აქაურები არა სჩანხართ, — სიცილ-ღიმილით წარმოსთქვა მოხუცმა და დოქიდან ფიალებში რაკრაკით მუქი შეფერილობის შინდისფერი ღვინო ჩამოასხა.

ფარნავაზმა ბაქარს გადახედა და ბერიკაცს მიუგო:

– მართალი ხარ, მოხუცო, აქაურები არა ვართ, შემთხვევითი გამვლელნი ვართ.

მოხუცმა თიხის ჯამი ხელთ ასწია, თვალები ოდნავ მოჭუტა და დინჯად წარმოსთქვა:

– ნამდვილად დიდი სიმართლეა, შვილო, რაც ახლა სთქვი, სწორედ რომ ყველა შემთხვევით გამვლელნი ვართ ამ ქვეყანაზე და ამ ღვინის მადლითა, ამ წუთისოფელს მომსვლელსა და წამსვლელს, ყველას ერთად, აქაცა და იქაცა, ერთად გაუმარჯოთ, — წარმოსთქვა მოხუცმა სიტყვა და ფიალიდან ღვინო ნელ-ნელი წრუპვით მოსვა, თითქოსდა, ჭაშნიკს იხანგრძლივებსო, თან თვალები სიამოვნებისაგან ოდნავ მილულა და ფიალის გამოცლისას, მთელს სახეზე კმაყოფილებისა და სიამოვნების ნეტარება გამოესახა.

ფარნავაზსა და ბაქარს ოდნავ ჩაეღიმათ, „ამ ქვეყნად და იმ ქვეყნად ყველა მომსვლელ-წამსვლელს ერთად გაუმარჯოთო“, წარმოსთქვეს და ორივემ ღვინის სასმისი ბაგეებთან მიიდგეს. ოდნავ შეგრილებულმა ღვთაებრივმა სითხემ, ენის წვერსა და ენის ქვეშ მოხვედრისას, ფარნავაზსა და ბაქარს უცებ პირი შეუკრა და ბაგეთა შიგნით სასიამოვნო მსუბუქი ჟრუანტელის მსგავსი შეგრძნება დაუტოვა, მალევე ღვინოს შეგუებული პირ-ბაგენი ოდნავ მომლღვარიყვნენ და უკვე მთელი სიმკვეთრით აღიქვამდნენ, ღვთაებრივი ნექტარის მრავალფეროვანი, სასიამოვნო და იშვიათი გემოვნების, დიდებული სურნელოვან-არომატის შეგრძნებას.

მოხუცი დამტკბარ-ნასიამოვნები შესცქეროდა თავის სტუმრებს, რომელთაც განცვიფრებულ სახესა და თვალებზე გამოეხატებოდათ, თუ როგორ აღიქვამდნენ ჯადოსნური დამათრობელი ნექტარის არაჩვეულებრივ და ხანგრძლივ დაგემოვნებულ პირასაპატიო ჭაშნიკ-არომას პირგემოვნულ შეგრძნებას.

– როგორია? – იკითხა მოღიმარმა მოხუცმა და ხელით დოქს სწვდა, ღვინის ხელმეორედ ჩამოსასხმელად.

– არაფერი ამის მსგავსი არ გამისინჯავს! – წარმოსთქვა ბაქარმა.

– არაჩვეულებრივი, იშვიათი და მშვენიერი ღვინოა, რა ჯიშის ვაზისაგან ამზადებთ ასეთ ღვთიურ სასმელს? – შეეკითხა ფარნავაზი მოხუცს.

მოხუცმა ისევ შეავსო ფიალები ღვინით და გააგრძელა საუბარი:

– ღვინოს მე არ ვაყენებ, შვილო, ცხვარ-საქონლის

ყველი მიმაქვს სოფლად და იქ პურსა და ღვინოში გადავცვლი ხოლმე. ვაზსა კი საფერავს ეძახიან, მაგრამ იმავე ჯიშის ვაზისაგან, არსად ისეთი ყურძენი არ მოდის და ისეთი ღვინო არ დგება, როგორც იმ სოფლის მახლობლად მიმდებარე, უფლისმიერ ბოძებულ მიწაწყალზედა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ძალზედ ცოტაა ის ბარაქიანი მიწა და ის ადგილი, სადაც ასეთი ღვინო დგება.

– რა გქვია, მოხუცო და სოფლად რატომ არ ცხოვრობ, რატომ ხარ აქ მარტო? – იკითხა ბაქარმა.

ბერიკაცს ოდნავ სევდა შემოაწვა და თხრობა დაიწყო:

– თხუთმეტი წლის წინ, რაღაც უცხო და უცნაურმა უკურნებელმა სენმა თითქმის მთელი ეს მხარე სიკვდილით გასწყვიტა, ჭირსა და ავადმყოფობას ჩემი სახლობა, ორი შვილი და ცოლიც თან გადაჰყვა. მას შემდეგ წამოვედი სოფლიდან, მივატოვე იქაურობა და აქ დავსახლდი. პაპუნა მქვია სახელად, ჩემი საქონლითა და ტყით ვირჩენ თავსა, საქონელი კი სანამ საძოვრადა მყავს გაშვებული, იმ დროსა ტყეში ქვაბულ-გვირაბსა ვთხრი ნელ-ნელა.

– ქვაბულ-გვირაბი რად გინდა? – გაიკვირვა ბაქარმა.

პაპუნამ ხელში ისევ აიღო სასმისი და გააგრძელა საუბარი:

– ასეთი ღვინო რომ დასდგეს, ვაზს წყალი სჭირდება. აქედან მდინარე შორს არის, სარწყავი წყლებიც ჯერ არ არსებობს. ვარდობისთვის გადასვლის შემდეგ ზაფხულის სიცხეები რომ დადგება, აქ ისეთი დიდი სიცხეები

იცის ხოლმე, რომა უწყლოდ ყველაფერი კვდება, მით უმეტეს, თუ მშრალი და უწვიმარი ზაფხული დადგება. ტყეში კი მთების კალთებზე და ფერდობებზე ყოველთვის არის ოდნავ სინოტივე და მიწაში ღრმად მუდამ მოიძებნება ცოტაოდენი წყალი.

მთის კალთის პირას, ნოტიო ადგილას, კაცის სიმაღლისა და ფეხის ორი გადგმის მანძილზე, ოდნავ თავღმა, დამრეცით ქვაბულ-გვირაბის გათხრა დავიწყე. უკვე მრავალი წელია ვთხრი გვირაბსა და ასი მკლავის სიგრძემდე იქნება გათხრილი. ქვაბულის კედლების ორივე მხრიდან, სველი ნამიანი მიწიდან წვეთ-წვეთად წყალი მოჟონავს და ჩამოედინება, ქვაბულის კედლებს ქვეშ ვიწრო არხებით წყალი გარეთ გამოედინება და ჩემი სახლის ხელმარჯვნივ რუდ ჩამოედინება, რომელიც სახლის გასწვრივ გადაღმა, პატარა კლდოვან მთასთან დაგროვილი წყალი ტბორად გადაიქცევა. დიდი სიცხეებისა და უწყლობის დროს კი დატბორილ წყალს პატარა არხს გავუხსნი ხოლმე და წყალი ხეობა-წვიმის კალაპოტის საშუალებით, პატარა ღელესავით მიედინება სიცხისაგან გათანგული მიწებისაკენ, იმ სასწაული ვაზის ძირების გადასარჩენად, რომელიც ასეთ ღვინოს გვაძლევს.

სანამ პირში სული მიდგას და ჯანი მერჩის, იმ ქვაბის სიღრმეს კიდევ უფრო გავაგრძელებ, რომა მთამ მეტი წყალი მოიდინოს. იმიტომ კი არა, რომ მე რაიმე შემომაკლდება. არა, ჩემი სამყოფი ორი წვეთი ღვინო კახეთში ყოველთვის დაიწურება. საქმე იმაშია, რომ მე თუ ეს ღვთიური ღვინო ძალასა და სიმხნევეს მმატებს, სამადლიეროდ, მეც ჩემს წილ სიკეთესა და შრომას

ვდებ იმაში, რომ ეს სიცოცხლის მომცემი ნაყოფი არ გახმეს, არ გადაგვარდეს, არ გადაშენდეს და როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ჩვენს შემდეგ მომავალ თაობებს შერჩეთ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი შრომითა და საქმიანობით, ბრძოლითა და გარჯა-უნარით მოიპოვეს, შემდეგ კი ჩვენ გადმოგვცეს და დაგვიტოვეს.

ჩვენს მამა-პაპასა და წინაპრებს გაუმარჯოთ და მოვიგონოთ ისინი, რადგანაც ჩვენ თუ არ დავივიწყებთ მათ, ისინიც არ დაგვივიწყებენ და იმ ქვეყნიდან ხელს მოგვიმართავენ, ჩვენი მიწა-წყლისა და სამშობლოს არ გადაგვარებასა და გადარჩენაში, რადგანაც ყოველი გოჯი მიწა ჩვენი სამშობლოსი დარწყულია ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დანთხეული ჩვენი წინაპრებისა და მამულიშვილთა სისხლით.

მალე გამოიდარა და სეტყვაც შეწყდა. ბაქარმა ფანჯარას გაჰხედა და შემდეგ მოხუცს მიუგო:

– აღარ შეგაწუხებთ, პაპუნა, გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, მცხეთაში უნდა დავბრუნდეთ.

ბერიკაცმა მესამედ კიდევ ჩამოასხა ღვინო ფიალებში და თან საუბარი გააგრძელა:

– ბერძენი სოფელს იმდენად ვერ მიეტანა, რამდენადაც რომ მცხეთაში იმძლავრა.– პაპუნამ სასმისი ხელში აიღო, შეხედა ფარნავაზსა და ბაქარს და მიმართა მათ: – თქვენი ცხოვრების გზაზე გაგიმარჯოთ, არასოდეს არ დაგევიწყებინოთ, ვისი ჯილაგისანი ხართ. ისე გეცხოვროთ, როდესაც თქვენს განვლილ ცხოვრების გზას გაჰხედავთ, არ შეგრცხვენოდეთ თქვენი წარსულისა, თორემ უქმად დაკარგული ცხოვრება, სიბერისას გასტანჯავს ხოლმე დრომოჭმულ კაცს.

ფარნავაზი პაპუნას საუბარმა და მონაყოლმა

დააფიქრა და საგონებელში ჩააგდო. შეჰყურებდა ფარნავაზი მოხუცსს და ჰფიქრობდა, რომ მარტოხელა მოხუცი მწყემსი, რომელმაც ცოლი და ორი შვილი დაჰკარგა და ამქვეყნად არავინ ახლობელი აღარ დარჩენოდა, ჯერ კიდევ მხნედ იყო და სიცოცხლისა და ცხოვრების მიზანი არ ჰკარგავდა. უფრო მეტიც, თავისი ქვეყნის მომავალზე ზრუნავდა და მომავალი თაობების ბედნიერებაზე ჰფიქრობდა.

ფარნავაზი გამოსამშვიდობებლად წამოდგა, პაპუნას ხელის მუჭში მომცრო ფულის ქისა ჩაუდო და უთხრა მას:

– ისეთ ერს, რომელსაც შენისთანა კაცნი ჰყავს, გადაშენება არ უწერია. – შემდეგ გადაეხვია მოხუცს და ბაქართან ერთად გარეთ გავიდა. სახლის კარში გამოსულმა პაპუნამ ცხენზე ამხედრებულ მხედრებს მიაძახა: „სახელი მაინც მითხარი, შვილო, ვინა ხარო?“

ფარნავაზმა სიცილით გასძახს თავისი სახელი ბერიკაცს და ცხენი ქართლისაკენ დასძრა.

განახლებული სიცოცხლითა და ცხოვრებისეული უმთავრესი მიზნით ბრუნდებოდა ფარნავაზი მცხეთაში. კახეთიდან ქართლამდე მთელი გზის მანძილზე ჰფიქრობდა და აზრს ალაგებდა. უბრალო მწყემსი ბერიკაცი, პაპუნა თუ ასე ზრუნავდა თავის ხალხზე და თავისი ერის მომავალზე, ფარნავაზს ბედისწერისა და განგებისაგან ვალდებულებად ედო, წინამძღოლად გასძღოლოდა თავის ხალხს, თავის ერს, ებრძოლა თავისი ქვეყნის ბერძენთაგან გასათავისუფლებლად და ეზრუნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნა-ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამ იდეის განხორციელება და ხორცშესხმა გამხდარიყო ფარნავაზის ცხოვრების

მთავარი მიზანი და მთელი თავდადებითა და თავგანწირვით ეს ჩანაფიქრი უნდა აღესრულებინა.

ოც წელზე მეტი გასულიყო, აზონის ლაშქრის მცხეთაში შემოსვლიდან და მთელი ამ ხნის განმავლობაში ნორმალურიც იყო, რომ აზონის ჯარის მებრძოლთა შორის ოჯახების შექმნის სურვილი გაჩენილიყო. ბერძენ ჯარისკაცებს მოსწონდათ ოჯახურ ტრადიციებზე აღზრდილი, პირმშვენიერი და მომხიბლავი ქართველი ქალები და მთელი ამ ხნის განმავლობაში, რამდენიმე ათასი შერეული ბერძნულ-ქართული ოჯახი შეიქმნა, მათ შორის ათასეულისა და ასეულის მეთაურთაგან რამდენიმე ბერძენმაც ქართველი ქალები მოიყვანეს ცოლებად. შერეულ ბერძნულ-ქართულ ოჯახებში მრავალი ბავშვი დაბადებულიყო და გაზრდილიყო, რომლებიც ორ ენაზე და ორ კულტურაზე – ბერძნულზე და ქართულზე იყვნენ აღზრდილნი.

მცხეთაში დაბრუნებული ფარნავაზი განსაკუთრებით დაუახლოვდა ქართველურ-ოჯახოვან ბერძენ სამხედრო მეთაურებს. ხშირად სახლში დიდ სუფრაზე სანადიმოდ იწვევდა ხოლმე მათ და უხვადაც ასაჩუქრებდა. არც უბრალო ჯარისკაცთა შერეულ ოჯახებს ივიწყებდა, მათთანაც ახლო ურთიერთობა დაამყარა. დაუახლოვდა მცხეთის მოსახლეობას, ეხმარებოდა ობოლთ და გაჭირვებულთ. ქართველთა და ბერძენთა შორის, ფარნავაზს ყველა დიდ პატივს სცემდა და მისი სახელის აღმასვლა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, რაც დიდად აღიზიანებდა აზონს.

როდესაც აზონი სასახლიდან თავისი ამალით მცხეთაში გადმოდიოდა, მცხეთაში მაცხოვრებელი ხალხი ან იმალებოდნენ, ან კი ზურგს აქცევდნენ აზონს.

თუ აზონის თანმხლებ ამალაში ფარნავაზიც იყო, მაშინ მცხეთის მოედანი და ქუჩები გაივსებოდა ხოლმე ხალხით და ცხენზე ამხედრებულ ფარნავაზს შეძახილებითა და ყიჟინით ესალმებოდნენ. ასეთ დროს ფარნავაზი ცდილობდა, თავდაჭერილი ყოფილიყო, დაცვაგარშემორტყმული აზონი კი ბოროტად გაჰხედავდა ხოლმე და შემდეგ ბოღმით მიუგდებდა ორიოდე სიტყვას თავისი დაცვის უფროსს:

– სწრაფად გავეცალოთ ამ გადარეულ ბრბოს!

ნადირობისასაც ფარნავაზი აზონს ერიდებოდა და მუდმივად თავდაჭერილი იყო, რომ მეტად არ გაეღიზიანებინა ისედაც დაბოღმილი აზონი. ერთ-ერთი მსვლელობის დროს მცხეთის დიდ მოედანზე გამავალ ქუჩას იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ აზონის ამალას გავლა გაუძნელდათ და ისინი იძულებულნი გახდნენ შეჩერებულიყვნენ. უამრავი ხალხი ფარნავაზს ულოცავდა, აზონის მიერ კვლავ მოწყობილ ყოველწლიურ მხედართა შეჯიბრ-ასპარეზობაში ზედიზედ მეორე გამარჯვებას.

ცხენზე ამხედრებული და სვლაშეჩერებული აზონი ზიზღით შეჰყურებდა აღფრთოვანებულ ხალხსა და ცხენზე ამხედრებულ ფარნავაზს, შემდეგ მიუბრუნდა თავის დაცვის უფროსს და ჰკითხა: „რატომ უყვართ ასე ფარნავაზი მცხეთაში? რა არის ამის მიზეზი?“

დაცვის უფროსმა აზონს აუწყა, რომ ფარნავაზი მუდმივად გაჭირვებულებსა და ობლებს ეხმარება, ამჟამადაც მხედართა ასპარეზობაში მოპოვებული დიდი ვერცხლის თასი ფულად აქცია და ობლებს გაუნაწილა, ამიტომაც უყვარს იგი ხალხსო.

აზონი კიდევ უფრო გააღიზიანა ამის გაგებამ. აზონი თუ დიდ გადასახადებს ახდევინებდა ხალხს და

ამიტომ ხალხს იგი არ უყვარდა, ფარნავაზის გულმოწყალება პირიქით, არა სასიკეთოდ უპირისპირდებოდა თვით აზონს. გუნება წაუხდა და ნადირობის ხალისი დაეკარგა, ჩაშალა ნადირობა და სასალხეში დაბრუნება ბრძანა. იმ დღიდან მოიძულა და აითვალწუნა აზონმა ფარნავაზი, თუმცაღა აღიარებდა და აფასებდა მის ხელმარჯვეობასა და ვაჟკაცობას, მაგრამ აზონისათვის აუტანელი იყო, რომ ხალხი მას ზურგს აქცევდა, ფარნავაზს კი სათაყვანებელი მეფესავით ხვდებოდნენ.

ფარნავაზი აზონის ამჩნევდა დაუფარავ ხასიათგანწყობილების შეცვლას და ცდილობდა, რომ კიდევ უფრო მეტი თავმდაბლობით, თავდაჭერილობითა და თავშეკავებულობით შეენიღბა ის სიძულვილი, რაც მას გააჩნდა მისი მამისა და ბიძის მკვლელი აზონის მიმართ.

დრო გადიოდა, ზამთარიც დამდგარიყო. ფარნავაზის დედამ, რუსუდანმა იცოდა თავისი შვილისა და აზონის ურთიერთდამოკიდებულების ცვლილება და ამას დიდად განიცდიდა. რუსუდანი შიშობდა, რომ მის ოჯახს იგივე ბედი არ სწეოდა, რაც სამარას ოჯახს ეწია. ამის გამო რუსუდანს ბევრჯერ ჰქონია საუბარი ფარნავაზთან, იგი სთხოვდა, მცხეთა დაეტოვებინათ და საერთოდ გასცლოდნენ აქაურობას. დედის გული შიშობდა და უფრთხილდებოდა თავისი შვილების გურანდას, ნანისა და ფარნავაზის სიცოცხლეს.

შეშფოთებულ და აღელვებულ დედას ფარნავაზი ამშვიდებდა და ყველანაირად ცდილობდა, რომ მზრუნველი დედისა და საყვარელი დებისათვის შიშისა და უიმედობის გრძნობა გაექრო. ამდაგვარ შფოთვასა და დიდ სიფრთხილეში კიდევ ერთმა წელმა განვლო.

XXIII

აზონის სასახლიდან გამოგზავნილმა მაცნემ ფარნავაზს აუწყა, რომ მესამე დღის დილას აზონს დიდი ნადირობა აქვს განზრახული და თან უნდა ახლდე ნადირობაზეო. ფარნავაზმა თავისი გამოცდილებით უკვე კარგად იცოდა, რომ სანამ კარგად არ დაცხებოდა აზონი, რამდენიმედღიან ან ერთკვირიან ნადირობას არ გამართავდა. გაზაფხული იდგა და ღამით ჯერ კიდევ ციოდა, ამიტომ ასეთ დროს აზონი ერთდღიან ნადირობას ამჯობინებდა და მცხეთასთან სიახლოვეს ახლომდებარე სანადირო სანახებსა და ტყეებში თუ გავიდოდა.

დადგა ნადირობის დღის დილაც. ადრე ამდგარ ფარნავაზს რუსუდანმა სთხოვა:

— შვილო, ფარნავაზ, დედის გული მიგრძნობს, დღეს რაღაც უნდა მოხდეს და დიდად ვწუხვარ. ძალიან გაფრთხილდი და მოერიდე აზონს, არაფერი გიმტროს და არა გავნოს რა.

ფარნავაზი კარგ ხასიათზე იყო, ღამე უცნაური სიზმარი ენახა, თითქოსდა, ფარნავაზი ბნელი სივრციდან მზის სხივმა გამოიყვანა. ზეციდან მზე დედამიწაზე დაშვებულიყო და მზის სხივებისაგან ოქროსფრად აელვარებულ მდელოზე შემდგარიყო. ფარნავაზი მიუახლოვდა მზეს და მოულოდნელად თავსა და პირსახეზე მზის მადლი გარდმოეცხო.

ფარნავაზმა მოღიმარმა მოუყვა რუსუდანს თავისი სიზმარი, შემდეგ დაამშვიდა დედა, გადაეხვია, გამოემშვიდობა ყველას და სამეფო სასახლისაკენ გაეშურა.

აზონს ირმებზე ნადირობა სურდა და მონადირეებ-

მა გეზი სანადიროდ მდინარე მტკვრის გაყოლებით მარ-ჯვენა მხარეს, დიღმის ტყისაკენ აიღეს.

თოვლიანი ზამთრის დასრულების შემდეგ, დამშეუ-ლი ირმები მთა-ტყიდან ბარად ჩამოდიოდნენ ხოლმე მდინარის მახლობლად, სადაც გაზაფხულის პირველი ლორთქო ბალახი გამომწვევად იწყებდა ზრდასა და მწვანედ ბიბინს.

ეს პერიოდი საუკეთესო იყო ირმებზე სანადიროდ, რადგანაც დამშეული ირმები ჯოგებად ჩამოდიოდ-ნენ ბარად. მონადირენი დიღმის ტყეს უახლოვდებოდ-ნენ, როდესაც ამინდი გაფუჭდა. ჩრდილოეთის მხრი-დან გრიგალი ახლოვდებოდა დიდი ძალით და ცა შავი ღრუბლებით იქუფრებოდა. აზონი შეჩერდა და მოქუ-ფრულ ცას აჰხედა, აშკარა იყო, დიდი თავსხმა წვიმა წა-მოვიდოდა, რაც გააძნელებდა ატალახებულ ტყე-ღრე-ში ნადირის დევნას.

აზონმა ხეთა კენწეროებს გახედა, რომლებიც ძლიე-რი ქარისაგან დიღმის მხარეს იხრებოდნენ. ამხელა მხე-დრობითა და ძაღლებით აზონი ტყესთან მიახლოებასაც ვერ მოასწრებდა, რომ ჩრდილოეთის ძლიერი ქარის წყალობით, ირემთა ჯოგი შორიდანვე შეიგრძნობ-და მათ სუნს და დამფრთხალი ირემი ისევ მთა-ტყეს დაუბრუნდებოდა.

აზონმა ბრძანა, შეეწყვიტათ ნადირობა და მცხეთას დაბრუნებულიყვნენ. მონადირეთა ამალას ფარნავაზი უხმოდ მიჰყვებოდა. იგი უკვე სანადიროდ იყო გუნება-განწყობილი და გულის სიღრმეში ესიამოვნა კიდეც, აზონმა მცხეთაში დაბრუნება რომ ისურვა, რადგანაც აზონის ნადირობისას ფარნავაზი კი არ ნადირობდა, უფრო აზონს იცვადა. ფარნავაზმა ისიც კარგად იცოდა,

რომ როცა წინწკლავდა, იმ დროს ირემი უფრო თამამ-ად ჩამოდიოდა ბარად, რადგან მონადირე იშვიათად გადიოდა სანადიროდ წვიმაში. „ეჰ, ბაქარი მაინც იყოს მცხეთაში“, გაიფიქრა ფარნავაზმა, სასახლეში აზონის დაბრუნებისთანავე ბაქართან ერთად გამობრუნდე-ბოდა სანადიროდ, მაგრამ ბაქარი ბაკურის თანხლებით მთაში იყო წასული, სადაც ტრადიციული გაზაფხულის დიდი დღესასწაული აღინიშნებოდა.

მცხეთაში აზონის შებრუნების შემდეგ, ფარნავაზი ჭოჭმანობდა, სახლში დაბრუნებულიყო თუ სანადიროდ წასულიყო. წინწკლავდა და ქარიც ჰქროდა. მარტო იყო და ეს უკეთესიც იყო, რადგან ქარში ირემი თუ მთელი მონადირეთა ამალის სუნს უმალვე შეიგრძნობდა, ერთი კაცი შესძლებდა დროულად გადასულიყო ქარის სა-პირისპირო მხარეს და მოლოდინში ყოფილიყო ნადირის გამოჩენამდე.

ერთი კიდევ აჰხედა ცას ფარნავაზმა,.შავი ღრუბელი ჩრდილოეთიდან კიდევ უფრო მატულობდა, გაიფიქრა, გამოდარებას ტყეში დაველოდებიო და ცხენი დიღმის ტყისაკენ გააჭენა. ნაშუადღევს მიუახლოვდა სანადირო ადგილს, მდინარის გასწვრივ სწრაფად გადასერა ახალ-ბალახწამოზრდილი მწვანე მდელო და ქარის საპირის-პირო მხარეს ტყეში შევიდა.

წვიმისაგან მთლად გალუმპულ-დასველებული ფარნავაზი ტყეში ერთ დიდ ხეს შეეფარა. ზედა სველი სამოსი გაიძრო, გაწურა, შემდეგ ისევ გადაიცვა და ბე-ჭებით ჭენებისაგან გახურებულ ცხენს მიეყრდნო.

ბოხჩიდან ცოტაოდენი ნუზლი ამოიღო, თვითონაც დანაყრდა და ცხენსაც გაუნაწილა საგზალი, შემდეგ წყალი მოსვა და წვიმის გადასვლის მოლოდინში, თვალი

მოატყუა.

წვიმამ გადაიღო და მხოლოდ წვრილადღა სცრიდა. ფარნავაზი სანადიროდ მოემზადა, ტყის განაპირას გავიდა, რათა მდინარისპირა მწვანე მოლი თვალთახედვაში ჰქონოდა და ირმის გამოჩენის მოლოდინში ჩასაფრებული გაყუჩდა. საკმაო ლოდინის შემდეგ ირმის შორეული ბღავილის ხმა ტყის ექომ მთიდან მდინარის სანაპირომდე ჩამოიტანა. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გაისმა ირმის ბღავილი, რომელიც ხარ-ირემის ძლიერ ხმას წააგავდა, თითქოს ამოწმებდა და სინჯავდა, რაიმე საშიშროება ან ხიფათი ხომ არ ემუქრებოდა, რადგანაც მისი ხმის გაგონებაზე, თუ ტყეში მონადირეთა ჯგუფი და ძაღლები იქნებოდნენ ჩასაფრებულნი, ტყეში დიდი მოძრაობა ატყდებოდა, რაც ტყის ფრინველთა ხმაურჭახჭახს გამოიწვევდა.

ტყეში სიმშვიდე იყო, ტყის ფრინველნიც გაყუჩებულნი და გარინდებულნი, თავ-თავიანთ სამალავებში შეფარებულნი, წვიმას გარიდებოდნენ. სადილობის ხანი დამდგარიყო. ფარნავაზმა ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე აითვისა, რომ ამ დროს ნადირი და თევზი უფრო თამამი იყო, რადგანაც კაცნი ამ დროს სადილობდნენ და ცხოველთათვის მათ ნაკლებად ეცალათ. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ფარნავაზმა ტყის ბუჩქთა მსუბუქი შრიალი შეამჩნია.

რამდენიმე ხანში კუნელის ბუჩქნარიდან დიდი სიფრთხილით თავი ფრთხილად გამოჰყო ირემმა, რომელმაც ყურადღებით დააყურადა და გაყნოსა ახლომდებარე გარემო. ფარნავაზი გაქვავებულივით იყო, არ იძვროდა და სუნთქვაც კი შეაჩერა. ირემიც დაყოვნებული იყო, მხოლოდ ყურებს ამოძრავებდა ოდნავ აქეთ-

იქით და თვალით ზომავდა გარშემო სივრცეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მშვიდად, სიფრთხილით ირემი გამოვიდა მდინარის მხარეს. დიდი, ღონიერი და ძლიერი ხარ-ირემი იყო, რომელსაც თავი მაღალი და ძლიერი უხვად გატოტილი რქებით ჰქონდა შემკული. მას უკან ფურ-ირმები მოჰყვებოდნენ, გამოზამთრებული შვლებითა და ნუკრებით.

ფარნავაზი ტკბებოდა ბუნების ამ მშვენიერი ქმნილებების სანახაობით.

პირველად გამოსული ხარ-ირემი შეჩერდა, კვლავ მიმოიხედა აქეთ-იქით, იყნოსა ჰაერი, ტყის ახლად გამოყრილ კვირტებს, ხმელ ფოთლებსა და ღვინია ბუჩქებს გაჰხედა, არსად არაფერი არ იძროდა. გრიგალი ჩამდგარიყო და მხოლოდ ოდნავღა წინწკლავდა. ხარ-ირემი რომ დარწმუნდა უსაფრთხოებაში, თავი დაჰხარა და ახლად ამოსულ მწვანე, ცვრიან და ლორთქო ბალახს წიწკნა დაუწყო. სხვა ირმებმაც მას მიბაძეს.

ფარნავაზი საკმაოდ შორ მანძილზე იმყოფებოდა ირმების ჯოგისაგან. მან გადაწყვიტა ხარ-ირემი მოენადირებინა, რადგანაც პატარა შვლები და ნუკრები უდედოდ დაიღუპებოდნენ, ფურ-ირმებს კი სხვა ახალი ძლიერი ხარ-ირემი და პატრონ-ზედამხედველი გამოუჩნდებოდა, რომელიც ირემთა ჯოგს სათავეში ჩაუდგებოდა.

ფარნავაზმა გრძელი საბრძოლო ქეიბური მოაზმადა, ფრთხილად მოზიდა მშვილდი და სტყორცნა ისარი. ხარ-ირემს ისარი კისერში მოხვდა. დაჭრილმა ირემმა ერთი დაიღმუვლა და უმალვე ტყეში შევარდა, რომელსაც სხვა დამფრთხალი ირმებიც უკან მიჰყვნენ.

ფარნავაზი ტყეში ირმების კვალს სწრაფადვე შე-

ჰყვა და დაჭრილ ხარ-ირემს დაედევნა.

დიდხანს სდია ტყე-ღრესა და მთებზე მორბენალ დაჭრილ ირემს. ისევ დიდმა წვიმამ და თქეშმა დაუშვა. ძლიერმა და ღონიერმა ხარ-ირემმა საკმაოდ დიდი მანძილი განვლო და დაუღალავად მიიწევდა წინ. თუმცა, შებინდებისას არაქათგამოცლილი, სისხლდაკარგული და დაღლილი ირემი ერთ-ერთი კლდის ძირში ჩაიკეცა.

დაჭრილ ირემს დაწეული ფარნავაზი ცხენიდან ჩამოქვეითდა. კოკისპირულად წვიმდა. კლდის თავი საკმაოდ გამოწეულ-გამოშვერილი იყო და მის ქვეშ შადარებით სიმშრალე იყო. ფარნავაზმა გახვითქული და დაღლილი ცხენი წვიმისაგან დასაფარად კლდის თავის ქვეშ შეაფარა და იქვე ოდნავ მშრალად შემორჩენილი ბარდა-ფიჩხის გაკაფვაც დაიწყო, რათა კოცონი დაენთო და ცოტა შემშრალიყო. ხმლით ბარდა-ბუჩქნარის კაფვის დროს, კლდის კედლის დაბალი მხარე მოშიშვლდა და ერთ ადგილას ფარნავაზმა შენიშნა, რომ კლდის კედლის ნაპრალი ქვით იყო ამოშენებულ-ამოქოლილი და ამოლესილი, გარედან კიდევ რამდენიმე დიდი ქვალოდი ჰქონდა აფარებული. ფარნავაზი დააკვირდა კედელს, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა ყოფილიყო ამოშენებული, რადგანაც დრო-ჟამსა და სინოტივეს კედლის ზედა მხარე ოდნავ მოერღვია. ცხენისა და თოკის დახმარებით ფარნავაზმა კედელს დიდი ლოდები მოაშორა, შემდეგ ცხენს გადაკიდებული სანადირო აღჭურვილობის ბოხჩიდან რკინის მრგვალთავიანი მძიმე ჩუგლუგი ამოიღო და კლდის ნაპრალში ამოშენებულ კედელს რღვევა დაუწყო. კედელი ჩამოიშალა და გამოქვაბულის შესასვლელი აღმოჩნდა.

ფარნავაზმა გამოქვაბულში გაკაფული ბარდა-

ფიჩხი შეიტანა და კოცონი დაანთო. ცეცხლმა მიმოანა-თა სიბნელე, გამოქვაბული მომცრო იყო და ცარიელი. წვიმის ქვეშ ირემი რომ არ შელახულიყო, როგორც რომ მონადირეებს სჩვეოდათ, ირემს სისხლი სწრაფადვე გამოუშვა, გაასუფთავა, კანჭები გადახსნა და მოაცილა და წასაღებად მომზადებული ირემი მშრალ და გრილ ადგილას, გამოქვაბულის შესასვლელში მოათავსა.

კოკისპირული წვიმა გადაღებას არ აპირებდა. ფარ-ნავაზი ირმის დევნაში საკმაოდ დაღლილიყო. გადაწყ-ვიტა, ღამე გამოქვაბულში გაეტარებინა და დილით მცხეთას ნანადირევით დაბრუნებულიყო. მრავლად შეზიდა გამოქვაბულში ფიჩხი და ცეცხლს შეუკეთა. კოცონი აგიზგიზდა და უფრო მეტად გაანათა გამოქვ-აბული. ნახევრად ჩაბნელებულ ქვაბში მხოლოდ მუქი კედლები და აქეთ-იქით კედლებთან მიყრილ-მოყრილი ლოდებისა და დიდი ქვების ლანდები მოსჩანდა.

დაღლილი ფარნავაზი გასაშრობად კოცონთან ჩამოჯდა, ცოტაც წაიხემსა და შემდეგ წამოწოლილს მა-ლევე ჩაეძინა. ჩაძინებულ ფარნავაზს ისევ ის სიზმარი ესიზმრა, რომ წინაღამეს ნახა, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ამჯერად, მადლ-გარდმომცხები თვალისმომჭრე-ლი მზე ფარნავაზს სათნოდ უღიმოდა.

გამთენიისას ფარნავაზი გამოქვაბულის შესასვ-ლელთან დაბმულმა ცხენის ფრუტუნმა გამოაღვიძა. ცეცხლის კოცონი გამოქვაბულში ჩამქრალიყო და გაზაფხულის სისხამდილის სიგრილე იდგა. ფარნავაზი ფეხზე წამოდგა და ცხენის დასახედად გამოქვაბული-დან გარეთ გავიდა. გამოედარა, წვიმას გადაეღო და თენდებოდა, სადაცა იყო, მზეც ამოვიდოდა.

ფარნავაზმა მცხეთაში დასაბრუნებლად მზადება

დაიწყო. ცხენი ირმის დასადებად გაამზადა და ნანადირევის გამოსატანად გამოქვაბულისკენ შეტრიალდა. უკან შებრუნებისთანავე ფარნავაზი გაოცებული უცებ გაშრა და გახევდა – მთის კლდოვანი გამოქვაბულის შესასვლელში ირმის თავი მოსჩანდა, აქეთ-იქით მაღლა ამაყად აშვერილი დიდი რქებით.

სწორედ ეს გამოსახულება იყო ამოტვიფრული ქაიხოსროს მიერ გადმოცემულ ქართლოსიანთა, დიდი მცხეთოსის სამემკვიდრეო სამეფო ნიშან-ბეჭდის, დიდთვალს ქვეშა შიდა საიდუმლო მეორე მხარეზე – მთა, ქვაბის შესასვლელით, წინ ირმის რქებით გამოსახული.

ფარნავაზი თვალებს არ უჯერებდა, მისთვის აშკარა და ნათელი გახდა ყოველივე, უცებ გაეხსნა და გაუნათდა გონება და აზრი. დედამისის, რუსუდანის მიერ მონაყოლი ლეგენდა სიმართლესთან ახლოს იყო. დიღმის მთა-ტყენი ირმებზე სანადირო ადგილები იყო და სამეფო ბეჭედზე გამოსახული ირმის რქები, სწორედ, ამის მანიშნებელი. მთაც და გამოქვაბულიც, რაც ბეჭედზე იყო ამოტვიფრული, აქ იყო და თანაც მცხეთასთან ახლოს. დიდძალი განძი-ხვასტაგის გადატანა მცხეთიდან ქვაბამდე უფრო სწრაფად და შეუმჩნევლად იყო შესაძლებელი, მით უფრო, რომ ეს ადგილები უკაცრიელი და დაუსახლებელი იყო, გარშემოც ტყე-ღრეს მეტი არაფერი იყო.

ფარნავაზი სწრაფად შებრუნდა გამოქვაბულში, ნაკვერჩხალი გააღვივა და ცეცხლი დაანთო. ცეცხლწაკიდებული კონათშეკრული ფიჩხი ჩირაღდანივით ხელში მოიმარჯვა და ქვაბს თვალი მოავლო, შიგთავსი კედლები შემოიარა და ქვიან ძირს დააკვირდა. გამოქვაბული ცარიელი იყო, მხოლოდ დიდი ქვის ლოდები

ეყარა აქეთ-იქით გაშავებულ კედლებთან.

იმედგაცრუებული ფარნავაზი ერთ-ერთ ლოდზე ჩამოჯდა და დაფიქრდა; — „ლეგენდა თუ სიმართლეს შეესაბამება, გამოქვაბული დანამდვილებით ეს უნდა იყოს. გამოქვაბული თუ ეს არის და განძი აქ ინახებოდა, შესაძლებელია, რომ გამოქვაბული გაიძარცვა და განძი წაღებულია, მაგრამ განძი თუ გამოქვაბულიდან წაიღეს, რიღასთვის დასჭირდათ ცარიელი და გაძარცვული გამოქვაბულის ხელმეორედ ამოქოლვა და შემოსასვლელის კედლით ამოშენება.“

ფიქრში მზეც ამოიწვერა აღმოსავლეთის მთების თავზე, სამყარო გაანათა და ნახევრად ჩაბნელებულ გამოქვაბულში მზის ნათელი შუქის სხივი შეიჭრა, რომელიც გრძელ კაშკაშა ხაზად, ლარივით გაიჭიმა და გამოქვაბულის სიღრმისეულ უკანა კედელს მიებჯინა.

ფარნავაზმა თვალი გააყოლა მზის ნათელ სხივს და რაც თვალწინ წარმოესახა, იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის, რომ აღელვებისაგან სუნთქვა შეეკრა და ვეღარც კი გრძნობდა, რომ ფიჩხის კონისაგან შეკრული ჩირაღდანი იწვოდა და ცეცხლი ხელსა სწვავდა.

გამოქვაბულის სიღრმისეულ უკანა კედელზე, რომელზეც მზის სხივი იყო მიბჯენილი, გამოსახული იყო ქვაზე ნაკვეთი უცნაური ფორმის მოხაზულობის ნიშანი, ზუსტად ისეთივე, როგორიც მცხეთოსიანთა სამეფო ბეჭდის დიდ უცხოურ ძვირფას თვალზე იყო ამოკვეთილ-გამოტვიფრული და რომელიც ნიშან-სიმბოლოს წარმაოდგენდა ქართლის მმართველთა და მეფეთა აურაცხელი სიმდიდრისა, ხვასტაგისა და ქონებისა.

ფარნავაზი მიუახლოვდა კედელზე ამოტვიფრულ

ნიშანს, რომელიც ცეცხლის შუქზე ახლოდან სინესტის კვალს უფრო წააგავდა. ნიშნის ქვეშ უშველებელი ქვის ლოდი იდო. გრძელი თოკი ლოდს შემოახვია და გარეთ მდგარ ცხენს შემოაბა. ცხენისა და გრძელი ხელ-კეტის საშუალებით ქვის დიდი ლოდი გადააგორა და ლოდს უკან დაფარულ კედელზე ოდნავ დაბალი და ვიწრო, კიდევ ერთი ქვით ამოქოლილ-შელესილი კედელი აღმოჩნდა.

ფარნავაზმა ჩუგლუგით კვლავ გაანგრია მეორე კედელიც, ფიჩხისაგან ახალი ჩირაღდანი შეკრა და გარღვეულ მომცრო კედელში დახრილი შევიდა. ფარნავაზი მეორე გამოქვაბულში აღმოჩნდა, მან ჩირაღდანი წინ წასწია, მაღლა აღმართა და გაოცებისაგან ენა წაერთვა – ჩირაღდნის ცეცხლის ალის ანარეკლზე საიდუმლო შიდა გამოქვაბული ბრწყინავდა და ელვარებდა შიგ დახვავებული უსაზღვრო რაოდენობის სიმდიდრისა და განძის, აურაცხელი ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი თვლების სიუხვით.

ორასი წლის წინ, ქართლზე დიდი კიროსის შემოსევისას, ქართლის მაშინდელი მეფის მიერ გადამალულ-შენახული ქართლოს-მცხეთოსის სამეფო მოდგმის მთელი აურაცხელი სიმდიდრე, ქონება და დიდი საგანძური, ყველაფერი ერთად აქ ინახებოდა და ამჟამად, მთელი ეს დიდი ხვასტაგი, ქართლოს-მცხეთოსის სამეფო მოდგმისა და შტოს გამგრძელებელს — ფარნავაზს ეკუთვნოდა, რომელთა გამოყენების საშუალებითაც, შეეძლო, თავისი ქვეყანა მტრისაგან გაეთავისუფლებინა, ძალაუფლება თავის ხელთ აეღო, გაეძლიერებინა და განემტკიცებინა საქართველო.

გახარებულმა ფარნავაზმა გამოქვაბულის კედლები

ისევ ამოქოლა და ნანადირევით მცხეთაში დაბრუნდა.

სახლში დაბრუნებულმა ფარნავაზმა შეშფოთებულ რუსუდანსა და თავის ორ დას ახარა: „ბედკეთილი სიზმარი ცხადლივ ამიხდაო“ და შემდეგ დაწვრილებით აუწყა მათ, რაც თავს გადახდა.

იმავე დღეს ფარნავაზმა სასწრაფოდ მუშახელი მოაყვანინა და სახლში ერთ-ერთი შიდა საძინებელი ოთახის ბალავრის ქვეშ დიდი, ფართო და ღრმა ორმო გააჭრევინა, ვითომდა, გრილი სარდაფ-საკუჭნაოს გასაკეთებლად, ზევიდან ფიცარი დააგებინა და შიგ ჩასავლელად კიბე და ზედა კარები დააყოლებინა. გამზადებულ ფიცრის იატაკს ხალიჩა-ფარდაგები გადააფარეს, სარდაფში ჩასავლელი კარების დასამალავად კი დიდი და მძიმე კუბოკრული საწოლი ტახტი გაამზადეს.

ბაქარი თავის ოჯახთან ერთად მთიდან ჯერ არ ჩამოსულიყო. სახლში კარის უფროსი, ქაიხოსრო და მისი მორჩილი მსახურნი დარჩენილიყვნენ. გვიან ღამე ფარნავაზი რუსუდანთან და თავის დებთან ერთად გამოქვაბულისაკენ გაეშურნენ ცხენზე შემსხდარნი, ტვირთის საზიდრად კი ჯორ-სახედრები გაიყოლეს თან.

ხუთი ღამის განმავლობაში გამოქვაბულიდან იდუმალად მთლად გადმოიტანეს მცხეთაში აურაცხელი საგანძური ფარნავაზმა და მისი ოჯახის წევრებმა. სახლის ახლადგაჭრილ სარდაფში საიდუმლოდ გადამალეს ყველაფერი და სარდაფის კარს ზედ მძიმე ტახტი დაადგეს.

***

რამდენიმე დღის შემდეგ მთიდან ბაქარი დაბრუნდა თავის მშობლებთან ერთად.

გახარებულმა ფარნავაზმა ბაქარსა და ბაკურს აუწყა, რომ დიდი ხვასტაგი აქვს გადამალული და დადგა სწორედ ის დრო და ჟამი, როდესაც მათ მოქმედება უნდა დაეწყოთ საბრძოლო მომზადებისათვის, სამშობლოს თავისუფლების მოსაპოვებლად.

ფარნავაზმა ეგრისის ერისთავის, ქუჯის სახელზე საიდუმლო წერილი დაწერა. წერილი თავის ერთგულ ბაქარს ჩააბარა და ორ მსახურთან ერთად ეგრისში, ქუჯი ერისთავთან გააგზავნა.

ბაქარის გამგზავრების შემდეგ ფარნავაზი და ბაკური, როგორც ადრევე შეთანხმდნენ, ბაკურის ახლობლის, საბა მჭედლის თანხლებით, სარკინეში რკინის გამოწრთობის ოსტატებსა და მჭედლებს ეწვივნენ.

ფარნავაზმა მათ დიდძალი ფული დაუტოვა და დაავალა საბრძოლო ხმლებისა და ჯაჭვის პერანგების მრავლად დამზადება. საბრძოლო ხმლები რომ ძალიან მტკიცე, მკვრივი და გაუტეხავნი ყოფილიყო, საბა მჭედელმა თავისი ხელობის საიდუმლო გაუნდო ოსტატ-ხელოსნებს, რითაც განთქმული იყო მისი გამოჭედილი ხმალი. მან ხელოსნებს დაავალა, რომ რკინა-ფოლადი, რაც შეიძლება დიდხანს უნდა გამოეწრთოთ, მრავალგზის გაეცივებინათ და გაეცხელებინათ ცივ წყალსა თუ გახურებულ ცეცხლში. ასეთი წესით დამზადებული საბრძოლო ხმალი ომში საიმედო, მტკიცე და უტეხი იქნებოდა.

XXIV

ეგრისის დედაქალაქ ციხეგოჯში, ეგრისის ერისთავის ქუჯის სასახლეში ადრეული განთიადის დილა იდგა. ქუჯის ჯერ კიდევ ეძინა. საძინებლის კარებთან ფრთხილი ნაბიჯით აქეთ-იქით ბოლთას სცემდა ქუჯი ერისთავის მრჩეველი და მარჯვენა ხელი, რატი, რომელიც ქუჯის გაღვიძებასა და მის საძინებლიდან გამოსვლას მოუთმენლად ელოდა. რატი საძინებლის კარს მიუახლოვდა, კარზე ფრთხილად დააკაკუნა და რამდენჯერმე დაბალი ხმით წარმოსთქვა: „ქუჯი, დილა მშვიდობისა, ქუჯი ერისთავო...“

– მოხდა რამე? – გაისმა საძინებლიდან ქუჯის ნამძინარევი ხმა.

— მცხეთიდან კაცია გამოგზავნილი, ქუჯი ერისთავის ნახვა მინდა, წერილი მაქვს სასწრაფოდ გადასაცემიო. - მიუგო რატიმ.

ცოტა ხანში საძინებლის კარი გაიხსნა და პირად მოსასვენებელ სამუშაო მომცრო დარბაზში გამოვიდა ქულაჯამოსხმული ნამძინარევი ქუჯი ერისთავი. ქუჯი ახალგაზრდა იყო, ახოვანი წარმოსადეგი, ვაჟკაცური შეხედულებისა და რაინდული აღნაგობისა. მამის ნაადრევი სიკვდილის გამო, მემკვიდრეობით ეგრისის ერისთავობა ქუჯის არც თუ ისე დიდი ხნის წინ გადასცემოდა. იგი ბრძნულად და გონივრულად უძღვებოდა

ქუჯი

თავის ქვეყანას და თავისი ხალხისაგან საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული.

– დილა მშვიდობისა, რატი. — წარმოსთქვა დაბალი ხმით ქუჯიმ.

– მშვიდობა გფარვოდეს მუდამდღე, ქუჯი ერისთავო.

– მცხეთიდან გამოგზავნილი კაციაო, ამბობ, რატი. აზონის მიერ თუ იქნება , ალბათ, რაღაც მოხდა, ასე დილაუთენია საჩქაროდ ჩემთან ნახვას რომ ისწრაფვის. ხარკი-გადასახადის წასაღებად არ იქნება მოსული, რადგან ჯერ ნაადრევია. ხარკის მისაცემად თითქმის სამი თვეა კიდევ დარჩენილი, — მშვიდად და ჩაფიქრებული წარმოსთქვამდა ქუჯი და ქულაჯის შეკვრა-შესწორებით ნელ-ნელა შუა დარბაზში გადაიანცვლა.

– ბერძენი არ უნდა იყოს მცხეთიდან გამოგზავნილი კაცი, ბაქარი ჰქვია სახელად. ქართულად არის ჩაცმულ-აღჭურვილი და ამბობს, მხოლოდ ერისთავ ქუჯის დაველაპარაკები, პირადად მაქვს მისთვის წერილი და სიტყვა გადასაცემიო.

– შემოიყვანე! – უთხრა ქუჯიმ რატის და თვითონ დარბაზის შუაში მაგიდასთან მიდგმულ სკამ-ტახტრევანზე ჩამოჯდა.

ბაქარის თანხლებით რატი მალევე დაბრუნდა დარბაზში.

– დიდო ერისთავო! – წარმოსთქვა ბაქარმა და ერისთავს თავი დაუკრა.

ქუჯიმაც ოდნავ დახარა თავი და შეათვალიერა ბაქარი. სტუმრისს ჩაცმულუბითა და ვაჟკაცურ მკლავნაწრთობ იერსახით გასაგები გახდა ქუჯისათვის, რომ მის წინ უბრალო მალემსრბოლი არ იდგა, შემდეგ შეხე-

და ბაქარს თვალებში და მიუგო: – ვისი მიღების პატივი მაქვს, გისმენ...

– ბაქარი გახლავართ, ბაკურის ვაჟი, შანშე ხევისთავის ჩამომავალი. წერილი მაქვს თქვენთვის ერისთავო, მცხეთიდან ფარნავაზის მიერ გამოგზავნილი, – მშვიდი, დაბალი ხმით წარმოსთქვა ბაქარმა და უბიდან არზა ამოიღო.

ქუჯი ფეხზე წამოდგა, მოღიმარი მიუახლოვდა ბაქარს და უთხრა:

– ბევრი მსმენია აწგარდაცვლილი მამაჩემისაგან შანშე ხევისთავის შესახებ. დიდი მეომარი, ვაჟკაცი და თავისი ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილი და მებრძოლი იყო. — ქუჯიმ არზა გამოართვა ბაქარს და ხელით მიანიშნა, ვერცხლის ჭურჭელ-სასმისით გაწყობილ მაგიდასთან მდგომ სკამ-სავარძელზე დაბრძანდიო, თავად კი წერილის წასაკითხად ნათელი ადგილისაკენ გადაინაცვლა. ქუჯი სანამ არზას ხსნიდა, კვლავ გახედა ბაქარს და ჰკითხა:

– ფარნავაზის გამოგზავნილიაო, ამბობ, ბაქარ, მაგრამ მე არაფერი არა მსმენია მის შესახებ... ვინ არის ფარნავაზი?

ბაქარი სკამიდან ფეხზე წამოდგა, რატის გახედა და შემდეგ ისევ ქუჯის მიუბრუნდა.

ქუჯიმ დაიჭირა ბაქარის მზერა და რატისაკენ ხელგაშვერილმა წარმოსთქვა:

– ჩემი მარჯვენა ხელი და მრჩეველი რატი, მასთან ყველაფრის თქმა შეგიძლია.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ ბაქარმა ისევ დაბალი ხმით წარმოსთქვა:

– ფარნავაზი ქართლის სამეფო ტახტის ერთად-

ერთი კანონიერი მემკვიდრეა. იგი არის ძე ქართლის სპასპეტისა და ძმისწული ქართლის მმართველისა, სამარასი.

ბაქარის ნათქვამის გაგონებაზე ქუჯი და რატი მოულოდნელობისაგან გაოცებულნი გახევდნენ. ქუჯის ხელნაწერი გაშლილი წერილი დაბლა დაეშვა და ბაქარს გაკვირვებული შესცქეროდა. რატის კი მხოლოდ ერთი სიტყვა აღმოხდა განცვიფრებისაგან:

– ადარნასეს შვილი?

ქუჯიმ რატის გახედა და შეეკითხა:

– რატი, შენ თუ გსმენია რაიმე ფარნავაზის შესახებ?

– არა, არაფერი, – უპასუხა ოდნავ შემცბარმა რატიმ.

ქუჯიმ არზა გაშალა, წერილი თვალით გადაიკითხა, შემდეგ არზიანი ხელი ისევ ძირს დაუშვა, ფიქრით და თვალებით კი უსასრულობაში დარჩა.

ჩაფიქრებული ქუჯი მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას, წერილი დადო და სკამზე ჩამოჯდა. ფეხზე წამომდგარ ბაქარს ხელით ისევ ანიშნა, დაბრძანდიო და ჩაფიქრებულმა რატის მიმართა:

– რატი, ხელმეორედ წამიკითხე ფარნავაზის წერილი, ოღონდ მშვიდად და აუჩქარებლად.

რატი მიუახლოვდა მაგიდას, წერილი აიღო და კითხვა დაიწყო:

– ეგრისის ერისთავს, ქუჯის.

მე ვარ ფარნავაზი; შენი ახლობელ-ნათესავი ქართლიდან და როგორც შენ ხარ ეგრისის შთამომავალი, შენსავით მეც ქართლოსის შთამომავალი ვარ უფლოს მცხეთოსის მოდგმისა და გვარის გამგრძელებელი; და ძმისწული ქართლის მმართველისა, სამარასი, რომელიც ბოროტად მოკვდინებული იქნა აზონის მიერ.

ხელთა მაქვს დიდძალი სიმდიდრე-ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. ნება მომეცი, მოვიდე შენთან, რამეთუ, ვეძმოთ ძმანი ერთმანეთს, მოვიხმაროთ ერთად სიმდიდრე-ხვასტაგი. შევკრიბოთ სპა-ლაშქარი, შევერთდეთ და ერთიანი ძალებით შევებათ აზონს, ქართველთ მოძულე მტერს. უფლის შეწევნით, ვსძლიოთ მტერსა და გავათავისუფლოთ მცხეთა, ქართველთა მიწები და მტრისაგან შევიწროვებული ყოველი ქართველი ბერძენი დამპყრობლებისაგან.

რატომ დაამთავრა წერილის კითხვა და გაოცებულმა ფრთხილად დადო არზა ისევ მაგიდაზე.

ქუჯი ჩაფიქრებული უსმენდა, შემდეგ მაგიდიდან ვერცხლის სასმისი აიღო, თაფლნარევი გაგრილებული ხილის წვენი მოსვა და ნირშეცვლილი ხმით ბაქარს მიმართა:

– ფარნავაზის განზრახვა სხვა კიდევ ვინ იცის?

– მთის ხევისთავმა, კახეთის ყოფილი მთავრის მემკვიდრემ, დურძუკ-ლეკთა და ოვსთა მთავრებმა, – მიუგო ბაქარმა.

მცირედი დაფიქრების შემდეგ ქუჯიმ კვლავ ბაქარს მიმართა: – აზონმა თუ იცის ფარნავაზის არსებობა?

– იცის, მაგრამ არ იცის, — წარმოსთქვა ბაქარმა.

– ეს როგორ უნდა გავიგოთ? რანაირად უნდა აიხსნას? – საუბარში ჩაერთო გაკვირვებული რატი.

– მოგახსენებთ, ახლავე აგიხსნით ყველაფერს, – წარმოსთქვა მოღიმარმა ბაქარმა.

– ბაქარ, სამარასა და მისი ოჯახის, აგრეთვე, ადარნასეს დაღუპვის შემდეგ ფარნავაზი როგორ გადაურჩა აზონის რისხვას? განგებისა და ბუნების რა ძალა მფარველობს მას, რომ მცხეთის სამეფო ტახტი, რომე-

ლიც აზონს ოცდასამი წელია უპყრია და მის დათმობას არც აპირებს, ტახტის მოცილე და ქართლის სამეფოს კანონიერი მემკვიდრე, ფარნავაზი აზონმა ცოცხალი დასტოვა?.. ყველაფერი, რაც იცი ფარნავაზის შესახებ, წვრილად და დალაგებით მიამბე.

ბაქარმა ქუჯის აუწყა, თუ როგორ გახიზნა ადარნასემ თავისი ოჯახი და სამი წლის ფარნავაზი მცხეთიდან მთაში შანშე ხევისთავთან თავშესაფარებლად. მოუთხრო, ფარნავაზის გამარჯვება მცხეთის მხედრულ ასპარეზობაში და სამეფო სასახლეში აზონთან შეხვედრა. როგორ მოითხოვა აზონმა ფარნავაზის თანხლება სანადირო ამალაში. როგორ დაუახლოვდა ფარნავაზი შერეულ ქართულ-ბერძნული ოჯახების ბერძენ მებრძოლებს და როგორ აითვალწუნა აზონმა ბოლო დროს ფარნავაზი.

– ფარნავაზმა კარგი ურთიერთბები დაამყარა ოვსთა და დურძუკთა მეფეებთან, მათგან სამხედრო დახმარებას ელის ჯარის სახით, ისევე, როგორც ბიძაჩემისაგან კახაბერ ხევისთავისაგან; კახეთ-ჰერეთიდანაც დიდი დახმარება იქნება, თუ აღვსდგებით აზონის წინააღმდეგ საბრძოლველად, – დაამთავრა საუბარი ბაქარმა.

ქუჯი ერისთავი კვლავ ჩაფიქრებული იჯდა და ხმას არ იღებდა. უხერხული ჩამოვარდნილი სიჩუმე რატომ დაარღვია:

– აზონი ოცდასამი წელიწადია უკვე, რაც მცხეთაში შემოვიდა. ფარნავაზი მაშინ თუ სამი წლისა იყო, გამოდის, რომ ამჟამად ფარნავაზი ოცდაექვსი წლისა უნდა იყოს.

– ასეა ნამდვილად, ოცდაექვსი წლისაა ფარნავაზი, თანასწორები ვართ, ბავშვობიდან ერთად, ძმებივით

ვიზრდებოდით, მამაჩემის, ბაკურის აღზრდის ქვეშ და ამჟამადაც, ბელტის ციხის მახლობლად, მცხეთაში ერთ სახლში ვცხოვრობთ ჩვენს ოჯახებთან ერთად, – დაასრულა სიტყვა ბაქარმა.

ბაქარის ნაამბობის მოსმენამ ქუჯიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მან შეხედა ბაქარს და ოდნავ ჩაცინებით თქვა:

– აზონის სიხარბეს მე კარგად ვიცნობ, ძარცვაგლეჯა კი მისი დამახასიათებელი ავი ზნე-თვისებაა. იგი არავის არ დაინდობს, ოღონდ კი ოქრო-ვერცხლი იგდოს ხელთ. ფარნავაზი წერილში მაუწყებს, რომ იგი აურაცხელი სიმდიდრის მფლობელია. გასაკვირია, როგორ შესძლო ფარნავაზმა მეორედ გადარჩენილიყო აზონის რისხვას და ამდენი ხნის განმავლობაში ისევ მის გვერდით აგრძელებდეს ყოფნას.

– აურაცხელი განძი, რასაც ფარნავაზი წერილში იწერება, უფლოს მცხეთოსის მოდგმის მეფეთა და მათ შთამომავალთა სიმდიდრე და ქონებაა. ორასი წლის წინ, ქართველთა მთელს მიწა-წყალზე სპარსეთის დიდი მეფის კიროსის შემოსევამდე, ქართლის იმდროინდელმა მმართველმა მეფემ გადამალა მთელი ხვასტაგი და იმ განძის ადგილ-სამყოფელი მხოლოდ ფარნავაზმა იცის.

განძის არსებობას აზონის ყურამდე ჯერ არ მიუღწევია. ადგილ-სამყოფელი განძისა ერთადერთმა ვინც იცის, ეს ფარნავაზია, არსებობა განძისა კი მე ვიცი და ახლა თქვენც, ერისთავო, – ბაქარმა, ქუჯის ჩაიცნების გამო, ოდნავ გამწყრალმა წარმოსთქვა ბოლო სიტყვები და სკამიდან ფეხზე წამოდგა.

ქუჯიც წამოდგა, მიუახლოვდა ბაქარს, გაუღიმა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

– ბაქარ, მომწონს შენი ერთგულება ფარნავაზისადმი, შენი სიტყვა-აზროვნება და სითამამე. ნამგზავრი და დაღლილი ხარ, წინ კიდევ დიდი გზა გაქვს ისევ მცხეთამდე გასავლელი. დაისვენე, შემდეგ კი ფარნავაზის წერილის პასუხის არზას ჩაგაბარებ მცხეთაში ჩასატანად და ქართლის საზღვრამდე მხედრებსაც გაგაყოლებ. — ქუჯიმ რატის გახედა და ანიშნა, გააცილეო.

ბაქარმა თავი დაუხარა ერისთავს და რატისთან ერთად დარბაზიდან გავიდა.

ჩაფიქრებული ქუჯი ისევ მაგიდას მიუახლოვდა, სკამზე ჩამოჯდა და მაგიდაზე გაშლილი ფარნავაზის წერილს ყურება დაუწყო, მალევე დარბაზში რატიც დაბრუნდა და ქუჯის სიახლოვეს დადგა.

– რას იტყვი, რატი, შენ რა რჩევას მომცემ? რა უნდა ვქნა? ფარნავაზს რა ვუპასუხო? – თავაუწევლივ იკითხა ქუჯიმ.

აღელვებული რატი კიდევ უფრო შეწუხდა და აღელდა პასუხის ძებნაში, ხანმოკლე დუმილის შემდეგ, შეფარვით მიმართა ქუჯის:

– ქუჯი ეროსთავო, ეგრისში რაც ხდება, ყველაფერი თქვენი გადასაწყვეტია, რაც მომავალში მოხდება, ისიც თქვენი დღევანდელი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე იქნება. შედეგი როგორი იქნება, იმის პასუხისმგებლობაც თქვენ დაგეკისრებათ, ერისთავო. ყველაფერ ამაზე ფიქრს დრო და გონიერება სჭირდება, საფიქრალი კი ბევრია, ძალიან ბევრი, დრო კი ცოტაა, რადგან ფარნავაზი პასუხს ელის.

– მართალი ხარ, რატი, სიმართლეს ამბობ, საფიქრალი, მართლაც, რომ ბევრია, ჰოდა, ერთად ვიფიქროთ, მაინტერესებს შენი აზრი. ხომ გაიგე, როგორ სთქვა

ბაქარმა, დაპირისპირება ფარნავაზსა და აზონს შორის აუცილებლად მოხდებაო. რას მეტყვი, მე ვისი მხარე უნდა დავიჭირო?

– ქუჯი, ამჟამად შენ ეგრისის ერისთავი ხარ, ძველი კოლხეთისა და სვანეთის მმართველი. ხარ ახალგაზრდა და მთელი ცხოვრება წინა გაქვს, რომ ბედნიერად მართო დიდი ხნის განმავლობაში შენი ქვეყანა. ხარ ძლევამოსილი, ტახტზე მორჭმული, გყავს ჯარი და ლაშქარი. არც სიმდიდრე-სიუხვე გაკლია და გაქვს დიდი ძალაუფლება.

რა აქვს ფარნავაზს? – არაფერი. არც ქვეყანას მართავს, არც ძალაუფლება აქვს, არც ლაშქარი ჰყავს და მისი ლეგენდის მსგავსი აურაცხელი განძი-სიმდიდრეც, საეჭვოა; და რაც მთავარია! არავინ იცნობს ფარნავაზს, როგორც ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეს; მხოლოდ რამდენიმე კაცი თუ უდგას მას გვერდით.

ფარნავაზისა და აზონის ბრძოლის შემთხვევაში, შენ თუ ჯარით ფარნავაზს დაეხმარები და დავუშვათ, რომ ომი აზონმა მოიგო, სისხლმოწყურებული აზონი ფარნავაზის გვერდით დგომას შენ არ გაპატიებს, ერისთავო, და სიკვდილით დაგსჯის! – ეგრისს კი გადასწვავს და ააოხრებს... დავუშვათ, რომ ომი, შენის დახმარებით, ფარნავაზმა მოიგო, მაშინ ფარნავაზი ქართლის მმართველი გახდება, შენ კი რაც იყავი ომამდე, იგივე დარჩები, ეგრისის მმართველი და აზონის ხარკისაგან გათავისუფლდები.

ომმა და ბრძოლამ შეიძლება დიდხანს გასტანოს და შესაძლებელია, ომში ბერძენთა მეფის მიერ გამოგზავნილი ლაშქარიც ჩაერთოს, რადგანაც აზონი ბერძენთა მეფეს ემორჩილება. არსებობს მესამე გზაც, რომ საერ-

თოდ არ ჩავერიოთ ფარნავაზისა და აზონის დავაში და შორიდან ვუყუროთ, რა მოხდება, მაგრამ ომს შეიძლება მაინც ვერ გადავურჩეთ, რადგან ერთის ან მეორის გამარჯვების შემთხვევაში, შემდეგ შეიძლება ჩვენ მოგვადგნენ შურის საძიებლად, რადგანაც დახმარება არ გავუწიეთ არც ფარნავაზს და არც აზონს.

– ბრძნულად განსჯი ხოლმე ყველაფერს, რატი, და ამიტომაც გაფასებდა დიდად მამაჩემი. ყველაზე მთავარი, ის არის, რომ ბრძოლასა და ომს ვერ ავცდებით, მაინც მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ მარტო ბრძოლასა და ომს ისევ ვინმესთან შეკვრა-გაერთიანება და მასთან ერთად ბრძოლა სჯობია. ვინ უნდა ავირჩიოთ და ვისი მხარე დავიჭიროთ ბრძოლაში, აზონისა თუ ფარნავაზისა? – თუ აზონს დავეხმარებით, ქართლს სამუდამოდ მტრად მოვიკიდებთ. აზონის გამარჯვების შემთხვევაში, ყოველწლიური ხარკი-გადასახადი აზონისათვის მაინც მისაცემი მექნება. ჩვენ ეგრისი, პატარა სახელმწიფო ვართ და მუდმივად მტრის თავდასხმის საშიშროების ქვეშ ვიმყოფებით. გუშინ თუ სპარსი იყო ჩვენი მტერი, დღეს ბერძენი გვყავს მტრად, ხვალ შეიძლება ჩრდილოეთიდან სკვით-კიმერიელთა ბარბაროსები დაგვეცნენ თავს, როგორც ადრე სჩვეოდათ ხოლმე და რომლებმაც თავიანთი შემოსევებით დასცეს და გაანადგურეს ძველი კოლხეთის სამეფო. მომავალში კი რომელი ქვეყანა მოძლიერდება და რომელი ქვეყანა დაეცემა ეგრისს, ან თუკი იარსება მომავალში კიდევ ეგრისმა, არავინ უწყის ახლა. ამიტომ ისეთ ქვეყანას უნდა შევეკრათ და გავუერთიანდეთ, რომელ ქვეყანასთანაც საერთო მიზნები და საერთო ინტერესები გვაქვს და მომავალშიც გვექნება. ასეთი ქვეყანა არის ქართლი,

რომელსაც ზუსტად ჩვენნაირი მიზნები და ზუსტად იგივე მსგავსი რთული მდგომარეობა აქვს, როგორც ჩვენ..

ბერძენი, სპარსელი და ჩრდილოელი ტერიტორიულად ჩვენგან უფრო შორსაა, ვიდრე ჩვენი კარის მეზობელი, ქართლი, რომელიც მუდამ ჟამს ჩვენს გვერდით გვეყოლება.

ცალ-ცალკე პატარა სამეფოების დამარცხება და დაპყრობა მტრისაგან შედარებით უფრო იოლია და ადვილი, ვიდრე ძლიერი, გაერთიანებული და ერთიანი შეკრული ძალისა. ყველაზე მთავარი კი რაც არის, ისაა, რომ ქართლიც და ეგრისიც ერთი მონათესავე ხალხია და ერთი ერია. ქართლოსიცა და ეგროსიც ერთი საერთო მამის ჩამომავალი ძმანი არიან.

სწორედ ამას მწერს თავის წიგნში ფარნავაზი, რომ ჩვენ, კოლხნი და იბერიელნი, იგივე ეგრისი და ქართლი, ერთი ძმური ერი და ერთი მოდგმის ხალხნი ვართ, ამიტომ უნდა ვეძმოთ ერთმანეთს, შევიკვრნეთ, გავერთიანდეთ და ერთად ვიბრძოლოთ საერთო მტრის წინააღმდეგ. მომავალშიც მტერი ცალ-ცალკე ეგრისსა და ქართლს ადვილად დაამარცხებს, ერთად მდგომ და გაერთიანებულ ეგრის-იბერიას კი მტერი მოერიდება.

– ერისთავო, ფარნავაზს ჩვენ არ ვიცნობთ, ყველაფერი, რაც მის შესახებ ჩვენ ვიცით, ეს ბაქარის მონაყოლის წყალობით გავიგეთ. თუ დავეხმარებით ფარნავაზს აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში და ფარნავაზმა გამარჯვება მოიპოვა, რას მოიმოქმედებს შემდეგ ფარნავაზი, ან რა უდევს მას გუნებაში, ან როგორ შეიძლება შეიცვალოს მისი ბუნება-ხასიათი, ჩვენ არ ვიცით. ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცვლის კაცის ხასიათსა და ბუნებას. ფარნავაზმა, იქნებ, შემდეგ ეგრისზეც

მოინდომოს გალაშქრება და ჩვენს დასაპყრობად სხვა მოკავშირეებს დაუწყოს ძებნა, კვლავ დასწეროს და გაგზავნოს სხვათა სახელზეც, აურაცხელი განძით დამძიმებული წერილები. არავინ არ იცის, სინამდვილეში რას ფიქრობს და რა სურვილი ამოძრავებს ფარნავაზს. სიჩაუქესთან და ვაჟკაცობა-სითამამესთან ერთად, უფალს მისთვის დიდი მოხერხებულობა და სახიობა-თამაშობაც გულუხვად დაუნთხევია, რადგანაც ფარნავაზი რამდენიმე წელია თავის მოსისხლე მტერს, გულბოროტსა და ცბიერ აზონს გვერდით უდგას და ჯერ კიდევ მხრებზე თავი აბია, სიცოცხლე შენარჩუნებული აქვს და უშიშრად მოქმედეებს აზონის თვალწინ მის საწინააღმდეგოდ. ეს პირდაპირ საოცრება და სასწაულია.

– სიმართლეს ამბობ, რატი, კაცის ამოცნობა და მისი ბუნებ-ახასიათის ბოლომდე გაგება ძალზედ რთულია, მით უმეტეს, კაცს თუ ძალაუფლება აქვს ხელთ, რაგანაც ძალაუფლება ადამიანს სცვლის. კიდევ უფრო საშიშია, თუ დიდი ძალაუფლება ისეთ კაცს ჩაუვარდა ხელში, რომელსაც მანამდე არაფერი არ გააჩნდა და არც არაფერს არ წარმოადგენდა ამ ქვეყნად, ან კი დაბალი ზნეობრიობისაა და სათანადოდ არ არის მომზადებულ-გაწურთვნილი, რადგან განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ შეიძლება გაჰრყვნას მოუმზადებელი ადამიანის გული და გონება.

რაც შეეხება ფარნავაზს, ჩვენ მას არ ვიცნობთ, ამიტომ საჭიროა, რომ გავიცნოთ იგი. მოვიწვიოთ, დაე, ჩამოვიდეს! ღირსეულად მივიღოთ და პატივი ვცეთ. რამდენიმე დღესაც ვისტუმრებ, შევისწავლოთ, დავაკვირდეთ და საუბარში გამოვცადოთ. არა მგონია, მე და

შენ აზონივით შევცდეთ, გონება დაგვებინდოს და ვერ ამოვიცნოთ ფარნავაზის ნამდვილი სახე. გავიგოთ, თუ რა უდევს გულში, რას ჰფიქრობს, რას იტყვის და რას მოიმოქმედებს. საუბარში, შესაძლებელია, ფარნავაზს გამოსაცდელად მკაცრი პირობები მოვთხოვო, დავუყენო და რთული გარემოებები შევუქმნა, ვნახოთ ერთი, რა სიმტკიცისა და რა ხარისხის ფოლადითაა გამოწრთობილ-გამობრძმედილი მისი სული.

— ძალიან კარგი ერისთავო, მოვიწვიოთ! დაე, ჩამოვიდეს ფარნავაზი. — ხელების ფშვნეტითა და ნასიამოვნები ოდნავი ირონიული ღიმილით წარმოსთქვა რატიმ.

— რატი, გაამზადე არზა, დასჯექი და მისწერე წერილის პასუხი ფარნავაზს!

რატი სწრაფად მივიდა დარბაზის კუთხეში პატარა მაგიდასთან, რომელზეც არზა-წიგნები იყო დახვავებული, მიუჯდა და ახალი არზა გადმოიღო წერილის დასაწერად.

ქუჯი სკამიდან წამოდგა, ჩაფიქრებულმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და წერილის ტექსტის წარმოთქმა დაიწყო:

„ძმაო ფარნავაზ, დიდად განმახარა წერილმან შენმან, აღსდექ და მოდი ჩემთან. სიმდიდრე-ხვასტაგითა შენითა შეჰქმენ და გაამრავლე სპა-ჯარი და ლაშქარი შენი.

დავუდგეთ ერთმანეთს გვერდი-გვერდ და ისე შევებათ ერთიანი ძალით ქართველთა მტერს, აზონს. განვდევნოთ მტერი ჩვენი კუთვნილი მიწა-წყლიდან და განიხარებდეს დიდი სიხარულითა ყოველი ქართველი, ისევე, როგორც რომ განვიხარე მე“.

***

ბაქარის მცხეთაში დაბრუნებამ ფარნავაზის სახლს ახალი სიცოცხლე შემატა. ქუჯის წერილის მიღების შემდეგ, იმედით აღვსილმა და გახარებულმა ფარნავაზმა გადაწყვიტა, ეგრისს გამგზავრებულიყო და ქუჯი ერისთავს სწვეოდა სტუმრად ხორნაბუჯში. მცხეთაში, სახლის სამეთვალყუროდ, ბაკური და ქაიხოსრო დარჩებოდნენ მსახურებთან ერთად.

ფარნავაზს ეგრისში თან გაჰყვნენ რუსუდანი, გურანდა, ნანი და ბაქარი, მათ იმდენი სიმდიდრე და ოქროვერცხლი წაიღეს თან, რამდენის წაღებაც შეეძლოთ.

XXV

ეგრისის დედაქალაქის ხორნაბუჯის სამეფო ციხესასახლეში, ქუჯი ერისთავმა დიდი პატივითა და ღირსებით მიიღო ფარნავაზი და მისი ოჯახის წევრები.

ფარნავაზი ძმასავით გადაეხვია ქუჯის, შემდეგ თავისი ოჯახის წევრები წარუდგინა და საჩუქრად ძვირფასი მეფური ძღვენი მიართვა ეგრისის ერისთავს.

ქუჯიმ სასახლის დიდ დარბაზში, ფარნავაზისა და მისი ოჯახის წევრების პატივსაცემად, დიდი ნადიმი-წვეულება გამართა. ყველანი კმაყოფილები ჩანდნენ, დარბაზში დიდი ურთიერთპატივისცემა სუფევდა. საგრძნობი იყო, რომ მიუხედავად ქუჯისა და ფარნავაზის შინაგანი, სიღრმისეული დაძაბულობისა, სტუმარმასპინძლებმა დიდად გაიხარეს და კეთილმყოფელად იმხიარულეს.

ნადიმ-წვეულების დასრულების შემდეგ რუსუდანს,

გურანდას და ნანის, რომელთაც თავაზიან მასპინ-ძლობას ქუჯის ერთადერთი უმცროსი და, ნათი უწ-ევდა, დასასვენებლად მათთვის განკუთვნილ ადგილ-სამყოფელისაკენ გააცილეს.

ქუჯიმ და ფარნავაზმა კი, რატისა და ბაქარის თან-ხლებით, სასაუბროდ დიდი დარბაზიდან უფრო მშვიდ გარემოში, მცირე დარბაზში გადაინაცვლეს. საღამ-ოვდებოდა და მსახურთ მცირე დარბაზის შუა მაგი-დაზე შანდალ-სანთლები გაეწყოთ, ტკბილეულიც და ძვირფასი ჭურჭელ-სასმელიც შემოეტანათ. ქუჯი და ფარნავაზი კარგ გუნება-განწყობილებაზე იყვნენ და დარბაზში შეხვლისას, მსუბუქად ხუმრობდნენ და ნა-დირობაზე საუბრობდნენ.

– ბაქარისაგან გადმოცემით ვიცი, რომ უბადლო მონადირე ხარ, ფარნავაზ, — ღიმილით წარმოსთქვა ქუჯიმ.

– არც ბაქარია ნაკლები მონადირე, თუ მეტი არა, – ღიმილითვე უპასუხა ფარნავაზმა.

– თუ ასეა, მაშინ ხვალ შველზე სანადიროდ გი-წვევთ, ეგრისის საუკეთესო სანადირო სანახებში.

– სიამოვნებით, ჩემო ქუჯი, დიდი სიამოვნებით დაგთანხმდები, — კმაყოფილმა უპასუხა ფარნავაზმა.

– დიდებული ოჯახი გყავს, ფარნავაზ, მანდილოს-ნები თუ არიან კმაყოფილები ეგრისში სტუმრობით?

– ოო, ქუჯი, უსაზღვროდ მადლიერი ვარ შენი, ასეთი მეფური დახვედრისა და მიღებისათვის ჩემი და ჩემი ოჯახისა, დიდებული ნადიმისა; და დედისა და ჩე-მის დების კეთილმოწყობისათვის.

– ფარნავაზ, აქეთ მე ვარ თქვენი მადლიერი, იმ უძვირფასესი ძღვენისა და საჩუქრებისა, რაც თქვენმა

ოჯახმა მიბოძა და პატივი მცა. მეც მინდა, ძვირფასი ძღვენი მოგართვა და საჩუქარად მოოქროვილ-მოვერცხლილი, მტკიცე და ძლიერი საბრძოლო აბჯარმუზარადი და მახვილი გადმოგცე.

ქუჯიმ რატის გახედა, რომელსაც უკვე მოჰქონდა ძვირფასი საჩუქარი. ჩამოართვა ქუჯიმ აბჯარ-მუზარადი რატის და ფარნავაზს გადასცა.

ფარნავაზმა ჩამოართვა ძღვენი ქუჯის და თან ღიმილით დააყოლა: — დაგვჭირდება, ჩემო ქუჯი, დაგვჭირდება! დიდი მადლობა, ნამდვილად, დროული საჩუქარია! – შემდეგ ფარნავაზმა მახვილი აშიშვლა, ჭედურობა-ნახელავი შეაქო, ჰაერში ორჯერ დაიქნია, კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ქუჯის და შემდეგ აბჯარ-მუზარადი ბაქარს გადასცა, რომელმაც ძვირფასი ძღვენი დარბაზის კუთხეში მდგარ ტახტზე დააწყო.

ქუჯიმ ფარნავაზს შესთავაზა, რომ მაგიდასთან ტახტ-სავარძელზე დაბრძანებულიყო და თვითონაც მის მოპრიდაპირედ, მაგიდის მეორე მხარეს მდგარ ტახტ-სავარძელზე ჩამოჯა. ბაქარი და რატი კი მათ სიახლოვეს განთავსდნენ.

ქუჯიმ სასმისი მაგიდიდან აიღო და ფარნავაზს მიმართა.

– ფარნავაზ, არასოდეს არც კოლხეთი და ქართლი, არც ეგრისი და იბერია ერთმანეთს გვერდით არ დასდგომიან, არ უბრძოლიათ და საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მხარში არ ამოსდგომიან ერთმანეთს, და აი, დადგა დრო და ჟამი, როდესაც ჩვენ ჩვენი ძალები უნდა გავაერთიანოთ, ერთმანეთის გვერდით დავდგეთ და ერთად ვიბრძოლოთ მტრის წინააღმდეგ. მტერი საერთო უნდა გახდეს ჩვენთვის. შენი მტერი

ჩემი მტერი იქნება, ჩემი მტერი კი შენი მტერი გახდება. რასაც ჩვენ დღეს ჩავუყრით ან ჩავდებთ საძირკველსა და საფუძველს, მტკიცედ უნდა შევადუღაბოთ, რათა ერთმანეთის დახმარება მუდმივად შეგვეძლოს, რომ ძმა ძმას ყოველთვის გვერდით ედგეს და მხარში ამოუდგეს გაჭირვების ჟამს! — დაამთავრა სიტყვა ქუჯიმ, ოდნავ მოსვა სასმისი და ძვირფასი თასი მაგიდაზე დადგა.

ფარნავაზმა ახლოს მიიდგა სასმისი, ქუჯის შეხედა და ხმადაბლა აუჩქარებლად დაიწყო საუბარი:

– ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან შენს ქვეყანას, ქუჯი, და ჩემ ქვეყანას ასურიელნი და ურარტუელნი მტრობდნენ. შემდეგ კი ჩრდილოეთიდან, ზღვის-იქეთა ხალხების ბარბაროსულმა ველურმა ტომებმა მრავ-ალგზის წალეკეს და გააცამტვერეს ძველი კოლხეთის სამეფოცა და ძველი ქართლიც. გავიდა დრო და ჟამი, ორივე ქვეყანა აღსდგა და მოძლიერდა, მაგრამ ახალი დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. გაძლიერებული სპარსეთი დაემუქრა ჩვენს ქვეყანათა სიმშვიდეს, დიდ-მა კიროსმა დაიპყრო ქართლიცა და კოლხეთიც. გავიდა ხანი, კიდევ აღვსდექით და გავმაგრდით. დიდმა დამპყ-რობელმა, ალექსანდრე მაკედონელმა შექმნა ახალი ბერძნულ-ელინური სამყარო და ჩვენ ისევ დაგვეცნენ თავს. მაკედონელმა მთელი კავკასიის დასამორჩილე-ბლად დიდძალი ლაშქარი გამოაგზავნა აზონის მხედარ-თმთავრობით.

ეგრისიცა და ქართლიც ბერძენთა უღლის ქვეშ აღ-მოჩნდა, მაგრამ მუდმივად არაფერი არ არსებობს ამ ქვეყანაზე, ყველაფერი წარმავალია. ძალიან დიდხანს იარსება ასურეთმა, ურარტუმ, ეგვიპტემ და სპარსეთმა, მაგრამ დაეცნენ. მაკედონელის მიერ შექმნილი უსაზ-

ღვროდ დიდი ქვეყანა ნელ-ნელა ინგრევა და მომავალში კიდევ უფრო დაინგრევა. მაკედონელის მოწამვლით სიკვდილის შემდეგ, მისი ცხედარი ჯერ გაცივებულიც კი არ ყოფილა, რომ მისი ერთგული მხედართმთავრები ცოფიანი ძაღლებივით დაესივნენ და დაერივნენ ერთმანეთს, ქვეყნის დასაყოფად და დასაჯიჯგნად. დიდი სისხლისმღვრელი ომები დღემდე გრძელდება და კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ხუთიოდე წელიც არ იქნება გასული, რაც მუხანათურად მოკლეს მაკედონელის 13 წლის შვილი, ალექსნდრე IV და დედამისი, როქსანა, ამდაგვარად მოსპეს თვრამეტი წლის წინ დიდი მაკედონელის მიერ შექმნილი იმპერიაც და დინასტიაც. დღეისათვის კი ყოფილი დიდი სამეფო კიდევ უფრო დაქუცმაცდა და დაიყო.

სწორედ ახლაა ჩვენი დროც! სწორედ ახლა უნდა ვიმოქმედოთ!

– ბრძნული გადაწყვეტილებაა, ფარნავაზ, ახლა ჩვენთვის არავის არა სცალია. აზონს თუ ჩვენ წინ აღვუდგებით, მისი დამხმარე არავინ არ იქნება. ერთდერთი, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ საბერძნეთის მეფე დაეხმარება, რადგან აზონი მას ემორჩილება, თუმცა ესეც მეეჭვება, ყველა თავის ომშია ჩაბმული და აზონს ამჟამად ჯარს არავინ არ გამოუგზავნის.

– ქუჯი, მაშ, გავერთიანდეთ და წინ აღვუდგეთ აზონს ჩვენი ქვეყნების გასანთავისუფლებლად! — წარმოსთქვა ფარნავაზმა და სასმისი ოდნავ მოსვა.

– ფარნავაზ, აზონის განდევნის შემდეგ სამხრეთის საზღვრების ზღუდეები დიდად გასამაგრებელი გვექნება. ჩვენი ქვეყნები ორ ზღვას შუაა მოთავსებული და ძირითადი საფრთხე, თითქმის, ყოველთვის სამხრეთიდანაა მოსალოდნელი.

– მართალი ხარ, ქუჯი, მტერი, თითქმის ყოველთვის, სამხრეთიდან შემოდის. ახლო მეზობელი ქვეყანა უფრო საშიშია, ვიდრე ბევრად შორეული. რაც უფრო ძლიერია ახლო მეზობელი, მით უფრო საშიშია იგი, ყოველთვის მოლოდინში უნდა იყო, თუ როდის დაგეცემა და წაგართმევს სახლ-კარს. ჩრდილოეთით შედარებით მშვიდად ვართ, რადგან მაღალი კავკასიონის მთების მიჯნაზე ჩვენი მონათესავე ხალხები ცხოვრობენ.

წარღვნისეული ნოეს შთამომავლის, თარგამოსის რვა შვილთაგან, ძმანი იყვნენ ქართლოსიც, ეგროსიც, კავკასოსიც და ლეკოსიც. აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი შთამომავალნიც დამეხმარებიან და მომავალშიც არ შეგვიქმნიან საშიშროებას, თუ ძალიან არ გამრავლდნენ და არ გაძლიერდნენ. ამჟამად პირიქეთა კავკასიონის მთების გადაღმა, ისინი დამცველი ზღუდეფარივით არიან ჩრდილოელ ბარბაროსებსა და ჩვენს შორის. დიდი საშიშროება კი სწორედ, ჩრდილოელი ბარბაროსებია, რომლებიც ადრეულ პერიოდში, გავლით არაერთხელ დასცემიან ჩვენს მიწას საძარცვავად, მაგრამ ეს საშიშროება ძალზედ შორეულია, რადგან ველური ბარბაროსი თუ ქვეყანაში და სახლში შემოგივარდა, გაგძარცვავს, ვიღაცას მოგიკლავს, მაგრამ წავა, აუცილებლად ისევ წავა! დადგება დრო, როდესაც ეს ველური ბარბაროსები ძალზედ გამრავლდებიან, სახელმწიფოებრიობას შეიქმნიან, ქვეყანა გახდება და დიდად გაძლიერდება. აი, მაშინ იქნება ძალზედ საშიში ჩრდილოელი დიდი და ძლიერი მეზობელი. მაშინ ის საძარცვავად კი აღარ შემოვა ჩვენთან და შემდეგ ისევ კი არ წავა, არამედ შემოვა იმიტომ, რომ გაგანადგუროს და თვითონ დარჩეს აქ! ქვეყანა და სახლ-კარი წაგარ-

თვას, მიწა წაგგლიჯოს და თავისად მიითვისოს, მაგრამ ეს ძალზედ შორეული მომავალია. მანამდე შესაძლებელია, ელინური სამყაროს დაშლის შემდეგ, სხვა ახალი ძალები შეიქმნას და ის ძალები დაემუქრნონ ჩვენს ქვეყნებს. ამიტომ ისე უნდა გავაძლიეროთ და ისე უნდა შევკრათ ჩვენი ქვეყნების სიმტკიცე, რომ ყველაფერს გაუძლონ, რაც დღეს გველის, ხვალაც, ახლო და ძალიან შორეულ მომავალშიც, რომ ქართველი ერი, როგორც ერი, გადარჩეს! არ გადაგვარდეს და არ განადგურდეს!

– ფარნავაზ, დავუშვათ, რომ აზონთან ბრძოლაში ვერ გავიმარჯვეთ და დავმარცხდით, რა ვქნათ მერე, ჩვენს ქვეყანაში სად უნდა გავიქცეთ, ან იქნებ, სჯობდეს, ბრძოლის ველზე გმირულად დავეცეთ, ანდა დიდი ქონებითა და სიმდიდრით, კავკასიონის იქეთ გადავიდეთ და გადავიხვეწოთ?

– დამარცხების უფლება არა გვაქვს, ქუჯი, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, ქართველთა ყველა კუთხიდან უნდა შევკრიბოთ ხალხი და შევქმნათ დიდი ლაშქარი.

ოვსთა და დურძუკ-ლეკთა ლაშქრებიც, რომლებიც გვერდში დაგვიდგებიან დიდი ძალაა, მთა და კახეთ-ჰერეთიც მზადაა საბრძოლველად. მცხეთაში სარკინეში საბრძოლველად იარაღი და აბჯარი უკვე იჭედება. ბერძენ მებრძოლთა ნაწილი დიდად უკმაყოფილოა აზონით, ჩვენს მხარეზე მათ გადმობირებას მე ჩემს თავზე ავიღებ.

– ფარნავაზ, როგორ ჰფიქრობ, დაახლოვებით რა რაოდენობის ლაშქარს შეკრებ აზონთან საბრძოლველად?

– ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, რვა ათასი ქვეითი

მებრძოლი და სამი ათასი ცხენოსანი მხედარი, კახეთ-ჰერეთში შვიდი ათასი მებრძოლი და ორი ათასი მხ-ედარი. დურძუკეთიდან ათი ათასი მხედარი და ოს-ეთიდანაც ათი ათასი მხედარი ჩამოვა. მთლიანობაში ოცდახუთი ათასი მხედარი და თხუთმეტი ათასი ქვეითი მებრძოლი შეიყრება. შენ რამდენი მოლაშქრის შეკრება შეგიძლია, ქუჯი?

– თხუთმეტი ათასი მოლაშქრის, რვა ათასი მხედრი-თა და შვიდი ათასი ქვეითი ჯარით.

– ჩინებულია, ქუჯი! მთელს კავკასიაში შეკრე-ბილი 55-ათასიანი ლაშქარი დიდი ძალაა. მაკედონელი 45-ათასიანი ლაშქრით შეება სპარსეთის მეფეს. დარი-ოსს, ზოგიერთ ბრძოლაში, მაკედონელთან შედარებით სამჯერ მეტი ჯარი ჰყავდა, ზოგიერთში – ხუთჯერ მეტიც, მაგრამ მაკედონელთან ყოველ ბრძოლაში დარ-იოსი დამარცხებული რჩებოდა. ჩვენ ჩვენი ბრძოლა ძალზედ გონიერად უნდა წარვმართოთ. აზონი ალბათ, დაახლოვებით 30 ათასამდე ჯარს თუ შეჰკრებს. ჩვენ კი უნდა გავიმარჯვოთ, ბრძოლაში დამარცხების უფლება არ გვაქვს და აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ!

– ამასთანავე, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ საბრძოლო სამზადისმა, აზონის ყურამდე არ მიაღ-წიოს.

– დიდი სიფრთხილეც და ლაშქრის შესაკრებად დიდი სისწრაფეც, თორემ თუ აზონმა გაიგო, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება, მაშინვე ჯარით თავს დაგვეცემა.

– შენი არ ვიცი ქუჯი, მაგრამ მე თავი მხრებზე არ შემრჩება თუ აზონმა გაიგო, რომ მე ქართლის ტახ-

ტის მემკვიდრე ვარ — სიცილით წარმოსთქვა ბოლო სიტყვები ფარნავაზმა.

– რა კაცია აზონი, როგორია იგი?

– როგორ გითხრა, ქუჯი, თვითკმაყოფილებით სავსე და შინაგანად მოსაბეზრებლად ცარიელი დესპოტი კაცია აზონი; არავის არ ენდობა და ეჭვის თვალით უყურებს ყველას. კარგი მებრძოლი და მეომარია, მაგრამ უკვე ასაკოვანი.

– ფარნავაზ, ამდენი ხანი მის გვერდით როგორ გასძელი, რომ ვერავინ ვერ გაიგო სინამდვილეში ვინცა ხარ?

– დროის ამბავია ქუჯი, ადრე თუ გვიან მაინც გაიგებდა აზონი, ვინც ვარ. ბევრი ხალხი ჰყავს მოსყიდული და დაშინებული, რომლებიც მის სამსახურში არიან.

– კარგი ჰქენი, რომ დროზე გამოერიდე.

– კი, ნამდვილად დრო იყო განრიდებისა. უფალიც დამეხმარა, ხელი მოემართა ჩემთვის და წინაპართა ჩემთა განძი ჩემს ხელთ მოეცა, ამიტომ ვარ ახლა აქ შენთან...

დარბაზის ფანჯრებში შემომავალმა ხმაურმა ფარნავაზს სიტყვა გააწყვეტინა.

სასახლის გარედან მოისმოდა ცხენთა ჭენების ფლოქვების ხმა, რკინა-აბჯარ, თორმუზარადთა ჟღრიალ-ჟღარუნი და მხედართა შეძახილები.

ქუჯი წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა გადასახედად და ფარნავაზს მიუგო, ჩემი ლაშქარი წვრთნამზადებიდან ბრუნდებაო.

ფარნავაზიც ფეხზე წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა და ხანმოკლე დაკვირვების შემდეგ წარმოთქვა:

– კარგად შეიარაღებული და კარგი გაწვრთნილი ჯარი სჩანს.

– შენი წერილის მიღების შემდეგ, შევკრიბე ჯარი და წვრთნა-მომზადება დავიწყე ბრძოლისათვის, – მიუგო ქუჯიმ ფარნავაზს და კვლავ ანიშნა მაგიდასთან მდგარ ტახტრევანისკენ.

მცირეოდენი სასმისის მოსმის შემდეგ, ქუჯიმ ჯერ რატის გაჰხედა, შემდეგ ისევ ფარნავაზს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– დურძუკთაგან და ოსთაგან ჯარის დაქირავება, ალბათ, ძალიან ძვირი გიჯდება, ჩემს ჯარს თუ მოგცემ, მე სანაზღაუროდ რას მივიღებ ფარნავაზ?

ფარნავაზმა გაკვირვებულმა შეხედა ქუჯის, შემდეგ გაოცებულ ბაქარს ახედა, რომელიც რატისთან ერთად გრძელი მაგიდის უკან იდგა.

ფარნავაზი დაფიქრდა, თავი დახარა, არ მოელოდა ერისთავისაგან ასეთ შეკითხვას, შემდეგ წელში გაიმართა, ქუჯის პირდაპირ თვალი-თვალში გაუყარა და მიუგო მას:

– ქუჯი, მე შენთან სავაჭროდ არ ჩამოვსულვარ. ლაშქრის შესაქმნელად და შესაკრებად კი რამდენსაც საჭიროდ ჩასთვლი, იმდენი ხვასტაგი მოიხმარე, რასაც მეტყვი, იმდენს მოგცემ. რაც შეეხება ოვსთ-დურძუკთა ლაშქარს, ისინი უსასყიდლოდ იბრძოლებენ, ოღონდ კი განთავისუფლდნენ აზონის მძიმე უღლისაგან.

– საწყენად არ მითქვამს, ფარნავაზ, მე ჩემი გეგმები მაქვს. ბრძოლის შემდეგ, აზონი თუ დავამარცხეთ, მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემს ქვეყანას ახალი საფრთხე-საშიშროება არ დაემუქრება და ეგრისს თავს არავინ არ დაესხმება. ამიტომ მე ზურგი ძლიერად და მყარად უნდა მქონდეს გამაგრებული.

– ვის გულისხმობ, ქუჯი, პირდაპირ მითხარი, თუ

გგონია, რომ ქართლი ეგრისს დაეცემა ან მე შენ გიღალატებ, ეს უკვე შეურაცხყოფის მოყენებაა ჩემთვის. – ფეხზე წამოდგა გაფითრებული ფარნავაზი.

– დამშვიდდი, ფარნავაზ, დაბრძანდი. მე ჩემს ქვეყანაზე და ჩემს ხალხზე ვფიქრობ, ჩემი ხალხის მომავლის ბედი მაწუხებს და მადარდებს, ამიტომ სიფრთხილე მმართებს. მე ხომ არ ვიცი, ფარნავაზ, ძალაუფლების ხელში აღებისა და ქართლის ტახტზე ასვლის შემდეგ როგორი გახდები, შეიცვლები თუ იგივე იქნები, როგორსაც ახლა ჩემს წინ გხედავ, ან ხომ შესაძლებელია, შენ მალე რამე დაგემართოს და შენს მაგივრად ქართლის ტახტზე სხვა ვინმე, გამოუცნობ ზრახვათა მქონე კაცი მოვიდეს.

ბიძაშენის, სამარას, წინამორბედი ქართლის მმართველი, რომელიც შენც ბაბუად გეკუთვნოდა, გაგონილი გექნება, თუ როგორ იმორჩილება ურჩ სოფლებსა და მიწებს.

ცეცხლითა და მახვილით გაუბედურებულ-დაწიოკებული ხალხი ტყეებს აფარებდნენ თავს და ისე იბრძოდნენ. მაშინ გაიცა ბრძანება და ჯარმა ტყეს ალყა შემოარტყა, ტყეს კი ცეცხლი მისცეს და ხალხი ცოცხლად დასწვეს გამხმარ ტყეში! ცოცხლად დასწვეს ფარნავაზ! ცოცხლად!

– მეც გაგონილი მაქვს ეგ შემთხვევა. გულახდილი საუბარი გვაქვს, ქუჯი და პირდაპირ გეტყვი; ხალხზე ზრუნვა და კაცთა ბედნიერ მომავალზე ფიქრი ძალიან კარგია, მაგრამ ნუ დაივიწყებ იმასაც, ქუჯი, შენს მოსვლამდე რა ხდებოდა ეგრისში. რამოდენიმე წლების განმავლობაში შიმშილით გაწყდა ეგრისის, თითქმის, ნახევარი მოსახლეობა, რადგან მოსახლეობას ყველაფერს ართმევდნენ გადასახადების სახით, ბოლო

ლუკმა-პურსაც კი და შიმშილისაგან გაწყვეტილ ხალხს სოფლებად ტურა-მგელი ხრავდა, რადგან მიცვალებულთა დამმარხველიც კი აღარ დარჩა. ხალხზე და ერზე ფიქრი და ზრუნვა, სანაქებოა და კარგი, მაგრამ ხალხის ჩათვლით! აუცილებლად ერისა და ხალხის ჩათვლით! – ხმამაღლა წარმოსთქვა ფარნავაზმა და ხმაში სიბრაზე (გაბრაზება) დაეტყო.

ხანმოკლე დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მშვიდი საუბრის გაგრძელებით, ისევ ფარნავაზმა დაარღვია.

– ქუჯი, ყველა ქვეყანამ თავის მიწა-წყალს უნდა მიხედოს, თავის მიწაწყალზე იზრუნოს და თავის მიწაწყალზე მოძლიერდეს, მაშინ ასეთ ქვეყანას დიდი ხნის არსებობა უწერია. ქვეყანა, რომელიც სხვა ქვეყნების დაპყრობას დაიწყებს და დიდ სამეფოდ გადაქცევას დააპირებს, დასაღუპავადაა განწირული, რადგანაც თავის ხალხს, მთელს თავის ძალებს და შესაძლებლობებს დახარჯავს, გადაანაწილებს და დაქსაქსავს, უზარმაზარ სივრცეზე და მანძილზე. ასეთმა დიდმა სამეფომ მცირე ხანს შეიძლება იარსებოს, მაგრამ შემდეგ გადანაწილება-დაქუცმაცება ელის, უეჭველად და ყოვლად შესაძლებელია, შენი საკუთარი ყველაფრისაგან დაცლილი ქვეყანაც კი დაჰკარგო ისევე, როგორც გაქრა ერთ დორს მძლავრი ხეთთა სამეფო. ასე, რომ პატარა ქართლმა თავის თავს უნდა მიხედოს და თუ ოდესმე ქართლმა მოინდომა და მაკედონელის მსგავსად, დიდი იმპერია-სამეფოს შექმნა განიზრახა, სწორედ ეს იქნება ქართლის დასასრულის დასაწყისი.

დაპყრობა არა, მაგრამ მომავალში კი არის შესაძლებელი, რომ ერთიდაიგივე ერი და ხალხი, ერთნი

მოძმენი ერთ სამეფოდ გაერთიანდნენ და გაძლიერებულნი ერთმანეთის მხარდაჭერით, მუდმივად იყვნენ ამ ქვეყნაზედ და არ გადაგვარდნენ.

ქუჯი ისევ ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, შემდეგ ფარნავაზს პირდაპირ შეხედა და ჰკითხა:

– ფარნავაზ, დავუშვათ, რომ ეგრისი და ქართლი, ერთ-სამეფოდ გავაერთიანეთ, არ დაველოდოთ მომავალს და აღმოსავლეთი და დასავლეთი, ქართლი და ეგრისი ერთ სახელმწიფოდ შევკარით, შენ თანახმა იქნები, რომ გაერთიანებული ორი ქვეყანა, აქედან ციხეგოჯიდან მე ვმართო, როგორც არსებული მორჭმული ხელისუფალი, რომელსაც ძალაუფლება უპყრია ხელთ და ციხეგოჯი, ორივე გაერთიანებული ქვეყნის დედაქალაქი გახდეს?

ფარნავაზი ტახტიდან წამოიჭრა, ბაქარისაკენ შეტრიალდა და აღელვებულმა ბაქარს შესძახა:

— ბაქარ, ტყუილად ვკარგავთ დროს, აქ მე მგონი სავაჭოდ უფრო ჩამოვსულვართ, ვიდრე საქვეყნო საქმეზე!

დარბაზში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც დაარღვია შორეულმა ჩანგის სიმთა ჟღერადობამ და ქნარზე აყოლილმა, ტკბილმა ღიღინმა. ქუჯიმ რატის გახედა, რომელმაც არ ცოდნის ნიშნად მხრები აიჩეჩა.

ბაქარმა გაიღიმა და წარმოსთქვა:

– ნანი მღერის, ფარნავაზის უმცროსი დაო.

ოთხივე მამაკაცი ფეხზე მდგომნი ცოტა ხანს უსმენდნენ ნანის ტკბილ, გულისჩამწდომ ღიღინს ქნარზე. გაფიცხებულ მამაკაცებზე, ქალის მანდილის ჩაქროლების მსგავსად, დამამშვიდებლად იმოქმედა ნანის სიმღერამ.

ქუჯი მიუბრუნდა ფარნავაზს და უთხრა:

– ფარნავაზ, მსმენია და ვიცი, როგორ ეხმარები, მცხეთაში გაჭირვებულ ღატაკ ხალხსა და ობლებს და ისიც ვიცი, როგორ გაფასებენ და უყვარხარ შენს ხალხს.

– ქუჯი, მე აურაცხელი სიმდიდრე გამაჩნია და შემიძლია, ნებისმიერ მხარეს წავიდე და უზრუნველად, მეფურად ვიცხოვრო და დავლიო ჩემი წუთისოფელი, მაგრამ ამის მაგივრად მე დიდ საფრთხეში ვიგდებ თავს, რადგანაც მე ჩემი ქვეყნის, ერისა და ხალხის მომავალი უფრო მაღელვებს, ვიდრე საკუთრი თავი. სხვაგვარად მე არც შემიძლია და არც უფლება არ მაქვს, რომ სხვაგვარად მოვიქცე.

უკმაყოფილოა ხალხი, როცა იგი გაჭირვებულია, გაჭირვებული კაცი კი ფიქრს იწყებს, ხალხი როდესაც ფიქრს დაიწყებს, საშიში ხდება. ქვეყნის მმართველს თუ სიმშვიდე უნდა თავის ქვეყანაში, ხალხი უკმაყოფილო არ უნდა ჰყავდეს.

აზონს ამდენი არ ესმის და ამიტომ მისგან უკმაყოფილო ხალხი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, არა აქვს მნიშვნელობა, ქართველი იქნება თუ სხვა ერის და ჯურის კაცი, რომელიც გვერდში ამოგიდგება საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგანაც თავისი გაჭირვებისა და უკმაყოფილების დასასრულს, ის კაცი შენს გამარჯვებაში ხედავს. ხალხი ჩვენგან ელის გადარჩენას და სადაც ჩვენ წავალთ, ხალხიც იქ გამოგყვება, – დაამთავრა სიტყვა ფარნავაზმა და ჩაფიქრებული მძიმედ ჩაეშვა ტახტში.

ქუჯიმ სასმისი თასები შეავსო, ერთი ფარნავაზს გაუწოდა, მეორე თვითონ აიღო, ტახტრევანში მშვიდად დაბრძანდა.

– მართალს ბრძანებ, ფარნავაზ, ხალხი ჩვენ შემოგ-ვცქერის და მოლოდინშია. მე და შენ საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, აუცილებლად უნდა გამოვნახოთ და წინ უნდა წავიდეთ; სადაც კი წავალთ, მუდამ ერთად უნდა ვიყოთ და ერთად ვიაროთ“

– ქუჯი, ჩვენ ჩვენი ქვეყნების დღევანდელ დღეზე ფიქრით, ჩვენი ერის მომავალზე ვფიქრობთ. რასაც ჩვენ დღეს ჩავუყარით ან ჩავდებთ საძირკველსა და საფუძ-ველს, ის მომავალი ექნება ქართველ ხალხსა და ქართ-ველ ერს, თუ, რა თქმა უნდა, გადაურჩა ჩვენი ქვეყანა ისტორიის ქარბორბალასა და დროის ორომტრიალს. ეს არის მთავარი და არა ის, გაერთიანებული ქართლისა და ეგრისის მეფე დღეს შენ გახდები თუ მე, გაერთიან-ებული ქართლ-ეგრისის დედაქალაქი მცხეთა იქნება თუ ციხეგოჯი!.. დღესდღეობით მცხეთას, როგორც დიდ სავაჭრო ცენტრს, ოთხივე მხარის მიმართულების საქარავნო გზებით, ბევრ ქვეყანაში იცნობენ, რადგა-ნაც ძალზე ხელსაყრელ ადგილას არის განთავსებული. მცხეთაში უამრავი სხვადასხვა ჯურისა და ერის ხალხი ცხოვრობს, რომლებიც სხვადასხვა ენებზე და კილო-კავზე მეტყველებენ. ციხეგოჯი თუ გაერთიანებული ეგრის-ქართლის დედაქალაქი გახდება, შესაძლებელია, მცხეთაში ეს ხალხი აღსდგეს ქალაქის ძალაუფლებ-ის ხელში ჩასაგდებად და ბრძოლები, შეიძლება დიდი ხანი გაგრძელდეს ქართველებს, ბერძნებს, სპარსე-ლებს, ებრაელთა, სომეხთა და კიდევ სხვათა შორის, მით უმეტეს, მცხეთა ციხე-გალავნებით დიდად არის გამაგრებული და შეუძლია, ცალკე დამოუკიდებელ ქალაქადაც იარსებოს. მცხეთა ქართლის შუაგულია და იქიდან ქვეყნის მართვა ყველა მიმართულებით უფრო

ხელმისაწვდომი და მოსახერხებელია. დღესდღეობით მცხეთა ძალზედ მნიშვნელოვანი ქალაქია და მისი დედაქალაქობა უფრო ხელსაყრელი და უპრიანია, მომავალში კი თვით ერმა და მომავალ თაობათა მმართველებმა გადაწყვიტონ, თუ სად იქნება, სად გადაიტანონ, ან სად დაარსონ გაერთიანებული ქართლ-ეგრისის ახალი დედაქალაქი.

ქუჯი ჩაფიქრებული უსმენდა ფარნავაზს, შემდეგ წამოდგა, კვლავ გაიარ-გამოიარა დარბაზში და შემდეგ ჰკითხა:

– დავუშვათ და გავაერთიანეთ ქართლი და ეგრისი, შენ როგორ მოაწყობდი და გამართავდი ქვეყანას?

– ამის შესახებ ძალიან ბევრი მიფიქრია, ქუჯი. ქვეყანა საერისთავოებად დაიყოფა, ყოველ საერისთავოს სათავეში ერისთავი ჩაუდგება, რომელსაც ათასისთავები დაემორჩილებიან, ათასისთავები კი მშვიდობიან დროს თუ საომარ მდგომარეობისას, საერისთავოთა მიწა-წყლისა და იქ მაცხოვრებელი ხალხის მოყურადღებმიმხედავნი და პასუხისმგებელნი იქნებიან.

ყველა ერისთავი ერთ დიდ მთავარ ერისთავთა ერისთავს დაემორჩილება, რომელიც, ამავე დროს, ყველაზე მთავარი სამხედრო მხედართმთავარი, გაერთინაებული ქვეყნის მთავარი სპასპეტი და მეფის შემდეგ, ქვეყანაში მეორე კაცი იქნება.

– ღმერთებს რას უპირებ, ფარნავაზ? ამდენი ერისა და სხვადასხვა რწმენის ხალხს როგორ დაიმორჩილებ? აზონის მიერ შემოტანილ ჯერ ძველბერძნულ ღმერთებსა და შემდეგ კი, ახლად დაარსებულ გაცისა და გაიმის ღმერთებს რას უპირებ? – იკითხა ქუჯიმ და ფარნავაზის მოპირდაპირედ ისევ მაგიდასთან ჩამოჯდა.

– არა მარტო ეს ღმერთები, რაც შენ ჩამოთვალე, ქუჯი, არამედ კიდევ ბევრი სხვა ქართული ღმერთები, რომლებიც ოდითგანვე არსებობდნენ და კიდევ დამატებული ებრაელთა და სპარსელთა ღმერთებიც. ყველა ერის თავის ღმერთზე ლოცულობს და ამას მე არც ავკრძალავ და არც მოვუშლი ხელს, რადგანაც მცხეთაში სავაჭროდ ყოველდღიურად ათასი ჯურის ხალხი შემოდის და მათ სიმდიდრე და სიუხვე შემოაქვთ ქვეყანაში, ლოცვით კი ეთაყვანონ, რომელ ღმერთსაც მოესურვებათ.

რაც შეეხება ქართველებს და ქართველთა ღმერთს, განზრახული მაქვს, აზონის მიერ აღშენებულ აკროპოლისში დავდგა ახალი ღმერთი, ძლიერი და მრისხანე, ძვირფას აბჯარასხმული და მძლავრი მახვილით ხელაღმართული მებრძოლის გამოსახვითი მთავარი ღმერთი, რომელიც ჩვენი ერისა და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო იქნება. სახელად ეწოდება არმაზი და იქნება ჩვენი მთავარი ღმერთი, რომელიც დაგვიცავს მტერთა შემოსევებისა და განადგურებისაგან, და ყოველთა კაცთათვის არმაზი ვაჟკაცობა-სიმხნევისა და იმედის მიმცემი უნდა იყოს სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდაუზოგავ ბრძოლასა და თავდადებაში! – ბოლო სიტყვები ფარნავაზმა აღელვებულმა და ფეხზე წარმომდგარმა წარმოსთქვა.

ჩაფიქრებულმა ქუჯიმ ახედა ფარნავაზს, შემდეგ რატის გახედა, ისევ ჩაფიქრებულმა თავი დაუშვა და ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ შეეკითხა ფარნავაზს, რომელიც ფანჯარას მიახლოვებულიყო და დაღამებული კოლხეთის ცას გასცქეროდა.

– ფარნავაზ, ძველი კოლხური დამწერლობა აღარ

არსებობს. ეგრისსა და ქართლში ბერძნული და ძველარამეული დამწერლობა იხმარება, სალაპარაკოდ კი ქართული ენა და რამოდენიმე შიდასახმარი განსხვავებული ენა-კილოკავები გვაქვს. მე და შენ ერთმანეთს ქართულად ველაპარაკებით, წერილი კი ერთმანეთს უცხო დამწერლობით უნდა მივსწეროთ. ამის შესახებ თუ გიფიქრია?

— რა თქმა უნდა, ქუჯი! ბერძნებს როცა განვსდევნით და გავანთავისუფლებთ ჩვენს ქვეყანას, შემოვიღებთ და დავაწესებთ ქართულ დამწერლობას.

– ქართულ დამწერლობას? – გაიკვირვა რატიმ.

– დიახ, ქართულ დამწერლობას!.. ახალ ქართულ დამწერლობას! – წარმოსთქვა მოღიმარმა ფარნავაზმა, ბაქარს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და ქუჯის მიმართა:

– ჩემი და ბაქარის ოჯახები, ჩვენი დედებისა და დების დახმარებითა და ძალისხმევით, დიდი ხანია, ვმუშაობდით და ვფიქრობდით ქართული დამწერლობის შექმნაზე. ყველა მხარე მოვიარეთ, უამრავი მასალა შევკრიბეთ და შევაგროვეთ, რისი გამოყენებაც დამწერლობის შესაქმნელად შეიძლებოდა. ამდაგვარად შევქმენით ჩვენი ახალი ქართული დამწერლობა. აზონის განდევნის შემდეგ, ბერძნული ასოთი წერა აღარ იქნება, ქვეყანაში შემოვიღებ ქართულ მთავარ ასოთ მწერლობას.

ფარნავაზი ისევ მაგიდას მიუახლოვდა, სასმისი ხელთ აიღო და ტახტზე ჩამოჯდა. ქუჯიმაც სასმისი ახლოს მიიდგა და ფარნავაზს მიმართა:

– ფარნავაზ, შენი წერილის მიღების შემდეგ, მე და რატი დიდხანს ვბჭობდით, რა გადაწყვეტილება უნდა

მიგვეღო და რა გზა აგვერჩია ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. შენს შესახებ მხოლოდ ბაქარის მონაყოლით შევიტყვეთ, თუ ვინა ხარ და რა მიზან-ჩანაფიქრი გაგაჩნია. გადავწყვიტე პირადად მენახე, გამეცნე, მომესმინა შენი ნააზრევი. ნუ მიწყენ და შეგნებულად, განზრახ ისეთი პირობები დაგიყენე და ისეთი შეკითხვები დაგისვი, რომლებიც უხერხულობაში და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგაყენებდა, რადგანაც შენი გამოცდა შეცნობა მინდოდა, მაინტერესებდა შენი აზრი და სიტყვა-საქციელ-ქმედებანი.

ჩემთვის ახლა ყველაფერი ნათელია, გასაგები და დარწმუნებული ვარ, რომ მე ვხედავ ჩემს წინ კაცს, რომელსაც თავის პირად კეთილდღეობაზე ბევრად უფრო მაღლა ქვეყნისა და ერის ინტერესები დაუყენებია.– ქუჯი ტახტიდან წამოდგა და ფეხზე დამდგარმა გააგრძელა სიტყვა – მე, ეგრისის მმართველი ერისთავი, რომელსაც ხელთა მაქვს ძალაუფლება და ძლევამოსილება, პატივისცემით ქედს ვიხრი იმ კაცის წინაშე, რომელიც დღეს, ამჟამად არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ ხვალ დანამდვილებით მორჭმულ მეფედ, ქვეყნის მმართველად და უფლად მოგვევლინება, რომლის შორსმჭვრეტელობა თავისი ქვეყნის და ერის მომავალზე მრავალსაუკუნოვანი, ასეულ წლებითა და ათასწლეულებით განსჯითა

და აზროვნებით განისაზღვრება, ამიტომ მე მზად ვარ, გემსახურო ფარნავაზ და ჩვენი უფალ-მეფობა შენთვის დამითმია!

ფარნავაზი ფეხზე წამოდგა, ბაქარი იღიმოდა, რატი კი თანხმობის ნიშნად თავს უკრავდა. ფარნავაზი მიუახლოვდა ქუჯის და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, სას-

მისები აიღეს ხელში:

– ჩვენი ერთად დგომისა და გამარჯვებისა, ფარნავაზ!

– ნამდვილად, ქუჯი, ჩვენი გამარჯვებისა და გაერთიანებისა, გამთლიანებისა და ერთ მუშტად შეკვრისა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად!

სასმისთა შესმის შემდეგ თასები მაგიდაზე დადგეს და ფარნავაზმა სიტყვა გააგრძელა:

– ქუჯი, შენი დახმარება ჩემს მიმართ, მეფედ ტახტზე ასვლა – ეს მხოლოდ სამსახურია, რასაც შენ გასწევ ჩემთვის. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგანაც შენ ბევრად უფრო მეტს წარმოადგენ ჩემთვის, ვიდრე მხოლოდ სამსახურის გამწევი სამეფო ტახტზე ასვლაში დასახმარებლად. ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც დიდი წინაპარნი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მეფენი სხვადასხვა ქვეყნისანი იქცეოდნენ, განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთკავშირები სამუდამოდ და სამარადჟამოდ! დავმოყვრდეთ და სისხლით დავნათესავდეთ. ცოლად მოგცემ დას ჩემსას, ნანის, ნადიმისას შეგატყვეთ ფარულად უმზერდით ერთმანეთს, შემდეგ ხუმრობით ნანის ჩავეკითხე, ქუჯი თუ მოგწონს-მეთქი, ნანი აწითლდა და თავის დაკვრით უხმოდ დამეთანხმა.

მოულოდნელობისაგან ოდნავ შეცბუნებული ქუჯი წელში გაიმართა და თვალებგაბრწყინებულმა ფარნავაზს მიმართა:

– დავმოყვრდეთ ფარნავაზ, დიდი სიამოვნებით დაგთანხმდები ვიქორწინო შენს დაზე და გავიხადო ნანი ეგრისის ტახტის თანამოზიარედ.

ფარნავაზი და ქუჯი ნასიამოვნებნი და კმაყოფილები სიცილით კვლავ გადაეხვივნენ ერთმანეთს. ფარნავაზმა მიმართა მოღიმარ ქუჯის:

– ომისა და გამარჯვების შემდეგ დიდი ქორწილი-წვეულება გადავიხადოთ დურძუკთა და ოვსთა მეფეთა თანდასწრებით. აი, მაშინ კი ეჭვიც აღარავის შეეპარება არც შენს მიმართ ჩემს ერთგულებაში და არც იმაში, რომ ქართლი ეგრისის დასაპყრობად არასოდეს არ აღსდგება. მე, ფარნავაზი ხმალს ხომ არ ავღმართავ ჩემი საყვარელი დის, ნანის წინააღმდეგ?!

ქუჯიმ გულიანად გაიცინა:

– საკვირველია, ფარნავაზ, პირველად შევხვდით ერთმანეთს და ასე მგონია, თითქოს, დიდი ხანია ვიცნობდით ერთმანეთს.

– ასეა ეს, ქუჯი, ნოეს მეცხრე შთამომავალ ძმათა-ქართლოსისა და ეგროსის ათასწლოვან-დანატოვარი მემკვიდრეობა ვართ შენცა და მეც.

– ფარნავაზ, შენც ხედავ, ეგრისის ტახტი რომ ძლიერად მიპყრია, შინა მტერიც არა მყავს და მომრევიც ჩემი, არავინ არ მეგულება. მაგრამ ეს ამჟამადაა ასე და მომავალში რა იქნება, არავინ იცის. მე ჩემი კეთილდღეობა იმდენად არ მაწუხებს, რამდენადაც ჩემი ქვეყნის მომავალი, თუ რა ბედისწერა ელის წინ და რა მომავალი ექნება ასწლეულების თუ ათასწლეულების შემდეგ. მეც იგივე სატკივარი მაწუხებს, რაც შენ – როგორც ერი, გადავრჩებით თუ გავქრებით და აღვიგვებით მიწისაგან პირისა. არადა, საწყენი და გულდასაწყვეტი იქნება! ისეთი ერი, როგორიც ჩვენია, რომელსაც შრომისუნარიანობა, შრომისმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული, ნიჭირება, სილამაზე, სიმამაცე, გულისხმიერება, შეუპოვრობა, გულადობა, კარგზნიანობა და ერთგულება გააჩნია, ამ თვისებათა კიდევ უფრო გაღრმავებისა და განვითარების სანაცვლოდ, რომ გაუჩინარდეს და

გაჰქრეს ჩვენი ერი ისტორიულ დროებათა ნაგავსაყრელ სივრცეში, ან კიდევ სხვათა ხალხთა დამპყრობლებმან დროთა განმავლობაში გახრწნას და გაჰრყვნას, ამის დაჯერებაც მიჭირს. ვერასოდეს წარმოვიდგენ, ოდესმე ჩვენი ერი ისე დაეცეს, რომ დაჰკარგონ კეთილშობილება, მაღალი კარგზნეობა და ბარბაროსებივით გახდნენ – ქურდნი და მომპარავნი, კაცის მკვლელნი და მრუშნი-მეძავნი. მე ვარასოდეს ვერ წარმოვიდგენ, რომ შრომისა და მიწის მოყვარე ქართველი კაცი, ადამიანი, ადამის მოდგმა, ისე დაეცეს ველური ბარბაროსის დონეზე, რომ იკადროს და რაღაც მოიპაროს, წაგლიჯოს, გაძარცვოს, ადამიანი მოჰკლას და შეიწიროს...

ასეთი ღვთაებრივი ბუნების მიერ ბოძებული კეთილი თვისებების მქონე ადამიანმა, კაცი თუ გქვია, შენ თავს როგორ უნდა აკადრო, რომ იქურდო და რაღაც მოიპარო, ეს ხომ იგივეა, რომ შენს თავს შენვე სულში ღრმად ჩააფურთხო...

აი, ეს მაღელვებს, რომ ჩვენი თვითმყოფადი ერი არ გადაგვარდეს, არ გაჰქრეს, კეთილი თვისებანი და პატივისცემა არ დაჰკარგონ და ველური ბარბაროსების მავნე ჩვეულებანი არ აითვისონ, არ გაისისხლხორცონ და ადამიანური ღირსება არ დაჰკარგონ. ამიტომ დღესვე ჩავუყაროთ საძირკველი ჩვენი ერის გაძლიერებას, რომ ვერავინ ვერ გადაგვაგვაროს და გაგვანადგუროს.

გავერთიანდეთ ერთ სამეფოდ და ერთ სახელმწიფოდ სამარადჟამოდ.

მე, ქუჯი, ნებაყოფლობით უარს ვამბობ ეგრისის სამეფოს ცალკე ქვეყნად არსებობაზე და ეგრისის სამეფო ტახტს ჩემი ნებით ვაბარებ და ვუერთებ ქართველთა გაერთიანებულ სამეფოს. ჩემი ეს საქციელი სხვა

ერისთავებისათვის მაგალითი იქნება იმისა, რომ მომავალ გაერთიანებულ ქართველთა სამეფოში არასოდეს, არც აწმყოში და არც მომავალში, ქედმაღალობით და სიყოყოჩით გაგულისებულმა ვინმე გონებადაბინდულმა ერისთავმა, არ მოინდომოს ქართველთა გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფა და ცალკე სამეფოდ შექმნა-ჩამოყალიბება!.. რაც შეეხება, თუ ვინ იქნება გაერთიანებული ქართველთ სამეფოს მეფე და სამეფო ტახტის მემკვიდრე-გამგრძელებელი, ეს ძალიან ადვილი გადასაწყვეტია.

ნოეს შთამომავალნი, ქართლოსი და ეგროსი ძმანი იყვნენ. ქართლოსი უფროს ძმად ერგებოდა ეგროსს, ამიტომ პირველობა ქართლოსის შთამომავალს ეკუთვნის. ქართლოსიანთა ჩამომავალი მეფის სამეფო საქართველოდ იწოდება და მისი პირველი მეფე შენ იქნები, ფარნავაზ! ასე გაერთიანდება ყველა ქართველურ-ეგრისული მიწები და პირველად შეიქმნება ახალი სახელმწიფო-საქართველო, ქართული ენა-დამწერლობითა და კანონმდებლობით, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ქართველი მეფე, ფარნავაზ I.

გაოცებული, სიტყვა-გამშრალი და მოულოდნელობისაგან განცვიფრებული ფარნავაზი კვლავ გადაეხვია მოღიმარ ქუჯის. ფარნავაზი გააოცა ქუჯის დიდბუნებოვნებამ, რომელმაც საქვეყნო საქმე პირადულზე უფრო მაღლა დააყენა. ქუჯიმ რატი და ბაქარი მაგიდასთან მდგარ სასმისებთან მიიწვია, შემდეგ ქუჯიმ თასი ზე აღმართა და შესძახა:

— გაერთინებულ საქართველოს და მის პირველ მეფეს, ფარნავაზ I-ს დღეგრძელობა!

ფარნავაზმაც ზე აღმართა თასი და შესძახა:

– გაერთიანებულ საქართველოს და მის მთავარ სპასპეტ-ერისთავს, ქუჯის დღეგრძელობა!

მაგიდასთან მდგომმა რატიმ და ბაქარმაც ზეაღმართეს სასმისები და გახარებულებმა შესძახეს:

– გაერთიანებულ საქართველოს, ფარნავაზსა და ქუჯის, დღეგრძელობა.

ფარნავაზმა შეხედა ქუჯის და მიუგო მას:

– ჩემო ქუჯი, ისტორიული დრო განგვსჯის შენც, მეც და ამდროინდელ დრო-ჟამსაც... და ქართველი ერი იქნება ჩვენი მსაჯული!

– ნამდვილად ასეა, ჩემო ფარნავაზ, დრო და ხალხია ჩვენი მსაჯული... ახლა კი დასვენება გმართებს, მთელი დღის ნამგზავრი ხარ და გვიანია, ხომ არ დაგავიწყდა ხვალ რა გველის?

– რა დამავიწყებს, ნადირობა ქუჯი, ნადირობა! – სიცილით წარმოსთქვა ფარნავაზმა.

– ნამდვილად, ფარნავაზ, შველზე ნადირობა!. – სიცილითვე უპასუხა ქუჯიმ და ფარნავაზთან ერთად დარბაზიდან გავიდა.

* * *

დასაძინებლად დიდხანს ვერ მოხუჭა თვალი ფარნავაზმა. იგი აღტაცებული იყო ქუჯის სიბრძნითა და დიდსულოვნებით, რომელიც ასწლეულებითა და ათასწლეულებით აზროვნებდა და გარდასული ჟამით მომავალს სჭვრეტდა. აღფრთოვანებული იყო ქუჯის მაღალი კეთილშობილური ქმედებითა და საქციელით. უძალო კაცს თუ ძლევამოსილებას, ხელისუფლებასა და პირველობას დაათმობინებ, ეს იძულებითი ქმედება იქნება, მაგრამ ძალმოსილი კაცი რომ თვითონ, თავისი ნებით

დასთმობს ძლევამოსილებას, ხელისუფლებასა და პირველობას, ეს მაღალ-ზნეობრივი, კეთილშობილური შროსმჭვრეტელური საქციელია და იმდენად დიდსულოვანი ნაბიჯია, რომლის ქმედების უბრალოდ გააზრებაც კი ბევრს არც შეუძლია და ვერც აღიქვამს.

ხელმწიფობაზე უარის თქმა, მხოლოდ დიდ სახელმწიფო კაცს ძალუძს და შეუძლია.

XXVI

გათენებისთანავე ქუჯის ციხე-სასახლეში დიდ სანადირო სამზადის შესდგომოდნენ მსახურნი. მშვენიერი მზიანი დილა იდგა. ქუჯი და ფარნავაზი არ ჩქარობდნენ სასახლიდან გასვლას. ისინი თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად სასაუზმოდ სასახლის ფართე აივანზე განთავსებულიყვნენ და დილის საუზმობასთან ერთად მხიარულად ერთობოდნენ.

ფარნავაზისა და ქუჯის დედებმა საერთო ენა მალევე გამონახეს, ისევე, როგორც ფარნავაზის დებმა და ქუჯის დამ, ნათიმ. მათ გუშინდელი დღის წვეულებისას გაიცნეს ერთმანეთი და ერთმანეთისადმი დიდი თავაზიანობითა და ტაქტიანი მოქცევით ორმხრივი ურთიერთპატივისცემა დაიმსახურეს, მით უფრო, მას შემდეგ, რაც დილიდანვე შეიტყვეს დიდად სასიხარულო ამბავი, ქუჯისია და ნანის მომავალი შეუღლების შესახებ.

ქალები მხიარულობდნენ, ამიტომ ქუჯი და ფარნავაზი გუშინდელი დაძაბული საუბრის შემდეგ არ ჩქარობდნენ სანადიროდ წასვლას. ისინი აივანზე მდგარ მაგიდის გარშემო განთავსებულ მუხის მოჩუქურთმებულ სვანურ საკვარცხულ-სამახვშოში მოხერხებულად

მოთავსებულიყვნენ, მოღიმარნი უმზერდნენ ქალებს და თავს იქცევდნენ.

სასახლის აივან-ბანზე ბაქარი გამოჩნდა, რომელიც სანადირო მზადყოფნის დასახედად იმყოფებოდა სასახლის შიდა ეზოში. მხიარული და მომცინარი ახლადგაღვიძებული გოგონების სიცილ-კისკისმა ბაქარი უცებ დაატყვევა და გაახევა კარში შემოსვლისთანავე სახეზე შემორჩენილი ღიმილით.

ფარნავაზმა მყისვე შენიშნა ბაქარის თვალებში რაღაც ახალი, ჯერ კიდევ ბაქარისთვის უჩვეულო სითბო, რაც ადრე არასოდეს შეუმჩნევია, ყრმა ბავშვობიდან ფარნავაზთან ერთად ძმასავით თანშეზრდილი, დავაჟკაცებული კლდის მსგავსი და ძლიერი ბაქარისათვის. ბაქარის უჩვეულო და თბილისი მზერა მიმართული იყო ქუჯის დის, მშვენიერი, ნორჩი და კეკლუცი ნათისაკენ.

ფარნავაზი მოღიმარი და ჩაფიქრებული გახედავდა ხან ბაქარს და ხან კი ნათის, შემდეგ ბაქარს მიუბრუნდა:

– ბაქარ ერისთავო, ნადირობას მოვასწრებთ, არაა საჩქარო, მოდი, ჩვენთან ერთად გამხიარულდი, გვერდით დაგვიჯექი, – და ფარნავაზმა გვერდით მდგარ სამახვშოსაკენ მიუთითა ბაქარს.

აივანზე გოგონების სიცილი ატყდა, რუსუდანმა მრავლისმეტყველი მზერა მიაპყრო შვილს, ქუჯიმ ბაქარს გაოცებულმა გახედა, ბაქარს კი სითბოთი აღვსილი თვალთა მზერა უცებ გაეყინა. უძლიერესი გონებრივი დატვირთვითა და აჩქარებული სისწრაფით მუშაობდა ბაქარის დაძაბული აზრი და გონება:

„რას ნიშნავს ეს? რას ნიშნავს ფარნავაზის სიტყვები? ნუთუ დამცინის და მასხრად მიგდებს, რომ ჩემი დაცინვით გაართოს ეს ხალხი? არა! ფარნავაზი ამას

არც მე მაკადრებს და არც თავის თავს. მან იცის, რომ ჩემზე ერთგული კაცი მას არა ჰყავს, ისევე როგორც მე მასზე ერთგული კაცი ჩემს მიმართ სხვა არავინ არ მეგულება. მაშინ რას ნიშნავს მისი ეს სიტყვები? იქნებ, ქუჯისთან ურთიერთობამ შესცვალა იგი? არა, შეუძლებელია, ჩვენ ხომ ძმადშეზრდილები ვართ“, – გამალებული ფიქრობდა ბაქარი და მისი გახევებული მზერა მიპყრობილი იყო სამეფო ტახტის მსგავსად თლილი და ძვირფასად მოჩუქურთმებული საკვარცხულისაკენ, რომელშიც ფარნავაზი დაბრძანებას სთავაზობდა.

გაყინულ თვალთა მზერასა და გახევებულ მდგომარეობაში მყოფი ძმადნაფიცის დანახვაზე ფარნავაზმა იგრძნო, რა მდგომარეობაში იყო და როგორ განიცდიდა ამ გაუგებრობას ბაქარი. ფარნავაზმა გაიღიმა და ქუჯის მიმართა:

– ქუჯი, სამშვილდეს საერთისთავოს ბაქარს ჩავაბარებ; მცხეთისა და ქვემო ქართლის სამხრეთი ზღუდეები მის ხელში მტკიცედ და საიმედოდ იქნება.

ფარნავაზი შემდეგ ისევ ბაქარს მიუბრუნდა, რომელსაც გაკვირვება ჯერ სახიდან არ წაშლოდა და მიმართა მას:

– ბაქარ ერისთავო, დროა, სწრაფად მიეჩვიო ერისთავობას, თორემ შენ რომ გიყურებ, ვგრძნობ, მეც როგორ გამიჭირდება მეფის სახელისა და მეფობის მიჩვევა.

ხუმრობის ტონით წარმოთქმულმა ფარნავაზის სიტყვებმა აივანზე მყოფთა მხიარული კეთილი სიცილი გამოიწვია. ბაქარსაც დაძაბულობა მოეშვა და გაიღიმა. ფარნავაზი წამოდგა, ბაქართან მივიდა, მაგიდასთან მიიყვანა და ნათის მოპირადპირედ დასვა, თან მოღიმარმა ქუჯის შეხედა.

ქუჯიმ ყურადღებით ახედა ფარნავაზს, მიუხვდა ჩანაფიქრს, ჩაიღიმა და მრავალმნიშვნელოვნად დაუკრა თავი, თან დედამისსა და თავის განებივრებულ, გახალისებულ დას, ნათის გახედა.

ფარნავაზიც ჩამოჯდა საკვარცხულში და ქუჯის მიუგო:

– ქუჯი, ბაქარი ყოველთვის ჩემს გვერდით უნდა მყავდეს, სამშვილდესაც ამიტომ ვაბარებ მას, რომ მცხეთიდან ახლოს მდებარეობს და ნებისმიერ დროს, როცა კი საჭირო იქნება, ჩემს გვერდით იქნება. აზონის წინააღმდეგ ბრძოლებშიც ბაქარს თავისი ჯარით ჩემი დაცვა დაევალება, ისევე, როგორც კლიტეოსი იცავდა და მფარველობდა მაკეოდნელს ყველა ბრძოლაში და არაერთხელ გადაურჩენია იგი სიკვდილს.

– მეც მსმენია კლიტეოსის შესახებ. ერთ-ერთი წვეულებისას უზომოდ დამთვრალ კლიტეოსს დიდი შეურაცხყოფა მიუყენებია მაკედონელისათვის სტუმართა თანდასწრებით. ალექსანდრე ცდილობდა, დაეცხრო ერთგული მეგობარი, მაგრამ ამაოდ. მაკედონელი იძულებული გახმხდარა, სახალხოდ მოესწრაფა სიცოცხლე კლიტეოსისათვის, თუმცა შემდეგ დიდად განიცდიდა მის დაკარგვას, – თქვა ქუჯიმ.

– კი, ეს ამბავი ნამდვილად ასე მოხდა, ეს უკვე წარსული ამბავია და ისტორიაა; შენ რაც შეგეხება, ქუჯი, ვინა გყავს საიმედო კაცი, ვინც ბრძოლაში შენს სიცოცხლეს დაიცავს და გაუფრთხილდება?

– ქვემო და ზემო სვანეთიდან მამაცი სვანური მხედრობა, რისმაგისა და შერგილის მხედართმთავრობით, ჩემს ლაშქარს შეუერთდებიან. რისმაგს თავისი მხედრობით ჩემი დაცვა დაევალება, შერგილი კი თავისი ჯარით

დიდ ლაშქარს შეუერთდება. დიდ მთავარ ლაშქარს სამი მთავარი მხედართმთავარი ეყოლება – რატი, ლაშა და უჩა, რომლებსაც შერგილთან ერთად, თავიანთი ჯარისა და მებრძოლ-მხედრების პასუხისმგებლობა და ზედამხედველობა დაეკისრებათ.

– ძალიან კარგი, ქუჯი, ქართველ ხალხს დიდი ხანია, არ უომია და არ უბრძოლია. რაც აზონმა დაგვიპყრო, მას შემდეგ ოცდასამი წელია გასული და ახალი თაობები გაიზარდნენ ისე, რომ მათ ხელში ხმალიც კი არა სჭერიათ. აზონს ქართლში დღემდე აკრძალული აქვს ქართველთათვის იარაღის ტარება, ამიტომ ქართველთა ჯარს ჩვენ უნდა მივცეთ მაგალითი გასამხნევებლად.

ბაქარის მამა და ჩემი მამობილი, ბაკური, რომელიც ჩვენი მასწავლებელია სამხედრო საქმეში, ამჟამად ქართლში საომრად სწვრთნის, ამზადებს და ავარჯიშებს მებრძოლებს. მთაში კი, ბაქარმა უკეთესად იცის, თუ როგორ მიდის საბრძოლო სამზადისი, — სთქვა ფარნავაზმა და მიუბრუნდა ბაქარს.

ბაქარმა თავი დაიქნია რამოდენიმეჯერ და შემდეგ დაფიქრებით წარმოსთქვა:

— ცხენოსანთა მხედრობას პირადად ბიძაჩემი, კახაბერი ამზადებს, დანარჩენ მებრძოლებს კი კახაბერის ხუთნი შვილნი ავარჯიშებენ და სწრთვნიან. მთელს მთიელთა მხედრობას ხევისთავი კახაბერი ჩაუდგება სათავეში. მე კი ფარნავაზის დასაცავად ჩემს ბიძაშვილთაგან ორი უფროსი ძმების, შავლეგისა და ზეზვას რჩეულ მხედრობას ჩავუდგები სათავეში. შუა ქართლის ლაშქარი ფარნავაზს დაუდგება, ქვემო ქართლის ლაშქარს კი მამაჩემი ბაკური წარუძღვება. კახეთის

მთავარს, ელიზბარს, ჯარი დიდი ხანია კარგ მზადყოფ-ნაში ჰყავს. ჰერეთში ყაფლანიც უკვე შეიარაღებულია.

მცხეთაშიც და მთაშიც დიდი რაოდენობით იჭედება და მზადდება საბრძოლო იარაღი, აბჯარ-მუზარადი და ჯაჭვის საბრძოლო პერანგები. მათ სიმტკიცესა და ხარისხს საბა მჭედელი მეთვალყურეობს, დაუზოგავად დიდი სახსარია გაცემული აბჯარ-იარაღის შესაძენად, დასამზადებლად და მამაჩემი, ბაკური ყოველნაირად ცდილობს, რომ ეს დიდი სამზადისი ბერძნებმა და აზონ-მა არ შეიმცნონ.

ფარნავაზმა თასი აიღო მაგიდიდან და წარმოსთქვა:

– ერისთავო ქუჯი, ერისთავო ბაქარ! ჩვენს ლაშქარს ჩვენვე უნდა წარვუძღვეთ წინ მახვილით ხელ-ში. ჩვენ როგორც ვიბრძოლებთ და ვიომებთ ბერძენთა გამოცდილი ჯარის წინააღმდეგ, ჩვენ როგორ ვაჟაკცო-ბასა და სიმამაცეს დავანახვებთ ჩვენს ხალხს, სწორედ იმდაგვარი შემართებით, სიმამაცითა და სიმხნევით გამოგვყვება თან ჩვენი ხალხი.

– ჩვენი გამარჯვებისა იყოს! – დაუდასტურა ბა-ქარმა..

XXVII

საუზმის დასრულების შემდეგ მონადირენი ქუჯის სასახლიდან გამოვიდნენ და სანადიროდ ციხე-გოჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ინჩხურის ხეობი-საკენ გაეშურნენ, სადაც შველზე სანადიროდ საუკე-თესო ადგილები იყო.

ფარნავაზი აღფრთოვანებული იყო ძირძველი

კოლხეთის ხელუხლებელი ბუნების სილამაზით, ხშირ-ტყოვანი მთებითა და ხეობებში გამდინარე მდინარეებით, სანადირო ადგილებიც შეუქო ქუჯის და მიუგო მას:

— აზონის განდევნის შემდეგ ხშირად მოგიწევს ჩემთან ჩამოსვლა და ბაქართან სამშვილდეში მოგვიხდება ხშირი სტუმრობა; იქ მდინარეების, ალგეთისა და ხრამის მიდამოებში საუკეთესო სანადირო ადგილებია. ქვემო ქართლის ბუნება ისეთივე თვალწარმტაცია და ხელუხლებელი, როგორიც აქ, ამიტომაც აქვს ამოჩემებული ის ადგილები აზონს სანადიროდ, სადაც ერთ კვირამდეც კი ჩერდება ხოლმე.

— სიამოვნებით, სიამოვნებით, ფარნავაზ, თუ, რა თქმა უნდა, ბაქარი მიგვიღებს და გვიმასპინძლებს, — გაიხუმრა ქუჯიმ.

სამივემ ერთად — ფარნავაზმა, ქუჯიმ და ბაქარმა გულიანად გაიცინეს და მოუჩქარეს ცხენთა ნაბიჯს.

ნადირობა იღბლიანი გამოუჩნდათ მონადირეებს, ერთი შველი, ერთი ტახი და რამდენიმე ტყის ფრინველი მოინადირეს. დაღლილმა მონადირეებმა გადაწყვიტეს, ონიორის მაღლივი ჩანჩქერის მახლობლად, მდინარის პირას ხეობაში დაესვენათ და შემდეგ დაბრუნებულიყვნენ ციხე გოჯში.

მდინარის ნაპირთან ახლოს კლდის ჩრდილში ჩამოსხდნენ ქუჯი, ფარნავაზი და ბაქარი, მსახურნი კი ფრინველის დამუშავებასა და ნაკვერჩხლის მომზადებას შეუდგნენ.

ფარნავაზი და ბაქარი გაოცებულნი შესცქეროდნენ მომაჯადოვებელ გარემომცველ ზღაპრულ ბუნებას. კლდეებში განთავსებული მრავალი მომცრო გამოქვაბულებიდან უხვად გამოედინებოდნენ ჩანჩქერები და

ხმაურით ეშვებოდნენ ცისფერ კამკამა ტბაში, საიდან-აც მდინარე იღებდა სათავეს; თეთრკიროვან კლდეთა ჭრილებში კი მოლუსკთა გაქვავებული ნარჩენები და უხსოვარი დროის უშველებელ ცხოველთა ნაშთ-ნაკვა-ლევნი შეიმჩნეოდა.

მდინარის სათავეში თევზი მრავლად იყო და მათი ზურგები ვერცხლისფრად ლივლივებდნენ წყლის ზედა-პირზე. ფარნავაზს თევზთა სიდიდე ეცნაურა და ქუჯის უთხრა:

– ქუჯი, ბავშვობისას მე და ბაქარი არაგვში კალ-მახის მოისვრაში ვეჯიბრებოდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ეს თევზი კალმახზე სამჯერ უფრო დიდი სჩანს.

– ზღვის ორაგულს ეძახიან, ქვირითობისას ზღვიდან აქ, მდინარის სათავეში ამოდიან ხოლმე ქვირითის დას-ადებად და გასამრავლებლად. გემრიელი თევზია და ქვირითიც არაჩვეულებრივი აქვს. შენი და ბაქარის გა-ჯიბრება თევზის მოისვრაში მომეწონა და მოდი, ახლა ჩვენ გავეჯიბროთ ერთმანეთს.

ფარნავაზი სიამოვნებითა და სიცილით დასთან-ხმდა. ქუჯიმ მსახური იხმო და მშვილდების მოტანა მცირე ქიბურჯ-ისრებით დაავალა, აგრეთვე, მახლო-ბელ ჯაგნარში გადამალული, მცირე ნავის მდინარეში ჩაშვებაც ბრძანა.

მსახურებმა მალევე მოიტანეს პატარა მსუბუქი ნავი და წყალში ჩაუშვეს.

ფარნავაზმა ნავის სიმცირე იუცხოვა:

– ქუჯი, არა მგონია, რომ ამ პატარა ნავში ორივე მოვთავსდეთ, ან კი ნავმა გაგვიძლოს.

– გაგვიძლებს, ფარნავაზ, ეს მცირე ნავი ზღვისპირა ფერდობზე გაზრდილი თხილის ხისგანაა გაკეთებული,

ძალიან მსუბუქია და გამძლე, წყლითაც რომ გაივსოს, არ ჩაიძირება. ძველი კოლხების გემ-ნავთა დამზადების მეთოდია. ზაფხულობით ჩემს დას, ნათის უყვარს ხოლმე აქ ნავით სეირნობა და მისითვის ამოვატანინე. ჩვენ, მართალია, ორივე ერთად ნავში დაჯდომას ვერ შევძლებთ, მაგრამ ფეხზე მდგომნი კი მოვთავსდებით, – დაამთავრა სიტყვა ქუჯიმ და შესდგა ფეხი ნავში, ფარნავაზიც მიჰყვა მას.

მსახურებმა ნავი ხელით შეაცურეს მდინარეში, შუა მდინარეში გააჩერეს და ნავზე გამობმული თოკი მძიმე ქვით წყალში ჩაუშვეს, რომ ნავი უმოძრაოდ, ერთ ადგილას გაჩერებულიყო.

ფარნავაზი და ქუჯი ნავში ერთმანეთის ზურგით დადგნენ და ორაგულის მოისვრა დაიწყეს.

– ერთით მეტი, ფარნავაზ, — წარმოსთქვა სიცილით ქუჯიმ.

– ორით მეტი, ქუჯი, – სიცილითვე უპასუხა ფარნავაზმა.

– სამით მეტი, ფარნავაზ, – გააგრძელა ქუჯიმ.

– ოთხით მეტი, ჩემო ქუჯი, – არ ეპუებოდა ფარნავაზი.

ასე გრძელდებოდა კაი ხანს, მსახურნი ნავისაგან ოდნავ მოშორებით წყლიდან მოისრულ თევზს იღებდნენ და ნაპირზე ისროდნენ, სადაც ბაქარი იმყოფებოდა და სიცილით აუწყებდა ქუჯისა და ფარნავაზს, თუ ვინ ვის სჯობდა და ვის რამდენი ორაგული ჰყავდა მოისრული.

***

ნადირობიდან სასახლეში დაბრუნებულმა ქუჯიმ

და ფარნავაზმა გადაწყვიტეს, რომ სასწრაფოდ დაეწყოთ მოქმედება. ქუჯი შეჰპირდა, რომ ერთ კვირაში მთელი ლაშქარი შეკრებილი ეყოლებოდა და მზად იქნებოდა მცხეთისაკენ დასაძვრელად. საქართველოსა და მთელი კავკასიის აზონისაგან გასათავისუფლებლად ფარნავაზმა და ქუჯიმ ბრძოლის დაწყების მოქმედება და გეგმა შეიმუშავეს.

ზუსტად ორი კვირის თავზე, გამთენიისას ქუჯი თავისი ლაშქრით უნდა მისულიყო და დამდგარიყო მალულად, ეგრის-ქართლის საზღვარზე მდებარე ციხის მახლობლად, სადაც აზონის ჯარი იდგა. იმავ დროს და იმავ ადგილას ფარნავაზიც თავისი ლაშქრით შეხვდებოდა ქუჯის.

ციხის ბერძენთაგან გათავისუფლების შემდეგ მცხეთისაკენ დაიძვრებოდნენ, სადაც წიწამურის ციხესთან ოვსთა და დურძუკთა ლაშქარს შეხვდებოდნენ, რომლებსაც მთიდან კახაბერი შემოუძღვებოდა თავისი მხედრობით, სამხრეთიდან კი ბაკური მიუახლოვდებოდა მცხეთას, ქვემო ქართლისა და კახთა გაერთიანებული ლაშქრით.

ქუჯიმ და ფარნავაზმა მოილაპარაკეს, რომ მუდმივი კავშირები ჰქონოდათ ერთმანეთთან მალემსრბოლებისა და მაცნეების საშუალებით, თუ ვინიცობაა, რაიმე შეიცვლებოდა. ამდაგვარად დათქვეს და გამთენიისას ფარნავაზი, თავისი ოჯახითა და ქუჯის რამდენიმე მებრძოლის თანხლებით, მცხეთას გაემგზავრა.

ვარდობისთვის შუაწელი იდგა.

იღვიძებდა მიძინებული შინაგანი ქართული ძალა განახლებისა და აღდგომისა.

XXVIII

მცხეთაში დაბრუნებისას ფარნავაზს სახლში მოულოდნელი სიამოვნება დახვდა.

ჯერ კიდევ ადრე, რუსუდანის მცხეთაში ჩამოსვლის შემდეგ, რუსუდანმა სთხოვა ქაიხოსროს, რომ იდუმლად მოეძებნა ფარნავაზის შორეული ნათესავები, რომლებიც აზონის რისხვას ერიდებოდნენ და მალულად სახელ-გამოცვლით ცხოვრობდნენ ქართლსა და მცხეთაში. შორეული ნათესავები ფარნავაზს ერგებოდა მამის მხრიდან, რომლის პაპასა და დიდ პაპას, ოდესღაც ჰყოლიათ დები, რომელთაც შვილები და შვილიშვილები უნდა დარჩენოდათ.

ქაიხოსრომ შეუსრულა თხოვნა რუსუდანს და დიდი ხნის ძებნის შემდეგ, მიაგნო ფარნავაზის სისხლით ნათესავებს, რომლებმაც დიდად გაიხარეს, როდესაც გაიგეს, რომ ქართლის სპასპეტის ოჯახი სიკვდილს გადარჩენილიყო და სიხარულით აღივსნენ, როდესაც შეიტყვეს, რომ მათთვის უკვე ცნობილი სახელგავარდნილი ფარნავაზი, თურმე მათი ახლობელი და ნათესავი ყოფილა.

ფარნავაზის ეგრისში ყოფნისას ქაიხოსრომ ბაკურს შეახვედრა ფარნავაზის ნათესავნი და მას შემდეგ ისინი ყოველდღიურად სტუმრობდნენ ხოლმე ფარნავაზის სახლს, სადაც მათ ბაკური სწვრთნიდა და ავარჯიშებდა საომარ-საბრძოლო ხელოვნებაში.

სახლში დაბრუნებულ ფარნავაზს, ბაკური როგორც საკუთარ შვილს, ისე გადაეხვია, ბაქარიც ამოიყენა გვერდში და ჰკითხა მათ: „რას მეტყვით? ხომ კარგი

ამბები მოგაქვთ ეგრისიდანო?“ და შემდეგ ბაკურმა ფარნავაზს წარუდგინა მისივე ნათესავები, რომლებიც ბაკურის უკან დამდგარიყვნენ მოღიმარნი და მოკრძალებულნი:

— შენი ახლობლები, ფარნავაზ, ჩინებული მებრძოლნი და საუკეთესო ვაჟკაცები — ივერი, ზევახ, დაჩი, იმერი და ჭაბუა.

ხუთივე ნათესავს თბილად მიესალმა ფარნავაზი, „კარგ დროს შევხვდით ერთმანეთსო“, გახარებულმა მიუგო და სახლში შეიპატიჟა.

რუსუდანმა და ფარნავაზის დებმა დიდად გაიხარეს თავიანთ ნათესავთა ახლოს გაცნობით, თუმცა რუსუდანს ბუნდოვნად ახსოვდა რამდენიმე მათგანი, ჯერ კიდევ შორეული ბავშვობისას. რუსუდანმა და ფარნავაზმა მადლობა მოახსენეს ქაიხოსროს ერთგული სამსახურისათვის და შემდეგ სახლის დიდ დარბაზში მსახურებმა ლხინის დიდი სუფრა გაშალეს.

ყველამ კარგად მოილხინა, ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნება იყო, მაგრამ ყველაზე მეტად კმაყოფილება ფარნავაზს ეტყობოდა. მან თვალით, სიტყვითა და გუმანით მოსინჯა თავისი ნათესავნი; შენიშნა, რომ კარგი ნაკითხ-განსწავლულნი და ვაჟკაცნი იყვნენ და მათ ძარღვებს შემორჩენილი ჰქონდათ ქართლოსიანთა სისხლი და ჯილაგი.

სწორედ ასეთი ხალხი სჭირდებოდა ფარნააზს, რომ გერდში მდგარიყვნენ და მას მხარში ამოსდგომოდნენ. ბაკურს რამოდენიმეჯერ ქვემო ქართლში ისინიც თან ახლდნენ ჯარ-მოლაშქრეთა შემოწმება-მომზადების დროს და ახლა ფარნავაზთან დიდად შეაქო ისინი, „სულით მხნე მებრძოლნი არიანო“, თქვა.

ბაკურმა ისიც ახარა ფარნავაზს, რომ სარკინეში დიდძალი აბჯარ-იარაღი დამზადებული და გადამალულიც ჰქონიათ უკვე. ფარნავაზმა თავის ნათესავებს უამბო, თუ რა დიდი საქვეყნო საქმის წამოწყებას აპირებდა იგი და სთხოვა, თავის „სისხლსა და ხორცს“, ნათესავთ თვისთა, რომ ისინი მუდამ მის გვერდით ყოფილიყვნენ, რადგანაც სწორედ ახლა სჭირდებოდა ფარნავაზს, გვერდით ჰყოლოდა საიმედო ხალხი დასახმარებლად. ხუთივე ნათესავი დიდი სიხარულით დასთანხმდა ფარნავაზის თხოვნას და ერთგულებასა და თავდადებას შეჰპირდნენ მას.

ფარნავაზმა ბაქარს დაავალა, რომ დილით, გამთენიისას კახეთს წასულიყო და წერილი წაეღო კახეთის მთავართან, რომელშიც ფარნავაზი იუწყებოდა, რომ ელიზბარს თავისი ლაშქარი მოემზადებინა და დაძრულიყო მცხეთისაკენ. ვარდობისთვის ბოლო დღეს, გამთენიისას ყოფილიყო მცხეთის მახლობლად და ავჭალის მისადგომებთან შეერთებოდა ბაკურის ლაშქარს. ბაქარს კახეთში თან გაჰყვებოდნენ ჭაბუა და დაჩი.

თვით ფარნავაზი გამთენიისას მთას გაეშურებოდა, ოვსთა და დურძუკთ მეფეთა ჩამოსაყვანად, თანმხლებად თან ივერს, ზევახს და ქუჯის მოცემულ მებრძოლებს გაიყოლებდა.

იმერი ბაკურთან დარჩებოდა დასახმარებლად, მცხეთაში საქმეთა მისახედად.

გამთენიისას ბებრის ციხის მახლობელი სახლის გალავნის ჭიშკრიდან მცირე მხედრობა გავიდა. გზის გასაყართან მხედრები გაიყარნენ. სამმა მხედარმა გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო, დანარჩენებმა კი ჩრდილოეთის მიმართულებით განაგრძეს გზა.

მთაში ასვლისას ფარნავაზმა მთის ხევისთავთან, კახაბერთან დაისვენა, მდიდრული ძღვენი მიართვა მას, ლაშქრის მომზადება-მზადყოფნა შეამოწმა და იკითხა, თუ იყო რაიმე ახალი ცნობანი ქალთამზის შესახებ. ხევისთავს ლაშქარი კარგ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა. ქალთამზის შესახებ კი კახაბერს საიმედო ახალი რამ ჯერჯერობით არა სმენოდა რა.

მეორე დღეს, დილით ადრე, ფარნავაზმა ჩრდილოეთით განაგრძო გზა. კახაბერმა ფარნავაზს თავისი ხუთივე ვაჟი და მცირე მხედრობაც თან გააყოლა. ფარნავაზმა დურძუკთა და ოვსთ მეფეთაც ძვირფასი, მდიდრული საჩუქრები მიართვა. მათ დიდად გაიხარეს, რადგან დამდგარიყო დრო, როდესაც დაიწყებდნენ ისინიც ბრძოლას, თავთავიანთი ქვეყნების გასათავისუფლებლად აზონის მძიმე უღლისა და ხარკიგადასახადისაგან და ქართველთა ლაშქრის გვერდით დადგებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად საბრძოლველად.

რაც შეეხება რაიმე ცნობას ქალთამზის შესახებ, მათაც არაფერი სმენოდათ, თუმცა დურძუკეთში, ერთ-ერთი სოფლიდან სამი კაცის უცნაურ და საეჭვო გაქრობას, შესაძლებელი იყო, რაიმე კვალზე დაეყენებინა ქალთამზის მძებნელნი.

ფარნავაზმა, ოვსთა და დურძუკთა მეფეებმა მოილაპარაკეს და დათქვეს ქართლში შემოსვლის თარიღი, ფარნავაზმა მათ დიდძალი ფული დაუტოვა, რათა მრავლად შეეძინათ ქართველთა ლაშქრისათვის რკინის ჯაჭვპერანგ-აბჯარი და თან შემოეტანათ ქართლში შემოსვლისას, კავკასიონზე გადმოსვლისას კი მათ ხევისთავი კახაბერი დახვდებოდათ თავისი მხედრიონით და ოვს-

დურძუკთა ლაშქარს მცხეთისაკენ წარუძღვებოდა.

გამოღვიძებულიყო და აღმსდგარიყო შინაგანი ქართული ძალა განახლებისა თვისტომთა შორის, რათა დაუოკებელი, მედგარი სულისკვეთებითა და სწორუპოვრობით ქართველ ხალხს ღირსებითა და ზეობით შეეცვალათ არკუთვნილი უღირსება, სიმდაბლე და უკეთურობა.

XXIX

ჩრდილოეთ კავკასიიდან მთაში დაბრუნებული ფარნავაზი ორ დღეს კახაბერთან გაჩერდა. მთაში დიდი საბრძოლო სამზადისი იყო, ჯარი მრავლად შეკრებილიყო. ქვა-ლოდთა სატყორცნი ურმებიც გამზადებული ჰქონდათ. მესამე დღეს ფარნავაზი ლაშქრის თანხლებით ქართლი-ეგრისის საზღვრისაკენ დაიძრა, წინასწარ კი მცხეთაში მაცნენი გაგზავნა, რათა კახეთიდან დაბრუნებულ ბაქარს მცხეთა-ქართლიდან შეუმჩნევლად გაეყვანა ჯარი და იგოეთში, გრაკალის მაღლობთან ფარნავაზს შეერთებოდა, ბაკურისა და ელიზბარის ჯარი კი ავჭალის მისადგომებთან ტყეში დამდგარიყო და ფარნავაზის მცხეთაში შესვლას დალოდებოდნენ.

დათქმულ დროს გრაკალის მაღლობთან ფარნავაზისა და ბაქარის ჯარები შეერთდნენ და ერთად დაიძრნენ ქართლ-ეგრისის საზღვრისაკენ, სადაც ძლიერად გამაგრებულ ციხესიმაგრეში აზონის ბერძენთა ჯარი იდგა. ფარნავაზმა მალემსრბოლი სასწრაფოდ გააგზავნა ქუჯისთან.

აზონს თავისი ჯარები გადანაწილებული ჰყავდა სხვადასხვა ციხეებში, ამიტომ ფარნავაზს გადაწყვე-

ტილი ჰქონდა, რაც შეიძლება სწრაფად ემოქმედდა, ნაწილ-ნაწილ აეღო ციხეები. ამდაგვარად საშუალებას დაუკარგავდა აზონს, გაეერთიანებინა თავისი დაქსაქსულ-გადანაწილებული სამხედრო ძალები.

ფარნავაზს სისწრაფე სჭირდებოდა, რომ დრო მოეგო. აზონს ჯერ არ უნდა სცოდნოდა არაფერი. ამიტომ ციხესთან მიახლოვებისას, თავისი ჯარი სიგრძეზე გაწელა, ტყეში მიმალა და ქუჯისთან კვლავ მაცნე გაგზავნა, რათა ქუჯის ლაშქარი ციხისაკენ დაძრულიყო. მანამდე თავისი ნამგზავრი ლაშქარი საბრძოლველად ძალას მოიკრებდა, ცოტას დაისვენებდა და წაიხემსებდა. ფარნავაზმა მთაზე მეთვალყურენი განალაგა და თვითონაც ცხენიდან ჩამოქვეითდა, რათა ცოტა ხნით დაესვენა.

ქუჯი დიდად გაახარა ფარნავაზის მიერ გაგზავნილი მალემსრბოლის ნახვამ, რადგანაც ყველაფერი კარგად მიდიოდა. ქვეყნის მტრისაგან გათავისუფლება დაწყებულიყო და ამას ვერავითარი ძალა და ვეღარაფერი შეაჩერებდა. ქუჯიმ მალემსრბოლი ისევ ფარნავაზთან გაგზავნა და დაუბარა, აქ ვდგავარ და შენს ნიშანს ველოდებიო. მეორე მაცნის მიღების შემდეგ, ქუჯიმ ბრძანება გასცა, რომ თავისი ლაშქარი გამოსულიყო სამალავიდან და საბრძოლო მზადყოფნით დაძრულიყვნენ ციხისაკენ.

სასაზღვრე ციხეს დამდგარმა მეციხოვნეებმა შეამჩნიეს, რომ ციხეს დასავლეთიდან, ეგრისის მხრიდან დიდი ლაშქარი უახლოვდებოდა. ლაშქრის მოახლოვება სასწრაფოდ ციხის უფროსს აუწყეს. მაღალ კოშკზე შემდგარი ციხის უფროსი ყურადღებით აკვირდებოდა დიდ ლაშქარს, რომელიც პირდაპირ ციხის მიმართულებით მოიწევდა.

მართალია, ლაშქარი ჯერ შორს იმყოფებოდა, მაგრამ ციხის უფროსმა მაინც გაარჩია, რომ ლაშქარს წინ ხუთი მხედარი მოუძღოდა, რომელთაც ბერძნული აბჯარ-ჩაცმულობა არა ჰქონდათ ასხმული. აბჯარ-ჩაცმულობა ბერძნულს არ მიუგავდათ. სასწრაფოდ გაგზავნა კაცი აზონთან. ბრძანა, რომ ციხის კარიბჭე საიმედოდ გაემაგრებინათ, საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა და კოშკზე შემდგარი, ლაშქრის ყურებაში ფიქრს მიეცა.

ოც წელზე მეტი იყო, რაც ციხის უფროსად აქ მსახურობდა და აქ ცხოვრობდა, აქ დაბერდა და ასეთი რამ ჯერ არც გაეგო და არც ენახა, რომ ციხეს ეგრისის მხრიდან ჯარი მოსდგომოდეს, მით უმეტეს, არც იცოდა თუ ვინ იყვნენ ისინი და დიდი ლაშქარი ვის ეკუთვნოდა.

მართალია, ქართლიდან სწვევია გადასახადების ამკრეფის მცირე მხედრობა, რომლებიც ეგრისს მიმავალნი, ან ეგრისიდან გამობრუნებულნი მასთან ციხეში ჩერდებოდნენ დასასვენებლად, მაგრამ ახლა აშკარა იყო, რომ ამხელა ლაშქარი ეგრისიდან მომავალი, გადასახადების ამკრეფნი არ იყვნენ.

ციხისთავი რამოდენიმეჯერ კი შესევია ეგრისის სოფლებს, რათა საქონელი და სანოვაგე საჭმელ-სასმელი ჰქონოდა თავისი ჯარის გამოსაკვებად, ვინაიდან აზონი იშვიათად თუ გამოაგზავნიდა მცხეთიდან ფულად სახსარს ჯარის შესანახად. მართალია, ჯარის გასამრჯელოს აზონი ციხისთავს უგზავნიდა, მაგრამ ჯარის გამოკვებას რაც შეეხებოდა, წერილში ატყობინებდა ხოლმე: – „მცირედი, რაც გამოგიგზავნე, ის იკმარე, ჩემგან მეტს ნუღარ ელი, ჯარი რისთვის ჩაგაბარე, გამოიყენეო“. – ამიტომაც ციხისთავი, ციხის დამცველნი და ჯარი

აზონის უკმაყოფილონი იყვნენ, მით უმეტეს, ციხისთავი თავის ჯარს გასამრჯელოს მუდმივად აკლებდა და ჰპარავდა, ვითომდა, აზონს ფული არ გამოუგზავნია, ან კიდევ მცირედი გამოაგზავნაო მხოლოდ.

„დამშეული ჯარი თუ შეესია კვლავ სოფლებს, ააწიოკეს, გაძარცვეს და ააოხრეს, ალბათ, ეგრისი და ეგრისელები თუ აღსდგნენ ჩემს წინააღმდეგ, აზონის ჯარის მოსვლამდე გავმაგრდები, გავუძლებო“ გაიფიქრა და მსახურის მიერ მოტანილი აბჯრის შემოსვას შეუდგა შეშფოთებული ციხისთავი.

მთაზე შედგარმა მეთვალყურებმა ფარნავაზს აუწყეს, რომ ქუჯის ლაშქარი გამოჩნდა და ციხესიმაგრისაკენ დაიძრა, ციხიდან კი ორი ბერძენი მალემსრბოლი მხედარი გამოვიდა და ჩვენს მიმართულებით მოდიანო. ფარნავაზმა ჯარს მზადყოფნა გამოუცხადა, ივერი და ზევახი კი მცირე მხედრობით წინ გაუშვა, რათა აზონთან მიმავალ მალემსრბოლებს ჩასაფრებოდნენ და ტყვეებად აეყვანათ.

მცირე ხანში ივერმა და ზევახმა იარაღაყრილი შებოჭილი ბერძენი ტყვეები მოიყვანეს. ბაქარმა დაჰკითხა ტყვეები; აღმოჩნდა, რომ ციხეში ორი ათასზე მეტი მებრძოლი იდგა და იცავდნენ მას. ფარნავაზმა გასცა ბრძანება და ლაშქარი ციხესიმაგრისაკენ დაიძრა. ბერძენი ციხისთავი ციხესთან მოახლოვებულ და შემდგარ ლაშქარს გადაჰყურებდა, როდესაც მეციხოვნეებმა მას ყვირილით ამცნეს, რომ აღმოსავლეთიდან ქართლის მხრიდანაც ციხეს დიდი ლაშქარი უახლოვდებაო.

სულ დაიბნა ბერძენი ციხისთავი, რამდენადაც იცოდა, ქართველებს ჯარი საერთოდ არა ჰყავდათ და არც შეიარაღება არ გააჩნდათ. ასისთავებს უბრძანა, ჯარი

ციხის კედლების დასაცავად მოაზმადეთო და თვითონ კი კოშკის თავზე შემომდგარი ყურადღებით ადევნებდა თვალს, რა ხდებოდა ციხის გარშემო.

ქართლის მხრიდან შემოსული ლაშქარი ციხეს მიუახლოვდა და ისიც, ეგრისის მხრიდან შემოსული ლაშქარივით, ციხიდან მშვილდის სასროლ მანძილზე შეჩერდა. ორივე ლაშქარს ძვირფასი აბჯარ-მუზარა-დასხმული მცირე მხედრობა გამოეყო და ერთმანეთისაკენ შესახვედრად დაიძრნენ.

გახარებული ფარნავაზი და ქუჯი გულწრფელად აღტაცებულები შეხვდნენ ერთმანეთს თანმხლებ ამალასთან ერთად.

– გადავდგათ პირველი ნაბიჯი და დავიწყოთ, აბა, დიდი საქმე, ჩემო ქუჯი; განდევნა მტრისა ჩვენისა მიწიდგან და გაძლიერება-გაერთიანება ჩვენის ქვეყნის! – მხნედ და ომახიანად უთხრა ფარნავაზმა ქუჯის.

– დავიწყოთ, ფარნავაზ, დავიწყოთ! დროა, უკვე დიდი ხანია, საკმაოდ ვითმინეთ! – აღტაცებულმა მიუგო ქუჯიმ.

– მაკედონისეულ ფალანგებთან ჯერჯერობით ბრძოლას მოვერიდებით, სიფრთხილე გვმართებს და ციხეები კი, რომლებშიც აზონის ჯარები დგანან, შევეცადოთ, რომ ნაკლები ნგრევა-დაზიანებით ავიღოთ და ჩავიგდოთ ხელში, რადგან შემდეგ მომავალში, ციხეები ისევ ჩვენი აღსადგენი იქნება. ჩვენი ლაშქარიც დავზოგოთ, რამეთუ, მთავარი ბრძოლა და ომი ჯერ კიდევ წინა გვაქვს, — უთხრა ფარნავაზმა ქუჯის და შემდეგ ბაქარს მიუბრუნდა, რათა წერილი გადაეცა მშვილდოსანისათვის.

მშვილდოსანმა ცხენი ციხისკენ გააჭენა, შემდეგ

ფარნავაზის წერილი ისარს დაამაგრა და ქიბურჯი ციხის კარს სტყორცნა.

კარიბჭის დამცველებმა წერილი ციხისთავს გადასცეს, რომელმაც აჩქარებით გახსნა წასაკითხად. წერილი იუწყებოდა, რომ ქართლისა და ეგრისის გაერთიანებული ლაშქარი, ფარნავაზისა და ქუჯის წინამძღოლობით, აღმსდგარიყვნენ აზონის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფარნავაზი და ქუჯი მოითხოვდნენ ციხის დათმობადანებებას და ციხისთავისა და მისი ჯარისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას, თუ ისინი უბრძოლველად დასთმობდნენ ციხესიმაგრეს და დაჰყრიდნენ იარაღს.

ციხისთავი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რა ეღონა და რა მოემოქმედა. აშკარა იყო, რომ ქართველებს დიდი საბრძოლო ძალა გააჩნდათ და იგი თავისი მცირე ჯარით ციხიდან ვერ გავიდოდა და ვერ შეებმეოდა. ციხე კი ალყაშემორტყმული, ადრე თუ გვიან მაინც დაეცემოდა.

ციხე რომ ქართველთათვის დაენებებინა, ვაითუ, მერე აზონი მოსულიყო თავისი ჯარით. აზონი არ აპატიებდა დანებებას. ბერძენი ციხისთავი კარგად იცნობდა მის ხასიათსა და ზნე-ჩვევას. აზონი თავს მოჰკვეთავდა ციხისთავს და მის ოჯახსაც გააუბედურებდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ციხეში დარჩენილიყო და გამაგრებულიყო, დალოდებოდა, რა მოხდებოდა და შემდეგ ემოქმედა იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მან ციხის კედლებზე ყოველი მხრიდან მეციხოვნეთა განლაგება ბრძანა და თუ მტერი დაიძვრებოდა, მათ შესაჩერებლად, ჯერჯერობით, მხოლოდ მშვილდები გამოეყენებინათ.

ფარნავაზი და ქუჯი ელოდნენ ციხისთავის პასუხს,

მაგრამ დრო გადიოდა და წერილის პასუხად ციხიდან არავითარი შეტყობინება არ მოდიოდა, ბევრი დრო არ ჰქონდა ფარნავაზს, ამიტომ ბრძანა, ქართველთა ლაშქარი ციხისაკენ ნელი სვლით დაძრულიყო.

ციხიდან მშვილდის ისრებმა გამოიჰქროლეს და გამაფრთხილებლად, ლაშქრის პირველი მწკრივის ფერხთით სიახლოვეს მიწაზე დაერჭვნენ. ფარნავაზს ჩაეცინა ბერძენთა ციხისთავის გადაწყვეტილებაზე, ქუჯის მიუბრუნდა და უთხრა:

– ორჭოფობს ბერძენთა ციხისთავი, როგორც სჩანს, არ იცის, რა ჰქნას და ვერ გადაუწყვეტავს, რა იღონოს. რას იტყვი, ქუჯი, დავეხმაროთ ციხისთავს?

ქუჯიმ გულიანად გაიცინა:

– ვერ გადაუწყვეტავს და ჩვენ გადავაწყვეტინოთ!

ფარნავაზმა ჯარის წინასვლა შეაჩერა და ბაქარს დაავალა, ციხის შიდა ეზოში ოთხი ათეული ცეცხლოვანი ბირთვი ესროლათ და ყველა მშვილდოსანს ორი წყება ისრები გაემზადებინათ სატყორცნად. მებრძოლებმა ჯარის უკანა რიგებიდან ორ წყვილად ცხენშებმული ოცი ურემი-ეტლი გამოიყვანეს და ციხის მოპირდაპირედ განალაგეს. ურმებზე სიმძიმედაკიდებული დრეკადი ფიცრები იყო დამაგრებული, ფიცრებს კი თავზე რკინის კბილოვანი ქუდ-სარჩულები ჰქონდათ ჩამოცმული, სატყორცნად დადებული სიმძიმის შესაკავებლად. მებრძოლებმა ხე-ფიჩხისაგან დამზადებული ბირთვები ფიცრებზე შეაწყვეს. ბირთვები ზეთ-კუპრში ამოვლებული თასმა-ბაწრებით იყო შეკრულ-გადაკრული და ბირთვს შიგნით ზეთ-კუპრით სავსე საქონლის ფაშვები იყო მოთავსებული.

ურმებში შებმულ ცხენებს თვალ-ზღუდეები

აუკრეს, რომ ცხენები არ დამფრთხალიყვნენ და პირველი ოცი წყება ცეცხლწაკიდებული ბირთვები ციხისაკენ სტყორცნეს. ცეცხლოვანი ბირთვები ციხის შიდა სივრცეში ჩაეშვნენ, ძლიერი დარტყმა-დანარცხებისგან საქონლის ფაშვები დასკდნენ და შიგთავსიდან გადმოღვრილ ზეთ-კუპრს ცეცხლი შეენთო.

ციხესიმაგრეში არეულობა და ქაოსი ატყდა. ფარნავაზმა მისცა ნიშანი და მეორე წყება ოცი ცეცხლოვანი ბირთვი კვლავ გაფრინდა ციხისაკენ, რის შემდეგაც ფარნავაზმა მცირე ხანი იდროვა.

ციხისგალავნის კედლებზე შემდგარი მეციხოვნეთ რიცხვი საკმაოდ შემცირდა. როგორც ჩანდა, მეციხოვნენი ხანძარს აქრობდნენ.

ფარნავაზმა კვლავ ნიშანი მისცა და ციხისაკენ მშვილდთა ორი წყება გასროლით რამდენიმე ათასი ისარი ერთად გაფრინდა, რომლებიც სასიკვდილო მუქარასავით, ციხის შიდა-არეულ ეზოში ჩაეშვნენ.

ფარნავაზმა ტყვედ შეპყრობილი ბერძენი მალემსრბოლები მოაყვანინა და უთხრა მათ:

– ქართლის, ეგრისის, ოვს-დურძუკთა და კახთა გაერთიანებული 60-ათასიანი ლაშქარი აზონის წინააღმდეგ საბრძოლველად მივდივართ. აზონმა ჯერ არაფერი არ იცის, რაც ხდება და აქ თქვენს დასახმარებლად არავინ არ მოვა. ციხეს თუ დათმობთ და უბრძოლველად ჩაგვბარდებით, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ და თქვენს სამშობლოსა და თქვენს ოჯახებს დაუბრუნდებით, სახლებში გაგიშვებთ, რადგან ჩვენ აზონი გვაინტერესებს და არა თქვენ. თუ არ დაგვემორჩილებით, იცოდეთ, ციხეში ძე-ხორციელი ცოცხალი არავინ არ დარჩება, ყველა დაიღუპებით.

ციხისთავმა თუ შეიტყო, რაც მე თქვენ გითხარით,

შესაძლებელია, რომ ციხისთავმა დაგაპატიმროთ ან თავები მოგკვეთონ, რათა ციხის დამცველებმა არ შეიტყონ ჩემი შემონათვალი, მათ სიმხნევე რომ არ წარუხდეთ და ბრძოლისუნარიანობა რომ არ დაჰკარგონ. ამიტომ თუ სიცოცხლე გინდათ, სანამ ციხის უფროსთან მიხვალთ, ჯარს გააგებინეთ ჩემი ნათქვამი.

ამდაგვარად დარიგებული ბერძენი მალემსრბოლები ფარნავაზმა ციხისაკენ გაუშვა და ბაქარს მოუბრუნდა:

– რაც კი ბირთვსატყორცნი ურმები გვაქვს, ბერძენთა დასანახავად, ყველა ურემი გამოიყვანეთ და გალავნის მოპირდაპირედ განალაგეთ. ხუთი ურემი ციხის მთავარი კარიბჭის წინ დადგით, შემდეგ კი მთელი ლაშქარი ოდნავ წინ წასწიეთ და მშვილდოსნები პირველ მწკრივებში განათავსეთ.

ბერძენმა მეციხოვნეებმა შორიდანვე იცნეს ციხისაკენ ფეხით მიმავალი ხელებგაკოჭილი თანამებრძოლები, რომლებიც განზრახ, ნელი სვლითა და ფეხისთრევით მიდიოდნენ ციხის კარიბჭისაკენ, თან ყველას გასაგონად, ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, რაც მათ ფარნავაზმა დაავალა და შეუთვალა. ციხის კარიბჭეში მათი შესვლისას ყველა ციხის დამცველმა უკვე იცოდა ფარნავაზის შემონათვალი. მეციხოვნეებმა ისიც შეამჩნიეს, რომ ცეცხლოვანი ბირთვების სატყორცნი ურმები სულ უფრო და უფრო მატულობდა გალავნის კედლის გარშემო. ქართველთა მთელი ლაშქარიც ციხისაკენ დაძრულიყო.

ციხის კარიბჭეში შესული მალემსრბოლები ყველას გასაგონად ისევ გაიძახოდნენ ფარნავაზის შემონათვალს. მაღალი კოშკის თავზე შემომდგარ და შემცბარ

ციხისთავს ესმოდა ყოველივე, რაც ციხის მთავარ კარიბჭეში და ციხის გარეთ თუ შიგნით ხდებოდა.

ცეცხლითა და მშვილდით მოისრულ არეულ-აფორიაქებულ ციხის შიდა ეზოში ციხისთავმა გაბრაზებით ჩასძახა ასისთავს: „ეგ მოღალატენი ამოიყვანე აქ და დილეგში ჩაყარეო“.

ამასობაში ციხის კარიბჭის წინ მდგარმა ურმებმა ორი ცეცხლოვანი ბირთვი სტყორცნა ციხის მთავარ კარებს, გაფრთხილებისა და მუქარის ნიშნად. მეციხოვნეებმა ცეცხლის ჩაქრობა გალავნის კედლიდან წყლის გადმოსხმით სცადეს, მაგრამ ცეცხლსასროლი ურმების სიმრავლემ ციხის დამცველთა და მეციხოვნე ჯარის სიმტკიცე შეარყია.

გაისმა მეციხოვნეთა შეძახილები:

– ცოცხლად ამოვიბუგებით ცეცხლში, წყალიც კი არა გვაქვს საკმარისი!

– ვის გამო უნდა დავიღუპოთ, ვისთვის ვსწირავთო ჩვენს თავს!

– ოც წელზე მეტია, ამ ციხეში გამოკეტილები ვართ და აზონს არც ვახსოვართ!

– ძაღლი მიჰკვდომია სულში აზონს, ოცი წელია ცოლ-შვილი აღარ მინახავს და თავი რისთვის ან ვისთვის უნდა დავიღუპოთ, უაზრო სიკვდილს ჩემი ოჯახის ნახვა მირჩევნია, აზონს რისთვის უნდა შევეწიროთ, ძაღლებივით დაგვყარა ციხეში!

ურჩ მეციხოვნეებს ასისთავებმა მათრახები შემოჰკრეს, ამის დამნახავი ბერძენთა ჯარი გაწბილდა და ამბოხდა. გალავნის კედლებზე და ციხის კარიბჭესთან მცირე შეხლა-შემოხლა გაიმართა ასისთავებსა და ციხის დამცველ ჯარს შორის, მოთმინება ყველამ

დაკარგა.

ცხენზე ამხედრებულები ფარნავაზი და ქუჯი ერთმანეთის გვერდით იდგნენ და ციხეს გაჰყურებდნენ.

ქუჯი მიუბრუნდა ფარნავაზს და ჰკითხა:

– ტყვეები რომ მივუგზავნეთ, როგორ გგონია, გასჭრის ეს ხერხი, თუ მაინც ბრძოლა მოგვიწევს?

ფარნავაზმა ჩაიცინა:

– სამი წელია, რაც აზონთან ვარ და ბერძნულ გარემოცვაში ვტრიალებ. კარგად დავაკვირდი და შევისწავლე ბერძენთა ხასიათი. ხომ ხედავ, რა ხდება მაკედონელის ყოფილ დიდ სამეფოში. როგორ ხოცავენ ერთმანეთს დაუნდობლად ყოფილი თანამებრძოლები. ყოველი მხოლოდ პირადული ზრახვა, გონების თვალის დამბინდველია.

ასეთი საუბარი-მსჯელობა ჰქონდათ ერთმანეთთან ფარნავაზსა და ქუჯის, რომ მოულოდნელად ციხის ერთ-ერთმა მეციხოვნემ გალავნის კედლიდან ციხის დროშა ძირს მოისროლა და ციხის მთავარი კარიბჭის დიდი ალაყაფი მთლიანად გაიხსნა.

ციხე დაეცა.

ციხეში შესულ ქართველთა ჯარს ბერძენმა მეციხოვნეებმა გაკოჭილი ციხისთავი და ასისთავები გადასცეს. ბერძენთა ჯარს აბჯარ-იარაღი და ცხენები ჩამოერთვათ. ბერძენთა ციხისთავს თავის სამალავებში ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაგროვილი ნაძარცვ-ნაგლეჯი და აზონის მიერ გაგზავნილი ჯარის გასამრჯელოთა მრავალი წლების გაუმცემელი სალაროს დიდძალი სიმდიდრე აღმოაჩნდა.

***

ქართველთა ლაშქარს დასვენება ებრძანა. ფარნავაზი, ქუჯი, ბაქარი, რატი, ასევე, მხედართმთავრები: ლაშა, უჩა, რისმაგი, შერგილი და ფარნავაზის ნათესავნი ციხის დიდ დარბაზში განთავსებულიყვნენ სადილად და მცირე ხნით დასასვენებლად. ყველა აღფრთოვანებული იყო ფარნავაზის მოხერხებულობით, მოქმედებითა და სიმშვიდით.

ცეცხლსასროლი ურემ-ეტლების გამოყენებით თუ ასე მალე დაეცემოდა ბერძენთა მიერ გამაგრებული ციხესიმაგრე, არ მოელოდნენ და აღტაცებაში მოსული მხედართმთავრები სიხარულს ვერ მალავდნენ, რომ დიდი ბრძოლის გარეშე ქართველთა ლაშქარმა ბერძნებს სძლიეს.

ქუჯიმ პირველი გამარჯვებისა შესვა და შემდეგ ფარნავაზს მიმართა:

– ჩვენი ერი ყოველთვის თავდაცვით ომებს აწარმოებდა, არასოდეს ჩვენს ერს სხვა ქვეყნების დაპყრობა არ განუზრახავს, ყოველთვის თავდაცვით ომებში ვიყავით ჩართულნი და დამპყრობლური ომი ჩვენს ხალხს არასოდეს არ წამოუწყია, ამიტომაც რამდენადაც მე ვიცი, ლოდებისა და ცეცხლის მტყორცნი შემტევი სახის ეტლები ჩვენ არასოდეს გამოგვიყენებია. ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლიათ ამ ეტლებს და მომავალში, ქვეყნის თავდაცვის მიზნით დიდად გამოგვადგება.

ფარნავაზმა ქუჯის თავი დაუკრა და წარმოსთქვა:

– მაგ ეტლებს კიდევ მრავალჯერ გამოვიყენებთ მაკედონიური ფალანგების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბასრი ცელგამობმული ეტლების გამოყენება ჯერ კიდევ დარიოსმა სცადა მაკედონელის ფალანგების

წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. ორივე მხრიდან ცელის პირებ მიბმულ სწრაფმავალ ეტლებს მაკედონელის ჯარის მებრძოლები უნდა გადაეჭრა და წაესხიპა. სწრაფმავალი ეტლების მიახლოვებისას ფალანგები თავიანთ მწკრივებს ხსნიდნენ, ცხენებს შუაში ატარებდნენ და ეტლის მმართველებს ზურგში შუბის ტყორცნით ხოცავდნენ. ჩვენ ეტლებს სხვანაირად გამოვიყენებთ. ამის შესახებ ბევრი ვიფიქრეთ მე, ბაქარმა და ბაკურმა. ბერძენთა მონაყოლებიდან და შანშე ხევისთვის ნაამბობიდან ვიცით, თუ როგორ მოქმედებენ ბრძოლის დროს ფალანგები. სარკინეს ციხის დაცემისას მცხეთაში დღესაც კი ახსოვთ ფალანგების მრისხანე ძალა.

მაკედონელის ყველა ბრძოლები ლეგენდებად დარჩა და ბერძენთან ასისთავებსა და ათასისთავებს ზეპირად შეუძლიათ მათი აღწერა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია, უნაპირო კუნძულ-ციხე-ქალაქის, ტიროსის აღება. მაკედონელის მიერ ციხე-კედლებისა და გალავნების ნგრევის დიდმა ოსტატმა დიადესმა თავისი ლოდ-ცეცხლ-სატყორცნებით, ტარანტებითა და სხვათა ციხისამღებ კოშკთა მოგონებათა წყალობით დასცა პირდაპირ წყლიდან აღმართული ორმოცი მკლავის სიმაღლის ტიროსის გალავნის კედელი.

მაკედონელმა, მართალია, ჩვენ დაგვიპყრო და ის ჩვენი მტერი იყო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი უდიდესი მხედართმთავარი იყო. მისი ბრძოლების მაგალითზე, ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და შევეცადოთ, რომ მისივე ხერხები გამოვიყენოთ და დავამარცხოთ აზონის ჯარი.

XXX

ქართველთა ჯარის დასვენების შემდეგ, ფარნავაზმა ლაშქრის მცხეთისაკენ დაძვრის მზადყოფნა გამოაცხადა. შებოჭილი ბერძენი ციხისთავი და ასისთავები ტყვეებად დაიტოვა. რამდენიმე ბერძენი მებრძოლი, რომლებსაც ქართული ოჯახები ჰქონდათ შექმნილი, თავის სამსახურში აიყვანა და დახმარებისათვის დიდ პატივისცემას შეჰპირდა.

ეგრის-ქართლის საზღვარზე მდებარე ციხეში ფარნავაზმა რამდენიმე თავისი მეციხოვნე ჩააყენა და ციხე ჩააკეტინა. ციხის დამცველ ბერძენთა ჯარს მცირეოდენი საგზალ-საკვები მისცეს და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გაუშვეს, რათა ტყვედყოფილები თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ.

ფარნავაზმა ბრძანება გასცა და ქართველთა ლაშქარი მცხეთის მიმართულებით დაიძრა. ვარდობისთვის ბოლო დღეს, შეპირებისამებრ, როგორც დათქმული ჰქონდათ, წიწამურის მისადგომებთან ფარნავაზისა და ქუჯის ჯარები შეხვდნენ ოვსთა და დურძუკთ მეფეთა ჯარს, რომელთაც წინ ხევისთავი კახაბერი მოუძღოდა თავისი მხედრობით. ახლადშემოერთებულ ჯარს ფარნავაზმა ახარა ქართლ-ეგრისის მოსაზღვრე ციხის დაცემა. ოვლსთა და დურძუკთ მეფეებმა ფარნავაზს შეპირებული დიდძალი აბჯარ-შეიარაღება ჩამოუტანეს და ქართველთა ჯარს გადასცეს.

მცხეთაში შესვლის წინ გაერთიანებულ ლაშქარს ფარნავაზის წინამძღოლობით წიწამურის ციხე უნდა გაევლოთ. ფარნავაზმა ახალშემოერთებული ლაშქრის მეთაურებს ამცნო, რომ ქართლ-ეგრისის მოსაზღვრე ციხის დაცემის შემდეგ, აზონს 2000 მებრძოლი შემოაკლდა. რაც შეეხებოდა წიწამურის ციხეს, მის

ასაღებად დროს არ დაკარგავდნენ, მაგრამ ციხის შიგნით მყოფ ჯარს კი აიძულებდნენ, რომ ციხის გარეთ გამოსულიყვნენ და ბრძოლა გაემართათ. ამდაგვარად აზონის ჯარს კიდევ უფრო შეათხელებდნენ მთავარი, გადამწყვეტი ბრძოლის წინ.

ფარნავაზმა დაიბარა ორი გადმობირებული ბერძენი და მათ საიდუმლო წერილი ჩააბარა, რომელიც ბერძენ მებრძოლებს ფარნავაზის მეგობარი ასისთავებისთვის უნდა გადაეცათ იდუმლად.

მეორე დავალება ბერძნებს წიწამურის ციხისთავისათვის უნდა მოეხსენებინათ, უნდა ემცნოთ მისთვის: „ქართველები აჯანყდნენ და ეგრის-ქართლის მოსაზღვრე ციხე მთლიანად გადასწვეს უამრავი ცეცხლსასროლი ეტლების გამოყენებით ისე, რომ ქართველთა ჯარი ბრძოლაშიც კი არ ჩაბმულა. შორი მანძილიდან ცეცხლოვანი ბირთვების ტყორცნით მთელი ციხე გადაბუგეს და ჩვენ, ცოცხლებმა ძლივს გამოვასწარით. აჯანყებულები ამჟამად თქვენსკენ მოდიან და წიწამურის ციხეს უახლოვდებიან, მცირე ხანში თქვენც მოგადგებიან და ცეცხლში ამოგწვავენ, შემდეგ კი მცხეთაში შევლენ ქართველები და მცხეთის ძარცვა-დარბევას მიჰყოფენო ხელს.“

ქართველთა აჯანყებამ გაახელა და გააკვირვა წიწამურის ციხისთავი. მას თავის განკარგულებაში 5000 მებრძოლი ჰყავდა და აზონისაგან დავალებული ჰქონდა, მცხეთის ჩრდილო-დასავლეთის კარის შემოსასვლელის ჩაკეტვა, რათა მას მტერი მცხეთაში არ შეეშვა.

ციხისთავმა ჰკითხა მიგზავნილებს, თუ რა ძალას ფლობდნენ აჯანყებულები და რამდენი ცეცხლსასროლი ეტლი გააჩნდათ მათ. მიგზავნილებმაც მოახსენეს ციხისთავს ისე, როგორც რომ ფარნავაზმა დაარიგა:

„ზუსტად არ ვიცით, რამდენი არიან ამბოხებულები, რამდენიმე ათასი კი უნდა იყვნენ, ცეცხლსასროლი ეტლებიც, ალბათ, სამასამდე თუ ექნებათო“.

ბერძენმა ციხისთავმა აზონთან სასწრაფოდ აფრინა მაცნე ამბის შესატყობინებლად, თავის ჯარს კი უბრძანა, ციხიდან გასულიყვნენ, მცხეთისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტათ და აჯანყებული ქართველები გაენადგურებინათ ბრძოლაში და სასტიკად დაესაჯათ ისინი. ამდაგვარად ციხეს ცეცხლის წაკიდებისაგანაც გადაარჩენდა და მცხეთაშიც მტერს არ შეუშვებდა, როგორც დავალებული ჰქონდა აზონისაგან.

5000-კაციანი ბერძენთა ჯარი ციხიდან გავიდა და მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე დადგა. მალე ქართველთა ჯარიც გამოჩნდა. სასროლ მანძილზე მიახლოვებისას ფარნავაზმა ლაშქრის წინსვლა შეაჩერა და ოთხთვლიანი სასროლი ეტლები ჯარის წინ განალაგა. მშვილდოსნებიც ეტლებს შუა და უკან განთავსდნენ.

ფარნავაზმა მისცა ნიშანი და ბერძენთა ჯარისაკენ წამოვიდა ერთდროულად ნასროლი ქვის ლოდები, ქვა-ღორღი, ცეცხლოვანი ბირთვები და ათეულათასობით მშვილდის საბრძოლო ქეიბურები.

ქართველთა ჯარი არ იძვროდა, ერთ ადგილზე იდგა და ბერძენი ციხისთავი შეჰურებდა, ამბოხებულ ქართველთა რამდენიმე ათასიანი ჯარი რამხელა ზარალს აყენებდა ბერძენთა ჯარს. ცეცხლი, ქვა-ლოდი, ისარი და სიკვდილი ერთდროულად ეშვებოდა ბერძენთა ჯარის თავზე და დანაკარგიც უკვე საკმაო იყო მათს მწკრივებში.

გაცეცხლებულმა ციხისთავმა ბრძანება გასცა, ჯარი სწრაფად დაძრულიყო წინ და გველივით გაესრი-

სათ აჯანყებული ქართველნი.

ბერძნულმა ფალანგებმა მწყობრი სვლით ქართველთა ჯარისაკენ იწყეს სვლა.

ქართველთა ჯარი სროლას განაგრძობდა და ნელ-ნელა თანდათანობით, თითო-თითო ნაბიჯით უკან იხევდა, სადაც ფერდობის დაღმართში ქართველთა მთავარი სამხედრო ძალა ბერძენთათვის შეუმჩნევლად იყო განთავსებული.

ფარნავაზმა მისცა ნიშანი და ქართველთა ჯარის მთავარი ძალა დაიძრა მოწინავე ჯართან შესაერთებლად. მარჯვენა ფრთიდან ტყიდან გაშლილად გამოვიდნენ თხუთმეტათასიანი მხედრობა. მარცხენა ფრთიდანაც, ფერდობიდან დაეშვა კიდევ თხუთმეტი ათასი ცხენოსანთა ჯარი.

ბერძენთა 5000 მებრძოლი მარწუხებში იყო მოქცეული. ციხისთავი შედრკა და დაიბნა, არ მოელოდა ქართველთა მხრიდან ამხელა სამხედრო ძალის გამოჩენას. ბერძენთა ჯარიც შეშინდა და მათს რიგებში უწესრიგობა და ქაოსი ატყდა. მათი ჯარის წინა ხაზზე მყოფმა ფარნავაზის მეგობარმა, ბერძენმა ასისთავმა, ფარნავაზის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმართა ბერძენთა ჯარის წინა ხაზის მებრძოლებს: „სუყველა დავიღუპეთ, მცხეთისაკენ გავიქცეთ, თავს ვუშველოთო“.

ბერძენთა ჯარის უკანა ხაზზე მდგომი მეორე ბერძენი ასისთავი კი, ფარნავაზის წერილის თანახმად, ბერძენ მებრძოლებს მოუწოდებდა: „უკან, ციხეში დავბრუნდეთ, რომ სიკვდილს გადავრჩეთო“.

შემდრკალ და შეშინებულ ბერძენ მებრძოლებსაც ამ სიტყვების გაგონება სურდათ, რადგან დიდ უთანას-

წორო ბრძოლაში უაზროდ დაღუპვა არავის უნდოდა. მთელი ჯარის გასაგონად, მხედართმთავარს, ციხისთავსაც შესძახეს ასისთავებმა: — „აზონს შევუერთდეთ, დიდ მთავარ ჯართან ერთად ვიბრძოლოთ ამბოხებულთა წინააღმდეგო“.

გატყდა ბერძენთა ჯარი, წინა ხაზის მებრძოლები მცხეთისაკენ გარბოდნენ, უკანა ხაზის მებრძოლები კი უკან, ციხისაკენ მიიჩქაროდნენ, თუმცაღა, ჯარი ციხესაც უკვე საკმაო მანძილით იყო დაშორებული. ბერძენთა დაბნეულ, დაქსაქსულ და ორად გაყოფილ ჯარს ქართველთა ლაშქრის მხედრობა დაედევნა და ხმლით კაფავდნენ, ვისაც კი მიუსწრებდნენ. ბერძენთა ჯარის ნაწილმა მოასწრო ციხეში შესვლა და ციხის შიგნიდან ჩაკეტვა, ნაწილი მებრძოლებისა კი მცხეთისაკენ თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ.

ფარნავაზმა ბრძოლის შეწყვეტა ბრძანა და გაისმა ბუკთა ჩამბერთა ბრძოლის დამთავრების ნიშანის ხმა.

ფარნავაზს წიწამურის ციხის აღებისათვის დრო არ უნდოდა დაეკარგა. მცხეთისაკენ მიმაალი გზა თავისუფალი იყო, ციხის დამცველთა ხუთი ათასიანი ბერძენთა ჯარი განახევრებულიღა დარჩა. მთავარი ახლა სისწრაფე იყო, რომ აზონს არ ჰქონოდა არც დრო და არც მოფიქრება-მომზადების საშუალება, რათა დიდი საბრძოლო ძალები არ შეეკრიბა და საომრად სათანადოდ არ მომზადებულიყო.

ფარნავაზმა თავისი ლაშქარი ავჭალის მიმათულებით დაძრა, სადაც ბაკური და ელიზბარი, ყაფლანთან ერთად, უნდა შეერთებოდნენ ქვემო ქართლისა და კახ-ჰერთა გაერთიანებული ჯარით. ეგრის-ქართლის მოსაზღვრე ციხესიმაგრის დატყვევებული ბერძენი

ციხისთავი გაათავისუფლა, აზონთან გაუშვა და დაავალა, აზონისთვის გადაეცა: „ქართლის სპასპეტის შვილი, ფარნავაზი შურის საძიებლად მოდის შენზე და ქართველთა ჯარი მცხეთას ავჭალის მხრიდან უახლოვდებაო“.

***

გაღიზიანებულ-გაცოფებული აზონი სასახლის დიდ დარბაზში აქეთ-იქით ნერვიულად გადი-გამოდიოდა მის წინ ფეხზედ მდგომარე, დამუნჯებული მხედართმთავრებისა და სამეფო მოხელეების თანდასწრებით.

წიწამურის ციხიდან გამოგზავნილმა მაცნეებმა აზონს აუწყეს, რომ ქართველები ამბოხებულან, ქართლ-ეგრისის მოსაზღვრე ციხე აუღიათ და ახლა წიწამურის ციხეს უახლოვდებიანო. სამეფო კარის მრჩევლებმა და ხელქვეითებმა, არავინ არა უწყოდა რა ქართველთა ამბოხების შესახებ და მხოლოდ თვალებგაფართოვებულნი უსიტყვოდ მხრებს იჩეჩავდნენ.

აზონისათვის დაუჯერებელი იყო, რაც შეატყობინეს და გაცეცხლებული მიმართავდა თავის ხელქვეითებს:

— როგორ თუ, დასავლეთის საზღვრის ციხე დასთმეს! ციხის დამცველი 2000 მებრძოლი სად არის? შეუძლებელია და დაუჯერებელი, რომ დამშეულ-გაუბედურებულმა ხალხმა ასე შეგაშინათ! ქართველებს არც ჯარი ჰყავთ და არც იარაღი აქვთ! გეჩვენებათ, ალბათ, რაღაც და ან კიდევ, კარგად ვერ გაგიგიათ, რა ხდება!

აზონმა თავის ერთ-ერთ მხედართმთავარს დაავ-

ალა, სარკინეს ციხეში წასულიყო და 5000 მებრძოლი ჯარი სასწრაფოდ გაემზადებინა წიწამურის ციხისაკენ გასასვლელად და მათ დასახმარებლად ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. მანამდე კი, სასახლიდანვე გაეგზავნა მალემსრბოლები წიწამურის ციხეში, რათა მათ დანამდვილებით გაერკვიათ, რა ხდებოდა და ამდაგვარად დრო მოეგოთ, სანამ ბერძენთა ჯარი სარკინეში მზადყოფნაში მოვიდოდა.

მალემსრბოლთა დაბრუნებას დაელოდებოდა მხედართმთავარი და თუ ნამდვილად საჭიროდ ჩათვლიდა, ჯარით გასულიყო სარკინეს ციხიდან წიწამურის მეციხოვნეთა დასახმარებლად და სამეფო სასახლეში კი მაცნე გამოეგზავნა ამბის საცნობად.

ბერძენმა მხედართმთავარმა სასახლის დარბაზი დატოვა, წიწამურში მალემსრბოლები გაუშვა და თვითონ კი ამალის თანხლებით სარკინეს ციხისაკენ გასწია. გზად მიმავალი ახლაღა დააკვირდა და შეამჩნია, რომ მცხეთაში უჩვეულო სიმშვიდე და სიჩუმე სუფევდა. მცხეთა თითქოს დაცარიელებულიყო, მხოლოდ რამდენიმე ქალი თუ შეიმჩნეოდა დაცარიელებულ ქუჩებში.

სარკინეს ციხეში მისვლისას ბერძენმა მხედართმთავარმა ჯარის საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა და 5000 მებრძოლის წიწამურის ციხისაკენ გასასვლელად მომზადება დაიწყო.

რამდენიმე ხანში მეთვალყურემ სარკინეს ციხისთავსა და აზონის მიერ გამოგზავნილ მხედართმთავარს აცნობა, რომ ციხეს ორი მხედარი უახლოვდებოდა. მხედრები სამეფო სასახლიდან წიწამურს გაგზავნილი მალემსრბოლნი აღმოჩნდნენ. მათლ მონაყოლის მოსმენისას, ციხისთავი და ბერძენი მხედართმთავარი შეძ-

რწუნებულნი და გაოგნებულნი დარჩნენ.

დასავლეთის საზღვრის ციხე ამბოხებულ ქართველებს მართლაც აეღოთ და ორი ათასი ბერძენი ციხისდამცველი უკვალოდ გამქრალიყო. წიწამურის ციხის ხუთი ათასიანი ჯარი კი განახევრებულიყო და ცოცხლად გადარჩენილი ბერძენი მებრძოლები ზოგი მცხეთას გარბოდა, ზოგიც კი წიწამურის ციხეს შებრუნებულა.

ქართველთა ჯარს წიწამური მიეტოვებინა და მცხეთისაკენ დაძრულიყო.

ბერძენმა მხედართმთავარმა სარკინეს ციხე დატოვა და სასწრაფოდ სასახლისაკენ გაეშურა აზონისათვის შესატყობინებლად, რომ მცხეთას მალე ამბოხებულ ქართველთა ჯარი მიადგებოდა.

სასახლეში მისვლისას ბერძენმა მხედართმთავარმა ყოველივე დაწვრილებით მოახსენა აზონს, რაც კი რამ შეიტყო წიწამურიდან მობრუნებული მალემსრბოლისაგან.

აზონს თვალები სისხლით აევსო და გაცეცხლდა, არ უნდოდა, დაეჯერებინა, რაც ესმოდა და გაცოფებული დაჰღრიალებდა თავის მხედართმთავრებს:

– მშიშრებო! მხდალებო! ყველაფერს აზვიადებთ თავის გასამართლებლად. გეჩვენებათ, რომ ქართველებს ჯარი ჰყავთ, კავალერია და ციხის მნგრეველი ტარანტები. შეუძლებელია და წარმოუდგენელი, რომ აჯანყებულთა ბრბომ გუშინ დასავლეთის საზღვრის ციხე აიღო, დღეს დილით წიწამურის ციხე და ახლა შუადღეგადასულს მე მემუქრებოდნენ აქ, მცხეთაში.

გაიგეთ, ვინ ხელმძღვანელობენ მათ, ვინ არიან მათი წინამძღოლები. შეიპყარით ყველანი და მცხეთის მოედანზე სახალხოდ სასტიკად დავსჯი! პირალესილ მაღალ სარებზე დავასმევინებ ყველას სანახავად,

თქვენ ოღონდ გაიგეთ, ვინ არიან ისინი და სწრაფად შეიპყარით.

– ფარნავაზი! ფარნავაზია ამბოხებულ ქართველთა მეთაური! – წამოიძახა ეგრის-ქართლის მოსაზღვრე ციხისთავმა, რომელიც სასახლის დაცვას აზონთან შემოეყვანა და ისმენდა განრისხებული აზონის მუქარას.

– როგორ თუ ფარნავაზი? – გაისმა დარბაზში ბერძენთა გაკვირვებული ხმები.

– არა მარტო ფარნავაზი და ქართველნი, არამედ კოლხნიც, ოსნიც და დურძუკნიც შეუერთდნენ მათ, – გააგრძელა მოყოლა ბერძენმა ციხისთავმა და შემდეგ დაწვრილებით უამბო აზონს, რაც თავის თვალით იხილა და რაც ფარნავაზმა დააბარა აზონისათვის გადასაცემად.

აზონი ყურადღებით უსმენდა ციხისთავის მონაყოლს და შემდეგ სიძულვილით გასცრა სიტყვა კბილებში:

– გველი გამიზრდია ჩემს გვერდით, გველი! – მეფობა მოინდომა მაგ ძაღლის გაგდებულმა ხომ! მამამისსა და ბიძამისზე უარესს დავაწევ, სარზე გავსვამ მაგ ძაღლიშვილს! – ბილწსიტყვაობდა და არ ცხრებოდა აზონი.

შემდეგ მიუბრუნდა თავის ხელქვეითს და ფარნავაზის ოჯახის წევრების დატყვევება უბრძანა, რაზედაც ხელქვეითმა მიუგო, რომ მისივე დავალებით, გუშინ იყო ფარნავაზის სახლში მომავალი ნადირობის შესატყობინებლად, მაგრამ მსახურის გარდა არავინ დახვდა, „მთაში წავიდნენო დღესასწაულზე, შევატყობინებთ და მალე ჩამოვაო“, – უთქვამს მსახურს.

– დღესასწაულს მოვუწყობ მაგათ, არავის ცოცხალს არ დავტოვებ! – გაჰყვიროდა აზონი.

შემდეგ თავის მხედართმთავრებს მიუბრუნდა და მთელი თავისი რისხვა მათ დაატეხა თავს:

– დაგავიწყდათ ომი და ბრძოლა! გადაეჩვიეთ ჯარს! გაგაფუჭათ და გაგრყვნათ კარგმა ცხოვრებამ. ორ დღეში ფარნავაზმა ორი ციხე დაიმორჩილა და 5000-მდე მებრძოლი გამინადგურა, თქვენ კი არავინ ამის შესახებ არაფერი იცით. ჯერ იმ ძაღლიშვილს მივხედავ და მერე თქვენ მოგივლით! სასწრაფოდ შეჰკრიბეთ ჯარი, გამოიყვანეთ ყველა, ვისაც კი ხელში მახვილის დაჭერა შეუძლია, თქვენი შვილების ჩათვლით. მე თვითონ წარვუძღვები ჯარს და გაგახსენებთ, თუ რა არის ომი და ბრძოლა! – გაბრაზებით დაემუქრა აზონი თავის ქვეშევრდომებს და საბრძოლო აბჯარ-მუზარადის ასასხმელად დარბაზიდან გავიდა.

XXXI

სადილობა გადასული იყო, როდესაც აზონი თავისი ჯარით მცხეთის შესასვლელთან ავჭალაში განთავსდა. მცხეთის ოთხივე ციხიდან და სამეფო სასახლიდან გამოყვანილი და შეკრებილი აზონის ჯარი 25 000 მებრძოლს მოითვლიდა. მალევე მეთვალყურეებმა აზონს აუწყეს, ავჭალის სამხრეთ მისადგომებთან ქართველთა დიდძალი ლაშქარი გამოჩნდაო. აზონმა თავისი ჯარი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა და მცირე ხნის შემდეგ შეამჩნია, როგორ უახლოვდებოდა ქართველთა ლაშქარი ავჭალის ველს.

ქართველთა ჯარის ქვეითი ნაწილები, აბჯარ-მუ-ზარადასხმულები, თორით, ჯაჭვის პერანგებითა და კარგი შეიარაღებით აღჭურვილნი, მწყობრად მოი-წევდნენ წინ. ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე დიდძალი ცხენოსანთა მხედრობა განთავსებულიყო. ქართველთა ლაშქრის მთავარ დამრტყმელ, დიდი ქვეი-თი ჯარის უკან ცხენოსანთა მხედრობა მრავლად გან-ლაგებულიყო.

ქართველთა ლაშქარი ავჭალის ველზე შემოვიდა. შეჩერდა და ბრძოლის ველზე განთავსდა. ლაშქარს წინ ოთხი ძვირფასი აბჯარ-ასხმული მხედარი მოუძღოდა, რომელთაც უკან კიდევ ოცამდე მხედარი ცხენზე ამხე-დრებული მეომარი მოჰყვებოდათ.

გაოცებულმა და გაკვირვებულმა აზონმა თავის მხ-ედართმთავრებს შეჰყვირა:

– რა არის ეს? საიდან ამხელა ჯარი ქართველებს? საიდან ამხელა შეიარაღება? სად იყავით თქვენ, როგორ ვერ შეამჩნიეთ? ლაშქარი ქართველებს სამჯერ მეტი ჰყავთ, ვიდრე მე. საიდან ამდენი ცხენები და აბჯარი? ვინ არიან ისინი, მეტყვის ვინმე? – და ცხენის მათრახი გაიშვირა ქართველთა ლაშქრის წინამძღოლებისაკენ.

გაოცებული და გაფითრებული ბერძენი მხედართ-მთავრები ხმას ვერ იღებდნენ, არავინ არაფერი არ იცო-და, რა ეთქვათ, ან რითი ემართლათ თავი.

აზონმა დასავლეთის საზღვრის ციხის ტყვედყოფი-ლი ციხისთავი მოაყვანინა.

დამფრთხალმა ციხისთავმა აზონს განუმარტა, „ ქართველთა ლაშქრის წინ მდგარი ოთხი აბჯარ-ასხმუ-ლი მხედარი ფარნავაზი, ეგრისის ერისთავი, ქუჯი, ოსთა მეფე და დურძუკთა მეფე უნდა იყვნენ, მათ უკან

მდგარი მხედრობა კი ქართველთა ლაშქრის მხედართ-მთავრები და ათასისთავები არიანო.“

გაკვირვებულ-გაშტერებულ აზონს სიბრაზისაგან სიტყვა წაერთვა. გაბოროტებული, სისხლმოწოლილი თვალებით შეჰყურებდა თავის მხედართმთავრებს და ბოლმა ახრჩობდა, შორს მდგარ ქართველთა ლაშქარს გაჰხედავდა და და ნერვიულობისაგან შეუჩერებლივ მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „ძაღლიშვილები!“ — ვის გულისხმობდა ამ ერთ სიტყვაში, ქართველებსა თუ თავის მხედართმთავრებს, ადვილი წარმოსადგენია, იმათაც და ამათაც.

ავჭალის ველზე ბრძოლისწინა ამაზრზენი მოჩვენებითი სიმშვიდე იდგა. ჰაერში ათეულ ათასობით კაცისა და ცხენთა ერთმანეთში აღრეული ოხშივარი ტრიალებდა. ყრუ სიმძიმესავით მოისმოდა რკინა-აბჯართა ჟღრიალ-ჩხრიალი და ცხენთა ფლოქვების თქარუნი. მოწინაარმდეგე მხარეები ერთმანეთს შორიდან თვალით ზომავდნენ.

ცხენზე ამხედრებულ ფარნავაზს მარჯვნივ ქუჯი ედგა, მარცხნივ კი დურძუკთა და ოვსთა მეფენი. მათ უკან ქართველთა ლაშქრის მხედართმთავრები განლაგებულიყვნენ ცხენებზე ამხედრებულნი: კახაბერი, ბაკური, ელიზბარი, ბაქარი, რატი, ლაშა და უჩა. მხედართმთავართა სიახლოვეს მათივე ათასისთავები განთავსებულიყვნენ: ყაფლანი ჰერეთიადნ, რისმაგ და შერგილ სვანთა მამაცი მხედრობიდან; ხევისთავი კახაბერის შვილები: შავლეგ, ზეზვა, მინდია, თედო და იმედა; ფარნავაზის ნათესავნი: ივერი, ზევახ, დაჩი, ჭაბუა და იმერი. მათს მომდევნოდ, ოსთა და დურძუკთა ათასიათავები დამდგარიყვნენ.

ათასისთავთა უკან, ერთმანეთის გვერდით მხარდამხარ დამდგარიყვნენ ეგრისელთა, სვანთა, ქართლელთა, მთიელთა, კახთა, ჰერთა, ოვსთა, დურ-ძუკ-ლეკთა ჯარები და მათ გზადადგზა მიერთე-ბულნი აღფრთოვანებული ქართველთა მოსახლეობა, აგრეთვე, ქართველთა მხარეს გადასული რამდენიმე ათეული ბერძენი მებრძოლი.

ფარნავაზმა ცხენი ჯარისაკენ მიატრიალა, მარ-ჯვენა ხელი ზე აღმართა და ომახიანი ხმით ლაშქარს მიმართა:

– მეომარნო და მამულიშვილნო! მე, ფარნავაზი ძე ადარნასესი, სპასპეტისა ქართლისა, მოგმართავთ თქვენ, დადგა დრო, რომ გავათავისუფლოთ მტრისაგან ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი სახლ-კარი და განვდევნოთ მტერი მცხეთიდან, რათა ახლადშექმნილ, გაერთიანებულ და ძლიერ საქართველოში თავისუ-ფლად და ბედნიერად იცხოვრონ თქვენმა შვილებმა, ცოლებმა და დედებმა;

დღეს მე თქვენ გპირდებით, რომ აზონი დამარ-ცხებული და განდევნილი იქნება ჩვენი სამშობლოდან და შემდეგ ერთად შევუდგეთ ჩვენი განახლებული ქვეყ-ნის აღშენებასა და გაძლიერებას!

ქართველთა ლაშქარმა ომახიანი შეძახილებით აიტაცა ფარნავაზის სიტყვა.

ფარნავაზმა ბაქარს ანიშნა, დროა დავიწყოთო და თვითონ ისევ ქუჯისა და ოვსთ-დურძუკ მეფეთა შუაში დადგა. ბაქარის უკან მდგომ ქართველთა მხედრობას ერთი მხედარი გამოეყო და ცხენი აზონის ჯარის მიმა-რთულებით გააჭენა. მხედარი შუა ველზე შეჩერდა, უბიდან თეთრი ბაირაღი ამოიღო, მაღლა აღმართა და

აქეთ-იქით ქნევა დაიწყო.

ყველასათვის მოულოდნელად, აზონის ჯარს მძიმე ჯავშნოსანი თორიანი ათასი მხედარი გამოეყო, ისინი სწრაფად დაიძრნენ ქართველთა ჯარის მიმართულებით და მათთან მიახლოვებისას, ბერძენთა ათასი მხედარი ქართველთა ლაშქრის გვერდით დადგნენ, ზუსტად ისე, როგორც რომ ფარნავაზის წერილი ამცნობდა ბერძენთა ჯარის ასისთავებს, რათა ამ ხერხის გამოყენებით გატეხილიყო აზონის ჯარის საბრძოლო სულისკვეთება.

ყოველივე ამას აზონი გაოგნებული შეჰყურებდა და საკუთარ თვალებს არ უჯერებდა.

– რა ხდება, გამაგებინეთ! – შეჰყვირა გაანჩხლებულმა აზონმა.

– ქართული ოჯახები რომ აქვთ შექმნილი, ისინი არიან და მათი შვილები, ზოგნიც კი ფარნავაზის მეგობარნი არიან, – ხმადაბლა წარმოსთქვა შეშინებულმა აზონის უკან მდგომმა ერთ-ერთმა ბერძენმა მხედართმთავარმა.

აზონი სულ გადაირია და უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება დაუწყო თავის ქვეშევრდომებს. ფარნავაზმა ნიშანი მისცა და ქართველთა ლაშქარი საბრძოლო მწყობრის დაწყობა-განლაგებას შეუდგა. ძირითადი ქვეითი ლაშქარი შუაზე გადაიხსნა და მათ უკან განლაგებული 12 ათასი მხედარი წინ წამოვიდა, რომლებიც 1000 გრძელშუბოვან თოროსან ბერძნებთან ერთად, სამკუთხოვან დიდ ჯარ-წყობილებად განთავსდნენ, რომლებიც სოლივით უნდა შეჭრილიყვნენ აზონის ლაშქრის ცენტრში და გაერღვია იგი, ბერძენთა ჯარი ამდაგვარად ორად გაყოფილი დარჩებოდა.

ქართველთა მხედრობის სამკუთხოვან წყობა-დაჯგუფებას აქეთ-იქიდან, ორივე მხარეს, ძირითადი ქვეითი ჯარი ამოსდგომოდა. ქვეით ჯარს კი ფლანგებზე ორივე მხრიდან ცხენოსანთა ჯარი დაუდგა გვერდით. მარცხენა ფლანგზე ოვსთა მეფის 10000 მხედარი, მარჯვენა ფლანგზე კი დურძუკთა მეფის 10 000 მხედარი.

აზონი მიხვდა ფარნავაზის ჩანაფიქრს. ფარნავაზი თავისი ლაშქრის წყობა-განლაგებით აზონს დაუმალავად ანიშნებდა და აშკარად ემუქრებოდა, რომ ისევე გაანადგურებდა, როგორც მაკედონელმა გაანადგურა დარიოსი გრანიკუსთან ბრძოლაში, როგორც მაკედონელმა დარიოსის ჯარი ზღვის პირას შებოჭა, მოქმედებისა და ჯარის გაშლის საშუალება არ მისცა და დარიოსი იძულებული გახდა, გაქცევით ეშველა თავისთვის. აზონი არ მოელოად ამას ფარნავაზისაგან, ერთი კი გაიფიქრა – „ვერ შევაფასე სათანადოდ ფარნავაზიო“ და შემდეგ შორიახლოს გამდინარე მტკვარს გახედა. მთებში თოვლის დნობა დაწყებულიყო, ამას გაზაფხულის წვიმებიც დამატებოდა და მდინარე მტკვარი საკმაოდ ადიდებული და წყალმომატებული, ღონივრად და მდორედ მოდიოდა.

ქართველთა ლაშქარი ნელი სვლით აზონისაკენ დაიძრა. ბრძოლის ველზე მტვერი და ბუღი ავარდა. ცხენთა ფლოქვების თქარუნისაგან მიწა ზანზარებდა.

აზონმა თავის ჯარს გადახედა. მის მებრძოლებს დაბნეულობა ეწერათ სახეზე. ალაგ-ალაგ, აქეთ-იქიდან ბერძენთა ჯარის მწკრივებს დროდადრო ათეულობით მებრძოლნი გამოეყოფოდნენ ხოლმე და სირბილით

ქართველთა მხარეს გადადიოდნენ.

ყველასათვის ნათელი იყო, რომ ბერძნებს ბრძოლა წაგებული ჰქონდათ. იცოდნენ, თუ როგორ იმოქმედებდა ფარნავაზი. ცენტრში სოლისებური დარტყმა-გარღევით და ფლანგებიდან ქართველთა ცხენოსანთა ჯარის შებოჭვით, ორად გაყოფილი ბერძენთა ჯარი ადიდებულ მდინარემდე დაიწევდა ნელ-ნელა და შემდეგ კი ბერძენთა ჯარის განადგურება და აზონის მებრძოლთა ამოხოცვა მხოლოდ დროის საქმეღა იყო.

აზონს ვერ გაებედა, რომ თითქმის 60-ათასიანი ფარნავაზის ლაშქარს შებმოდა 20 ათასზე ოდნავ მეტი მებრძოლით. აზონმა მცხეთის გარშემო მთებს სევდიანად მოავლო თვალი, შემდეგ მწარედ ჩაიცინა, ცხენი მიატრიალა და ბერძენთა ჯარის მცხეთაში დაბრუნება ბრძანა. შეშინებულმა ბერძენთა ჯარმაც შვებით ამოისუნთქა, რადგან უაზროდ სიკვდილი არავის არ უნდოდა.

ფარნავაზმა უკან გააყოლა აზონის ჯარს ქართველთა ლაშქარი, ცხენოსნებს კი დაავალა, დასწეოდნენ ბერძენთა ქვეით ფეხოსანთ და მათთვის დიდი ზიანი მიეყენებინათ, რათა ბერძნებს მცხეთა არ გადაეწვათ, არ გაეძარცვათ და არ აეოხრებინათ.

წინ ფარნავაზმა მეთვალყურენი გაუშვა, რადგან კარგად იცნობდა აზონის ხასიათს; შესაძლებელი იყო, აზონს ქართველთა ლაშქრის წინააღმდეგ რაიმე ხრიკი ან ჩასაფრება მოეწყო, მაგრამ აზონს ამის დრო და უნარი აღარ ჰქონდა; ქართველთა ლაშქარი ძალიან მოულოდნელად და დიდი სისწრაფით დაეცა თავს.

აზონიც კარგად იცნობდა ფარნავაზის ხასიათს. როგორც ნადირობისას ფარნავაზი არ მოეშვებოდა

დაჭრილ ნადირს და ბოლომდე მისდევდა ხოლმე, ახლაც ასე ფეხდაფეხ გამოეკიდებოდა მას, ვითარცა დაჭრილ ნადირს და არ მოეშვებოდა მანამ, სანამ ბოლოს არ მოუღებდა. ამიტომ აზონმა თავის მხედართმთავრებს დაავალა, მთელი ჯარი სამეფო სასახლის ციტადელ-გალავანში შეეყვანათ, ციხესიმაგრის ჭიშკარი საიმედოდ გაემაგრებინათ, გალავნის კედლებზე მეციხოვნენი დაეყენებინათ და სამეფო სასახლისაკენ მიმავალი, მდინარეზე გადებული ხიდები დაეწვათ და მოეშალათ.

ფარნავაზი თავისი ლაშქრით მცხეთაში შევიდა და მთელი ქალაქი დაიკავა.

მცხეთაში ერთი ბერძენიც აღარ დარჩენილიყო, ყველა ციტადელში გადასულიყო.

მცხეთის მოსახლეობა გახარებულნი და თვალცრემლიანნი ეგებებოდნენ ფარნავაზსა და ქართველთა ლაშქარს. აღტაცებულ ხალხს ფარნავაზი ღიმილით ხვდებოდა.

რუსუდანი და ფარნავაზის დები, გურანდა და ნანიც სიხარულისაგან ატირებულები შეეგებნენ ფარნავაზს, ისინი საბა მჭედლის სახლში იყვნენ გადამალულნი.

ფარნავაზი თავისი ლაშქრით მდინარის პირას, სამეფო ციხესიმაგრის მოპირდაპირედ გაჩერდა. ბერძენი მეციხოვნენი ციხესიმაგრის გალავნის კედლებიდან თვალს ადევნებდნენ ქართველთა ლაშქრის მოქმედებას.

ფარნავაზმა ბრძანება გასცა, რომ ქართველთა მთელი ლაშქარი ციხის მოპირდაპირედ, მდინარის პირას განთავსებულიყვნენ, საღამო ხანს კოცონები მრავლად დაენთოთ, ჯარს დაესვენა, ხოლო მეთვალყურენი კი ფხიზლად ყოფილიყვნენ, რომ აზონის ჯარის უმნიშ-

ვნელო მოძრაობაც კი არ გამოჰპარვოდათ. აზონის მიერ დამწვარი ხიდების სანაცვლოდ კი ორი სახელდახ-ელო ხიდი და რამდენიმე ბორანი დაემზადებინათ.

ფარნავაზმა თავის მხედართმთავრებს და ათა-სისთავებს დაავალა, ყურადღება არ მოედუნებინათ, ჯართან ახლოს ყოფილიყვნენ და იქვე ახლოს მიმდე-ბარე სახლებში გაჩერებულიყვნენ.

XXXII

ფარნავაზმა თავის ოჯახის წევრებთან ერთად თა-ვისი ბავშვობისდროინდელ მამისეულ სახლს მიაკითხა, რომელიც მდინარეთან ახლოს მდებარეობდა და თან გაიყოლა ქუჯი, ოვსთა მეფე ზაურ და დურძუკთა მეფე, სირამეგ, ბაქარიც თან იახლა მცირეოდენი დაცვის მებ-რძოლებით და ოცდასამი წლის შემდეგ, ფარნავაზი მამისეული სახლის კიბეებზე შესდგა.

რუსუდანს კარგად ახსოვდა, მცხეთაში მთიდან ჩა-მოსვლისას, თავისი ყოფილი სახლის აივანზე, ვიღაც ბერძენი რომ იდგა გაჯგიმული. როგორც ქაიხოსროსა-გან შეიტყო, ის ბერძენი აზონის ნათესავი ყოფილა. სახლში შესვლისას იქ მხოლოდ ერთი მოხუცი მსახური დახვდათ, სახლი ცარიელი იყო. წარჩინებულ ბერძენს მთელი სიმდიდრე აეკრიფა და თავისი ოჯახით აზონთან ციხესიმაგრეში გადასულიყო.

ფარნავაზმა ოვსთა და დურძუკთ მეფეს თავისი

ოჯახობა წარუდგინა. ქუჯიმ და ნანიმ დიდად გაიხარეს ერთმანეთთან შეხვედრით.

ქართველთა ლაშქარს მძიმე დღე ჰქონდა გავლილი, ხვალინდელი დღე კი უფრო რთული და მძიმე იქნებოდა, რადგან ფარნავაზი დილიდანვე სამეფო სასახლის ციხე-სიმაგრის დალაშქვრას აპირებდა; ამიტომ ფარნავაზის ოჯახობა და მისი სტუმრები სწრაფადვე დასხდნენ მსუბუქად სავახშმოდ, რომ ხვალინდელი ბრძოლის წინ დასვენება მოესწროთ.

ქუჯიმ ეგრისიდან წამოღებული ძვირფასი სამკაულები მიართვა დამორცხვებულ ნანის.

ოვსთა და დურძუკთ მეფეებმა მიულოცეს ქუჯის და ნანის დანიშვნა და, როდესაც გაიგეს, რომ მალე მათ დიდი სამეფო ქორწილი უნდა ჰქონოდათ, ქორწილში დასწრების სურვილი გამოსთქვეს.

ოვსთა მეფე ზაურ, ახალგაზრდა და უცოლო კაცი იყო; ზაურ და ფარნავაზი ბავშვობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს და ახლო მეგობრობა ჰქონდათ. მხიარულებასა და კარგ ხასიათზე მყოფმა ოვსთა მეფემ ფარნავაზს ოჯახი შეუქო, დედა დაუფასა, მისი დები კი გურანდა და ნანი უმშვენიერესი სიტყვა-კაზმულობით შეაქო და თან სხვათა შორის იკითხა, გურანდაც თუ ჰყავდათ დანიშნული.

რუსუდანმა ღიმილით გადახედა ფარნავაზს, აწითლებულ გურანდასა და შემდეგ ოვსთა მეფეს. ფარნავაზმა შეამჩნია დედის მრავლისმეტყველი მზერა და ღიმილ-ხუმრობით მიუგო ოვსთა მეფეს:

– მადლობელი ვარ, ჩემო ზაურ, კეთილი სიტყვებისათვის და ჩემი ოჯახის, დედისა და დების ჩემის სათანადოდ დაფასებისა. როგორც უკვე იცი, ჩემს უმცროს

დას, ნანის, ეგრისის მმართველს ვაძლევ ტახტის თანამოზიარედ და მალე დიდი სამეფო ქორწილი გვექნება. წესი უნდა გავაგრძელოთ და გურანდასაც მეფური საქმრო შევურჩიოთ, რომ ჩემი და მას ტახტის თანამოზიარედ მივცე და ჩავაბარო.

ამის შესახებ შემდეგ ვისაუბროთ, მთავარი კი ის არის, რომ ხვალინდელ ბრძოლაში დიდად გაფრთხილდეთ, რადგანაც ყველა ცოცხლები მჭირდებით მე და არა მხოლოდ მე, სხვასაც ცოცხლები დასჭირდებით.

ასაკოვანი დურძუკთა მეფე, სირამეგ, გაღიმებული შეჰყურებდა ახალგაზრდა და ვაჟკაც მეფეთა ახალ თაობას, რადგან მათ შესძლეს ის, რასაც მათი მამების თაობის ხალხი ჩუმად საუბარსაც კი ერიდებოდნენ.

დურძუკთა მეფეს სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდა, რომ იმ ახალი თაობის გვერდით იდგა, რომელნიც უშიშრად აღსდგნენ მტრის წინააღმდეგ და თაივანთი ქვეყნების დამპყრობლისაგან გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

***

გამთენიისას, მამლის პირველი ყივილის შემდეგ, ქართველთა ლაშქრის მეთვალყურეებმა შეამჩნიეს, რომ სამეფო ციხესიმაგრის გალავანზე დანთებული ჩირაღდნებისა და მეციხოვნეთა რიცხვი საკმაოდ შემცირებულიყო.

ქართველთა ასისთავებმა იფიქრეს, აზონის ჯარს ან სძინავს, ან კი რაიმე ხერხი ან ჩანაფიქრი თუ აქვთ განზრახულიო და მეთვალყურეებს დაავალეს, დიდი ყურადღებითა და სიფხიზლით ყოფილიყვნენ.

XXXIII

გათენდა. თიბათვის პირველი დღე დამდგარიყო. მცხეთის მთების თავზედ უშველებელი ნარინჯისფერი მზე ამოცურებულიყო და უხვად დაეფრქვია თავისი ოქროსფერი სხივები ქართლის მთაზე შემდგარ ციხე-ციტადელზე, რომლის გალავნის კედლები და კოშკნი აელვარებულიყვნენ მზის სხივთა შუქისაგან.

ცხენზე ამხედრებული ფარნავაზი მდინარის პირას მცირე მაღლობზე შემდგარიყო და შეჰყურებდა მზეზე მოელვარე ციხესიმაგრეს, რომელსაც მზის პირველი სხივების მოხვედრისას ხოხბის ყელის ფერი ოქროცურვილი მისცემოდა, რომელიც მზის ამოსვალასთან ერთად ნელ-ნელა ელფერს იცვლიდა და თანდათანობით ციხესიმაგრეს ნეკერჩხლის გამხმარი ფოთლის ფერი ედებოდა.

ამ სილამაზით მოხიბლულ ფარნავაზს მზით მადლგარდმორცხმული თავისი სიზმარი გაახსენდა, ჯერ-ჯერობით ყოველივე კარგად აუხდა.

სამეფო სასახლესთან არსებული შიდა ეზოს ბაღიდან ფარშავანგთა შორეული კივილი მოისმოდა. ქართველთა ლაშქარი მდინარის პირას განლაგებულიყო და ფარნავაზის ნიშანს ელოდნენ, რათა მდინარე გადაელახათ და ციხესიმაგრეზე იერიში მიეტნაათ.

აზონის მეციხოვნენი ციხის გალავნის თავზე აღარა სჩანდნენ, საოცარი სიჩუმე იდგა და ციხის კედლების ქონგურებზე მხოლოდ რამდენიმე ჩაუმქრალი ჩირაღდანი თუ ბოლავდა და ბჟუტავდა.

საოცარმა და იდუმალმა სიჩუმემ ფარნავაზი დააეჭვა და გააოცა. მდინარის საპირისპირო მხარეს მას

მეთვალყურენი ჰყავდა გადაგზავნილი და მათ პასუხს ელოდა.

წინადღეს, აზონის მიერ მოშლილ-გადამწვარი ხიდ-ის სანაცვლოდ, ქართველ მებრძოლებს ორი ბორანი და ერთი დასაკიდი ხიდი გაემზადებინათ და მზად იყვნენ, ხიდი მდინარის თავზე გაეკიდათ. გაღმა ნაპირიდან

ფარნავაზის მცხეთაში შესვლა. ზურაბ კალატოზიშვილის ნახატი.

დაბრუნებულმა მეთვალყურეებმა ფარნავაზს აუწყეს, რომ ციხეში სრული სიმშვიდეა, სიჩუმეა და ისე სჩანს, თითქოს ციხე მიტოვებული აქვსო აზონს. ფარნავაზი არ ენდობოდა აზონს, იცოდა, ჩასაფრების კარგი ოსტატი იყო. მან დაიბარა ბაკური და უთხრა:

– რაიმე ხრიკს არ გვიწყობდეს აზონი, ვერ ვენდობი მას; ციხე ცარიელი სჩანს. არაგვის მხრიდან 300 მხედრით ფონზე გადი, კლდეზე მცოცავი მთიელებიც გაიყოლე და გადაამოწმე, რა ხდება სასახლეში.

ბაკურმა თავისი მხედრობით გადაკვეთა მდინარის ფონი და ციხესიმაგრის კარიბჭეს ფრთხილად მიუახლოვდა. ციხის მთავარი შესასვლელი კარი დაკეტილი იყო, გალავნის კედლის შიდა მხრიდან არანაირი ხმა არ ისმოდა. ბაკურმა ორ მთიელ კლდეებზე მცოცავ მებრძოლს უხმო და მათ ციხის გალავნის კედელზე ასვლა დაავალა. მთიელებმა გრძელი, თოკგამობმული რკინის კაუჭები სტყორცნეს, გამოსდეს გალავნის ქონგურებს და კედელზე ასვლა ფრთხილად დაიწყეს. მათ დასაცავად ისარმომართულნი მშვილდოსნები კედლის ძირში მზადყოფნაში იყვნენ.

გალავნის თავზე ასულმა მებრძოლებმა შეამჩნიეს, რომ ციხის შიდა ეზო და გალავნის კედლები ცარიელი იყო, არსად არც ერთი მეციხოვნე არა სჩანდა. მათ ბაკურს ჩასძახეს – „ციხე დაცარიელებულია, არავინ არა სჩანს, დაბლა დავეშვებით და ჭიშკარს გავხსნითო“.

მცირე ხანში ციხესიმაგრის მძიმე და დიდი ჭიშკარი ხმაურით გაიხსნა.

ბაკური თავის მხედრებთან ერთად შევიდა ციხის შიდა ეზოში და ფრთხილად დაიწყეს წინსვლა სამეფო სასახლისაკენ.

ყველას გასაკვირად, ციხესიმაგრეში არავინ არ დახვდათ, სამეფო სასახლეც დაცარიელებული იყო. აზონის ჯარს მცხეთა და ციხე შეუმჩნევლად დაეტოვებინათ. ბაკურმა ციხესიმაგრე ასისათავებს ჩააბარა, ციხის დასაცავად მხედრობა დასტოვა და თვითონ, რამდენიმე მებრძოლის თანხლებით, ფარნავაზთან დაბრუნდა.

ბაკურის მონაყოლმა სასიამოვნოდ განაცვიფრა მთელი ქართველთა ლაშქარი.

აზონი თავისი ჯარით შუაღამისას შეუმჩნევლად გაპარულიყო ციხესიმაგრის უკანა მაღლივი კარიდან. მას აკროპოლისის გადავლით გადაეკვეთა მთელი ქართლის მთა და მცხეთა დაეტოვებინა. სამეფო სასახლე, მთელი ციხესიმაგრე და აკროპოლისი ხელუხლებელი იყო, არაფერი არ დაეწვათ და არ გაუნადგურებიათ, მხოლოდ ფული-ქონება და განძი წაეღო თან აზონს.

ფარნავაზი მცირე ხანს დაფიქრდა და შემდეგ თავის ლაშქარს მიმართა:

– აზონმა მცხეთა დასტოვა! მცხეთა თავისუფალია. ციხესიმაგრე და სამეფო სასახლე არ გაუნადგურებია და არ გადუწვავს. ყველაფერი ხელუხლებულია. თავისი ღმერთები, გაცი და გაიმიც აკროპოლისში ხელუხლებლად დგანან; ესე იგი, აოზნს კვლავ აქვს მცხეთაში დაბრუნების იმედი. ასე რომ, აზონთან მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინა გვაქვს, იგი ასე ადვილად ფარ-ხმალს არ დაჰყრის, აზონი საბოლოოდ ჯერ კიდევ დასამარცხებელია.

ახლა კი, მცხეთის მთავარ დიდ მოედანზე გავიდეთ და ხალხს შევხვდეთ, მივულოცოთ მათ ქართლის გულის მტრისაგან გათავისუფლება.

***

მცხეთის მთავარ მოედანზე უამრავი ადამიანი თავშეყრილიყო. მთელი მცხეთისა და მისი გარეუბნების მოსახლეობა, დიდი თუ პატარა, ბავშვი თუ მოხუცი, ყველა აქ მოსულიყო ფარნავაზთან შესახვედრად. დიდი ლაშქარიც მოედანზე განთავსებულიყო.

ყოველი მხრიდან მოისმოდა ხმამაღალი და აღტაცებული შეძახილები. ყველა გახარებული და ბედნიერი იყო, ბევრნიც, სიხარულისაგან თვალცრემლმორეულნი, ელოდებოდნენ ფარნავაზის გამოჩენას.

დიდ მოედანზე ალაგ-ალაგ სტვირ-დაფდაფისა და ტაშის ხმა მოისმოდა, რომელსაც ცეკვა-თამაშით აჰყოლოდნენ ზოგ-ზოგნი. მალე ფარნავაზიც გამოჩნდა, იგი მაღალ კვარცხლბეკზე გადმოდგა ერისთავ ქუჯისთან და ოვსთ-დურძუკ მეფეებთან ერთად.

მცხეთის დიდ მოედანზე შეკრებილმა 150 ათასამდე აღტაცებულმა ადამიანმა ერთხმად იხუვლა. ყოველი მხრიდან მოისმოდა ხმამაღალი შეძახილები:

– დღეგრძელი იყავ, მეფე ფარნავაზ!

– გათავისუფლდა ქართველი ერი!

– აზონი გაიქცა! – ბერძენი დამარცხდა!

– გამარჯვება, ფარნავაზ!

ფარნავაზმა თვალი გადაავლო მქუხარე და აბობოქრებულ მცხეთის მოედანს. ხალხი და ლაშქარი, ყველა ერთად ხმამაღლა გაიძახოდნენ აღფრთოვანებულ საქებარ სიტყვებს. ლაშქრის ნაწილი კი, სიხარულის ნიშნად, ხმალსა და ხანჯალს რკინის ფარებს სიბრტყეზე ურტყამდნენ.

კვარცხლბეკის საფეხურებთან ფარნავაზმა შეამჩნია დედამისი, მისი დები, ლელა და ქაიხოსრო, რომლებიც სიხარულისაგან სტიროდნენ; მათ გვერ-

დით მდგარი საბა მჭედელი კი ამაოდ ცდილობდა მათ დამშვიდებას.

ფარნავაზის უკან, კვარცხლბეკზე მისი მხედართმთავრები განთავსებულიყვნენ და სიხარულისაგან მათაც ცრემლი მოსდგომოდათ თვალზე, თუმცა გაღიმებულნი ცდილობდნენ თავიანთი გულაჩუყებულობის შენიღბვას.

დიდი ხანია, ელოდებოდა ფარნავაზი ამ ჟამისა და ამ ვითარების დადგომას. თითქოს, მთელი სიცოცხლე ემზადებოდა ამ დღისთვის, და დღეს, როცა დადგა ეს ჟამი, იგი სიღრმისეული ძლიერი ემოციებით იყო მოცული და შინაგანად დიდად აღელვებული სჩანდა, უძნელდებოდა სიტყვის წარმოთქმა.

შუადღის მანათობელ მზეს ათასფრად გაებრწყინებინა მცხეთის დიდი მოედანი (იდგა 305 წლის თიბათვის პირველი დღე, ძველი წელთაღრიცხვით).

ფარნავაზმა ერთი ნაბიჯი წინ წარსდგა და ყველას დასანახად, მარჯვენა ხელი მაღლა, გაშლილად ზე აღმართა. მცხეთის მოედანზე თანდათანობით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ფარნავაზმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი და ომახიანი ხმით მიმართა დიდ მოედანზე შეკრებილ უამრავ ხალხს:

– ქართველნო! სამშობლო ჩვენი, საქართველო, გათავისუფლდა და განიწმინდა დამპყრობელი მტრისაგან, აზონმა მცხეთა დასტოვა!.. – აღტაცებითა და მრგრგვინავი ხმით იხუვლა ისევ მცხეთის მეოდანმა.

ფარნავაზმა ისევ ზე აღმართა ხელი, მოედანზე კვლავ სიჩუმე ჩამოვარადა და მან გააგრძელა თავისი სიტყვა:

– როდესაც აზონმა ქართლი დაიპყრო, მცხეთის დასაცავად ბევრი მამულიშვილი გმირულად დაეცა

ბერძნებთან ბრძოლაში, მათს შორის მამაჩემი, ადარნასე, სპასპეტი ქართლისა და ბიძაჩემი, სამარა, მმართველი ქართლისა.

აზონმა მათ თავები სახალხოდ დაჰკვეთა. მას შემდეგ 23 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მცხეთასა და ქართლში დაიბადნენ და გაიზარდნენ ახალი თაობები, რომელთაც ჯერ არ იციან, რა არის თავისუფლება და მტრისაგან დატყვევებულ საკუთარ სამშობლოში ისინი თავს გრნობდნენ, ვითარცა უცხონი; უბედურებაში, გაჭირვებასა და შიმშილში გაიზარდნენ. დასრულდა და წავიდა ის უიღბლო დრო და ჟამი! თავისუფლებას მოწყურებულებს, მოგვეცა თავისუფლება!

ამიერიდან ჩემი საზრუნავი იქნება ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა! ქართლი და ეგრისი ერთ სამეფოდ გაერთიანდა, რათა უფრო გავძლიერდეთ, მოვღონიერდეთ და ერთად მტკიცედ შეკრულებს მტერი ადვილად ვეღარ მოგვერიოს.

მე, ქართლის მმართველმა და ეგრისის მმართველმა ქუჯიმ, ჩვენი ქვეყნები გავაერთიანეთ და შევქმენით ერთი ძლიერი სახელმწიფო – საქართველო, რომლის დედაქალაქი იქნება ქართლის გული, მცხეთა!

ისევ მედგრად იხუვლა დიდმა მოედანმა. აღტაცებული ხალხის დამშვიდების შემდეგ, ფარნავაზმა კვლავ გააგრძელა სიტყვის წარმოთქმა:

– ყოველი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე და ძლიერება არის მისივე ხალხი და მისივე მოსახლეობა, რომელნიც კარგად არიან მომზადებულნი და გაძლიერებულნი. ამიტომ დიდად შევუწყობ ხელს და ბევრს ვიზრუნებ, რომ ჩვენი ერი გაძლიერდეს, მოღონიერდეს და გამრავ-

ლდეს. ავითვისოთ ბარის მიწები, ვამრავლოთ ქალაქები და სოფლები, გავმრავლდეთ და სიუხვე-სიმდიდრე შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში. მოვძლიერდეთ, შევქმნათ ძლიერი ლაშქარი, რომ ვეღარავინ ვეღარ გაჰბედოს ჩვენი დაპყრობა და განადგურება.

ერთად შეკრულ, კარგად მომზადებულ, გაერთიანებულ და ძლიერ საქართველოს მოგვერიდებიან, ანგარიშს გაგვიწევენ და დაფიქრდებიან სხვათა ქვეყანათა მმართველნი, შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში დასაპყრობად, თუ აზონივით კუდამოძუებულნი, სამარცხვინოდ გაიპარნონ!

ატყდა სიცილ-ხარხარი მცხეთის მოედანზე და ხალხის დამშვიდების შემდეგ, ფარნავაზმა თავისი სიტყვა ისევ ხალხთან მიმართვით დაასრულა:

– აზონი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დამარცხებული და განადგურებული. მე მას კარგად ვიცნობ, იგი ასე ადვილად ფარ-ხმალს არ დაჰყრის. აზონი თავის ქვეყანაში დაბრუნდება, ბერძენთა მეფის დახმარებით ახალ დიდ ლაშქარს შეჰკრებს და ისევ დაგვეცემა თავს, ამიტომ ჩვენ მას უნდა დავასწროთ, სანამ იგი მოძლიერდება და დიდ სპა-ჯარს შეჰკრებს.

ამჟამად კი მთავარია, რომ ახლა ჩვენი ქვეყანა ჩავიბაროთ, მმართველობა ხელთ ავიღოთ, მოვძლიერდეთ, ლაშქარი კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ, შემდეგ მალევე აზონსაც ვეწვევით და საბოლოოდ გავანადგურებთ მას!

დაამთავრა სიტყვა ფარნავაზმა და იქუხა და იხუვლა ისევ მცხეთის დიდმა მოედანმა. გახარებული და აღტაცებული მცხეთის მოსახლეობა ერთმანეთს ეხვეოდნენ, ზოგიც სიხარულისაგან ტიროდა. ალაგ-ალაგ ისევ აღტაცებული შეძახილები მოისმოდა.

გაჩაღდა სტვირი-დაფდაფის დაკვრა და ცეკვა-თამაში.

ქალაქის ახალი თავის, ბაკურის ბრძანებით, უხვად გაიცა საჭმელ-სასმელი და მცხეთაში სამდღიანი დღესასწაულ-ზეიმობა გამოცხადდა.

XXXIV

სამეფო სასახლეში დაბრუნებულმა ფარნავაზმა დიდი დარბაზობა და წვეულება გამართა.

დარბაზობას ქუჯი, ოვსთ-დურძუკთა მეფენი და მხედართმთავარნი ესწრებოდნენ, აგრეთვე, ფარნავაზის მხარეს გადასულნი ერთი ბერძენი ათასისთავი და რამდენიმე ასისთავი. ფარნავაზმა ყველა მადლიერებით მოიხსენა და აღნიშნა მათი დიდი წვლილი და გარჯა იმ უდიდეს საქმეში, რასაც ყველამ ერთად გაერთიანებული ძალებით მიაღწიეს.

ერთგული სამსახურისათვის ფარნავაზმა ამაგი დაუფასა თავის მხედართმთავრებს და თითოეულის სახელმწიფო სამსახურში და თავისთან დატოვება ისურვა, თუმცაღა ზოგიერთნი თავიანთ მხარე-მამულებს ან თანამდებობებს დაუბრუნდებოდნენ, მაინც მეფის სამსახურში იდგებოდნენ და ფარნავაზთან ხშირი და მუდმივი კავშირები ექნებოდათ.

ფარნავაზმა ყველას კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და დიდი დასაჩუქრება, წოდება-თანამდებობები და დოვლათ-ქონება-სახსარი შეჰპირდა მათ გაწეული სამსახურისთვის.

ბებრის ციხის მახლობლად სახლში გადამალული დიდძალი განძიდან, რომელიც ბაქარსა და ქაიხოსროს ამალისა და მრავალი ურმების თანხლებით სასახლეში გადმოეტანათ, ფარნავაზმა წინასწარ შეარჩია შესაფერი ძღვენი და დარბაზობაზე მან დიდძალი საჩუქრები პატივისცემით გადასცა ოვსთა მეფეს ზაურს, რომელიც თავისი დის, გურანდას დანიშნულ საქმროდ გამოაცხადა. დიდძალი პატივსაცემი ძღვენი მიაგება ჭარმაგ

დურძუკთ მეფეს, სირამეგს.

ქუჯი ერისთავი ფარნავაზმა საქართველოს სპასპეტ-მთავარსარდლად შერაცხა, დიდი ერისთავობა უბოძა, თავისი დის, ნანის დანიშნულ საქმროდ გამოაცხადა და გულუხვად დაასაჩუქრა.

ბერძენ ათასისთავს და ასისთავებს ფარნავაზი შეჰპირდა, რომ ყველა იმ ბერძენს, რომელთაც ქართული ოჯახები ჰქონდათ შექმნილი და რომლებიც ქართველთა მხარეზე გადმოვიდნენ, მიწა-მამულსა და ქონებას მიიღებდნენ, დიდ პატივისცემაში იქნებოდნენ და ნიშნად აზონზე გამარჯვებისა, აზნაურის საპატივცემულო წოდება დაარსდებოდა და ებოძებოდათ მათ.

შემდგომი საკითხი, რაც დარბაზობაზე ფარნავაზს აინტერესებდა, უპირველეს ყოვლისა, ის იყო, რომ იმდროინდელ სამყაროს აუცილებლად უნდა გაეგო, რა მოხდა საქართველოში და სხვათა ქვეყანათა მეფეებსა და მმართველებს უნდა სცოდნოდათ, რომ ქართლი და ეგრისი ნებაყოფლობით გაერთიანდა ერთ დიდ სახელმწიფოდ და ამჟამინდელ საქართველოს მართავდა მცხეთოსის ჩამომავალი, მეფე ფარნავაზ I.

იყო საშიშროება, რომ მცხეთიდან გაქცეულ აზონს დაემალა ყოველივე სიმართლე, რაც საქართველოში მოხდა და უცხო ქვეყანათა მეფეთათვის ფარნავაზის გამეფება მას ემცნო და მიეწოდა, როგორც ქართველთა უბრალო ამბოხება. ისიც შესაძლებელი იყო, რომ აზონს ბერძენთა მეფის გარდა, შემწეობა და დახმარება სხვა ქვეყნის მეფისათვისაც ეთხოვა, იმ ქვეყნის მეფესთან მისულიყო, რომელიც უფრო მოძლიერებული იყო და ბერძენთა მეფისათვის ზურგი ექცია.

ყველაზე მეტად სალეუკო გაძლიერებულიყო, რომლის სამეფოს საზღვრებიც საქართველოს საზღვრებს

უშუალოდ ემიჯნებოდა.

შესაძლებელი იყო, რომ აზონი სწვეოდა სალეუკოს, მისთვის მორჩილება გამოეცხადებინა, შემწეობა და დახმარება ეთხოვა, სალეუკოსაგან ჯარი მიეღო და აზონს დიდი ლაშქრით კვლავ საქართველოზე გამოელაშქრა. მაკედონისეული ეპოქის დროინდელი აზონის შემოსევა კვლავ განმეორებულიყო, მაგრამ ამჯერად უფრო მეტი სისასტიკითა და უფრო მეტად ულმობელი სისხლისღვრით.

ეს ყოვლივე რომ არ მომხდარიყო, ფარნავაზს უნდა დაესწრო აზონისათვის. მან დარბაზობის მონაწილეთ გააცნო თავისი აზრი, შემდეგ ბერძენ ათასისთავსა და ასისთავებს სთხოვა, დარბაზობის მონაწილეთათვის აეხსნათ და აეღწერათ იმჟამინდელი არსებული ვითარება მაკედონისეულ ყოფილ იმპერიაში და ეამბნათ ანტიოქიის მეფის, სალეუკოს შესახებ, თუმცა თვით ფარნავაზმა ყოველივე კარგად უწყოდა და იცოდა, რაც ხდებოდა.

დარბაზობის მონაწილეთ ბერძნებმა გარკვევით აუღწერეს და აუხსნეს იმჟამინდელი სამყაროს მდგომარეობა, რომელიც ჯერ კიდევ გაუთავებელ სისხლისმღვრელ ომებში იყო გახვეული. მაკედონელის ყოფილ მხედართმთავრებს შორის, რომლებსაც დიადოხებს ანუ მემკვიდრეებს უწოდებენ, ერთმანეთთან კვლავ ულმობელი ბრძოლები ჰქონდათ გაჩაღებული.

— პტოლომეო, ანტიგონე და მისი შვილი, დემეტრე, ლისიმაქე, სალეუკო და კასანდრო ვერ იყოფდნენ მაკედონელის მიერ დატოვებულ უზარმაზარ ელინურ სამყაროს. განსაკუთრებით გაძლიერებულიყო სალეუკო, რომელმაც ბევრი ბრძოლა მოიგო, მაკედონელისეული ყოფილი იმპერიის საკმაოდ დიდი ნაწილი ხელთ იგდო

და მისი სამეფოს საზღვრები საქართველოს საზღვრებს ესაზღვრებოდა. სასომხეთიც სალეუკოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და ერთ-ერთ სატრაპიად ითვლებოდა.

სალეუკომ თავი მეფედ გამოაცხადა და სელევკიდთა დინასტიის სახელმწიფო შეჰქმნა, თვითონ კი სალეუკო I ნიკატორად შეირაცხა. მან თავის სამეფოში ორი დედაქალაქი დააარსა, პირველი — სალეუკო, მდინარე ტიგროსზე, ბაბილონის მახლობლად, რომელიც მისი სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს გაუწევდა ზედამხედველობას. მეორე დედაქალაქი დასავლეთით დააარსა, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, კვიპროსის მოპირდაპირედ, კილიკიის ზღვის ზედა კუთხეში, რომელსაც სახელად უწოდა ანტიოქია (ანტაკია) მამამისის, ანტიოქეს პატივსაცემად, რომელიც მაკედონელის მამის, ფილიპე II-ის მხედართმთავარი იყო.

მეფე სალეუკო I ნიკატორი ამჟამად 53 წლისაა და მეტწილად ზღვისპირა დედაქალაქში ანტიოქიაში იმყოფება, მას ჰყავს ერთი მემკვიდრე, 18 წლის შვილი, რომელსაც აგრეთვე ანტიოქე ჰქვია.

ფარნავაზმა დიდი ყურადღებით მოისმინა ბერძენთა საუბარი და შემდეგ დარბაზობის მონაწილეთ მიმართა:

— სხვა ქვეყანათა მეფენი ჩვენთვის ნაკლებად საინტერესონი არიან, სალეუკო კი ჩვენი უშუალო მეზობელია და სწორედ მასთან უნდა დავამყაროთ ახლო კეთილმეზობლური კავშირი და რაც შეიძლება, მალე. ძალიან სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ, რომ აზონმა არ დაგვასწროს. ანტიოქიის მეფესთან, სალეუკო I-თან, მოციქულნი მალევე უნდა გავაგზავნოთ არზებითა და დიდი სამეფო ძღვენით. რაც შეეხება აზონს, მომავალ

ზაფხულამდე იგი დიდ ლაშქარს ვერ შეჰკრებს, რადგან მისთვის ახლა არავის არა სცალია, ყველა თავის ომშია ჩაბმული, დასწრებით კი ჩვენ უნდა დავასწროთ მას.

დარბაზობის ბჭობა-თათბირმა გადაწყვიტა, შეეკრიბათ მოციქულნი და დაზამთრებამდე წარეგზავნათ ანტიოქიის მეფე სალეუკოსთან ელჩობა, რომელსაც დესპანად ბაკური წარუძღვებოდა.

ანტიოქიაში მოციქულნი 40 კაცის შემადგენლობით გაემგზავრებოდნენ. ბაკურს თან ეხლებოდნენ რატი, ივერი, ზევახი, შავლეგი, ბერძენი ათასისთავი და დამცველი მხედრობა. მოციქულთ გზად სასომხეთში უნდა გაევლოთ და იქ გაჩერდებოდნენ დასასვენებლად და საქმე-ვითარების გადასამოწმებლად იქაურ მმართველებთან.

დარბაზობამ გადაწყვიტა, რომ, აგრეთვე, მსტოვარ-მეთვალყურენი გაეგზავნათ გაქცეული აზონის ჯარის სამეთვალყურეოდ და არიან ქართლში ჩაჰყოლოდნენ მათ. თვალყური ედევნებინათ აზონის მოქმედებისათვის და დროულად ემცნოთ ცნობანი მცხეთაში.

ყოველივე ამ საქმის მეთვალყურეობა და უფროსმოთავეობა ბაქარს დაევალა. გადაწყდა, მაცნეს დილიდანვე გაგზავნა სასომხეთის სატრაპთანაც.

სადღესასწაულო დიდმა სადილ-წვეულებამ მხიარულ ვითარებაში ჩაიარა. ყველა ბედნიერი და გახარებული იყო. ფარნავაზმა კვლავ უხვად გასცა დანაპირები ძღვენ-საჩუქრები. ქუჯი და ოვსთ-დურძუკთა მეფენი კიდევ ორი დღე დარჩნენ ფარნავაზთან სტუმრად და შემდეგ კი თავიანთი ლაშქრებით, დიდად კმაყოფილები და ნასისმოვნებნი, სახლებში დაბრუნდნენ.

მცხეთასა და მთელს საქართველოში, ყველა სახლსა და ყველა ოჯახში არნახული სიხარული და ბედ-

ნიერება სუფევდა. დამპყრობელი მტერი განდევნილი იყო და გაერთიანებულ-გამთლიანებული საქართველო თავისუფალი გამხდარიყო.

XXXV

სასომხეთის დედაქალაქში ჩასულმა ქართველთა ელჩობამ ერთი დღე იქ დაისვენა. სასომხეთის სატრაპმა დიდი პატივით მიიღო მოციქულნი.

ქართველთა პირველმა დესპანმა, ბაკურმა ფარნავაზის მიერ საჩუქრად გაგზავნილი ძვირფასი ძღვენი გადასცა სასომხეთის სატრაპ მმართველს და სიტყვიერად აცნობა მას, ფარნავაზის განზრახვა „კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, ანტიოქიის მეფესთან სალეუკო-I ნიკატორთან“.

სასომხეთის მმართველი მოხარული შეიქმნა ამ ამბის შეტყობის გამო, რადგან აზონი საბერძნეთის მეფეს ემორჩილებოდა და ამის გამო, სასომხეთის სატრაპსა და აზონს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ.

მეორე დღეს ქართველთა ელჩობამ გზა ანტიოქიისაკენ (ანტაკია) განაგრძეს. სამი იმდენი გზა კიდევ იყო გასავლელი, რაც აქამდე გაევლოთ.

მცირე აზიის მშრალი დღეები იდგა და გრძელი, დამღლელი გზა, უძნელებდა ქართველთა ელჩობას სწრაფად წინსვლას. მთელს იმ მიწებსა და ტერიტორიებზე, სადაც მათ გაიარეს, არაფერი არ ეტყობოდა და არ იგრძნობოდა იმ დიდი ელინური სამყაროსი, დიდი კულტურის, მაღალი ცივილიზაციის ზეგავლენა და

კვალი, რისი შემადგენელი ნაწილიც იყო ეს მიწები და ეს ტერიტორიები. სწორედ ეს აღნიშნა რატიმ ბაკურთან საუბარში, რომლებიც ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხენზე ამხედრებულნი ანტიოქიის გრძელ გზას დასდგომოდნენ და ქართველთა ელჩობას სათავეში ჩასდგომოდნენ.

ასაკითა და გამოცდილებით უფროსთა საუბარს ყურადღებით უსმენდნენ მათს უკან მიმავალი, ჯერ კიდევ ახალგაზრდები ივერი, ზევახი, შავლეგი და ბერძენი ათასისთავი, რომელთაც უკან დაცვა-მსახურნი მოჰყვებოდნენ.

ბაკურმა გაჰხედა გამხმარი მიწის ჰორიზონტს და მიუგო რატის:

– ეს ხალხი მრავალი ასეული წლების წინ როგორც ცხოვრობდნენ და არსებობდნენ, ისევე ცხოვრობდნენ და არსებობდნენ შემდგომში, სპარსეთის სამეფოს შემადგენლობაში; ამჟამადაც, ბერძნულ-ელინურ სამეფოში მყოფნი, ისევე აგრძელებენ ცხოვრებას, როგორც ადრე, მრავალი საუკუნეების წინ. მათთვის არაფერი არ იცვლებოდა, ვინც არ უნდა მოსულიყო სახელმწიფოს სათავეში და რომელი სამეფოს შემადგენელი ნაწილიც არ უნდა გამხდარიყვნენ. როგორც არსებობდა აქ ეს გადახრიოკებული მიწა წარსულში, ისევე იარსებებს ათასი წლების შემდეგაც მომავალში, როგორც მრავალი საუკუნეების მანძილზე მწყემსავდნენ საქონელს ამ გამხმარ მიწაზე, ისევე გააგრძელებენ მწყემსვას მომავალშიც.

გაუგებარია მხოლოდ ის, თუ რისთვის იღვრებოდა ამდენი სისხლი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და კიდევ რამდენი სისხლი დაიღვრება მომავალშიც, მრავალ მეფეთა და ქვეყანათა შორის ამ უხეირო მი-

წის დაპატრონების გამო. ეს ხალხი როგორც იყო ადრე, ახლაც ძლივს ირჩენენ თავსა და ამათგან დიდი სარგებელი არავის არა ჰქონია რა. აბა, მაშ რისთვის აკლავდნენ ერთმანეთს თავს ბაბილონიდან და ასურეთიდან მოყოლებული სხვადასხვა დიდნი მეფენი? და დღევანდელ დღემდე ეს სისხლისღვრა მეფეთა შორის რატომ გრძელდება? ამ გადახრიოკებული და გამხმარი მიწისათვის? – თუ აქ მაცხოვრებელი დაბეჩავებული ხალხის კეთილდღეობაზე და განვითარებაზე ზრუნავენ და ფიქრობენ? ალბათ, არც ერთი და არც მეორე, სწორი პასუხი კი მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს: – გაუმაძღრობა!

სალეუკოს სამეფო

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მახლობლად მდებარე დიდი სამეფო სასახლის მარმარილოს სვეტებიან ფართო ბერძნული აუზით გაწყობილ დასასვენებელ და საბანაო, ნახევრად ღია პარმაღ-აივანზე თეთრი მარმარილოსაგან თლილ და ლომთა თავებით მორთულ-მოჩუქურთმებულ ტახტზე ოქროს სირმებით გაწყობილი წითელი ტოგამოსხმული, ანტიოქიის მეფე სალეუკო-I ნიკატორი განთავსებულიყო და ხარბი მამაკაცური თვალით შეჰყურებდა სხვადასხვა ერის, ფერისა და ჯურის მხევალ-ასულებს, სეფე-ქალებსა და მომღერალ-მოცეკვავეთ. სამკაულ-მორთულნი და შიშველნი ზოგნი წყალში ანცობდნენ, ზოგნი მარმარილოს ტახტრევნებზე გადაწოლილნი ერთმანეთს ეალერსებოდნენ, ზოგნი მუსიკის თანხლებით ვნებიანად ირხეოდნენ და ცეკვავდნენ, ზოგნიც, ვნებააწყვეტილნი, მეფის მაღალ მოხელეებთან ერთად თავს ირთობდნენ.

სალეუკოს ტახტის გარშემო რამდენიმე მხევალ-ასული შემოჰხვეოდა, ზოგნი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს სასამისით ღვინოს ასმევდნენ მას, ზოგნიც კი ხილსა და ტკბილეულს სთავაზობდნენ, უკვე სიჭარმაგეში შესულ და ჭაღარაშეპარულ დიდ მეფეს.

თითქმის მთელი სიცოცხლე ომში, ბრძოლაში, ცხენზე ამხედრებულმა და ხმლით ხელში გაატარა სალეუკომ. სიზმარშიც მხოლოდ სისხლისღვრასა და კაცის კვლას თუ ნახულობდა. მთელი სიცოცხლე, თითქმის ბავშვობიდან დაწყებული, გარშემო მხოლოდ გასისხლიანებული მებრძოლები ეხვივნენ და უმეტესწილად, მათთან უხდებოდა ურთიერთობა და ამჟამადაც, ჯერ არ ჩაეგო მახვილი ქარქაშში.

სისხლისა და მებრძოლებისაგან თავმობეზრებული სალეუკო, ხანდახან სამეფო სასახლეში ყოფნისას

ამჯობინებდა, რომ კამკამა აუზის წყალი და მასში ამოვლებული მშვენიერი მხევალ-ასულები ენახა, დამტკბარიყო მათი ხილვითა და თავი გართობა-შექცევისათვის მიეცა.

ამგვარ განტვირთვა და სიამტკბილობაში იმყოფებოდა, როდესაც მას სამეფო კარის მოხელე ეახლა და აუწყა, ქართველთა მმართველის, ფარნავაზის მიერ გამოგზავნილი დიდი ელჩობა შემოვიდა ანტიოქიაში და ფარნავაზის დავალებით, მეფესთან შეხვედრა სურთო.

სალეუკომ სასომხეთის სატრაპი-მმართველისაგან ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში გაიგო, რაც მოხდა იბერიასა და კოლხეთში. მცხეთიდან აზონის განდევნის მეორე დღესვე ფარნავაზის მიერ სასომხეთში გაგზავნილი მაცნეს საშუალებით. სალეუკომ მალევე შეიტყო ყოველივე სასომხეთის მმართველი სატრაპისაგან და ქართველთა ელჩობის მოლოდინში იყო.

ფარნავაზის მოციქულთა მიღება სალეუკომ ხვალინდელი დილისათვის დანიშნა, მანამდე კი კარის მოხელეს, ქართველთა ელჩობის კეთილმოწყობა და დაბინავება დაავალა.

ანტიოქიის სამეფო სასახლის დიდ დარბაზში მეფე სალეუკო-I ნიკატორმა და მისმა შვილმა ანტიოქემ სასახლის მოხელეთა თანდასწრებით ქართველთა ელჩობა დიდი პატივით მიიღეს. ელჩობის პირველ დესპანმა, ბაკურმა, სელეუკოს და მის შვილს ანტიოქეს გადასცა ფარნავაზის მიერ მათთვის გაგზავნილი მდიდრულ-დიდებული ძღვენ-საჩუქრები და სამეფო არზა-წერილი, რომელშიც ფარნავაზი შემწეობა-მოკავშირეობას სთავაზობდა, ერთგულებას ჰპირდებოდა და მეგობრულ ურთიერთახლო და კეთილმეზობლური კავშირის დამყარებას სთხოვდა.

სალეუკომ დიდად გაიხარა ფარნავაზის შემოთავაზებითა და საუქრებით. მან დიდი ყურადღებით მოისმინა ქართველთა დესპანის მონაყოლი, თუ რა მოხდა საქართველოში. სალეუკო, მართალია, ჯერ კიდევ მაკედონელის ჯარში სამსახურის დროიდან იცნობდა აზონს, მაგრამ ამჟამად სხვა დრო იყო, მას სხვა ინტერესები ამოძრავებდა. იგი ჯერ კიდევ საომარ ვითარებაში იმყოფებოდა საბერძნეთის მეფესთან. არიან-ქართლში გამაგრებული აზონი ახალ ჯარს შეჰკრებდა და ბერძენთა მეფეც მას დახმარებას გაუწევდა.

აზონის დამარცხება და ჩამოშორება სალეუკოსათვის დიდად ხელსაყრელი იყო. ფარნავაზთან მოკავშირეობით და კარგი მეგობრული ურთიერთობით მას თავისი სამეფოს ჩრდილოეთის საზღვრები დაცული და უსაფრთხო ექნებოდა და მომავალშიც, სელევკიდთა დინასტიის გამგრძელებელი მემკვიდრე შვილის, ანტიოქე I-ის მეფობის პერიოდში, სელევკიდთა სამეფო, ჩრდილოეთი მხრიდან საიმედოდ დაცული იქნებოდა.

სალეუკომ ფარნავაზისათვის არზა დააწერინა, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ დიდად გაახარა ფარნავაზის სამოკავშირეო შემოთავაზებამ და იგი შემწეობასა და მფარველობას გაუწევდა მას, ვითარცა საკუთარ შვილს.

სალეუკო აღიარებდა და სცნობდა ფარნავაზის კანონიერ უფლებებს საქართველოს სამეფო ტახტზე და დასტურისა ამისად, იგი თავისი და მისი შვილის, ანტიოქეს სახელით ფარნავაზს უგზავნიდა ძვირფას სამეფო გვირგვინს, რომელიც ნიშან-დასტური იყო ფარნავაზის საქართველოს მეფედ მორჭმისა და კურთხევისა. გარდა ამისა, სალეუკო დახმარებას ჰპირდებოდა ფარნავაზს, აზონის საბოლოოდ დამარცხებისათვის ბრძოლაში მის-

ცემდა მის მორჩილ სასომხეთის მმართველი სატრაპის ჯარს.

იდგა 304 წლის დასაწყისი ძველი წელთაღრიცხვით.

***

მცხეთაში ქართველთა ელჩობის დაბრუნების შემდეგ, ფარნავაზმა თავისი ქვეყნის კეთილმოწყობა, შენება და გაძლიერება დაიწყო. განსაკუთრებით უწყობდა ხელს ქართველთა ჯარის შექმნა-გაზრდას, გამრავლებასა და გაძლიერებას, რათა აზონისათვის ბოლო, გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა, აზონი დაემარცხებინა და ძირძველი ქართული მიწები: ტაო, კლარჯეთი, არიან-ქართლი და კოლა, საქართველოსათვის დაებრუნებინა. ფარნავაზმა სამეფო სამსახურში აიყვანა ბაკური, ბაქარი, ივერი, ზევახი, დაჩი, ჭაბუა, იმერი, ზეზვა და მინდია რომლებიც მცხეთაში დაიტოვა. ისინი სამეფო სასახლეში ფარნავაზს ქვეყნის მართვაში ეხმარებოდნენ. ბაქარი სასახლის სამეფო საქმეებთან ერთად სამშვილდეს აწყობდა და აშენებდა. რუსუდანი, ლელა, გურანდა და ნანი სასახლეში ცხოვრობდნენ და მომავალ საქორწილო მზადყოფნაში იყვნენ. ქაიხოსრომ ისევ ჩაიბარა კარის უფროსობა და ძველებური შემართებით შეუდგა სამეფო სასახლის მოვლა-პატრონობას.

ქართველთა მხარეს გადმოსული 1000-ზე მეტი ბერძენი მებრძოლი ფარნავაზმა დიდად დააფასა. ზოგიერთ მათგანს ქართველთა ლაშქარში ათასისთავობა ებოძა და დიდი გასამრჯელოც დაენიშნა, დანარჩენებს კი საქართველოს სხვადასხვა მხარეებსა და კუთხეებში საჩუქრად დიდი მიწა-მამულები მიეცათ განსასახლებლად და დაევალათ, იქ მაცხოვრებელი ხალხისაგან

საბრძოლო რაზმები შეექმნათ, საბრძოლო საქმეში განეწვრთნათ და მზადყოფნაში ყოფილიყვნენ საჭიროების შემთხვევაში.

აზონის მხრიდან ქართველთა მხარეს გადმოსულ მებრძოლებს აზნაურნი ანუ აზნაურები ეწოდათ და ეს წოდება მათ შვილებს მემკვიდრეობით თან გადაეცემოდათ. თითქმის ყველას ქართული ოჯახები ჰქონდათ შექმნილი და ქართული ადათ-წესითა და წეს-ჩვეულებებით ცხოვრობდნენ.

ზამთარი გასულიყო. მსტოვრებს არიან-ქართლიდან ხმა მოეწვდინათ, რომ აზონს პონტოდან ბერძენთა დახმარება მიეღო ჯარის სახით და ზაფხულისათვის კიდევ უფრო დიდ დახმარებას ელოდა ბერძენთა მეფისაგან. მსტოვართა ცნობის თანახმად, აზონს 35 ათასამდე ლაშქარი შეეკრიბა. თუ ფარნავაზი დიდხანს აცლიდა, აზონს შეიძლებოდა ზაფხულისათვის დიდძალი სპა-ჯარი შეეკრიბა და კვლავ მცხეთაზე სალაშქროდ დაძრულიყო, რათა დაებრუნებინა ყოველივე ის, რაც დაჰკარგა.

გამწარებული და გაბოროტებული აზონი თუ საქართველოში შემოვიდოდა, უფრო მეტ სისასტიკესა და ულმობელ ბოროტებას გამოიჩენდა, არავის არ დაინდობდა, დიდსა თუ პატარას, ნახევარ საქართველოს გასწყვეტდა და დიდ სისხლისღვრას მოაწყობდა.

სისწრაფე, მიზანდასახულობა, გამბედაობა და უშიშარობა ფარნავაზის დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო, მან გადაწყვიტა შეეკრიბა ჯარი და აზონზე გაელაშქრებინა. მცხეთის ოთხივე ციხეებში ჯარების შეკრება და მზადება დაიწყო. ეგრისში ქუჯისთან, კახეთ-ჰერეთში ელიზბართან და ყაფლანთან, მთაში კახაბერთან, ოვსთა და დურძუკთ მეფეებთან და სას-

ომხეთში, სატრაპ მმართველთან მაცნეები და მალემ-სრბოლები გააგზავნა, რათა მათთვის ემცნო აზონის წინააღმდეგ გალაშქრების დაწყება.

XXXVI

გაზაფხულის დამდეგს, ფარნავაზი 60 ათასიანი ლაშქრით არიან-ქართლისაკენ დაიძრა. აზონმა თავისი მსტოვრებისაგან იცოდა, რომ ფარნავაზი მასზედ სალაშქროდ მოდიოდა. ჯარი შეჰკრიბა და ფარნავაზის დასახვედრად ქალაქ არტაანთან (არდაჰანი) გამაგრდა.

ამ ქალაქს ხალხში ქაჯთა ქალაქსაც ეძახდნენ, რადგანაც ქალაქის გალავნის თავზე გადმომდგარი ორრქოვან მუზარადიანი მეციხოვნენი შემზარავი აჩრდილებივით გამოიყურებოდნენ მაღალი კედლებიდან.

ქართველთა ლაშქარი მდინარე მტკვარს ნაპირის გასწვრივ თავაღმა აჰყვა. მესხეთ-ჯავახეთის გავლის შემდეგ, ისინი ყოფილი სამხრეთი ქართლის მიწაზე შევიდნენ და არტაანს მიუახლოვდნენ, რომელიც ოდესღაც მცხეთოსის შვილმა, ჯავახოსმა დააარსა ქალაქად, მტკვრის სათავეში.

ულამაზესი და ამწვანებული მთა-ბარი შიდა ქართლის მთიანეთს წააგავდა და ოდესღაც ეს ადგილები ქართველთა ეთნოსის განვითარების ერთ-ერთი ფუძეაკვანი იყო და აი, ახლა, რამდენიმე ასეული წლის შემდეგ, ქართველმა კაცმა ისევ შემოსდგა ფეხი თავის ისტორიულ მიწაზე.

ქართველთა ლაშქარი ქალაქის მოპირდაპირედ მდინარე მტკვრის განიერ ჭალაში განლაგდა. ქართველთა ჯარს დურძუკთა მეფე აკლდა თავისი მხედრობით. იგი

ჩრდილოელ ველურ სკვითებს ებრძოდა და ვერ შესძლო ფარნავაზთან ჩამაოსვლა. ანტიოქიის მეფემ დანაპირები შეუსრულა ქართველთა მეფეს და სომეხთა მმართველის ჯარი გამოგზავნა ფარნავაზის მხარდასაჭერად.

ფარნავაზმა თვალი გადაავლო ქალაქს და მის შემოგარენს. აზონს მთელი თავისი ლაშქარი ქალაქის გარეთ გამოეყვანა და დიდ, ფართე ველზე ვრცლად განელაგებინა მათი მწკრივები. სწორედ ასეთი ფართე სივრცე სჭირდებოდათ მაკედონიურ-ბერძნულ ფალანგებს, რათა მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებულიყო, მისი შეუპოვარი და მრისხანე ძალა-დანიშნულება.

გრძელ-შუბოვან ფალანგებს ორივე მხრიდან მძიმე ჯავშნოსანი თორიანი მხედრობა ამოსდგომოდა, ასევე, გრძელი შუბებითა და ფალანგის მსგავსი წყობით.

აზონი თავისი მხედართმთავრებითა და სწრაფი მხედრობით ფალანგთა მწკრივ-წყობის უკან განთავსებულიყო. აზონის ჩანაფიქრს მაკედონისეული ხელწერა ეტყობოდა.

ფალანგების სწრაფი და ძლიერი მიწოლის შედეგად, ისინი შეეცდებოდნენ, ღრმად შესულიყვნენ ქართველთა ლაშქრის სიღრმეში, სადაც გასასვლელს შეუქმნიდნენ აზონის სწრაფ და მსუბუქ მხედრობას, რომელნიც მყისვე შუა ცენტრში შეიჭრებოდნენ და იერიშს მიიტანდნენ პირდაპირ ფარნავაზზე. მანამდე კი მძიმე ჯავშნოსან მხედრობას ორივე ფლანგებიდან უნდა შეეტიათ და მიეტანათ იერიში ქართველთა ლაშქარზე, რათა ქართველთა ძალები გაეწელათ სიგრძეზე, რაც შეიძლება მეტი ძალები მიეზიდათ და მიეტყუებინათ თორიანი მხედრობისაკენ ფლანგების ორივე მხარეს და ამ გზით ქართველთა ლაშქრის შუა ცენტრი დიდი

ძალებისაგან გამოეთავისუფლებინათ, სადაც შემდგომ ფალანგა დაიწყებდა გარღვევას, ქართველთა ზურგში გასასვლელის შესაქმნელად.

სწორედ ეს უძლეველი და დაუმარცხებელი მრისხანე ძალა – ფალანგები უნდა დაემარცხებინა ფარნავაზს, რისთვისაც იგი უკვე დიდი ხანი იყო, ემზადებოდა.

ფარნავაზმა თავის სპასპეტ-მთავარსარდალ ქუჯის და მხედართმთავრებს, აუხსნა აზონის ბრძოლის გეგმა და ოთხთვლიანი ურემ-ეტლების მომზადების ბრძანება გასცა. მან მთელი თავისი ქვეითი ჯარის 30 000 მებრძოლი შუა ხაზზე განალაგა, გვერდებში კი მძიმე თოროსანი და მსუბუქი მხედრობა დააყენა. 15 000 მხედარი მარჯვენა ფლანგზე დადგა, რომელთაც თვითონ ფარნავაზი უწინამძღოლებდა და მის გვერდით იქნებოდნენ ბაქარი, ივერი, შავლეგი და ოვსთა მეფე.

მარცხენა ფლანგზე მდგომი 15 000 მხედარი ქუჯის დაექვემდებარა და მის გვერდით იდგნენ ლაშა, რისმაგი, შერგილი და სომეხთა ჯარის მხედართმთავარი.

ბაკური, კახაბერი, რატი, უჩა, ელიზბარი, ყაფლანი და ათასისთავნი: ზევახი, დაჩი, ჭაბუა, იმერი, ზეზვა, მინდია, თედო და იმედა, მცირე რჩეული მხედრობით ქვეითი ჯარის უკან უნდა დარჩენილიყვნენ მუდმივად. მათ ევალებოდათ, ჯარის სიმტკიცე და ურთიერთ-შეთანხმებულობა საბრძოლო მოქმედების დროს. ამასთანავე, ხუთივე მხედართმთავარს ძვირფასი აბჯარ-მუზარადის ასხმა და ქათველთა ლაშქრის საბრძოლო დროშის თან ქონა დაევალათ, რათა აზონისათვის თვალი აეხვიათ და გზა აებნიათ.

***

შუადღის მზე გამართული იყო. ბრძოლის ყოველი წვრილმანი ყველასათვის გასაგები იყო. ფარნავაზმა აბჯარზე ზევიდან გრძელი უბრალო მოსასხამი მოისხა და თავისი ლაშქარი ძალიან ნელი სვლით აზონისაკენ დასძრა.

აზონმა მისცა ნიშანი. მისი მძიმე ჯავშნოსანი და გრძელ-შუბოსანი მხედრობა ორივე ფლანგიდან ქართველთა ჯარის ფლანგებისაკენ დაიძრნენ. როგორც აზონისაგან ჰქონდათ დავალებული, მათ არ უნდა ეჩქარათ თავიანთ ბრძოლასა და მოქმედებაში და რაც შეიძლება მეტი სამხედრო ძალა უნდა მიეზიდათ თავიანთ თავზე.

ქართველთა ლაშქრის ფლანგებიც დაიძრნენ ბერძენთა მხედრობის შესახვედრად და მათთან მიახლოვებისას, ქართველთა მხედრობამ რკალურად დაიწყო გაშლა. ქვეითი ჯარიც ნელ-ნელა სიგრძეზე გაიშალა, წინსვლას კი ჯერ არ ჩქარობდნენ.

ქართველთა მხედრობის წინა ხაზი შუბოსან ბერძენ მხედრობას ახლოს მიუახლოვდა, მაგრამ ბრძოლაში არ შეებნენ მათ, მშვილდების სროლით დაიწყეს მათი შევიწროვება, ამასობაში მხედრობის უკანა ხაზი ორივე მხრიდან, ფარნავაზისა და ქუჯის წინამძღოლობით კვლავ რკალივით გაიშალა. ქართველთა ლაშქარი თითქოსდა, ზუსტად ისე მოქმედებდა, როგორც აზონს უნდოდა. ისინი მთელს სიგრძეზე გაწელილიყვნენ, ძირითადი ცხენოსანი ჯარებიც გრძლად გაეწელათ ფლანგებზე ქართველებს.

აზონი გაჰყურებდა შორიდან ბრძოლის ველს და ხედავდა, რომ ქართველთა ლაშქარი ნამგალივით, ნახევარმთვარესავით შემორტყმოდა გარშემო მის ჯარს,

რაც შემაშფოთებლეი იყო, სამაგიეროდ მის წინ, შუა ცენტრში, ქართველთა სიგრძეზე გაწელილი და ოდნავ შეთხელებული ქვეითი ჯარი დარჩენილიყო, რომლის უკანაც ძვირფას-აბჯარასხმული და დროშოვანი მხედ-რობა იდგა. სწორედ იქ ეგულებოდა ფარნავაზი აზონს, ფლანგებზე უკვე ცხენოსანთა ჯარები ერთმანეთს მსუბუქად შებმოდნენ. ქართველთა ქვეითი ჯარი ჯერ ადგილზე იდგა და არ დაძრულიყო. აზონმა კიდევ გადახედა ბრძოლის ველს, იფიქრა, დრო მოვიდაო და მაკედონიური ფალანგის დაძვრის ბრძანება გასცა.

არტაანის ბრძოლა

მაკედონიური ფალანგები მწყობრი აჩქარებული სვლით სწრაფად მიიწევდნენ წინ, აზონიც თავისი სწრაფი ცხენოსანთა ჯარით უკან მიჰყვებოდა ფალანგებს.

ბაკური და მის გვერდით მდგომნი მხედართმთავრები ყურადღებით აკვირდებოდნენ ფალანგების მოახლოვებას, პირალესილი უამრავი და გრძელი შუბებით რომ მოიწევდნენ წინ. ასიოდე ნაბიჯი რომ დარჩა მათთან შეხვედრამდე, ბაკურმა მაშინ მისცა ნიშანი და რამდენიმე მხრიდან ერთდროულად გაისმა ბუკისა და ნაღარას შემაზრზენი ხმა.

მებუკეთა ნიშანზე ქართველთა ჯარის ქვეით მებრძოლთა მწკრივები გაიყო და წინ წამოსწიეს 1400 ოთხთვლიანი ეტლი, რომლებზეც დადებული და დამაგრებული იყო გრძელი წაწვეტებული ხის მორები. ეტლებში ორ-ორი ცხენი პირუკუღმა იყო შებმული და ცხენებს მშვილდისაგან და შუბისაგან ურემზე დამაგრებული დამცავი ფარი იცავდა. ცხენები როდესაც წინ მიიწევდნენ, მათ თავწინ შებმული მორებ-გამოშვერილი ეტლებიც წინ მიდიოდნენ, ეტლს ცხენზე შემომჯდარი კაცი მართავდა. ოთხთვალა ეტლები ერთმანეთის გვერდი-გვერდ დააყენეს, ეტლებსა და ცხენებს შუა სიახლოვეს თორიანი მებრძოლები ჩასდგნენ და ერთდროულად ბერძნულ-მაკედონიურ ფალანგაზე დაწოლა დაიწყეს.

შედრკა ფალანგა, წინ ვეღარ მიიწევდნენ, მათი გრძელი შუბები ქართველთა ჯარის მებრძოლებს ვეღარ სწვდებოდნენ, ხის მძიმე მორებთან შეჯახებისას კი გრძელი შუბები და დამცავი ფარები ემსხვრეოდათ და ელეწებოდათ. ვინმე ბერძენი თუ მოინდომებდა ურემზე ზევიდან გადავლას ან გადასვლას, ქართველი მშვილდოსნები და შუბოსნები მათ წინ არ უშვებდნენ.

ბერძენ მებრძოლებს ფალანგის დაშლა არ უნდოდათ, რადგან მათი ძალა გრძელი შუბებით ერთმანეთის გვერდიგვერდ ერთად ყოფნაში იყო, თორემ ისე ერთი მებრძოლი 3 მეტრი სიგრძის მძიმე შუბით ძალზედ მოუქნელი იყო.

როდესაც აზონის ჯარის ფალანგები შეჩერდნენ, ქართველთა მარჯვენა და მარცხენა ფრთების ცხენოსანთა ჯარებსაც წაწვეტებული მორებით დატვირთული ეტლები გამოეყოთ — 800 ეტლი მარჯვენა ფლანგზე და 800 ეტლიც მარცხენა ფლანგზე. მათ ზეწოლა დაიწყეს აზონის მძიმე ჯავშნოსან და გრძელშუბოვან ცხენოსანთა ჯარზე და მათი თანდათანობით შევიწროვება სცადეს, რათა ჯაჭვ-პერანგდაფარული თორიანი ცხენები მხედრებიანად, იძულებულნი გაეხადათ, ბრძოლის შუა ველზე გაეყვანათ და მაკედონიური ფალანგის მიერ გამოთავისუფლებულ სივრცეში, შუა ველზე შეჯგუფებულიყვნენ.

დაწვეტილ-მორიანი ეტლების მიწოლა-რტყმევითა და ორივე მხრიდან მშვილდთა გახშირებული მოისვრით, მჭიდრო შევიწროვებითა და სწრაფი მოქმედებით ქართველთა ლაშქარი ნელ-ნელა რკალს ჰკრავდა და აზონის ლაშქარს მარყუჟში იქცევდა. ქართველ ცხენოსანთა ჯარის მარჯვენა ფლანგიდან 5 000 ცხენოსანი სწრაფი ჭენებით დაიძრა მტრის ზურგისაკენ, იგივე მოახდინეს ქუჯის ფლანგის მხრიდანაც და 5 000 ცხენოსანი მარცხენა ფრთიდან, მტრის ზურგისაკენ გამოეშურა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველთა ცხენოსანთა ჯარის ორივე ფლანგის მებრძოლები ერთმანეთს შეხვდნენ, შეერთდნენ და მარყუჟი შეჰკრეს. აზონის ლაშქარი ალყაში მოექცა.

ქართველთა ლაშქარმა მორებ-დადებული ეტლები

გააერთიანეს და ერთდროულად 3 000 ეტლი ყოველი მხრიდან ავიწროვებდა და ამჭიდროვებდა აზონის ჯარს. იმავდროულად, დაიწყეს ცეცხლოვანი ბირთვებისა და ლოდების სროლა, მშვილდოსნებმა კი ათი ათასობით ისარი ჩაუშვეს ბერძენთა შეჯგუფებული ჯარის რიგებში.

აზონის ჯარი ერთ მოუქნელ მასად იქცა და ერთ დიდ ბირთვად შეიკრა. ბაკურმა თავის გარემომცველ მხედართმთავრებთან და მხედრებთან ერთად, ქვეითი ჯარის უკან დაკავებული მაღლობი დასტოვა, ყველა თავისი ჯარისა და ათასეულის მებრძოლებს დაუბრუნდა, დადგა დრო მასიური ძალის მიწოლისა ბერძნებზე.

ეტლების ცხენებზე შემსხდარი მებრძოლები მთელი ძალით აიძულებდნენ ცხენებს, დატაკებოდნენ ბერძნებს და კიდევ უფრო შეემჭიდროვებინათ ისინი. მძიმე მორთა ძლიერმა დარტყმებმა კიდევ მეტი და მეტი ფალანგთა გრძელი შუბები დაამსხვრია და დალეწა.

აზონი არ მოელოდა ქართველთა ლაშქრის მხრიდან ასეთი ფორმითა და ასეთი სახით ბრძოლასა და შემოტევას. არ იჯერებდა, რასაც ხედავდა, მან თავისი ჯარი ვერ აამოქმედა, იგი ქართველთა ლაშქრის ალყაში იმყოფებოდა და ერთ ჯგროდ დახვავებულნი, მოუქნელ და მოუხერხებლად ქცეულიყვნენ.

მომწყვდეული ჯარის გარეთა ნაწილი უკვე ნადგურდებოდა, შიგნით კი ჯარი უმოქმედო და შევიწროვებული იმყოფებოდა, შიგნითა ფალანგის ჯარს გრძელი შუბების გაშლის საშუალება არ ჰქონდა და წვერ-მაღლა ჰაერში აშვერილნი აზონის გარშემო დამდგარიყვნენ.

ცხენზე შემჯდარი და ბრძოლის ველის შუაგულში მყოფი აზონი ვეღარც ქართველთა რჩეულ მხედრობას ვეღარ ჰხედავდა, სადაც ფარნავაზი ეგულებოდა. ისინი

თავიანთი მედროშეებიანად სადღაც გამქრალიყვნენ.

აზონს გარშემო მისი მხედართმთავრები, სწრაფი და მსუბუქი ცხენოსნები, უმოქმედო ფალანგა ეხვია და ცდილობდნენ, თავი აერიდათ, ან ფარები მოემარჯვათ, ქართველთა ლაშქრის მხრიდან ნასროლი ქვა-ღორღ-ლოდების, ცეცხლოვანი ბირთვებისა და ათასობით ქეიბურ-ქიბურჯ-ისრისათვის, რომელთა ფრენაც არ წყდებოდა მათს თავზე. აზონის ჯარის დანაკლისი უკვე 7 ათასამდე მებრძოლს მოითვლიდა, ქართველთა ჯარის დანაკლისი კი ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო.

აზონი მიხვდა, რომ თავად გაება ფარნავაზის ხა-ფანგში. ასე დგომით იგი ჯარს ვეღარ აამოქმედებდა, რაღაც უნდა ეღონა და შემდეგ იქნებ გამოესწორებინა მდგომარეობა, რომ ბრძოლის სადავეები ხელთ აეღო. ჯარი ჯერ კიდევ საკმაოდ ჰყავდა.

***

აზონმა მახვილი იშიშვლა, მაღლა აღმართა და თავის ჯარს უბრძანა, ხელჩართულ ბრძოლაზე გადა-სულიყვნენ.

ბერძენთა ჯარმა უსარგებლოდ გამოუყენებე-ლი შუბები დაჰყარეს, მახვილები მოიმარჯვეს და ალყაშემორტყმულებმა, ქართველთა ლაშქრისაკენ გაიწიეს.

ბერძნებს პირველად მთიელებმა და სვანებმა შეუტიეს. ისინი შეუპოვრად და სიმამაცით ეკვეთნენ, თითქოსდა, სწორედ ამას ელოდნენო და, ულმობლად დაუწყეს ჩეხვა და კაფვა. ხელჩართული, გააფთრებული ბრძოლა გაიმართა.

ქართველთა ქვეითი ჯარის მხედართმთავრები და

ათასისთავები, ცხენზე ამხედრებულნი და ხმლით ხელში, სიმამაცისა და ვაჟკაცობის მაგალითს აძლევდნენ თავიანთ მებრძოლებს. ბებერი ლომებივით და ახალგაზრდული შემართებით იბრძოდნენ ბაკური, კახაბერი და რატი, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ თავ-თავიანთი დამცველი მხედრობები. ბრძოლით აღტყინებულმა კახაბერ ხევისთავმა ძმას გადასძახა:

– ბაკურ! ძლივს არ ავამღერე მამიჩვენისეული ხმალი, თორემ უქმად ყოფნისაგან ჟანგმა შეჭამა!.

– აგრე ჰქმენ! ალესე ხმალი, კახაბერ, ალესე! — სიცილით მიუგო ბაკურმა ძმას და გამეტებით დაჰკრა ხმალი ბერძენ ასისთავს.

ფარნავაზმა გრძელი მოსასხამი გადაიძრო და მზის შუქზე აელვარდა ქუჯის მიერ ნაჩუქარი ძვირფასი აბჯარ-მუზარადი. ხმალი შემართა, მებრძოლებს გადახედა და თავის ლაშქარს ომახიანად შესძახა:

— მეომარნო! დადგა დრო, რომ გავისარჯნოთ ჩვენი ქვეყნისა და მამულისათვის! მხნედ და გმირულად შევებათ მტერს! სამარადჟამოდ დავამარცხოთ, გავანადგუროთ აზონი და მტრისაგან თავისუფალი დავუტოვოთ ჩენი სამშობლო-ქვეყანა ჩვენს ოჯახებსა და ჩვენს შვილებს!

მამისეული ხმალი შემართა ფარნავაზმა და თვითონ გაუძღვა წინ, მარჯვენა ფრთის 15 000-იან ცხენოსანთა ჯარს, რომლებიც ზურგიდან ეკვეთნენ მტერს. ჯიქურ მიიწევდა წინ ფარნავაზი. მის გზაზე შემხვედრი ყოველი მტერი ვერ უძლებდა ერთი ძლიერი დარტყმით ან სწრაფ-ასხეპილი ამოკვრით, მისი ძლიერი მკლავის ძალას. ფარნავაზის სიცოცხლე ბაქარს ებარა, ამიტომ ბაქარი ხმალშემართული, რჩეული მხედრობის თანხლებით, ლანდივით თან სდევდა მას.

მარცხენა ფრთიდან შემოერთებული ქუჯის 15000 ცხენოსანთა ჯარი გაერთიანდა ფარნავაზის ჯართან და ერთიანი ძალებით, 30000 მხედრით ხმლით ხელში შეებნენ აზონის რჩეულ მხედრობას.

ქართველთა ლაშქრის მხედრობა ყოველი მხრიდან დიდ ზეწოლას ახდენდა აზონის ჯარზე, ისინი შეუპოვრობითა და გამბედაობით დაუნდობლად მუსრავდნენ მტერს. ომში დაუმარცხებელი მაკედონიური ფალანგები არ მოელოდნენ ქართველთა ლაშქრის ასეთ სიმამაცეს. ყოველი მხრიდან უტევდნენ და კაფავდნენ მათ ფარნავაზის მებრძოლები, შედრკა და დაიბნა ბერძენთა ჯარი.

თეთრ საბრძოლო ბედაურზე ამხედრებული ქუჯი მარჯვნივ და მარცხნივ ხმლით სერავდა მტერს და თავგამოდებით წინ, აზონისაკენ მიიწევდა.

უცებ ქუჯის ზურგსუკან შემოესმა ფარნავაზის შეძახილი:

– ერთით მეტი, ქუჯი!

ქუჯიმ სწრაფად მიიხედა უკან და დაინახა მის უკან ზურგით მდგარი, შავ ულაყზე ამხედრებული ფარნავაზი, რომელიც ულმობლად მუსრავდა მტერს. ქუჯის გაახსენდა ფარნავაზთან ერთად, პატარა ნავში ფეხზე მდგარნი და ერთმანეთზე ბეჭი-ბეჭ მიყრდნობილნი როგორ მოისრავდნენ მშვილდებით მდინარეში ორაგულს.

ქუჯიმ ხმამაღლა გაიცინა, მთელი ძალით დაჰკრა ხმალი ბერძენ მებრძოლს და შესძახა:

– ორით მეტი, ფარნავაზ!

მალევე ფარნავაზის ხმაც შემოესმა: – სამით მეტი, ჩემო ქუჯი!

ქუჯიმაც არ დააყოვნა: – ოთხით მეტი, მეფეო!

ქუჯის გვერდიდან არ შორდებოდნენ რისმაგი და

შერგილი თავისი მხედრობით. ბაქარი კი, შავლეგისა და მისი მხედრობის თანხლებით, ფარნავაზს ფარივით ედგა.

სომეხთა ჯარი მტკიცედ იდგა და ქართველთა ლაშქრის კარგად ორგანიზებულ ბრძოლას მხარს უბამდა. ოვსთა მეფის მხედრობა ღრმად შეჭრილიყო ბერძენთა ჯარის შუა ცენტრისაკენ და ფალანგებს ჩეხავდნენ.

ფარნავაზმა და ქუჯიმ თავისი მხედრობით ბრძოლის ველის შუაგულისაკენ დაიწყეს გზის გაკაფვა და ბრძოლით გასვლა იქ, სადაც აზონი ეგულებოდათ. ბრძოლის ველის შუაგულში გააფთრებული აზონი მახვილით ხელში იგერიებდა ყოველი მხრიდან მოწოლილ მტერს. ასაკში შესული აზონი მხნედ იბრძოდა და აქეთ-იქით იმავდროულად ბრძანებებს სცემდა თავის მხედართმთავრებისთვის. ერთ-ერთმა მისმა მხედართმთავარამა აზონს აუწყა, რომ ქართველებს ბერძენთა ზურგში მდგომი მხედრობის წყობა გაერღვიათ და აზონისაკენ მოიწევდნენ. აზონმა გაჰხედა თავისი ჯარის ზურგის მხარეს და შენიშნა, რომ ქართველთა რჩეული მხედრობა იოლად იკაფავდა გზას ბრძოლის ველის შუაგულისაკენ.

ქართველთა მხედრობას ორი ძვირფასი აბჯარმუზარადასხმული გამორჩეული მებრძოლები მოუძღვებოდნენ წინ, გარშემო მყოფი მებრძოლები კი მათ უსაფრთხოებას იცავდნენ. აზონი მაშინვე მიხვდა, რომ ორი გამორჩეული მხედარი ფვარნავაზი და ქუჯი უნდა ყოფილიყვნენ. თავის რჩეულ მხედრობას შესძახა, მომყევითო და გზის გაკაფვა დაიწყო ფარნავაზისაკენ.

ბაქარი დიდი ყურადღებით იყო და ყველა მხრიდან თვალით ზომავდა მოახლოვებულ საფრთხეს.

საფრთხის მოახლოვებისთანავე მაშინვე განკარგულებებს აძევდა თავის რჩეულ მხედრიონს, თუ საიდან უნდა გადაეკეტათ გზა. ბაქარმა შეამჩნია, რომ ბრძოლის ველის შუაგულიდან ფარნავაზისაკენ ბერძენთა რჩეული მხედრობა მოიკვლევდა გზას და წინ მოიწევდა. იცნო ბაქარმა აზონი, რომელიც ამ მხედრობას წინ მოუძღვოდა და შესძახა თავის ცხენოსნებს —„პირდაპირ აზონიო“. ფარნავაზი და ქუჯი, თავიანთი რჩეული მხედრობით, მათკენ მომავალ აზონის პირისპირ აღმოჩნდნენ. ბაქარმა ნახევრად გადატეხილი და მიწაზე დარჭმული ბერძნული შუბი აიღო და ხელში შეათამაშა.

მახვილაღმართული აზონი თავისი რჩეული ჯარით მოახლოვებულიყო. უცებ ბაქარი ცხენზე შეიმართა და შუბი მთელი ძალით აზონისაკენ სტყორცნა.

გაისმა ყრუ დარტყმის ხმა და მკერდშელეწილი აზონი, აბჯრის ხმაურითა და ზღართანით, მიწაზე დაენარცხა.

ცხენიდან გადმოვარდნისას აზონს თავიდან მუზარადი წასძვრა და გამოჩნდა მისი გაჭაღარავებული თავი, გაფითებული სახითა და გაშტერებულ-გაოცებული თვალებით.

ბრძოლამ ცოტა ხანს კიდევ გასტანა. როდესაც ბერძენთა ჯარმა გაიგო აზონი მოკვდაო, იარაღი დაჰყარეს, ქართველთა ლაშქარს დანებდნენ და ბრძოლაც შეწყდა.

ბერძენთა ჯარის დატყვევებული მხედართმთავრები და ათასისთავები შავლეგმა ასისთავს ჩააბარა და თვითონ ქართველთა ლაშქარის მხედართმთავრებს მიუახლოვდა, რომლებიც შორიახლოს ფეხზე მდგარნი დაჰყურებდნენ მიწაზე გართხმულ გულ-მკერდშენგრეულ აზონის უსულო გვამს, რომლის შელეწილი აბჯრიდან შემაძრწუნებლად ამოშვერილიყო უშვე-

ლებელი შუბის ტარი. მხედართმთავარნი მარჯვენას უქებდნენ ბაქარს.

ოდნავ მოშორებით ფარნავაზი და ქუჯი ჩამომსხდარიყვნენ გრძელი შუბებისაგან გაკეთებულ, ხარიხასავით გადებულ სახელდახელო გრძელ სკამზე, რომელზედაც ცხენის ტყავი იყო გადაფარებული. ისინი ბრძოლის ველს გაჰყურებდნენ, სადაც ქართველთა ლაშქარი გამარჯვებას ზეიმობდა და ბერძენთა ჯარის დატყვევებულ მებრძოლებს იბარებდა.

– დამთავრდა ყველაფერი, ფარნავაზ, დამთავრდა, დიდი გამარჯვება მოივპოვეთ! – გახარებულმა წარმოსთქვა ქუჯიმ.

— ნამდვილად ასეა, ქუჯი, დიდი გამარჯვებაა და დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ ყველაფერი ახლა იწყება, – დაფიქრებულმა წარმოსთქვა ფარნავაზმა.

– ყველაფრის დაწყებაში რას გულისხმობ, ფარნავაზ? – ჩაერია საუბარში ხევისთავი კახაბერი.

– აზონის სიკვდილით ჩვენი სავალი გრძელი გზის კარი გაიხსნა, – მშვიდად წარმოსთქვა ფარნავაზმა.

– აზონს რა ვუყოთ? – იკითხა რატიმ.

– მისი თავი მცხეთაში ჩავიტანოთ და ყველას დასანახავად, სარკინეს ციხის მაღალ კოშკზე სარზე წამოვაცვათო, – ხუმრობდნენ ახალგაზრდა ათასისთავები.

– აზონის თავი მე გამატანეთ, ანტიოქიის მეფე სალეუკოს მივართმევ საჩუქრად, ნიშნად ბრწყინვალე გამარჯვებისა, – საქმიანად ჩაერთო საუბარში სასომხეთის მმართველი სატრაპი.

ფარნავაზი უსმენდა თავის მხედართმთავრებს და შორიახლოს მდგარ დატყვევებულ ბერძენ მხედართმთავრებს გაჰყურებდა, რომელთა შორისაც იმყოფებოდა აზონის შვილი და ერთადერთი მემკვიდრე დემეტრე.

ცხრამეტი წლის დემეტრე მცხეთაში იყო დაბადებული. თხუთმეტი წლისა ფარნავაზმა იგი მცხეთაში გაიცნო. აზონი თავის შვილს ქართლის მომავალ მეფედ ზრდიდა და ამზადებდა. დემეტრე ყმაწვილობიდანვე დიდად აფასებდა ფარნავაზის შესანიშნავ საბრძოლო თვისებებსა და მოხერხებულობას, რაც მან იხილა მამამისის წვეულებაზე, სასახლის დიდ დარბაზში ფარნავაზისა და ბერძენი ასისთავის ორთაბრძოლისა და მცხეთის ყოველწლიურ დიდ საჯირითო ასპარეზობებში ფარნავაზის გამარჯვებებისას.

აზონის სანადიროდ გასვლისას, რამდენიმეჯერ დემეტრეც ხლებია მამამისს ალგეთის სანახებში. თავისუფალ დროს მოზარდი დემეტრე ფარნავაზს ეახლებოდა ხოლმე მშვილდითა და მახვილით და გამართული ქართულით სთხოვდა: ვივარჯიშოთო, ფარნავაზ, მასწავლე შენი ხერხი.

ფარნავაზი თავიდანვე ქართლის სამეფო ტახტის მოქიშპე მტერს ხედავდა პატარა დემეტრეს სახით, მაგრამ დიდბუნებოვანი იყო და არავის არაფერს არ აგრძნობინებდა. ოთხი წლის განმავლობაში მათ შორის კარგი მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა და ხანდახან, როდესაც თითქმის მარტონი რჩებოდნენ, ფარნავაზი მას უმცროსი ძმასავით ექცეოდა, მით უმეტეს, დედისერთა დემეტრე მონატრებული იყო ასეთ ძმურ ურთიერთობას.

– ფარნავაზ, აზონის ცხედარს მართლა რა ვუყოთ? – იკითხა ქუჯიმაც. – ან ამდენი ტყვეები სად წავიყვანოთ? – ჩაერია საუბარში ელიზბარი.

ფარნავაზმა გადახედა თავის მხედართმთავრებს და მშვიდად მიუგო:

– ომი დამთავრდა. ახლა ახალ ცხოვრებას ვიწყებთ. ბევრი გვაქვს საქმენი გასაკეთებელი. მთელი ეს მხარე სამხრეთი ქართლისა, ორასი წელია, უცხოთა ხელშია და დროა, დავიბრუნოთ და შემოვიერთოთ, მაგრამ არა ძალადობითა და სისხლისღვრით, რადგანაც ძალადობა ძალადობას გამოიწვევს, სისხლისღვრა კი სისხლისღვრას. ლმობიერებითა და პატივისცემით უნდა შემოვაბუნოთ ისინი ჩვენსკენ. ტყვეები და მხედართმთავრები უნდა გავუშვათ, გავათავისუფლოთ, რომ თავიანთ სახლებსა და ოჯახებში დაბრუნდნენ.

რაც შეეხება აზონს, იგი ღირსებით უნდა დაიკრძალოს. ხმლით ხელში გმირულად დაეცა ბრძოლაში და თავისივე მხედართმთავრებს გავატან, მათ დაკრძალონ, როგორც მებრძოლი და თავიანთი მეფე“.

ფარნავაზმა შემდეგ ბაქარს მიმართა:

– ბაქარ, აზონის შვილი მოიყვანე აქ.

მცირე ხანში ფარნავაზის წინ აბჯარასხმული და გაფითრებული დემეტრე იდგა, რომელიც თავდახრილი ცდილობდა, რომ დაღუპული მამისათვის არ შეეხედა. აქეთ-იქიდან ზოგიერთი ათასისთავთა და ასისთავთა მუქარა გაისმა, „ეგეც მამამისს თან გავაყოლოთ, ზედვე დავაკლათ, თავი მოვკვეთოთ.“

დემეტრეს ყოველივე ესმოდა, გაუნძრევლად იდგა და თავის განაჩენს თვალდახუჭული ელოდა.

ფარნავაზმა ხელი აღმართა, ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. ფეხზე წამოდგა და სთქვა:

– მამის ჩადენილი დანაშაული და ცოდვა შვილს არ მოეკითხება. აზონმა მიიღო ის სასჯელი, რაც ეკუთვნოდა, მისმა შვილმა კი პასუხი არ უნდა აგოს მამის ქმედებაზე.

აზონი გადაგვარებული და გაბერძნებული იყო, მაგრამ მისი წინაპრებისა და ჩემი და ქუჯის წინაპრების ძარღვებში ერთი და იგივე ქართული სისხლი სჩქეფდა ოდესღაც. ქართველობადაკარგული აზონი, როგორც არიან-ქართლის მეფეთა შთამომავალი, მე და ქუჯის ძალიან შორეულ ნათესავად გვეკუთვნოდა.

ალბათ, უფლისა და განგების ნებაა, რომ ბედისწერამ მე მარგუნა ქართველი ერის წინამძღოლობა, რათა განვავითარო ყოველივე ქართული, გავაძლიერო ქართველი ერი, გავმრავლდეთ ქართველნი, დავიმკვიდროთ ჩვენი ენა და დამწერლობა, გადავრჩეთ, როგორც ერი და არ გავნადგურდეთ, არ გადავგვარდეთ და სხვა ერებში არ ჩავიკარგოთ და არ შთავინთქათ.

ალბათ, განგებისა და უფლის ნება იყო აზონის სიკვდილიც, რათა აზონს არ მოესპო ყოველივე ქართული, რადგანაც აზონს შეეძლო მეფობა გაეგრძელებინა და მის მემკვიდრეობასა და მის დინასტრიას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მთლიანად შეეცვალათ ქართველთა ეთნოსის ისტორია. საერთოდ დაკარგულიყო ქართული ენა, გამქრალიყო ყოველივე ქართული და მომავალში ვყოფილიყავით ბერძნულად მოლაპარაკე, უთვისტომო ერდაკარგული და მრავალ-აღრეული ხალხი, ვითარცა ამჟამად პონტოელნი არიან, რომლებიც ერთ დროს ქართველნი იყვნენ და დღეს სულ იმ საშიშროებაში არიან, მომავალში ვინ დაიპყრობთ და ამ ქვეყნიერებიდან ნელ-ნელა როდის გაჰქრებიან უკვალოდ.

პირველად ისტორიაში აღმოსავლეთის და დასავლეთის ქართველები გავერთიანდით, დღეს კი შემოვიერთეთ დაკარგული სამხრეთი ქართლიც და პირველად შევქმენით ყოველთა ქართველთა გაერთიან-

ებული დიდი ქვეყანა, სადაც მე, როგორც მეფე ამ ქვეყ-
ნისა, ჩემს ძალ-ღონესა და სიცოცხლეს არ დავზოგავ
და არ დავიშურებ, რათა მტკიცე საფუძველი და მყარი
საძირკველი ჩავუყარო ქართველი ერის ისეთ სახლსა
და ისეთ ქვეყანას, რომელიც სიმტკიცით მრავალათას-
წლეულებს გაუძლებს.

ბედისწერამ ეს ხვედრი მე მარგუნა და ნამდვილად
უფლისა და განგების ნებაა ის, რომ ქართველმა ერმა
იარსებოს, არ გადაგვარდეს და საერთოდ არ გაჰქრეს.
რაც შეეხება აზონის შვილს, დემეტრეს, მამამისის ცხე-
დრის ღირსეულად დაკრძალვის შემდეგ, იგი ჩვენთან
ერთად მცხეთაში დაბრუნდება.

— მძევლად? მცხეთაში? — გაისმა გაკვირვებული
ხმები.

ფარნავაზმა ჩაიცინა და წარმოსთქვა:

– მცხეთაში დაბადებული და გაზრდილი კაცი რო-
გორ იქნება მძევლად საკუთარ სახლში, მით უმეტეს,
შორებელ ნათესავადაც მეკუთვნის და უმცროსი
ძმასავით იქნება ჩემთან სასახლეში. ბაკურ, შენ გაბ-
არებ დემეტრეს, განსწავლული კაცია, ოთხ ენაზე მე-
ტყველებს, კარგად გამოზარდე და გამომიწვრთენი.
მომავალ პირველ ელჩ-დესპანად გაზარდე და განსწავ-
ლე. გაძლიერებულ ჩენს ქვეყანას გამოადგება.

სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში მყოფი დემ-
ეტრე არ მოელოდა ფარნავაზის ასეთ სულგრძელობას,
ლმობიერებასა და კეთილშობილებას. იგი მადლიერების
ნიშნად, უხმოდ დაეცა მუხლებზე ფარნავაზის წინაშე.

არც ქართველთა ლაშქრის მხედართმთავრები მოე-
ლოდნენ ფარნავაზის ასეთ დიდბუნებოვნებას, მხოლოდ
ბაკური შეჰყურებდა თავის აღზრდილს გაღიმებული და
სიამაყით აღვსილი.

ფარნავაზმა დემეტრე ფეხზე წამოაყენა, გაღიმებულ ბაკურს მიუხვდა აზრს და ღიმილითვე იუგო:

– ჩემო ბაკურ, როგორც რომ მე გამზარდე, ისევე გამოზარდე! – შემდეგ აზონის ცხედარსა და დატყვევებულ მხედართმთავრებზე მიუთითა, გაათავისუფლეთ სუყველა, აზონის ცხედარი ჩააბარეთ, მიხედონო და ბრძოლის ველის დატოვების ბრძანება გასცა.

XXXVII

აზონის ჯარს შეიარაღება და ცხენები ჩამოერთვათ, ფარნავაზმა მათ თავისუფლება მისცა და ყველამ თავის ქვეყანასა თუ სახლებს მიაშურა.

გადაწყდა, ქართველთა ლაშქარს ბრძოლის შემდეგ არტაანში დაესვენათ და შემდეგ დაბრუნებულიყვნენ სახლებში. ლაშქარს ებრძანა, ქალაქში შესვლისას, პატივი ეცათ ქალაქისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისინი არ გაენადგურებინათ, არ გაეძარცვათ და არ შესეოდნენ მათ. ომში გამარჯვებული ქართველთა ლაშქარი არტაანს უახლოვდებოდა, წინ მათ ფარნავაზი, ქუჯი, ოვსთა მეფე და სასომხეთის მმართველი მიუძღოდნენ.

ქალაქის გალავნის კედლის მიღმა, შორიდან მოსჩანდა მრავლად ნაშენი მაღლივი ნაგებობანი და ციხე-კოშკები. ცხენზე ამხედრებული ფარნავაზი ქალაქს გაჰყურებდა და მოულოდნელად გაშრა და გაფითრდა. ქალაქის გალავნის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი ციხე-კოშკის მაღალ კედელზე კარგად ნაცნობი გამოსახულება შეამჩნია, რომელიც მკაფიოდ და აშკარად

მოსჩანდა ქალაქში ყოველი შემსვლელისათვის – მაღალი კოშკის მთელი კედლის სიგრძე-სიმაღლეზე თეთრი ქვით გამოსახული იყო ქალი და მზე.

ფარნავაზს გულმა რეჩხი უყო, ცხენი შეაყენა და შედგა.

მის უკან მომავალ გახარებულ და ომში გამარჯვებისაგან კარგ ხასიათზე მოსულ მხედართმთავრებს ბაქარი სწრაფად გამოეყო, ფარნავაზს გვერდში ამოუდგა, შენიშნა, რომ ფარნავაზს თვალები ამღვრეოდა, სახეზე ფერი დაჰკარგვოდა და ჰკითხა, რა მოხდაო.

ფარნავაზმა ხელით გალავნის იქით მდებარე კოშკისაკენ მიანიშნა.

ბაქარმა გააყოლა მზერა ფარნავაზის ხელს და მოულდონელობისაგან მას გაოცებულ-დატანჯული შეძახილი აღმოხდა: – „ქალთამზე!“ კოშკის მთელს კედელზე გამოსახული ქალი და მზე ზუსტად ისეთივე იყო, როგორც მთაში ყოფნისას, მოზარდი ფარნავაზი პატარა ქალთამზეს ასწავლიდა ხოლმე თავისი სახელის წერას, ძველ-კოლხური ნიშან-დამწერლობით.

ქალთამზის სახელის გაგონებისას, წამოენთნენ ბაკური, კახაბერი და მისი შვილები. ბაქარმა ანიშნა მათ კოშკისაკენ და ფარნავაზთან ერთად ცხენები სასწრაფოდ ყველამ ერთად ქალაქში შესასვლელი კარიბჭისაკენ გააჭენეს.

ქუჯიმ ჯარს გასძახა, 200 მებრძოლი სასწრაფოდო და ისიც მხედრებთან ერთად ფარნავაზს დაედევნა, ლაშქრის მშვიდობიანად დაბინავება კი რატის დაავალა.

ფარნავაზს ციხე-კოშკი ცარიელი დახვდა, ორი მსახური შეიპყრეს მხოლოდ ნაქურდალით, რომლებიც ქართველთა მხედრობის დანახვისას გაქცევას ცდილობდნენ.

ფარნავაზი კოშკის ბანზე გავიდა, კედლის გამოსახულებას შეხედა, შემდეგ ციხის დარბაზში შებრუნდა და შეპყრობილ მსახურთა მოყვანა მოითხოვა.

ფარნავაზი სკამზე ჩამოჯდა, აქეთ-იქიდან და უკან მას ქუჯი, ბაქარი, ბაკური, კახაბერი და მისი შვილები ამოუდგნენ. მალევე დამფრთხალი და შეშინებული მსახურები შემოიყვანეს დარბაზში და ფარნავაზმა მათი დაკითხვა დაიწყო.

მსახურები ატირდნენ და ქურდობისათვის შეწყალება მოითხოვეს:

– გავიგეთ ჩვენი პატრონი ომში დაიღუპაო და ეს ქონება მაინც დაიკარგებოდა, ნუ დაგვსჯით, შეგვიწყალეთ, — მოსთქვამდნენ მსახურნი.

– ვინაა პატრონი, ვის ეკუთვნის ციხე? – იკითხა ფარნავაზმა.

მსახურებმა ისევ დაიწყეს ერთხმად ტირილი და ყაყანი, ერთი მოსთქვამდა, რომ ახალი მოყვანილია სახლში და ბევრი არაფერი არ იცოდა, მეორე მსახური კი ვინმე ქალაქის თავს მოიხსენიებდა.

ბაქარმა გააჩუმა ერთად მოყაყანე მსახურები და ძველი მსახური აალაპარაკა.

აღმოჩნდა, რომ სახლი რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილ ძველ ქალაქის თავს ეკუთვნოდა. მას ერთი შვილი დარჩენოდა, რომელიც ცოლის დაკარგვის შემდეგ გალოთებულიყო და ახლა კი აზონის ჯარში მყოფი, ბრძოლაში დაღუპულიყო. ეს ამბავი ომიდან ახლახანს დაბრუნებულ მებრძოლებს მოეტანათ ქალაქში.

ფარნავაზი დაფიქრდა და შემდეგ მსახურს ჰკითხა:

— კოშკის გარე-კედელზე გამოსახული ნახატი რას ნიშნავსო?

მსახურმა ტუჩები დაბრიცა, მხრები აიჩეჩა და მიუგო:

– არ ვიცი, მაგის შესახებ არაფერი არ ვიცი.

– ქალაქის თავს და მის შვილს რა ერქვათ? – იკითხა ისევ ფარნავაზმა.

– ქალაქის თავს ფარდაოსს ეძახდნენ, მის შვილს კი ახეონი ერქვა, – მიუგო მსახურმა.

დარბაზში გაისმა კახაბერისა და ბაკურის აღშფოთებულ-გაანჩხლებული შეძახილები:

– გადასახადების ამკრეფი ფარდაოსი! ეგ ძაღლის გაგდებული! აქამდე როგორ ვერ მივხვდით, ვინ გაგვტაცა ქალთამზე და ვინ შეურაცხყო შანშე ხევისთავის გაპატიოსნება! როგორ მოგვატყუა! – ნეტავ, ცოცხლად ჩაგვგვარდნოდნენ ხელში!

კახაბერ ხევისთავი მსწრაფლ მიეჭრა მსახურს, ხანჯლის ერთი მოქნევით ყური წაასხიპა და შეჰყვირა მას:

– წუნკალო გველო, ილაპარაკე, სად არი ქალთამზე!

ბაქარმა შეაკავა ბიძამისი, დასისხლიანებულ მსახურს ხელი გაჰკრა, გვერდზე გადააგდო, მოაშორა გააფთრებულ კახაბერს და შემდეგ დამუქრებით მიმართა მსახურს:

– თქვი ყველაფერი, რაც იცი, სწრაფად, თორემ მეორე ყურიც წაგძვრება!

შეშინებულმა და ატირებულმა მსახურმა მოთქმა-ტირილი დაიწყო, რომ ახეონის ცოლის შესახებ მან არაფერი არ იცოდა და ერთადერთი, ვისაც შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა, ფარდაოსის შორეული ნათესავი მოხუცი ქალი იყო, რომელიც ახეონის ცოლს მომვლელად ედგაო.

ბაქარმა რამდენიმე მებრძოლის თანხლებით წინ

გაიგდო ყურჩამოთლილი მსახური და მოხუცი ქალის მოსაყვანად ციხიდან გავიდა.

ფარნავაზმა აღლევებული ბაკური სკამზე ჩამოსვა და წყალი მოატანინა მისთვის. თვითონაც დიდად აღელვებულმა ფარნავაზმა, აქეთ დაამშვიდა გაფიცხებული კახაბერი და ჰკითხა, საიდან იცნობდნენ ქალაქის თავსა და მის შვილს.

კახაბერმა ისევ განრისხებულმა წამოიძახა: „როგორ გაგვაცურაო!“ — თავზე ხელი შემოირტყა და შემდეგ დაწვრილებით მოუთხრო, ფარდაოსისა და მისი შვილის სტუმრობა, კახაბერის ციხესიმაგრეში შანშე ხევისთავის გარდაცვალების დროს. სამი დღის შემდეგ, ხევისთავის დაკრძალვისას, ქალთამზის გატაცებას თუ ფარადოსი და მისი შვილი განახორციელებდნენ, რატომ ჩვენ არ გავიაზრეთ და არ მოვიფიქრეთო, — ბრაზობდა დამწუხრებული ხევისთავი.

ბაქარი მალევე დაბრუნდა ციხეში, მსახურთან და ერთ ჩია დედაბერთან ერთად.

მოხუცი ქალის ნაამბობით გაირკვა, რომ მცხეთიდან არტაანში დაბრუნებული ფარდაოსი და მისი შვილი, ახეონი მშვენიერ ქართველ მეუღლესთან ერთად დასახლებულან ამ ციხეში. ქართლიდან ჩამოყვანილი ულამაზესი ქალი მშვენივრად ლაპარაკობდა თურმე ბერძნულსა და კიდევ რამდენიმე სხვა უცნობ ენებზე. მოხუცი დედაბერი მის მომვლელად დაუნიშნავთ, რადგანაც სულ ტიროდა დღე და ღამე, ავადმყოფობდა და არაფერს არ სჭამდა, მიზეზს კი ავადმყოფობისას არას იტყოდა. ქართველი ქალი რამოდენიმეჯერ ციხიდან გაპარულა და გაქცეულა კიდეც, მაგრამ შეუპყრიათ და მოუბრუნებიათ.

მალე მოხუცი ფარდაოსი გარდაიცვალა და მის მაგივრად ქალაქის თავი მისი შვილი, ახეონი გახდა. როდესაც ახეონი სახლში არ იყო, მის ქართველ მეუღლეს ამ მაღალ კოშკში ჩაჰკეტავდნენ ხოლმე, რომ კიდევ არ გაქცეულიყო.

ახალგაზრდა გოგო სულ ტირილსა და დარდში იყო, ჭამაც აკრძალა. დაავადდა, დაავადმყოფდა და ორი წელი იქნება გასული, რაც გარდაიცვალაო.

ახეონი ცოლის გარდაცვალების შემდეგ სახლიდან აღარ გადიოდა, გალოთებულა და ქალაქის თავობაც დაუკარგავს.

– ვაიმე, ჩემო უბედურო შვილო, რად ვარ ცოცხალი, როგორ ვერ გიპატრონე, – მწარედ ამოიქვითინა გულდამწუხრებულმა ბაკურმა.

ფარნავაზი და ბაქარი ხმას ვერ იღებდნენ, ცრემლი და ბოღმა, უსუსურობისა და უძლურობის შეგრძნება, მათ ყველაფერი ერთად მოსწოლოდათ.

ქუჯიმ შეატყო ფარნავაზს, როგორ იკავებდა თვალზე მომდგარ ცრემლს, სიტყვა ვერ ეთქვა და პირი ვერ გაეხსნა ღრმა სინანულით გულდაღონებულ ვაჟკაცს, ამიტომ თავად განაგრძო დედაბრის დაკითხვა და ჰკითხა, როგორ გაჩნდა ის უშველებელი ნახატი კოშკის მთელს კედელზე.

დედაბერმა ერთი ღრმად ამოისუნთქა, თავსაფრის ყურით აწყლიანებული თვალები შეიმშრალა, აქეთ-იქით მიმოიხედა და თხრობა განაგრძო:

– ახეონმა დაბლა ოთახიდან აქ, მაღლა, სწორედ ამ კოშკში, ამ ოთახში ამოიყვანა და გამოჰკეტა თავისი ცოლი. იმ საცოდავს გარეთ გასვლა და მზის შუქის ნახვაც აღარ შეეძლო, ამიტომ მან მოითხოვა, რომ კოშკის

მაღალ ბანზე მაინც დაერთოთ ნება გასვლისა. დაბლიდან სამი ძირი ყვავილი ქოთნით ამოატანინა და ბანზე დაადგმევინა, ვითომდა, მათ მოსავლელად უნდოდა აივანზე გასვლა. შემდეგ კოშკის კედელი თეთრი ქვით ააჭედ-მოახატვინა უცნაური ქალისა და მზის გამოსახულებით.

დილიდან დაღამებამდე ქართველი ქალი ბანზე გასული ისევ ტირილს აგრძელებდა და რაღაც უცნაური ნაქარგით სულ ხელსახოცებს ქარგავდა. შემდეგ იმავე ხელსახოცებით ნამტირალევ თვალებს შეიშრობდა და მდინარის მხარეს ყოველდღე ნიავს ატანდა და ჰყრიდა.

ასე გრძელდებოდა დილიდან დაღამებამდე ყოველ დღე, სანამ ის საცოდავი არ გარდაიცვალა მძიმე, უკურნებელი დაავადებით.

– რა ნაქარგები იყო ხელსახოცებზე? — იკითხა ბაქარმა.

დედაბერი დაფიქრდა და შემდეგ წარმოსთქვა:

– „რაღაც უცნაური, თითქოს ასო-დამწერლობას ჰგავდა, მაგრამ ვინც კი ნახა, თქვეს, რომ მსგავსი დამწერლობა არ არსებობსო!

– გაქვთ შემორჩენილი ხელსახოცები? — იკითხა ქუჯიმ.

დედაბერმა კიდევ მოავლო თვალი ოთახს:

– ქართველი ქალის სიკვდილის შემდეგ, ახეონმა თავისი ადგილ-სამყოფელი აქ გაიხადა, მთელი დღეები გამოიკეტებოდა ამ ოთახში და სვამდა გონების დაკარგვამდე, ცოლის ნივთები კი გვერდით ოთახში გადაატანინა. იქ ერთი პატარა სკივრი უნდა იყოს. კოშკის ბანიდან გადაყრილი ხელსახოცები ბევრჯერ მიპოვნია დაბლა. აბრეშუმის ნაჭრისა იყო და მენანებოდა ხოლმე გადაყრა. ბევრჯერ ამიღია, ამომიტანია და აქ სკივრში შემი-

ნახავს, – დაამთავრა სიტყვა დედაბერმა და გვერდითი ოთახისაკენ წალასლასდა, ბაქარიც უკან გაჰყვა.

ფარნავაზმა აწყლიანებული თვალები მოავლო მთელს ოთახს და შემდეგ ბანზე გამავალ კარს გაჰხედა, სადაც მწუხრის ჩამავალი მზე მოსჩანდა, რომელიც თითქოსდა, გამოსამშვიდობებლად უკანასკნელ სხივებს აფრქვევდა. ბაქარი დედაბერთან ერთად მალევე დაბრუნდა ხელში პატარა სკივრით, რომელიც მაგიდაზე დასდო.

ფარნავაზი მიუახლოვდა მაგიდას და პატარა სკივრი ფრთხილად გადახსნა, რომელშიც უამრავი სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ხელსახოცები იყო ჩაკეცილი. ფრთხილად ამოიღო ერთი ხელსახოცი, რომელზეც ცრემლის ნაკვალევი დროის განმავლობაში ყვითელ ლაქებად დარჩენილიყო. ფარნავაზმა მაგიდაზე სათუთად დადო ხელსახოცი და ნელ-ნელა გაშალა.

ხელსახოცზე ლამაზად იყო ამოქარგული მრგვლოვანი ნაქარგ-ნაწერი, რომლის წაკითხვა მხოლოდ ფარნავაზსა და ბაქარს შეეძლოთ. ფარნავაზმა თვალით გადაიკითხა ნაწერი, თავი მეტად ვეღარ შეიკავა და ფარულად ცრემლი მოიწმინდა.

ბაქარი მიუახლოვდა მაგიდას და აღელვებული ხმით ხელსახოცზე ამოქარგული ნაწერი წაიკითხა:

– ფარნავაზ, მიშველე, გადამარჩინე, არტაანში ვარ.

დაძაბული სიჩუმე კახაბერის ამოხვნეშილ-დამწუხრებულმა სიტყვამ დაარღვია:

– საბრალო ქალთამზე, იმედი ჰქონდა, რომ ეს ნაქარგი, მტკვარგამოვლილი ხელსახოცები მცხეთამდე ჩამოაღწევდა და კოშკის კედელზეც თავისი სახელ-ნიშანიც იმიტომ მოახატვინა.

თვალცრემლიანმა ბაკურმა იკითხა:

– საფლავი მაინც თუ აქვს ჩემს შვილს, სამშობლოში ძვლებს მაინც წავასვენებ.

დედაბერმა მიუგო, რომ ახეონმა ცოლის ცხედარი, ისევე როგორც მამის, ფერფლად აქციაო.

ბაკური მაგიდაზე მდგარ პატარა სკივრს მიუახლოვდა, აკანკალებული ხელებით სკივრი დახურა და გულაჩუყებული ხმით წარმოსთქვა:

– ამას მაინც ჩავუტან საცოდავ დედამისს.

ფარნავაზმა ხელით ანიშნა, დედაბერი და მსახურები გაიყვანეთ, თაივსუფლები არიანო, შემდეგ მაგიდაზე დადებული ქალთამზის მიერ ნაქარგი და ცრემლშეშრობილი აბრეშუმის ხელსახოცი ხელში აიღო, სიმწრისაგან მომუჭა და გულის უბეში ჩაიდო.

ფარდაოსის სახლიდან გამოვიდნენ ფარნავაზი, მისი მხედართმთავრები და გზა არტაანის მთავარი ციხისა და აზონის სასახლისაკენ აიღეს, სადაც ივერს ძლიერი დაცვა ჩაეყენებინა.

მოსაღამოვებულიყო, ომგადახდილი ქართველთა ლაშქარი ქალაქში განთავსებულიყო და ისვენებდა, ქუჩებში სიმშვიდე იდგა.

აზონის სამეფო ციხესიმაგრეში დიდძალი ხვასტაგი სიმდიდრე და განძი აღმოჩნდა შენახული, რაც აზონმა მცხეთიდან უჩუმრად გაპარვისას, თან წაიღო. ეს ის სიმდიდრე იყო, რაც აზონმა 23 წლის განმავლობაში დააგროვა, მთელს კავკასიაში ხარკი-გადასახადების აკრეფის სახითა და საქართველოში ოქროსა და ვერცხლის წარმოებით.

ხვასტაგის ზედამხედველობა ბაქარს დაევალა.

მხედართმთავრებმა ფარნავაზს მოახსენეს, რომ ათასისთავებს დაემთავრებინათ ქართელთა ლაშქრის

შემოწმება და მებრძოლთა გადათვლა. დანაკარგი ქართველთა ჯარში მცირედი იყო.

მეორე დღეს ფარნავაზმა ქართველთა ლაშქარს დიდი გამარჯვება მიულოცა და სამხრეთი ქართლის დაკარგული მიწების დედა-სამშობლოსთან შემოერთება აღნიშნა, სამეფო სასახლეში კი დიდი წვეულება-ნადიმი გაიმართა.

ამით დასრულდა ერთიანი საქათველოს სრული გაერთიანება.

27 წლის ქართველი მეფე ფარნავაზი, პირველად ისტორიაში, გახდა გამთლიანებული და გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე.

იდგა 304 წელი, ძველი წელთაღრიცხვით.

***

ფარნავაზის აზრიანმა და ჭკვიანურმა საბრძოლო გეგმამ და ქართველთა ლაშქრის მამაცურმა მოქმედებამ დაამსხვრია მითი ბერძნულ-მაკედონიური ფალანგის უძლეველობაზე და დაუმარცხებლობაზე.

ფარნავაზის გამარჯვება გაიგეს იმდროინდელი ელინური სამყაროს სხვა მმართველმა მეფეებმაც. ამიტომ ისინი სათანადოდ აფასებდნენ გაერთიანებული საქართველოს სიძლიერესა და ფარნავაზს, რადგან ახალი საქართველო გამხდარიყო ძლიერი, მტკიცე და დიდი სამხედრო ძალის მქონე ქვეყანა, რომლის დაპყრობაც ადვილი აღარ იყო.

XXXVIII

მცხეთაში დაბრუნებულმა ფარნავაზმა დაიწყო ქვეყნის მოწყობა და შიდა სახელმწიფოებრივი მართვის, კანონებისა და წეს-წყობილების ახალი მეთოდით დაფუძნება და მართვა. მან მთელი საქართველო დაჰყო რვა ადმინისტრაციულ ერთეულად, საერისთავოებად, რომლებსაც სათავეში ერისთავები ჩაუყენა. რვა საერისთავოდან პირველი საერისთავო იყო არგვეთის საერისთავო, შორაპანსა და ლიხს შორის.

მეორე – კახეთის საერისთავო, არაგვსა და ჰერეთს შორის, რომელიც მოიცავდა კახეთსა და კუხეთს.

მესამე – ხუნანის საერისთავო, რომელიც მოიცავდა გარდაბნის შემოგარენს, გარდაბოსის ყოფილ მიწაწყალს, მდინარე ბუდრუჯიდან სოფელ თბილისსა და გაჩიანამდე.

მეოთხე – სამშვილდის საერთისთავო, ტაშირისა და აბოცის ჩათვლით, რომელიც მდინარეთა ალგეთისა და ხრამის შემოგარენს მოიცავდა.

მეხუთე – წუნდის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ჯავახეთსა და კოლას, არტაანამდე.

მეექვსე – ოძრხის საერისთავო, სამცხე და აჭარა.

მეშვიდე – კლარჯეთის საერისთავო, არსიანიდან ვიდრე პონტოს ზღვამდე.

მერვე – ეგრისის საერისთავო, სამეგრელო და სვანეთი.

შიდა ქართლი, სოფელ თბილისიდან ტაშისკარამდე, ცალკე საერისთავოდ შეიქმნა, რომლის მმართველიც, ყველა სხვა დანარჩენი საერისთავოს მმართველ ერისთავთა მთავარი ზემდგომი მმართველი დიდი

ერისთავი იქნებოდა და ყველა ერისთავი მას დაემორ-ჩილებოდა. იმავდროულად, დიდი ერისთავი იქნებოდა საქართველოს სპასპეტი-მთავარსარდალი.

საერისთავოები

ეს დიდი თანამდებობა ფარნავაზმა, დაპირებისამებრ, ეგრისის ერისთავს, ქუჯის ჩააბარა და ამდაგვარად ქუჯი, თანამდებობითა და წოდებით, საქართველოში მეფის შემდეგ მეორე კაცი გახდა.

საერისთავოების ერისთავებად ფარნავაზმა თავისი სანდო და ერთგული მხედართმთავრები დააყენა. ყველა საერისთავოებს დაევალათ გაემაგრებინათ და აღეშენათ ციხეები.

განსაკუთრებით დიდი დავალება მიეცა ბაქარს, მას თავის საერისთავოში, სამშვილდეში, მცხეთისაკენ შემომავალი კარი უნდა გაემაგრებინა, გაეძლიერებინა და ციხეები აეგო.

ქუჯის დაევალა ეგრისის დედაქალაქის, ციხე-გოჯის, დიდ ქალაქ-ციტადელად აღშენება და გადაქცევა.

არგვეთის ერისთავს, იმერს შორაპნისა და დიმნის ციხეები უნდა აღეშენა და აეგო.

ყველა ერისთავი ვალდებული იყო, ხელი შეეწყოთ მოსახლეობის მოწყობა-დაბინავებაში. რამდენადაც მტრის შემოსევის საშიშროება აღარ არსებობდა, მთებიდან ხალხი ბარში უნდა ჩამოეყვანათ მიწების ასათვისებლად, დასამუშავებლად და განსასახლებლად, რათა ქართველი ერი გამრავლებულიყო, გაძლიერებულიყო, ჰქონოდათ ძლიერი მეურნეობა, ჰყოლოდათ ძლიერი ჯარი, ემრავლათ ქალაქები, სოფლები და ციხეები.

გაიზარდა და უფრო გამაგრდა ქართლის გული — მცხეთა. კიდევ უფრო განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა, ბევრად იმატა დიდი ქარავნების შემოსვლამაც.

დაიწყო ქვეყნის დიდი აღშენება და საყოველთაო გაძლიერება.

ერთ-ერთ დარბაზობაზე ფარნავაზმა სასახლეში

შეკრებულ ერისთავებსა და სახელმწიფო მოხელეებს მიმართა:

– ერი და ქვეყანა, რომელსაც საკუთარი ენა-დამწერლობა ექნება, ადვილად არ გადაშენდება, არ გადაგვარდება და ის ქვეყანა და ის ერი დიდხანს იარსებებს. ექვსენოვან და რამდენიმე დამწერლობაგავრცელებულ საქართველოში, კანონის ძალით, დავაწესოთ და გავამყაროთ ახალი ქართული ენა-დამწერლობა და აუცილებლად მთელს საქართველოში შემოვიღოთ მისი ხმარება და გავრცელება.

ქართული ასოთა-წყობის მთავრად დამკვიდრება კი იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ბურჯი და ღერძი.

იმ დღიდან დაწყებული საქართველოში ახალი ერა დაიწყო – ერა ქართული მწიგნობრობისა და განათლებისა.

სასახლის კარზე მყოფმა რუსუდანმა და დემეტრემ ითავეს, გაეკეთებინათ პირველი თარგმანები ძველი ბერძნულიდან და ძველი არამეულიდან ქართულ ენაზე, სასახლეში კი არზათა საცავი დარბაზი შეექმნათ, რომლის მოწყობაში დახმარების სურვილი გურანდამ და ნანიმ გამოსთქვეს. საქართველოში მწიგნობრობას ფუძე ჩაეყარა.

***

ქართლის მთაზე მდებარე აკროპოლისის პანთეონში, სადაც ძველ ქართულ ღმერთებთან ერთად აზონისეული გაცი და გაიმი იდგა, ფარნავაზმა დადგა ახალი ღმერთი, რომელიც მთელი საქართველოს მფარველ, მთავარ ღმერთად გამოცხადდა.

მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარი მთავარი ღმერთი გამოსახული იყო, როგორც მრისხანე მებრძოლი მეომარი, რომელსაც ხელში მტრის დასახვედრად ზეაღმართული მახვილი ეპყრა, ტანად კი შემოსილი იყო მოოქროვილ-მოვერცხლილი ძვირფასი აბჯარ-მუზარადით, რომელიც ქუჯის ნაბოძები იყო ფარნავაზისათვის და საქართველოს მტრისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ნაზიარებ-ნაკურთხი. ქართველთა მთავარ ღმერთს ფარნავაზმა სახელად უწოდა არმაზი და იგი ქართველი ერის მთავარ მიზანსა და მისწრაფებას განასახიერებდა, სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისადმი ბრძოლასა და მტრისადმი დაუმორჩილებლობას, სიმამაცეს, გულადობასა და მამულის სიყვარულისადმი თავდადებას.

არმაზის პატივსაცემად, ხალხი მთელი საქართველოდან მოდიოდა მცხეთაში.

ქართის მთას, სადაც აკროპოლისში არმაზი იდგა, ხალხმა არმაზის მთა უწოდა.

არმაზისადმი თაყვანისცემამ კი ხალხში ეროვნულობისა და სამშობლოს სიყვარულის შეგრძნება გააღვივა, რაც აზონის მმართველობის ოცდასამი წლის მანძილზე მიძინებული იყო ქართველი ხალხის ცნობიერებაში (ეს ყოველივე ფარნავაზმა შესძლო გაეკეთებინა თავისი გამეფების პირველივე წელს. იდგა 304 წელი ძველი წელთაღრიცხვით. ქართველთა მთავარი ღმერთი, მახვილშემართული არმაზი, 600 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იდგა მცხეთის აკროპოლისში ყოველთა ქართველთა თაყვანის საცემად.

ახალი წელთაღრიცხვით IV საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ქრისტიანობის შემოღების შემდეგ, მცხეთაში არმაზი აიღეს).

XXXIX

მცხეთაში ბედნიერებისა და ლხინის დრო დამდგარიყო. დიდი თუ პატარა, ყველა გახარებული იყო.

ფარნავაზმა თავისი და ნანი, დიდ ერისთავს ქუჯის მისცა ცოლად.

გურანდა ოვსთა მეფეს, ზაურს გაჰყვა ცოლად მეუღლედ. ბაქარი და ნათიც შეუღლდნენ.

სამეფო სასახლეში კარგა ხანს გასტანა საქორწილო სუფრებმა, დღესასწაულებმა და წვეულებებმა, რომლებიც ისე გრძელდებოდა და თითქოს აღარასოდეს უნდა დამთავრებულიყო.

ქალაქის თავმა, ბაკურმა, მცხეთაშიც დღესასწაულები გამოაცხადა და უხვად გაიცა მოსახლეობისათვის ღვინო და სამეფო მოსაკითხი.

ფარნავაზმა ახლად დაქორწინებულები უხვად დაასაჩუქრა.

ყველა ხარობდა და ბედნიერნი იყვნენ; გულუხვი ფარნავაზიც თითქოს გახარებული და ბედნიერი სჩანდა, მაგრამ სინამდვილეში გულმოკლული იყო, ღვთაებრივი და მშვენიერი ქალთამზის დაკარგვის გამო.

ქალთამზის დიდი სიყვარულის შემდეგ, ფარნავაზმა სხვა ქალს გული ვეღარ დაუდო. ძილის წინ იგი ხშირად შეჰყურებდა სასახლის საძინებელში გაკიდულ, ქალთამზის მიერ ლამაზად და სიყვარულით ნაქარგ ქართული მრგვლოვანი დამწერლობის ანბანს და ქალთამზესთან ერთად მთაში გატარებული ტკბილი დრო და წარსული ახსენდებოდა.

დღისით ფარნავაზი მთელს დროსა და შემართებას თავისი ქვეყნის აღმშენებლობა-აღორძინებას უთმობდა. იგი მხოლოდ მცხეთაში სამეფო სასახლეში ყოფნი-

თა და ტახტზე ჯდომით არ კმაყოფილდებოდა.

ფარნავაზი, როგორც მეფე და ქვეყნის მმართველი, ვალდებულებად მიიჩნევდა და აუცილებლად სთვლიდა, რომ ემოგზაურა მთელს საქართველოში და სწვეოდა პერიოდულად ყველა საერისთავოს. აგრეთვე სტუმრებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და აკვირდებოდა პირადად, თუ როგორ ვითარდებოდა და შენდებოდა თავისი ქვეყანა, ქალაქები, სოფლები და ციხეები, როგორ ვითარდებოდა ბარში მიწების დამუშავება-ათვისება და მესაქონელობა.

ყველაზე მთავარი კი, რაც იყო მისთვის, ეს უბრალო ქართველი ხალხის არსებობა და მათი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება იყო. იგი ხშირად ხვდებოდა და ესაუბრებოდა მათ, აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, რისი უკმაყოფილონი იყვნენ, სოფლის თავებს გაჭირვებულებისა და ობლების დახმარებას ავალებდა.

მამულების მეპატრონეებსა და სოფლის თავკაცებს იგი ავალებდა, რომ დიდი ყურადღება გამოეჩინათ ხალხის მიმართ, რათა ქართველ ერში არ დაკარგულიყო და კიდევ უფრო მეტად განვითარებულიყო ის სასიკეთო თვისებები, რაც უფალმა დაამადლა მის ერს – გაჭირვებულის, მეზობლისა თუ ახლობლის თანაგრძნობა, დახმარება და პატივისცემა.

ერისთავებთან სტუმრობისას და მათთან შეხვედრისას, ფარნავაზი შეგონებასავით ეუბნებოდა ხოლმე მათ: – „უბრალო ხალხი თუ ძლიერია, ოჯახებიც მათ ძლიერი ექნებათ. ოჯახები თუ ძლიერია, სოფლები და ქალაქებიც მომძლავრებულები არიან.

სოფელ-ქალაქის სიმძლავრე თქვენს საერისთავოებს აძლიერებს. გაძლიერებული საერისთავოების სიმრავლე კი ქვეყნის ძლიერებაა. ასე რომ, ქვეყ-

ნის სიმტკიცისა და ძლიერების ძვალ-ხერხემალი ბედნიერად მყოფი უბრალო ხალხია, რომელიც ბევრს არ ითხოვს. ჩვენი ხალხი შრომისმოყვარე, დაუზარელი და შემოქმედი ხალხია, რომელსაც ბოროტება და ავსულობა სისხლსა და ხორცში გამჯდარი არა აქვთ.

ნუ დაჩაგრავთ, ნუ დააბეჩავებთ და ნუ დაამშევთ ხალხს, თორემ ერი წახდება, რამეთუ სწორედ ის ხალხია ქართველი ერი და არა მხოლოდ ჩვენ – ერთი მუჭა მეფე და დიდებულნი.

თავისუფლებისა და შრომის სიყვარულის კარგი ზნე-თვისება გააჩნია ჩვენს ხალხს. ამას თუ მისცემთ მათ, ისინი მეტს არ მოგთხოვენ. მიეცით საშუალება, რომ იშრომონ და ნუ შეუზღუდავთ უფლებებს, ნუ დაადებთ წელში გამწყვეტ უსაშველო გადასახადებს და ნუ წაართმევთ ყველაფერს, თორემ მათი წაქცევა თქვენ წაგაქცევთ, თქვენი წაქცევა კი ქვეყნის წაქცევას და დააქცევას მოასწავებს.

ამიტომ მიეცით საშუალება მათ, მოძლიერდნენ და გამრავლდნენ, ამ სახით ჩვენი ქვეყანაც გაძლიერდება, თორემ ისინი თუ დაეცნენ, ქვეყანაც დაეცემა.

ასე რომ, კარგად დაიმახსოვრეთ, – ქვეყნის მთავარი სიმდიდრე კარგად მომზადებული და მოძლიერებული ხალხია და არა ძვირფასი საგანძური, რამეთუ სწორედ ხალხი ჰქმნის ყოველდღიური შრომით საგანძურს და ხალხის ძლიერების დაკარგვა, საგანძურის დაკარგვის მომასწავებელია.

რომელიმე ქვეყანას შეიძლება დიდი სიმდიდრე გააჩნდეს, მაგრამ ხალხი თუ სათანადოდ არ არის მომზადებული და არ იციან მისი გამოყენება, სხვა მოვა და სხვა დაეპატრონება იმ სიმდიდრეს. ან კიდევ პირიქით, ქვეყანას შეიძლება არავითარი სიმდიდრე არ გააჩ-

ნდეს, მაგრამ სათანადოდ და კარგად მომზადებული ხალხი, თავიანთი ცოდნითა და შრომით ქმნიდნენ ქვეყნის სიმდიდრეს.

ამის კარგი მაგალითია მცხეთა, რომელიც ამჟამინდელ სამყაროში ერთ-ერთ მდიდარ ქალაქად ითვლება. თავად მცხეთას არ გააჩნია არც ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები, არც ხატაული, აბრეშუმი, ღვინო და ზეთი, მაგრამ სამაგიეროდ, მცხეთას ჰყავს კარგად და სათანადოდ მომზადებული ხალხი, კარგი ხელოსნები და საქმეთა მცოდნენი, კარგი ოსტატები და კარგი ვაჭრები, ყველასათვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი, უზრუნველყოფილია უსაფრთხოება, მოქარავნეთათვის საქარავნოებია და აბანოები, ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო, უპრიანი დიდ-ვაჭრობის გული გახდა მთელს კავკასიაში მცხეთა და მისი სახელი გავრცელდა საბერძნეთიდან ინდოეთამდე, როგორც ძალზედ ხელსაყრელი ქალაქ-ადგილისა, სადაც ფულ-საქონელის სარფიანად ბრუნვა-ტრიალი შეიძლებოდა.

დღეს ამიტომაც არის სავსე მცხეთა, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით, ხატაულითა და აბრეშუმით, ღვინითა და ზეთით, ათასგვარი საქონლითა და ნაკეთობებით, ნაირნაირი საჭმელ-სასმელითა და უცხოურ ნუგბარ-სანელებლებით. ყოველდღიურად ათასი ჯურის ხალხი ირევა მცხეთაში და უსაფრთხოდ, მოსვენებულად გრძნობენ ისინი აქ თავს.

მცხეთა ჰყვავის, ქვეყნის გულში სიცოცხლე სჩქეფს და ეს ყოველივე სათანადოდ და კარგად მომზადებული ხალხის დამსახურებაა და არა ჩემი.

მე რაც არ უნდა მესურვა, მომენდომა და მეცადა, არაფერი მარტო მე არ გამომივიდოდა, თუ ხალხი არ იქნებოდა სათანადოდ მომზადებული და

მონდომებული“.

***

მცხეთის ქალაქის თავის, ბაკურის მონდომებით, სამეფო სასახლის ბაღის სიახლოვეს, არზათა საცავის დიდი დარბაზის აშენება დაესრულებინათ, რის გამოც რუსუდანი აღფრთოვანებული და დიდად კმაყოფილი იყო.

რუსუდანისა და დემეტრეს მიერ ქართულ ენაზე შედგენილი უამრავი არზები მრავლად დაგროვებულიყო სასახლეში.

მწიგნობრობის დიდმა მოყვარულმა, დემეტრემ, უმალვე აითვისა ქართული მრგვლოვანი ასოთ-მთავრული დამწერლობა და რუსუდანთან ერთად შეუდგა უცხოური ენებიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი არზა-წიგნთა შედგენას. მწიგნობრობის დიდი მცოდნე იყო თვით ფარნავაზიც და ხშირად ზამთრის ცივ დღეებში, ბუხართან გაშლილ დათვის ტყავზე წამოწოლილი, ცეცხლის სითბოსა და ნათელს მიფიცხებული, ძველარამეულიდან ქართულად თარგმნიდა ხოლმე ძველ ლეგენდებსა და თქმულებებს.

ამდაგვარად სასახლეში დაგროვებულიყო ფარნავაზის, რუსუდანისა და დემეტრეს მიერ ბერძნული, არამეული და ებრაული ლეგენდებისა და თქმულებათა ქართულად ნათარგმნი მრავალი არზები.

არზა-წიგნები ახლად აგებულ წიგნთსაცავ დარბაზში გადაეტანათ და გრაგნილად შეკრულ-შეხვეულნი, საგანგებო ნიშა-თაროებზე მწყობრად განელაგებინათ.

ფარნავაზი დიდებულებთან ერთად ესტუმრა წიგნთა დარბაზს და დიდად გაიხარა, ესოდენ დიდი საქვეყნო საქმის წარმატებული წინსვლის გამო. ქართული

მწიგნობრობა დაწყებულიყო და ვითარდებოდა. საქვეყნო საქმეები და არზა-წერილები მთელს საქართველოში ქართულ ენაზე იწერებოდა.

საქართევლოში არსებული მიცვალებულის კულტის დიდი პატივისცემა საფლავის ქვაზე ქართულად იწერებოდა.

ოვსეთიდან და ეგრისიდან გურანდა და ნანი დროგა-მოშვებით გზავნიდნენ ხოლმე მათ მიერ ქართულად ჩაწერილი კოლხური და ოსური ლეგენდების არზებს.

დავაჟკაცებულ დემეტრეს გაწეული დიდი სამსახურისათვის ფარნავაზმა ორბელის მიწა-მამული უბოძა საჩუქრად,.

მთელს საქართველოში სიმშვიდე სუფევდა. მტერი და ბოროტი ჯერჯერობით საქართველოს არსაიდან არ ემუქრებოდა. დიდვაჭარ-მოქარავნეთა წყალობით, ხმა გავრცელდა ახლო-მახლო სამეფოებში, ფარნავაზისა და საქართველოს დიდად გაძლიერებისა, ამიტომ ვერავინ ბედავდა საქართველოს დასაპყრობად გალაშქრებას. ქართველ ხალხს ფარნავაზი უყვარდა და მას გულწრფელ, დიდ პატივსა სცემდნენ. ერისთავები მისი ერთგულნი იყვნენ და დიდად აფასებდნენ მის სიბრძნესა და ქვეყნის მართვა-გამგეობას.

ფარნავაზი ხშირად სტუმრობდა ქუჯის, მასთან ერთად მოივლიდა ხოლმე ეგრისსა და სვანეთს. არც ნადირობა ავიწყდებოდათ ნადირობის დიდ მოყვარულებს.

განსაკუთრებით ნანი იყო ხოლმე გახარებული საყვარელი ძმის ნახვით.

ქუჯის ხორნაბუჯი კიდევ უფრო გაეზარდა, გაეძლიერებინა და გალავნის დიდი კედელიც ამოეშენებინა. როდესაც ქუჯი ჩამოდიოდა მცხეთაში, მას აუცილებლად ნანი მოჰყავდა თან, რათა ურთიერთს მონატრებული დედა-შვილი, რუსუდანი და ნანი შეხვედროდნენ ერთმანეთს. შემდეგ ყველა ერთად ბაქარს ესტუმრებოდნენ ხოლმე სამშვილდეში, სადაც ნათი მოუთმენლად მოელოდა თავის ერთადერთ ძმას, ქუჯის.

ნანი და ნათი დედები გამხდარიყვნენ და მათ უკვე ორ-ორი შვილი ჰყავდათ.

ფარნავაზი ბიძა გამხდარიყო და სიამოვნებით ერთობოდა პატარა ბავშვებთან ერთად, რომელთაც სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ ბებიები, რუსუდანი და ლელა.

სამშვილდე საუკეთესო სანადირო სანახებით იყო გარემოცული; სამივე ერთად – ფარნავაზი, ქუჯი და ბაქარი ხშირად დადიოდნენ სანადიროდ და მრავალჯერ კოცონთან ჩამომსხდრებს ძველი ამბები სიცილით გაუხსენებიათ. ფარნავაზი არც ხევისთავ კახაბერსა და მის შვილებს ივიწყებდა მთაში; ძალიან უყვარდა თავის აღმზრდელთან და მრჩეელთან ბაკურთან ერთად მთაში ასვლა, თავისი ბავშვობისდროინდელი ადგილების მოვლა და მონახულება.

გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებს ფარნავაზი სამეფო ქალაქ მცხეთაში ატარებდა. ზამთარში გაჩიანს მიდიოდა. ზაფხულის თვეებში წუნდის ერისთავს ივერს და კლარჯეთის ერისთავს ზევახს ესტუმრებოდა ხოლმე. სამხრეთ-დასავლეთი ქართლი შემობრუნებულიყო და ყოველივე ქართული იმ ძირძველ ქართულ მიწაწყალზე ხელმეორედ ფესვს იდგამდა და მტკიცდებოდა.

ფარნავაზი კახეთის ერისთავის, ელიზბარის ხშირი სტუმარიც იყო და ვენახების გამრავლებას უქებდა მას, თან ავალებდა მიწების დასარწყავად, მცირე არხების გაყვანას უწყლო და მშრალი მიწებისაკენ.

კახეთში ერთ-ერთი სტუმრობისას, ფარნავაზი, ელიზბარისა და მცირე მხედრობის თანხლებით მარტოხელა პაპუნას ეწვია. პაპუნა, დიდი მხედრობის დანახვისას, მოულოდნელობისაგან შეჰკრთა. ფარნავაზმა შეამჩნია, რომ პაპუნა ოდნავ მოტეხილიყო, განვლილ წლებს მისთვის დაღი დაესვა, თუმცა საქონელი მოემრავლებინა, ადრე ფარნავაზის მიერ ნაჩუქარი ფულით.

ფარნავაზი მიუახლოვდა პაპუნას და ცხენიდან ჩამოუსვლელად, ღიმილით შესძახა:

– შენს ღვთაებრივ ღვინოს თუ დამალევინებ, მოხუცო?

პაპუნამ ხელი თვალებზე მოიჩრდილა და მხედრებს გახედა, ფარნავაზი მაშინვე იცნო, სხვები კი ვერა.

გახარებულმა პაპუნამ ხელები გაშალა და ფარნავაზს მიეგება:

– ფარნავაზ, მეფეო, ვიცოდი, რომ მოდიოდი და კოკა ღვინითა, ჩაციებული მიდგას, – სიცილით მიუგო სახეგაბდრულმა პაპუნამ.

ფარნავაზმაც სიცილითვე უპასუხა:

– გულთმისანი ყოფილხარ, პაპუნა, აქ ეულად მცხოვრებმა კაცმა საიდან იცი, რომ მეფე ვარ და თანაც შენთან რომ მოვდიოდი?

– მეფის ამოცნობა ძნელი არ არის, კაცის ამოცნობაა ძნელი, – კვლავ გაიბადრა პაპუნა და ცხენიდან ჩამოქვეითებულ ფარნავაზს მხარზე ეამბორა, შემდეგ სახლში შეიპატიჟა, სადაც მას ელიზბარიც თან შეჰყვა.

ფარნავაზმა პაპუნას გაღიმებულმა მიუგო:

– ქარაგმებით მელაპარაკები, ხომ ისევ, პაპუნა? – და შემდეგ ელიზბარს მიმართა:

– ამ ბრძენ მოხუცთან საუბარმა შესცვალა ჩემი ცხოვრება!

სამფეხა სკამებზე ჩამომსხდარი ფარნავაზისა და ელიზბარის წინ, დაბალ, მომცრო მაგიდაზე პაპუნამ თიხის ჯამები დააწყო და პატარა დოქით საფერავი ღვინის რაკრაკით ჩამოსხმას შეუდგა.

– პაპუნა, რა იცი, რომ მეფე ვარ? – ჰკითხა ფარნავაზმა.

– რამდენიმე წლების წინ, სოფლად ყველი წავიღე

და იქ გავიგე ხალხისაგანა, რომ ფარნავაზმა მცხეთიდან ბერძენი გარეკა, ქვეყანა შეჰკრა და მეფედ მოგვევლინაო. გუმანმა მიგრძნო და მივხვდი, თუ ვინც იქნებოდა ის ბერძენთა გამრეკი მეფე.

ფარნავაზმა და ელიზბარმა გულიანად გადაიხარხარეს პაპუნას წარმოთქმულ სიტყვებზე, შემდეგ ფარნავაზმა ღვინის ჯამი ხელში აიღო და პაპუნას მიმართა:

– როგორ ამბობდი, პაპუნა? – გარდაცვლილ წინაპართა სულები მუდამ ჩვენს გვერდით არიან და ხელს გვიმართავენ, როცა გვჭირდებაო, ხომ; მაშ, სულ ჩვენთან ყოფილიყვნენ და გაჭირვებაში არ მივეტოვებინეთ მათ! – მოსვა ღვინო ფარნავაზმა და კახეთის ერისთავს გახედა.

ელიზბარმა მოკლედ მოჭრა სიტყვა, მეფის წინაშე გრძელსიტყვაობას ერიდებოდა და ჯამიდან ღვინო მოსვა. უცებ თვალები გაუფართოვდა, შეწყვიტა ღვინის სმა, ღვინის ფერს დახედა, შემდეგ რამდენჯერმე დაყნოსა და ისევ პატარა ყლუპებით დაუწყო ღვინოს მოსინჯვა.

ფარნავაზი მოღიმარი შეჰყურებდა ელიზბარს:

– ჰა, რას იტყვი, კახთა ერისთავო, მოგწონს?

ელიზბარმა ჯამი მაგიდაზე დადგა და ფარნავაზს მიუგო:

– მეფეო, ასეთი ღვინო მეც არა მაქვს ჩემს საერისთავოში თუ ასეთ ღვინოს ვინმე აყენებდა, არ ვიცოდი.

– სწორედ ამიტომ მოგიყვანე აქ, ელიზბარ, მინაა აქ კურთხეულ-ბარაქიანი და აბა, შენ იცი, ვენახებითა და სარწყავი არხებით აავსე აქაურობა, — წარმოსთქვა ფარნავაზმა და ისევ პაპუნას მიუბრუნდა:

– რა ჰქენი, პაპუნა, დაასრულე სარწყავი გვირაბის გათხრა ან როდემდე უნდა იყო აქ მარტოსულად?

– ეჰ, მეფეო, გვირაბი კი საკმაოდ დავაგრძელე, მაგრამ მეტის გაგრძელება აღარ შემიძლია, ჯანი აღარ მომდევს. მარტოდ კი არა ვარ. ნახევარი სიცოცხლე ეულად ყოფნამ ფიქრი მასწავლა, ფიქრმა კი გარდასულ ლანდთა და წარსულთა სულებთან საუბარი.

– კი მაგრამ, მოხუცო, სიკვდილის შემდეგ რა არის, შენ საიდან იცი, ან წინაპართა სულებს რანაირად ესაუბრები? – სიტყვა გააწყვეტინა პაპუნას გაკვირვებულმა ელიზმარმა.

პაპუნამ ერთი ღრმად ამოისუნთქა, სკამზე ჩამოჯდა და ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ დინჯად წარმოსთქვა:

– ადამიანის გარდაცვალების შემდეგ რაც ხდება, ცოცხალი კაცისათვის ამის ცოდნა საჭირო არ არის, რადგან საჭირო რომ ყოფილიყო, ადამიანს უფალი დაბადებიდანვე მისცემდა ამ ცოდნას. ყველას მოგველის სიკვდილი და ყველა შევიმცნობთ მერე, რა არის გარდაცვალების შემდეგ. ნაადრევად ამის ძიება კი უსარგებლოა და სახიფათო ცოცხალი კაცისათვის, ხოლო მისი ცნობისმოყვარე ძიება და ქმედება იმ ქინქლაპეპელას წააგავს, რომელიც ჭრაქის შუქის გარშემო დაფარფატებს, ცნობისმოყვარეობით სახიფათოდ მიუახლოვდება ჭრაქსა და ნაადრევად იღუპება.

სიკვდილის შემდეგ თუ რა არის, ამას ძებნა არ უნდა, რადგან იგი აქვეა, ჩვენსავე გვერდით და გაცდის, რომ მთელი ცხოვრება განვლო, ხან კი უცაბედი მოვარდნა იცის.

გარდაცვლილთა სულები კი ხანდახან ჩვენთან მოდიან და მათი შემეცნება ქვეყანაზე ერთი-ორ კაცს თუ შეუძლია.

ფარნავაზი ფეხზე წამოდგა, ჩაფიქრებულმა გაიარ-

გამოიარა და შემდეგ მოხუცს მიმართა:

– პაპუნა, დასრულდა შენი მარტო აქ ცხოვრება, შენს საქონელს ობოლ-გაჭირვებულებს მივცემთ, მადლია, შენ კი მცხეთაში ჩემთან წამოხვალ, არაფერი არ მოგაკლდება, სასახლის ღვინის მარანს შენ ჩაგაბარებ, მარტო რომ არ იყო, კარის უფროსთან, ქაიხოსროსთან ერთად იცხოვრებ. შენი ხალხური ცოდნა და სიბრძნე იქ უფრო გამომადგება.

XL

ჟამი გადიოდა და დრო იყო, რომ ფარნავაზს სამეფო მემკვიდრეობაზე ეზრუნა.

მან გადაწყვიტა, რომ ოჯახი შეექმნა და სამეფო ტახტზე მემკვიდრე დაეტოვებინა. უკვე სიჭარმაგეში შესულმა ფარნავაზმა ცოლად მოიყვანა თავისი მეგობრის, დურძუკთა მეფის უმცროსი ქალიშვილი, კავკასისი და ამ შეუღლებით დურძუკეთთან მეგობრული კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა. ქორწილისათვის დაიწერა მოსაწვევი არზა-წერილები და გაიგზავნა საქართველოს ყელა კუთხეში, ოვსეთსა და დურძუკეთში, სასომხეთსა და ანტიოქიაში.

ფარნავაზი.
მხატვარი გიორგი გეგეჭკორი

გავიდა დრო და დადგა დღე, რომელსაც მცხეთაში ყველა მოუთმენლად ელოდა. მცხეთის სამეფო სასახლეში დიდი ზარზეიმით გაიმართა სამეფო ქორწილი.

ფარნავაზს დიდი ძღვენითა და საჩუქრებით ეწვივნენ მისი ყოფილი თანამებრძოლი მეფენი და ერისთავნი, თავთავიანთი ოჯახებითა და შვილებით.

დურძუკთა მეფემ ფარნავაზს მდიდრული ძღვენი უბოძა და თავისი უმცროსი ქალიშვილი, კავკასისი ჩააბარა, როგორც მეუღლე ქართველთა მეფისა და მომავალი დედოფალი საქართველოსი. ოქრო-ძაფით შეკერილ ძვირფას სამეფო სამოს-გაწყობილი და გვირგვინ-დადგმული ფარნავაზი, მხიარული და ბედნიერი სჩანდა მის გვერდით მყოფ ნორჩ და დამორცხვილ კავკასისის გვერდით.

ოვსთა მეფესა და გურანდას სამი შვილი წამოზრდოდათ. ქუჯის და ნანის ორი შვილი ჰყავდათ. ბაქარს და ნათის კი — ოთხი შვილი.

რუსუდანის, ლელასა და ბაკურის სიხარულს დასასრული არ უჩანდა, ამდენი შვილიშვილების ერთად ნახვისა და ერთად შეყრის გამო.

სხვა ერისთავნიც დაოჯახებულიყვნენ და გამრავლებულიყვნენ.

დიდი სამეფო ქორწილი და ლხინი ერთი კვირა გრძელდებოდა. სამეფო სასახლესთან ერთად, მთელი მცხეთაც ზეიმობდა ფარნავაზის შეუღლებას. სასახლიდან უხვად გაიცა ვერცხლი, ღვინო და საკვები. ყველა გახარებული და ბედნიერი იყო. ანტიოქიის მეფე ჯერ კიდევ ომებში იყო ჩართული. მან სასომხეთის სატრაპის ხელით დიდი მოსაკითხი საუქარი გამოუგზავნა ფარნავაზს.

ერთი კვირის თავზე ლხინი და ქორწილი დამთავრ-

და და ყველამ, დიდად კმაყოფილებმა და გახარებულებ-
მა, თავიანთ სახლებს მიაშურეს.

ამ დროიდან დაიწყო ფარნავაზისათვის ახალი და
უჩვეულო ოჯახური ცხოვრება.

გავიდა ერთი წელიწადი, მცხეთასა და მთელს
საქართველოს ახალი ზეიმობა და სიხარული ეწია.

მეფე ფარნავაზის მეუღლემ, დედოფალმა კავკა-
სისმა, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ვაჟი
შობა, რომელსაც სახელად საურმაგი დაარქვეს.

ფარნავაზის ვაჟის დაბადებამ ქართველ ხალხში
ნამდვილი აღფრთოვანება გამოიწვია, რადგანაც მის
მიერ აყვავებულ ქვეყანას ფარნავაზის მიერ დაწყებულ
დიდ საქვეყნო საქმეს ტახტის მემკვიდრე და ნამდვილად
ღირსეული გამგრძელებელი სჭირდებოდა. ფარნავაზზე
უკეთ, სხვა ვერავინ ვერ გამოზრდიდა, გამოსწვრთნიდა
და განასწავლებდა, საქართველოს მომავალ მეფეს.

გადიოდა დრო, საურმაგი იზრდებოდა და ფარნავა-
ზი მას გვერდიდან არ იშორებდა. თანდათანობით პატა-
რა საურმაგს ცხენზე ჯირითობასა და ხმლის ხმარებას
ასწავლიდა. საქვეყნო საქმეებშიც ნელ-ნელა არკვევდა
და საურმაგს მომავალი მეფობისათვის ამზადებდა.

ფარნავაზი თავის მოკავშირეებთან ყველასთან და-
მოყვრებული და დანათესავებული იყო. მეგობრობდა
და ახლობლობდა მათთან. იგივეს ასწავლიდა თავის
შვილს საურმაგს, რომ ყველასთან მეგობრული და
ახლო სამოკავშირეო ურთიერთობა დაემყარებინა და
განემტკიცებინა.

წამოზრდილ საურმაგს ფარნავაზი საერისთავოებ-
ში სტუმრობის დროსაც თან იახლებდა ხოლმე და იმა-
ვდროულად ჩააგონებდა შვილს: – „ქვეყანა მხოლოდ
სამეფო სასახლიდან არ იმართება, ყველგან უნდა ჩახ-

ვიდე, ყველას უნდა ესტუმრო და საკუთარი თვალით უნდა ნახო, თუ რა ხდება შენს ქვეყანაში, ხალხს კარგად უნდა იცნობდე და ხალხიც ახლოს უნდა გცნობდეს შენ. ვინმე დიდებული თუ განგიდგა და გიღალატა, ხალხი არ გიღალატებს“.

***

ანტიოქიის მეფე სალეუკო-I ნიკატორი გარდაცვლილიყო და სამეფო ტახტზე მისი შვილი ანტიოქე-I აღზევებულიყო.

ფარნავაზმა თავისი და მისი შვილის საურმაგის სახელით არზა-წერილი გაამზადა, რომელშიც ფარნავაზი სელევკიდთა სამეფოს ახალ მეფეს, ანტიოქე I-ს სწერდა, რომ, დიდად დაამწუხრა ანტიოქეს მამის, სალეუკოს გარდაცვალებამ, რადგანაც სალეუკომ ფარნავაზი მიიღო, ვითარცა შვილი და ყოველგვარი დამხარება გაუწია მას, ვითარცა მამობილმა.

ამასთანავე, გამეფებასა და ტახტზე ასვლას ულოცავდა ანტიოქე I-ს და მოკავშირეობასა და მეგობრულ კეთილ-მეზობლობას აღუთქვამდა მას ფარნავაზი.

მოციქულნი გაამზადა და ანტიოქე I-სთვის დიდებული ძღვენი შეარჩია. დესპანს პირელ ელჩად, ბაკურის გამოწრთვნილი დემეტრე ჩაუყენა სათავეში და ანტიოქესათვის გადასაცემი არზა-წერილი მას ჩააბარა.

დემეტრე დაკაცებულიყო, ქართული ოჯახი შეექმნა, არზა-წიგნთა საცავი დარბაზიც მას ჩააბარა ფარნავაზმა და მწიგნობრობასთან ერთად, იგი ფარნავაზს ერთგულად ემსახურებოდა.

ანტიოქიას წასული ქართველთა ელჩობა ორი თვის შემდეგ მცხეთაში დაბრუნდა.

ფარნავაზის არზა-წერილი ანტიოქე I-ს გულთან

ახლოს მიუტანია და პასუხად დაუწერია, რომ იგი მოხარული იყო ფარნავაზის მოკავშირეობით, აფასებდა და პატივს სცემდა მას და იმედი ჰქონდა, რომ მომავალიც ასეთივე ერთმანეთისადმი კეთილმეზობლური ურთიერთობა გაგრძელდებოდა მათ სამეფოთა შორის.

საჩუქრად კი ანტიოქე I-მა ფარნავაზს გამოუგზავნა ოთხი საუკეთესო თეთრი ბედაური ოქროს აღკაზმულობით.

***

გადიოდა დრონი და აღშენდა, აყვავდა და გაძლიერდა მთელი საქართველო.

გაერთიანებულ და თავისუფალ საქართველოში მრავალი ახალი თაობები დაიბადნენ, ქართველი ერი გამრავლდა და გაძლიერდა. მტერი საქართველოს ერიდებოდა და თაობები გაიზარდნენ ისე, რომ მათ ომი არ ენახათ.

ფარნავაზი მოხუცდა და სიბერეში მან კიდევ ერთხელ დიდად გაიხარა.

მისმა ვაჟმა, საურმაგმა ცოლი მოიყვანა, დაქორწინდა და ერთი წლის თავზე მათ შვილი შეეძინათ. ახალდაბადებულ ვაჟს მირიანი დაარქვეს. ფარნავაზისათვის შვილიშვილის შეძენა მეორედ დაბადება და მეორე სიცოცხლე იყო. პატარა მირიანი ფარნავაზის დიდი სიხარული და სიყვარული გახდა. ლეგენდად ქცეული და ბრძენი მეფე ფარნავაზი ყველას უყვარდა. მოხუც მეფეს საყოველთაო დიდ პატივსა სცემდნენ.

დრო გადიოდა. ოთხმოც წელს გადაცილებული ფარნავაზი სასახლიდან თითქმის აღარ გამოდიოდა. ძალზედ იშვიათად თუ მოუხდებოდა და, გაჩიანს მიმავალი, თეთრ ცხენზე ძველებური სიმხნევით ამხედრებუ-

ლი და მთლად გათეთრებული ფარნავაზი, ამალის თანხლებით მცხეთაში ჩაივლიდა, მაშინვე ხმა გავარდებოდა ქალაქში და ყველა მიიჩქაროდა საყვარელი მეფის სანახავად.

უამრავი აღტაცებული და მადლიერი ხალხის დანახვაზე, ფარნავაზს უნებლიედ გაახსენენდებოდა ხოლმე თავის ოჯახთან ერთად, მცხეთის დიდ მოედანზე მათი პირველი შემოსვლა და დღევანდელი ხალხის სიყვარულით სავსე თვალებისა და სახეთა ხილვისას, უნებლიედ ახსენდებოდა მაშინდელი მცხეთის მოსახლეობის გაკვირვებული და გაოცებული სახეები.

ძალაუნებურად გაახსენდა, ოდესღაც პაპუნას ნათქვამი: „კაცმა ისე უნდა იცხოვრო, რომ სიბერეში როდესაც შენს მიერ განვლილ ცხოვრების გზას გაჰხედავ, არ შეგრცხვესო“.

სიბერისაგან დაუძლურებულმა და მოხუცებულმა მეფემ, სიცოცხლის ბოლო წლებში, სამეფო საქმეები და ქვეყნის მართვა, თავის შვილს, საურმაგს გადააბარა, მაგრამ ქართელი ერი ფარნავაზს სიკვდილამდე მაინც თავის მმართველ მეფედ მიიჩნევდა და ფარნავაზის სიცოცხლის ბოლო დღემდე, მისი ერთგულები იყვნენ.

XLI

მცხეთის სამეფო სასახლის საძინებელში მწოლიარე ფარნავაზის მიმქრალ თვალებში სიცოცხლის შუქი და ნაპერწკალი მოდუნებულიყო. ღრმად მოხუცებული და დაუძლურებული ფარნავაზი სიცოცხლის ბოლოს, მეტწილად, სარეცელს იყო მიჯაჭვული. გვიანი შემოდგომის საღამო იდგა და საწოლზე მწოლიარე ფარნავაზი საძინებელი მცირე დარბაზის ფანჯრიდან მცხეთის ცას გაჰყურებდა.

ჩამოავალი მზის მიმქრალ-ოქროსფერ სხივებს მეწამულისფრად მოეხატათ ქართლის გულის – მცხეთის ცა. სამეფო ბაღის მაღალ ხეთა ტოტებიდან მოისმოდა საძილედ მომზადებულ ფარშავანგთა მწუხრისეული ზარივით კივილი. ფარნავაზი გრძნობდა, რომ მისი ამ ქვეყნიდან წასვლის დრო და ჟამი დამდგარიყო. მან იცოდა, რომ სიკვდილი სიცოცხლის შემდგომი, მომდევნო გაგრძელებაა და უსიკვდილოდ არც სიცოცხლე არ იარსებებდა, ამიტომ არ აშინებდა სიკვდილის მოახლოვება, აკი პაპუნაც ამბობდა, „იმიტომ ვიბადებით, რომ ნელ-ნელა სიკვდილისათვის მოვემზადოთო“.

ფარნავაზი გრძნობდა, რომ მას უკვე სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარ მიჯნაზე შეედგა ფეხი. სარკმელს თვალი მოსწყვიტა და მზერა ოთახში გადაიტანა, სადაც კარის მკურნალი და მსახური სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ და ავადმყოფ მეფეს თვალს არ აშორებდნენ. ფარნავაზმა შვილი ახმობინა, რომელიც გვერდით ოთახში იმყოფებოდა. საურმაგი უმალვე მამასთან გაჩნდა და საწოლთან ჩამოუჯდა.

ჭრაქისა და სანთლის მოციმციმე შუქზე, თმა გათეთრებულ მოღიმარ მოხუცს არაამქვეყნიური იდუმალი იერი დასდებოდა. სპეტაკი, თეთრი, გრძელი წვერი

მკერდზე ფაფუკად ედო, მისი თვალები კი სიყვარულით შესცქეროდნენ შვილს.

საურმაგმა ნუგეშად თეთრ თმაზე ხელი გადაუსვა მამამისს. ფარნავაზმა თავისი აკანკალებული ხელი შვილის ძლიერ და ღონიერ მკლავს მოავლო, გაიღიმა და უთხრა:

– მე დამემსგავსე, ჩემი მარჯვენა გამოგყვა.

– მაგრამ არა ისეთი ხელმარჯვე, როგორიც შენ გქონდა, მამაჩემო, – თბილად და ღიმილით მიუგო საურმაგმა.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ, მოღიმარმა ფარნავაზმა, წარბები შეჭმუხნა, ყრუდ ჩაახველა და წარმოსთქვა:

– შვილო, საურმაგ, დადგა დრო ჩემი წასვლისა. გაუფრთხილდი, რასაც გიტოვებ და გაბარებ — შენს ქვეყანასა და შენს ხალხს. ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას გაუფრთხილდი.

კაცის გული გაუმაძღარია, თუნდაც გონება ეწინააღმდეგებოდეს მას. ამიტომ, თუ ოდესმე ქვეყანაში შიდაშუღლი ან შინაური გათიშვა რომელიმე საერისთავოებმა ჩამოაგდონ, ამდაგვარ დროს ნურც რბილი ნუ იქნები და ნურც ზედმეტად მკაცრი, იყავი სამართლიანი.

90 წელს გადავაბიჯე და ამ ხნის განმავლობაში ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადამირჩენია, ზოგნი შევიწყალე, ზოგნი ტყვეობიდან გავათავისუფლე, ზოგნი მშიერნი დავაპურე და ობლებსაც პატრონად დავუდექი. ამიტომაც უფალმა, ათასობით გადარჩენილი სიცოცხლის სანაზღაუროდ, სიცოცხლე გამიხანგრძლივა.

იმ ღამეს ადრე ჩაეძინა ფარნავაზს. იგი ვეღარ ამჩნევდა ოთახში მკურნალისა და მსახურის ყოფნას, ვე-

ღარც საურმაგის დროდადრო გასვლა-შემოსვლას. ჩაძინებამდე მხოლოდ საწოლის წინ მდებარე მოპირდაპირე კედელს შესცქეროდა, რომელზეც გაკიდეული იყო ქალთამზის მიერ მთაში ლამაზად ნაქარგი, სიყვარულით შექმნილი ქართული მრგვლოვანი ასო-მთავრული.

სიზმარი ნახა ფარნავაზმა, ვითომდა, გაახალგაზრდავებულიყო. მრავალი წლის სიმძიმე მას ბეჭებიდან მოხსნოდა და აღარ ამძიმებდა მის დაძაბუნებულ სხეულს. სიმსუბუქე გასჩენოდა და ფრენა შეეძლო. ფარნავაზმა დაჰკრა ფეხი მიწას და ზეცის უსასრულობაში აიჭრა.

უსაზღვრო ცისფერ სივრცეში დიდხანს მიფრინავდა გაახალგაზრდავებული ფარნავაზი, სანამ არ მიუახლოვდა დიდ, კაშკაშა ოქროსფერ სინათლეს.

ოქროსფერ-მოელვარე კაშკაშა ნათელიდან ხელგაშლილნი და მოღიმარნი გამოვიდნენ ფარნავაზის დედა რუსუდანი, მამამისი ადარნასე, აწგარდაცვლილნი დები მისი გურანდა და ნანი. მეფე სამარა და ქუჯი, ლელა და ბაკური, ბოლოს გამოჩნდა მოცინარი ბაქარიც.

ფარნავაზი გაოცებული და გაოგნებული შეჰყურებდა თავის საყვარელ ხალხს და მისი გონება და გული უდიდესი სიხარულით ივსებოდა. გაცინებული ბაქარი კაშკაშა ნათელში შევიდა და მალევე უკან გამობრუნდა ხელჩაკიდულ და სათნოდ მოღიმარ ქალთამზესთან ერთად.

ოქრო-თეთრ სამოსში გამოწყობილი თმებგაშლილი ულამაზესი ქალთამზე ფარნავაზისაკენ შესახვედრად ხელებგაშლილი მოილტვოდა.

ფარნავაზის გულისცემა შეწყდა და ქალთამზის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას შეუერთდა მისი სული.

***

ფარნავაზი მიიცვალა ძველი წელთაღრიცხვით 239 წელს, 92 წლის ასაკში. 65 წელი გასულიყო მას შემდეგ, როდესაც ანტიოქიის მეფემ, ძველი წელთაღრიცხვით 304 წელს, 27 წლის ფარნავაზს სამეფო გვირგვინი უბოძა და მთელი საქართველოს მეფედ კურთხევა დაუდასტურა. იმ დღიდან მოყოლებული, ფარნავაზის სიცოცხლეში ვერავინ ვერ გაჰბედა, რომ საქართველოში შემოჭრილიყო. საქართველოს საზღვრები ხელშეუხებელი იყო.

ფარნავაზს ბედნიერი მეფობა ჰქონდა. მთელმა საქართველომ სიკეთით მოიხსენა და დაიტირა, ისტორიაში პირველად, გაერთიანებული და გამთლიანებული, მთელი საქართველოს პირველი მეფე, ფარნავაზ I.

მისი ცხედარი არმაზის მთაზე არსებული აკროპოლისის პანთეონში, ღმერთი არმაზის ფერხთით დაკრძალეს.

***

ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი უკვდავი გმირის, მეფე ფარნავაზის სახელი სამარადჟამოდ დარჩება ქართველი ერის ცნობიერებაში, როგორც პირველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და მწიგნობრობის შემქმნელ-დამფუძნებელი და დიდი მამულიშვილი, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული და თავდადებული თავის ქვეყანაზე, თავის სამშობლოსა და საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე.

1	2	3	4	1	2	3	4
			1				200
			2				300
			3				
			4				400
			5				500
			6				600
			7				700
			8				800
			9				900
			10				1000
			20				2000
			30				3000
			40				4000
			50				5000
			60				6000
			70				7000
			80				8000
			90				9000
			100				10000

1. ასომთავრული დამწერლობა. 2. ნუსხური დამწერლობა.
3. მხედრული დამწერლობა. 4. ნუმერაცია


სკვერთები
ბოსპორი
ბანტიკაპეა
ეფესი
ეფესი
ეფესი

ი ბ ე რ ი ი ს ს ა მ ე ფ ო


შავი
ზღვა
ფაზისი
ფასისი
ციხისძირი
ურიცხევი
ბორისთავი
ბოსტანი
ბოსტანი
ბოსტან

უძველესი სავაჭრო საერთაშორისო გზა

სპარსეთის სამეფო 500წ. ძვ. წ. აღ.-ით



მაკედონელის დროინდელი ელინური სამყარო

ზურაბ კალატოზიშვილი დაიბადა 1963 წელს თბილისში. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დაკელტები და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ვიოლონჩელის სპეციალობით.

კვალიფიკაციის ასამაღლებლად პრაქტიკა გავლილი აქვს ევროპის ხუთადასხვა ქვეყნების პროფესიულ ცენტრებში.

ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ესპანეთში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

ზურაბ კალატოზიშვილი

www.ucari.gr